ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი

გიორგი დუნდუა, თეიმურ დუნდუა

ქართული ნუმიზმატიკა

II ნაწილი

გამომცემლობა «მერიდიანი»

გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა

ქართული ნუმიზმატიკა

ნაწილი II

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი 2011

„ქართული ნუმიზმატიკის“ II ნაწილში XIII - XIX საუკუნეების ლოკალური ემისიები და სინქრონული უცხოური მონეტების მიმოქცევაა მიმოხილული. ნაშრომს ინტერესით გაეცნობიან როგორც ისტორიკოსები, ასევე – მკითხველთა ფართო აუდიტორიაც. შესაძლებელია მისი გამოყენება უმაღლეს სასწავლებლებში, სპეციალურ თუ არასპეციალურ ფაკულტეტებზე.

რედაქტორი **ალექსანდრე ბოშიშვილი**

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011

© გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა

წინასიტყვაობის მაგიერ

2006 წ., ჩვენი ავტორობით, გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოაქვეყნა „ქართული ნუმიზმატიკის“ სახელმძღვანელო, I ნაწილი, რომელიც მოიცავს ძვ. წ. VI - ახ. წ. XIII სს-ის ქართული და საქართველოში გავრცელებული უცხოური მონეტების მიმოხილვას. ცხადია, მათ შორის საუბარია ქუთაისში მოჭრილ დავით ულუსა (1247 - 1270 წწ.) და დავით ნარინის (1245 - 1255/1257 - 1293 წწ.) ერთობლივ ემისიაზე, მაგრამ – ძალიან ლაკონურად და სქემატურად (იხ. გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I. თბ. 2006, გვ. 231 - 232, ტაბ. XV, № 98), ხოლო ისეთი მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი სამონეტო ჯგუფის შესახებ, როგორიც არის კირმანეული თეთრი, საერთოდ არ გაკეთებულა არავითარი კომენტარი. მითითებული იყო მხოლოდ ტაბულაზე მოთავსებული სამონეტო ტიპები (იხ. გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა, ტაბ. XV, №№ 101 - 102). ამის გამო, ქართული ნუმიზმატიკა, II ნაწილი, სწორედ ამ მასალის აღწერა-ატრიბუციით და განხილვით იწყება.

ორი დავითის მონეტა (1261 - 1262 წწ.)

მიღებული ქრონოლოგიის თანახმად, 1259 წ. მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყდა დავით ნარინი. ის მტერს ხელთ ჩაუვარდა, მაგრამ გაქცევა მოახერხა. ნარინი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ამით *de facto* საქართველოს სამეფო ორად გაიყო. სხვა ვერსიით, საქართველოს სამეფოს ორად გაყოფას ადგილი ჰქონდა ბევრად უფრო ადრე. ზოგი დასავლური წყარო ამ კუთხით თითქოს უფრო ნიშანდობლივია. საფრანგეთის მეფის ლუი IX-ის ელჩი ბერი გიიომ დე რუბრუკი დიდი ყაენის კარზე გაემგზავრა. 1257 წ. ის საფრანგეთში დაბრუნდა და მოხსენებითი ბარათიც წარადგინა. აქედან, ერთი პასაჟი ძალზედ საინტერესოა: „ამ უბის იქით ზიქიაა (თანამედროვე ტუაპსეს მხარე, რუსეთის ფედერაცია – გ. დ., თ. დ.), რომელიც თათრებს არ ემორჩილება, და უფრო აღმოსავლეთით არიან სუენები და იბერები, რომლებიც ასევე არ ემორჩილებიან მათ“. ეს, უბრალოდ, ნიშნავს იმას, რომ 1257 წ-თვის დასავლეთ საქართველო მონღოლებისთვის უკვე დაკარგულია. 1257 წ. საქართველოს გაყოფის ზედა ქრონოლოგიური ზღვარია, თუკი რუბრუკმა უახლესი ინფორმაცია დაამატა საკუთარ შთაბეჭდილებებს. ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს კი განსაზღვრავს მისი ამ მხარეებში ყოფნის თარიღი. ეს კი 1255 წ. დასაწყისია (თ. დუნდუა. გიიომ დე რუბრუკი და საქართველოს ისტორია. სვანეთი.

III. თბ. 2008, გვ. 102 - 105). ყოველივე აღნიშნული ორი დავითის მონეტების ემისიის თარიღს არ ცვლის.

1260 წ. მონღოლებს დავით ულუც აუჯანყდა, მაგრამ დამარცხდა. ის ჯერ სამცხეში გადავიდა, მერე კი – დასავლეთ საქართველოში. ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ტახტზე ხანმოკლე დროით, ალბათ, 1261 წ. დასაწყისიდან 1262 წ. დამდეგამდე, ერთდროულად ორი მეფე აღმოჩნდა. სწორედ ამ ხანებში მათ ორი მეფის სახელით მოჭრეს ვერცხლის საკმაოდ იშვიათი მონეტები (მათ რიცხვი სულ ათიოდე ცალად არის ცნობილი). ვიძლევით სანიმუშო ცალის აღწერილობას:

ვერცხლი. ზ. – 23/24 მმ., წ. – 2. 81 გრ. (რემედიუმი – 2.3 - 2.9 გრ.).

შუბლი – ორი მეფის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ. ორივეს თავზე გვირგვინები (სტემა) ადგას და თვლებით შემკული საიმპერატორო სამოსი აცვია. მარცხნივ მდგომ წვერულვაშებიან მეფეს მარცხენა ხელში გრძელბუნიანი და ფართოტოტებიანი ჯვარი უჭირავს, ხოლო მარჯვენა ხელი დოინჯშემოყრილი აქვს. იგივე ჯვარი მარჯვნივ მდგომ უწვერო მეფესაც უჭირავს მარჯვენა ხელში, ხოლო მარცხენა ხელი მასაც დოინჯშემოყრილი აქვს. მონეტის მარცხენა და მარჯვენა კიდეებზე ვერტიკალურად განლაგებულია ქართული მთავრული ასოებით შესრულებული ზედწერილი: ᲝᲐᲦ და ᲐᲐᲝ, რომელიც ასე იშიფრება: „დავით მეფე“ და „მეფეთა მეფე დავით“.

ზურგი – ტახტზე მჯდომი ღვთისმშობლის გამოსახულება პირდაპირ, რომელსაც თავს წერტილოვანი შარავანდედი ადგას და ნაკეცებიანი სამოსი აცვია. ტახტის სახელურზე დაყრდნობილი მარჯვენა ხელი მკერდზე აქვს მიდებული, მარცხენა ხელით ასევე ტახტის სახელურს უნდა ეყრდნობოდეს. გამოსახულების მარცხნივ, ერთ სტრიქონად, ქარაგმით შესრულებული ასომთავრული ზედწერილია: Ო˜Ო – ე. ი. „დედა(ჲ)“. მარჯვნივ, მთავრულივე ასოებით, აგრეთვე ქარაგმით, ორ სტრიქონად – Ი˜Უ ᲡᲘ, „ღუთისა(ჲ)“ (დაწვრილებით ამ მონეტის შესახებ იხ. თ. აბრამიშვილი. ორი დავითის მონეტა. სსმმ. ტ. XVI-B. თბ. 1950; მისივე. XIII - XIV სს. დასავლურ-ქართული ფული (კირმანეული). თბ. 1959, გვ. 94-100; დ. კაპანაძე. ზოგიერთი ტერმინის შესახებ ქართულ ნუმიზმატიკაში. სსმმ. ტ. XII-B. თბ. 1944, გვ. 201; მისივე. Так называемые грузинские подражания трапезундским аспрам. ВВ. III. М. 1950, გვ. 203-204; მისივე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969, გვ. 92) (სამონეტო ტიპისთვის იხ. ტაბ. I, № 1).

ორი დავითის სახელით მოჭრილ მონეტებთან დაკავშირებით, უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ მათგანს ეკუთვნის ტიტული „მეფეთა მეფე“ და რომელია მოხსენიებული უბრალოდ „მეფედ“. გადაჭრით ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საკმაოდ რთულია. საქმე ის არის, რომ ულუ დავითის დასავლეთ საქართველოში გადასვლით რთული ვითარება შეიქმნა. დაისვა კითხვა, ამ ორი მეფიდან რომელს უნდა ჰქონოდა უპირატესობა. ამის გამო ერთმანეთს დაუპირისპირდნენ დიდებულთა ცალკეული დაჯგუფებები. ორივე დავითს ძლიერი მხარდამჭერები ჰყავდა. დავით ულუს მხარს რაჭის ერისთავი

კახაბერ კახაბერისძე, ქვაბულისძენი და ფარაჯანიანნი უჭერდნენ. მაგრამ იმერეთის ყველაზე გავლენიანი დიდებული ბედიან ჯუანშერის ძე დავით ნარინს იცავდა. ამიტომაც, და აგრეთვე პოლიტიკური კონიუნქტურის შეცვლის გამო დავით ულუმ მონღოლებთან შერიგება სცადა. ზემოთქმულის გათვალიწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „მეფეთა მეფის“ ტიტულით დავით რუსუდანის ძეა მოხსენიებული. თუმცა, დავით ულუს სასარგებლოდაც შეიძლება არგუმენტების მოყვანა: დავით VII, მართალია, გიორგი ლაშას უკანონო შვილი იყო, მაგრამ – მაინც ბაგრატიონი, რასაც ის ხაზს უსვამდა თბილისში ჰიჯრ. 650-652 წწ. (1252/3-1254/55 წწ.) მოჭრილი ვერცხლის მონეტების ლეგენდებში. მათ შუბლზე მოთავსებულია არაბული ზედწერილი – „დავით მეფე, ძე გიორგისა, ბაგრატიონისა . . .“ (გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 230, ტაბ. XIV, № 97). გარდა ამისა, მონღოლთა განწესებით, ის უფროს მეფედ ითვლებოდა, რომელსაც დავით ნარინი უნდა „დაქვემდებარებოდა“. იურიდიულადაც გიორგი ლაშას ძე ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს უპირველესი მეფე და ასაკითაც უფროსი იყო.

ორი დავითის მონეტის პროტოტიპი ბიზანტიის იმპერატორების იოანე II (1118 - 1143 წწ.) და მიხაელ VIII (1258 - 1282 წწ.) პალეოლოგის ნუმიზმატიკური ძეგლები უნდა იყოს (ზურგის მხარის ტიპისთვის იხ. T. Dundua. Review of Georgian Coins with Byzantine Iconography. Numismatica e Antichità Classiche. XXIX. Quaderni Ticinesi. 2000, გვ. 393).

ბიძაშვილ-მამიდაშვილის მონეტების ზუსტი ატრიბუცია დ. კაპანაძეს ეკუთვნის. ცხადია, ისინი ქუთაისის ზარაფხანაში მოიჭრა (დ. კაპანაძე. უცნობი ქართული მონეტებისა და ზარაფხანების საკითხის შესწავლისათვის. სსმმ. ტ. XIV-B. 1947, გვ. 156).

კირმანეული თეთრი

1204 წ. ჯვაროსნებმა დაამარცხეს ბიზანტია. მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში კი ჩამოყალიბდა ტრაპიზონის იმპერია, რომელმაც 250 წელზე მეტ ხანს იარსება. ქართველი ისტორიკოსები ამ პოლიტიკური ერთეულის გენეზისს საქართველოს აქტიურ აქციებს უკავშირებდნენ (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. III. თბ. 1949, გვ. 208 - 209; ირ. ბერაძე. ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხისთვის. თბ. 1971, გვ. 38), თუმცა საბჭოური რუსული ისტორიოგრაფია ამის შესახებ დუმილს ამჯობინებდა.

ტრაპიზონის იმპერიის პირველი მმართველი იყო ალექსი I კომნენოსი (1204 - 1222 წწ.). მისი მემკვიდრეები ანდრონიკე I (1222 - 1235 წწ.), იოანე I (1235 - 1238 წწ.), მანუილ I (1238 - 1263 წწ.) კომნენოსები იმავე სახელებს ატარებდნენ, როგორსაც

XII ს. ბიზანტიის იმპერატორები. ამიტომაც ტრაპიზონის მონეტებს თავდაპირველად კონსტანტინოპოლელ კომნენოსებს აკუთვნებდნენ.

1827 წ. ბარონმა მარშანმა პირველმა მიაქცია ყურადღება ვერცხლის მონეტების ორიგინალურ ჯგუფს, რომლის შუბლზე წმ. ევგენიოსი იყო გამოსახული და გამოირჩეოდა სპეციფიური ფაქტურით – მონეტის ბრტყელი, დიდი ფირფიტით. წარწერების მიხედვით, მათი ემისია ეკუთვნოდათ იოანე, მანუილ და ალექსი კომნენოსებს. ბარონ მარშანის ატრიბუციით, ეს მონეტები მოჭრილი იყო ტრაპიზონის კომნენოსების მიერ (საკითხის შესახებ არსებული სრული ბიბლიოგრაფია იხ. И. В. Соколова. Трапезундские аспры и кирманеули с именем Мануила I и Иоанна Комнинов. НЭ. XI. М. 1974; მისივე. Кирманеули с именем Мануила из собрания Государственного Эрмитажа. НС. Тб. 1977).

ეს მოსაზრება მისმა კოლეგებმა არ გაიზიარეს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა მიხაელ პანარეტოსის ქრონიკა, სადაც ტრაპიზონის იმპერიის ისტორიაა გადმოცემული, და აღმოჩნდა თეოდორა კომნენას მონეტა (ასეთი იმპერატრიცა XII ს-ში ბიზანტიაში არ ყოფილა), რომელმაც 1285 წ. ტახტიდან ჩამოაგდო თავისი ძმა იოანე II და თავად დაიკავა ტრაპიზონის იმპერიის ტახტი, ფ. პფაფენჰოფენმა ჯერ კიდევ 1847 წ. დაასაბუთა, რომ წმ. ევგენიოსი ტრაპიზონის მფარველი იყო და მონეტები მისი იკონოგრაფიით ტრაპიზონის იმპერიის ნუმიზმატიკას მიეკუთვნებოდა.

ამ მოსაზრებამ იმთავითვე საყოველთაო აღიარება პოვა. დავას დიდი ხნის განმავლობაში იწვევდა მხოლოდ ამ მონეტების დიფერენციაცია იმპერატორების მიხედვით. შეურყეველი იყო მხოლოდ ფ. პფაფენჰოფენის მიერ დადგენილი თარიღი ტრაპიზონის მონეტების ემისიის დაწყებისა იოანე I-ის მმართველობის (1235 - 1238 წწ.) ხანით (И. В. Соколова. Трапезундские аспры . . . , გვ. 129). ამრიგად, ფაქტობრივი მასალა თითქოს იმას ამტკიცებს, რომ ალექსი I-ს (1204 - 1222 წწ.) და ანდრონიკე I-ს (1222 - 1235 წწ.) სამონეტო რეგალია არ განუხორციელებიათ. კ. გოლენკო ამას უკავშირებდა ე.წ. „ვერცხლის კრიზისის“ დასასრულს მახლობელ აღმოსავლეთში (К. В. Голенко. Клад монет из села Тобаниери. ВВ. XVI. М. 1959, გვ. 128, შენ. 4).

ტრაპიზონის ასპრების დღევანდელი კლასიფიკაცია ეფუძნება ო. რეტოვსკის ნაშრომს (O. Retowski. Die Münzen der Komnenen von Trapezunt. M. 1910; Отдельный оттиск из НС. I. 1911, გვ. 113 - 301), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის საბოლოოა და არავითარ ეჭვს არ იწვევს როგორც საკუთრივ ტრაპიზონის მონეტებთან, ასევე, განსაკუთრებით, ე.წ. კირმანეულ თეთრთან დაკავშირებით.

ჯერ კიდევ 1844 წ. მ. ბარათაევმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საქართველოში იჭრებოდა ტრაპიზონის ასპრების იმიტაციები და ისინი გააიგივა ქართულ წერილობით ძეგლებში მოხსენიებულ კირმანეულთან (М. Баратаев. Нумизматические факты грузинского царства. СПб. 1844, გვ. 23 - 25).

მ. ბარათაევის ვარაუდი უყურადღებოდ არ დარჩენილა მომდევნო ნუმიზმატების მხრიდან, მაგრამ ო. რეტოვსკის ნაშრომის გამოსვლამდე ყველაფერი ჰიპოთეზის

ფარგლებში რჩებოდა. მან პირველმა დაბეჯითებით გამოყო იოანე II-ის ასპრების ქართული მინაბაძები და მათ დამახასიათებელ ნიშნებად მიიჩნია გამოსახულებათა დეტალების დამახინჯება, ლეგენდების არასწორი გადმოცემა, ზოგიერთ შემთხვევაში კი მათი წაკითხვის შეუძლებლობა (O. Retowski. Die Münzen der Komnenen von Trapezunt, გვ. 108 - 129). ო. რეტოვსკი შეეცადა აგრეთვე გამოეყო მანუილ I-ის ასპრების მინაბაძები, თუმცა მათი გარჩევა ორიგინალებისგან ძალიან ძნელია (И. В. Соколова. Трапезундские аспры . . . , გვ. 130). მას თავისი ატრიბუციის საფუძვლად მიაჩნდა არტიკლის მოთავსება იმპერატორის სახელის წინ და ასო M-ის არასწორი მოხაზულობა (O. Retowski. Die Münzen der Komnenen von Trapezunt, გვ. 20 - 21).

ო. რეტოვსკის ნაშრომმა, კ. გოლენკოს პუბლიკაციამ (К. В. Голенко. Клад монет из села Тобаниери, გვ. 127 და შმდ.) და თ. აბრამიშვილის სპეციალურმა მონოგრაფიამ კირმანეულთან დაკავშირებით (თ. აბრამიშვილი. XIII - XIV სს. დასავლურ-ქართული ფული კირმანეული), ირ. სოკოლოვას აზრით, ეჭვმიუტანლად გამოყო იოანე II-ის ასპრების მიხედვით მოჭრილი კირმანეული თეთრი, მაგრამ მისი განცხადებით, « . . . само название «кирманеули», сохранившееся в грузинских источниках, указывает на то, что первые памятники этого рода носили имя и изображение Мануила». და შემდეგ: «Выделить кирманеули с именем Мануила из числа трапезундских аспров – задача чрезвычайно сложная» (И. В. Соколова. Кирманеули с именем Мануила . . . , გვ. 109).

ო. რეტოვსკის კრიტერიუმებს ამ მიმართებით ჩვენ ზემოთ უკვე გავეცანით. ამ გზით წარმართა თავისი კვლევა-ძიება თ. აბრამიშვილმაც. მან შეისწავლა 1907 წ. სამტრედიის რ-ნის სოფ. კოპიტნარში აღმოჩენილი ვერცხლის მონეტების განძი 652 ც. რაოდენობით. განძის შემადგენლობის გათვალისწინება აუცილებლად დაგვჭირდება ქვემოთ, კირმანეულის დათარიღების თვალსაზრისით, ამიტომ ვიძლევით კომპლექსის მონეტების სიას ჯგუფების მიხედვით: I. ტრაპიზონის ასპრები – 1. მანუილ I (1238 - 1263 წწ.) – 6 ც., 2. იოანე II (1280 - 1297 წწ.) – 7 ც., 3. მანუილ III (1390 - 1417 წწ.) – 1 ც., 4. ალექსი IV (1417 – 1446 წწ.) – 1 ც., ე. ი. სულ – 15 ც.; II. XII - XIV სს. ბულგარული ფული – 1 ც.; III. დასავლურქართული ფული (კირმანეული) – 633 ც., აქედან 5 ც. მოჭრილია მანუილის სახელით, 619 ც. – იოანეს, ხოლო 9 ც., თ. აბრამიშვილის ატრიბუციით, კირმანეულის ახალი სახეა. გარდა ამისა, განძის შემადგენლობაში კიდევ შედიოდა რამდენიმე მონეტა, რომელთაც ქრონოლოგიურად არავითარი კავშირი არა აქვთ კომპლექსთან. როგორც ჩანს, ისინი შემთხვევით შეერია მას. ეს სავსებით შესაძლებელია. საქმე ისაა, რომ განძის ერთი ნაწილი პარიზში იყო წაღებული სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად ექვთ. თაყაიშვილის მიერ, ხოლო მეორე – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში იყო დაცული, საიდანაც ეს ნაწილი უნივერსიტეტის კოლექციის შემადგენლობაში შევიდა, შემდეგ კი – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. აქვე გაერთიანდა ის პარიზიდან ჩამოტანილ განძის მეორე ნაწილთან. ჩანს, ამ „მოგზაურობის“ დროს მოხვდა კოპიტნარის კომპლექსში

ქრონოლოგიურად განსხვავებული მონეტები (თ. აბრამიშვილი. XIII - XIV სს. დასავლურ-ქართული ფული . . ., გვ. 45 და შმდ.; განძი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ საცავში, „განძების ფონდი“ №№ 5573 - 6223, შემდეგში – გ.ფ.).

თ. აბრამიშვილმა კოპიტნარის განძის შემადგენლობაში გამოყო 5 მონეტა, რომლებიც, მისი სიტყვებით, საქართველოში უნდა იყოს მოჭრილი სხვადასხვა დროს მანუილ I-ის ასპრების მიხედვით. ხუთი მონეტიდან პირველი (გ.ფ. № 6162) გამოირჩევა მოჭრის ტექნიკის მაღალი დონით. შემდეგ მას მოჰყვება 3 მონეტა (გ.ფ. №№ 6159 - 6161), რომელთა მოჭრის ტექნიკამ და დამწერლობამ დაცემა-დაქვეითება დაიწყო, ხოლო უკანასკნელ რიგში № 6158-ია. ის ხასიათდება არა მარტო მოჭრის ტექნიკის დაბალი დონით, არამედ ხელოსნის სრული უცოდინრობით, რის გამოც ფიგურის ხელში მიცემულმა ატრიბუტებმა და ზედწერილებმაც ადგილი შეიცვალა (თ. აბრამიშვილი. XIII - XIV სს. დასავლურ-ქართული ფული . . ., გვ. 54, 148).

კ. გოლენკომ ტობანიერის განძიდან (მისი შემადგენლობა იხ. ქვემოთ) გამოყო 21 ეგზემპლარი, მოჭრილი მანუილ I-ის ასპრების მიხედვით, აქედან 6 ც. გადაჭედილი იყო არაბული და ჰულაგუიდური დირჰემებიდან. ავტორის განცხადებით, მათი დამახასიათებელი შტრიხებია: «искажение легенды и характерное плоское изображение св. Евгения, отличающееся некоторой схематичностью и грубостью . . . иногда – появление новых дифферентов, плоский крупный кружок» (К. В. Голенко. Клад монет из села Тобаниери, გვ. 135 - 136, 165 - 168).

ვინაიდან ზემოთ მოხსენიებული ტობანიერის განძის აღმოჩენის პირობებისა და შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია აუცილებლად დაგვჭირდება, მოკლედ შევეხებით მას. განძი აღმოჩნდა ვანის რ-ის სოფ. ტობანიერში 1927 წ. ჩვენამდე მოაღწია 215 ც. რაოდენობით. დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში. ძირითადად შეიცავს ტრაპიზონის ასპრებს და კირმანეულებს. ვიძლევით მათ სიას: I. ტრაპიზონის ასპრები – 1. იოანე I (1235 - 1238 წწ.) – 4 ც., 2. მანუილ I (1238 - 1263 წწ.) – 56 ც., 3. იოანე II (1280 - 1297 წწ.) – 125 ც., 4. იოანე II და ალექსი II (1297 წ-მდე) – 1 ც.; II. სელჩუკური დირჰემი, მოჭრილი ჰიჯრ. 630 წ. (?) = 1232 - 1233 წწ.; III. ქართულ-ჰულაგუიდური დირჰემი, მოჭრილი თბილისში აბაღა ყაენის დროს ჰიჯრ. 680 წ. (?) = 1281 - 1282 წწ.; IV. დასავლურქართული ფული (კირმანეული) – 25 ც. აქედან 21 მოჭრილია მანუილ I-ის ასპრების მიხედვით და მხოლოდ 4 იოანე II მონეტების იმიტაციაა; V. ორი დავითის მონეტა – 2 ც.; განძის ჩამარხვის თარიღად კ. გოლენკო XIII - XIV სს. მიჯნას მიიჩნევს (დაწვრილებით ამ კომპლექსის შესახებ იხ. К. В. Голенко. Клад монет из села Тобаниери, გვ. 127 - 172).

დავუბრუნდეთ კირმანეულ თეთრს. ამ პრობლემის შესწავლას სპეციალურად შეეცადა ირ. სოკოლოვა. მან მანუილ I და იოანე II ორიგინალური ასპრების საერთო ნიშნები მოხაზა: « . . . надписи без грамматических ошибок, обычное для трапезундских эпиграфических памятников начертание букв, устойчивое соотношение штемпелей, вес, превышаюший 2.5 гр.».

რით განსხვავდება ირ. სოკოლოვას აზრით კირმანეული ტრაპიზონის ასპრებისგან? «Важными отличиями кирманеули являются неустойчивое соотношение осей штемпелей и отмечавшийся всеми исследователями пониженный (обычно меньше 2.5 гр.) их вес» (И. В. Соколова. Кирманеули с именем Мануила . . . , გვ. 110 - 111).

როგორ უნდა დათარიღდეს კირმანეული? ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული.

თ. აბრამიშვილის მიხედვით, კირმანეულის ტიპის მონეტები დასავლეთ საქართველოში მოუჭრიათ ორ დავითს (1261 - 1262 წწ.), ე.ი. 24 - 25 წლით ადრე თეოდორას ლაშქრობამდე (ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ). და შემდეგ: „უნდა ვივარაუდოთ ((?) გ. დ., თ. დ.), რომ ორი დავითის სახელით ფულის მოჭრამდე დასავლეთ საქართველოში მონეტის ეს ტიპი, ე.ი. კირმანეული ცნობილი იყო. შესაძლებელია ამ ფულის მოჭრა დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში გადასვლის შემდეგ დაიწყო“ (თ. აბრამიშვილი. XIII - XIV სს. დასავლურ-ქართული ფული, გვ. 40 - 41). რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით? ჯერ ერთი, მთლად ზუსტი არ არის იმის მტკიცება, რომ კირმანეულის ტიპის მონეტები პირველად დავით ულუმ და დავით ნარინმა მოჭრეს. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ორი დავითის მონეტის პროტოტიპი ბიზანტიის იმპერატორების იოანე II-ის და მიხაელ VIII-ის ნუმიზმატიკური ძეგლები უნდა იყოს. მეორეც, დაუსაბუთებელია მოსაზრება, რომ კირმანეულის მოჭრას შეიძლება უფრო ადრეც ჰქონოდა ადგილი. ცხადია, კირმანეულის ემისია დავით ნარინის ეპოქაშია რეალიზებული, მაგრამ დასადგენია ემიტენტის საკითხი. რატომ უნდა მოეჭრა დავით ნარინს მონეტები საკუთარი პერსონის მოხსენიების გარეშე? შეიძლება გამოითქვას ორი ვარაუდი: 1. საქართველოს ორად გაყოფა *de jure* საბოლოოდ გაფორმებული არ არის და დავით რუსუდანის ძეს მეფის სახელით მონეტების ემისიის უფლება არ აქვს, და 2. ამ მონეტების მოჭრის ემიტენტი სამეფო ხელისუფლება არ არის. პირველი ვარაუდი ნაკლებად დამაჯერებელია, რადგან ძნელი წარმოსადგენია, რომ დავით ნარინს საკუთარი სტატუსის ფორმალურ დამკვიდრებაზე უარი ეთქვას. ამის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება კი იმ ეპოქაში საკუთარი სახელით მონეტების ემისია იყო. განა ის თავისი სახელით და მეფის ტიტულით არ ჭრის ვერცხლის მონეტას თბილისის ზარაფხანაში 1247 წ., ან ორი დავითის მონეტაზე მოთავსებული ტიტულებიდან, ერთ-ერთი მას არ ეკუთვნის? მით უმეტეს, დაუჯერებელია, რომ XIII ს-ის II ნახევრით დათარიღებულ კირმანეულებზე მას თავისი სახელი არ მოეთავსებინა. საქართველოს ორად გაყოფა 1261 - 1262 წწ. შემდეგ მაინც ხომ დადასტურებული ფაქტია. რაც შეეხება ჩვენს მიერ გამოთქმულ მეორე ვარაუდს, მის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

კირმანეულის მოჭრის გვიანდელ თარიღად თ. აბრამიშვილი XIV ს. მიიჩნევს, თუმცა, რა თქმა უნდა, ანგარიშს უწევს იმ ფაქტსაც, რომ ტერმინი „კირმანეული“ XV ს. ქართულ საბუთებში იხსენიება. იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ მის მიერ გამოქვეყნებული კოპიტნარის განძი, სადაც დიდი რაოდენობით კირმანეულებიც

შედის, სწორედ XV ს-შია ჩამარხული (თ. აბრამიშვილი. XIII - XIV სს. დასავლურ-ქართული ფული, გვ. 40 - 43, 47).

კირმანეულის ემისიის დაწყების თარიღს შეეხო დ. კაპანაძეც. ის ამ აქციას უკავშირებს იმ ისტორიულ ფაქტს, როდესაც საქართველოში გათხოვილმა იოანე II-ის დამ – თეოდორამ, საქართველოს ჯარის დახმარებით, დროებით ხელში ჩაიგდო ტრაპიზონის იმპერიის ტახტი (Ф. И. Успенский. Очерки из истории Трапезундской Империи. Л. 1929, გვ. 71). დ. კაპანაძის ჰიპოთეზის თანახმად, საქართველოს ხელისუფლება თეოდორას დაეხმარა არა მარტო ჯარით, არამედ – ფულითაც. ქართველმა ფინანსისტებმა ჩაატარეს მახვილგონივრული ღონისძიება: მათ, ალბათ, განახორციელეს იმ ქვეყნის ვალუტის ემისია, სადაც იგზავნებოდა „დამხმარე ჯარი“ (Д. Г. Капанадзе. Так называемые грузинские подражания трапезундским аспрам, გვ. 207). ცხადია, ძნელი წარმოსადგენია, რომ დ. კაპანაძის ეს მოსაზრება ოდესმე გასცდეს ლამაზი ჰიპოთეზის ფარგლებს, მაგრამ ავტორის მიერ შემოთავაზებული თარიღი ჩვენთვის საინტერესო სამონეტო ჯგუფის ემისიის დაწყებისა – 1285 წ. – უაღრესად საინტერესო და ანგარიშგასაწევია.

თითქმის იგივე აზრისაა კ. გოლენკო, რომელიც აღნიშნავს, რომ ვინაიდან კირმანეულის ზოგიერთი ცალი გადაჭედილია „ყაანურების“ და სულთნების აბაღას (1265 - 1282 წწ.) და არღუნის (1284 - 1291 წწ.) დირჰემებიდან, გვაქვს ყველა საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მანუილ I-ის ასპრების მიხედვით მოჭრილი კირმანეულები XIII ს. 80-იან წლებს მივაკუთვნოთ. მანუილ I-ის ასპრების მიხედვით მოჭრილი კირმანეულების ემისიის შეწყვეტას ის უკავშირებს დასავლეთ საქართველოში იოანე II-ის ორიგინალური მონეტების მასობრივ შემოსვლას (К. В. Голенко. Клад монет из села Тобаниери, გვ. 139).

რაც შეეხება იოანე II-ის ასპრების მიხედვით მოჭრილ კირმანეულებს, კ. გოლენკოს განცხადებით, ამ ტიპის კირმანეულები იჭრებოდა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, როგორც ჩანს, XV ს-მდე. ეს იმით იყო განპირობებული, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა შეჩვეული იყო ამ ფულს. გარდა ამისა, არ არსებობდა სხვა ემისიები, არც ადგილობრივი და არც უცხოური, რომლებიც ჩაანაცვლებდა ამ ვალუტას (К. В. Голенко. Клад монет из села Тобаниери, გვ. 139).

დაბოლოს, კირმანეულის ემისიის თარიღს შეეხო ირ. სოკოლოვა. მისი აზრით, კირმანეულის ემისია შეიძლება დაწყებულიყო მხოლოდ მანუილ I-ის გარდაცვალების, ე.ი 1263 წ. შემდეგ. მაგრამ, მეორე მხრივ, ვინაიდან კირმანეულის ზოგიერთი ნიმუში არღუნის მონეტაზეა გადაჭედილი, რომელიც 1284-1291 წწ. მმართველობდა, « . . . можно предполагать, что эмиссия кирманеули началась раньше второй половины 80-х годов, которой датируются известные экземпляры дирхемов Аргуна, однако намного ли раньше – эта проблема, которую и предстоит решать». ეს, ფაქტობრივად, იგივე მოსაზრებაა, რაც წამოაყენეს დ. კაპანაძემ და კ. გოლენკომ.

რაც შეეხება იოანე II-ის ასპრების მიხედვით მოჭრილი კირმანეულების თარიღს, ირ. სოკოლოვას მიხედვით, მათი ემისია უნდა დაწყებულიყო სულ მალე

თეოდორას ლაშქრობის შემდეგ (И. В. Соколова. Кирманеули с именем Мануила . . . , გვ. 111 - 112).

ამრიგად, თითქოს უდავოა, რომ კირმანეულების მოჭრა იწყება XIII ს-ის 80-იან წლებში (ამჟამად პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, 80-იანი წლების მიწურულს, თუ შუა ხანებში), ე.ი. დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში მმართველობის ბოლო ხანებში.

როგორია კირმანეულის იურიდიული ბუნება, შეიძლება თუ არა ეს სამონეტო ჯგუფი ჩაითვალოს ოფიციალურ ემისიად, როგორია სხვადასხვა სპეციალისტების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?

მ. ბარათაშვილი (მ. ბარათაევი) კირმანეულს ქართულსა და ბიზანტიურ მონეტებს შორის შუამავლად თვლიდა: «посредники по рисунку чекана, между монетами византийскими и грузинскими» (М. Баратаев. Нумизматические факты грузинского царства, გვ. 42). ავტორს კირმანეული საქართველოში მოჭრილად მიაჩნდა და მას ქართულ სიგელ-გუჯრებში მოხსენიებულ სამონეტო ჯგუფთან აიდენტურებდა (М. Баратаев. Нумизматические факты грузинского царства, გვ. 25 - 26).

მ. ბროსე კირმანეულს ქართულ საისტორიო წყაროებში არსებული ცნობების მიხედვით იხსენიებს და მის სახელწოდებას მანუილ I უკავშირებს (M. Brosset. Histoire de la Géorgie. St.-Petersbourg. 1858, გვ. XCV; მისივე. Histoire de la Géorgie. t. I. St.-Petersbourg. 1849, გვ. 681).

ვ. ლანგლუა მათ „კომნენოსების ასპრების იმიტაციას“ უწოდებს (V. Langlois. Essai de Classificaton des Suites Monétaires de la Géorgie. Paris.1860, გვ. 8).

ო. რეტოვსკის ეს მონეტები საქართველოში მოჭრილად მიაჩნდა. ამას იმით ასაბუთებდა, რომ ეს ფული მხოლოდ საქართველოში იყო გავრცელებული და მას საქართველოში სპეციალური სახელიც კი შეარქვეს – კირმანეული, კირმენაული, კირმანაული. მკვლევარი მათ ქართულ იმიტაციებს და ნაყალბევს უწოდებს (‘‘nachprägungen’’; O. Retowski. Die Münzen der Komnenen von Trapezunt, გვ. 108).

მინაბაძებად და საქართველოში მოჭრილად თვლის მათ თ. ლომოური (თ. ლომოური. ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში. კრ. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა. თბ. 1938, გვ. 302).

ასეთივე მინაბაძებად მიიჩნევდა ამ მონეტებს ე. პახომოვი. მისი აზრით, ტრაპიზონის და დასავლეთ საქართველოს მჭიდრო პოლიტიკურ-დინასტიურმა და ეკონომიკურმა ურთიერთობამ გამოიწვია აქ ტრაპიზონის ასპრების ფართო ცირკულაცია. როდესაც ამ მონეტების შემოსვლამ იკლო, მაშინ დასავლეთ საქართველოში დაიწყო მათი იმიტაციების ემისია (Е. А. Пахомов. Монеты Грузии. Тб. 1970, გვ. 197).

კირმანეულს ტრაპიზონის ასპრების ქართულ მიმბაძველობად თვლიდა დ. ლანგიც (D. M. Lang. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia. New York. 1955, გვ. 82).

კირმანეულის იმიტაციებად კვალიფიკაციის კატეგორიული წინააღმდეგია დ. კაპანაძე. ის თვლის, რომ ტერმინი „კირმანეული“ წმინდა ქართული სახელწოდებაა («коренное древнегрузинское название . . .»), ხოლო ამ სამონეტო ჯგუფის ემიტენტი – სახელმწიფო ხელისუფლება, რომელმაც თეოდორა მოამარაგა სათანადო ვალუტით (Д. Г. Капанадзе. Так называемые грузинские подражания трапезундским аспрам, გვ. 202, 205). თუნდაც ეს ასე იყოს, ამით მათი ბუნება არ იცვლება. განა ისინი ტრაპიზონის ასპრების მიხედვით არ იჭრება?

ცოტა სხვაგვარად უყურებს ამ საკითხს თ. აბრამიშვილი: „აქ მიბაძვაზე კი არ უნდა იყოს საუბარი, არამედ გარკვეულ ისტორიულ მომენტში, როდესაც საქართველოს ერთ ნაწილში ახლად ეწყობოდა სახელმწიფო, ისეთ მომენტში, როდესაც ძველი ტრადიციები დარღვეული იყო, მეზობლად მდებარე, პოლიტიკურად დაკავშირებული და ეკონომიკურ ურთიერთობაში მყოფი ტრაპიზონის სახელმწიფოს სრულფასოვანი და უკვე აქ ფეხმოკიდებული ფულის ტიპი შემოუღიათ“. თ. აბრამიშვილის მიხედვით, „ყველაზე მეტად შესაფერი იქნებოდა მისთვის დასავლურ-ქართული ფული (კირმანეული) გვეწოდებინა“ (თ. აბრამიშვილი. XIII - XIV სს. დასავლურ-ქართული ფული, გვ. 38, 44). ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამ მოსაზრებას. დავიწყოთ იმით, რომ, განა ორმა დავითმა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს დასავლური ტიპის სამონეტო ემისიას საქართველოს ერთ ნაწილში, საკუთარი სახელები და ტიტულატურა არ მოათავსეს მონეტებზე? სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა ეთქვა უარი დავით ნარინს შემდეგში ამ აპრობირებულ ღონისძიებაზე. შემდეგ – როგორც ზემოთ დავრწმუნდით, კირმანეულების ემისია XIII ს-ის 80-იან წლებში იწყება. ამ დროს დავით ულუ ცოცხალი აღარ არის და ნარინს ფორმალურადაც არ ჰყავს მეტოქე – მონღოლთა მიერ უფროს მეფედ განწესებული ბიძაშვილი. დასავლეთ საქართველო ყველა თვალსაზრისით დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულია. აქედან გამომდინარე, თუ კირმანეული სამეფო ხელისუფლების მიერ არის მოჭრილი, მის ზედწერილში აუცილებლად უნდა ფიგურირებდეს დავით რუსუდანის ძის სახელი. სახელმწიფოებრივი ფული (კონკრეტულად, დასავლურ-ქართული ფული) მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ვუწოდოთ, როდესაც ლეგენდაში ოფიციალურად იქნება დადასტურებული ემიტენტის (მეფის) სახელი. ყველა სხვა შემთხვევაში, ის ან მინაბაძია, ან – სიყალბე.

რაც შეეხება იმის მტკიცებას, რომ ტერმინი „კირმანეული“ წმინდაწყლის ქართული სახელწოდებაა, ეს დღესდღეობით ძალზედ საეჭვოა. ამაზე მინიშნება უკვე ვაჩნაძეების სასისხლო სიგელშია, სადაც ვკითხულობთ: „ . . . ამა თეთრისა საქმე ასე უწყოდეთ, **ბერძენთა მეფეს კირმანოელ ერქვა და მისეულად კირმანოელისეული ჰქუიან**“ (ხაზი ჩვენია – გ. დ., თ. დ.; ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ. საისტორიო მოამბე. II. თბ. 1924, გვ. 41 - 42). აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ეს ფული ბერძნულია, რომ ტერმინი ბერძნული ონომასტიკონიდან მომდინარეობს.

ამ საკითხს შეეხო თ. ბერაძე თავის მონოგრაფიაში – Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Тб. 1989. საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ვრცელი ციტატა ამ ნაშრომიდან. ის წერს: «в актах Вазелонского монастыря в Трапезундской империи имеется акт № 64, составленный в августе 6757 г. «от сотворения мира», т.е. в 1259 г. нашего летоисчисления. Здесь впервые упоминается ἄσπρα Κυρμανουηλάνα κδ, то же самое, что грузинское «кирманеули тетри». **Совершенно очевидно, этот последний термин появился не в Грузии. Это всего лишь грузинский перевод первоначального греческого наименования монеты трапезундского императора Мануила I. Совершенно ясно, что грузинские «грамоты о цене крови» не отличают друг от друга трапезундскую аспру и и ее грузинское подражание и они для обоих типов монет употребляют одно и то же наименование «кирманеули», сохраняя тем самым изначальное название трапезундской монеты»** (Т. Н. Берадзе. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 112; ხაზი ჩვენია – გ. დ., თ. დ.).

ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული „კირმანეული თეთრი“ ბერძნულიდან არის ნათარგმნი, ის არ არის ადგილობრივი, ქართული ტერმინი და თავდაპირველად მხოლოდ მანუილ I-ის ასპრებს აღნიშნავდა. ის შემდეგში გავრცელდა ზოგადად ტრაპიზონის მონეტებზე და მათ ქართულ მინაბაძებზე.

რაც შეეხება ტრაპიზონის ასპრების ქართული იმიტაციების გენეზისის კონკრეტულ მიზეზს, ამასთან დაკავშირებითაც ვარაუდი აქვს გამოთქმული თ. ბერაძეს, რომლის თანახმადაც, კირმანეულის ემისიის აუცილებლობა დავით ნარინის ეპოქაში გამოწვეული იყო დასავლეთ საქართველოს საზღვაო ვაჭრობის ინტერესებით. ავტორის განცხადებით, ამ დროს შავიზღვისპირეთში ყველაზე გავრცელებული მონეტა ტრაპიზონის იმპერიის ასპრებია. აქედან გამომდინარე, თ. ბერაძე ასკვნის: «**наличие аналогичной грузинской монеты давало возможность грузинским купцам свободно вести торговлю по всему Причерноморью, что, в свою очередь, облегчало им производство торговых операций крупного масштаба»** (Т. Н. Берадзе. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 112; ხაზი ჩვენია – გ. დ., თ. დ.).

ხსენებული ავტორის ეს მოსაზრება შეიძლება გავიზიაროთ, მით უმეტეს, რომ შავი ზღვის როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე XIII - XIV სს. არსდება იტალიის ქალაქების (მაგ. გენუის) სავაჭრო ფაქტორიები (Т. Н. Берадзе. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 77 - 124). შავი ზღვის სხვადასხვა რეგიონები, ამ ფაქტორიების მეშვეობით, მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. შავიზღვისპირეთში კი XIII ს. 80-იანი წლების დასაწყისიდან ყველაზე გავრცელებული მონეტები ოქროს ურდოს დირჰემები და ტრაპიზონის იმპერიის ასპრებია, რომლებიც იტალიურ დოკუმენტებში „ასპრა-კომნინატად“ (“aspra comninata”) მოიხსენიება. ამავდროულად შავიზღვისპირეთში

ასევე მიმოიქცეოდა ადგილობრივ ზარაფხანებში მოჭრილი მონეტები (Т. Н. Берадзе. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 111).

და კიდევ ერთი დასკვნა ხსენებული ავტორისა. ცნობილია, რომ ტრაპიზონის ასპრები საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად არის მიკვლეული, განსაკუთრებით მის დასავლეთ და სამხრეთ ნაწილში. ითვლება, რომ ეს მონეტები უშუალოდ იმპერიის ფარგლებიდან არის შემოსული, რაც თ. ბერაძეს აზრით, მთლად მართებული არ უნდა იყოს. ის წერს: «согласно некоторым . . . нотариальным актам Ламберто де Самбучето, **в Грузию из Кафы поступают довольно крупные суммы, именно в трапезундских аспрах.** Значит, часть поступавших в Грузию трапезундских денег попадала туда по морю из различных регионов Причерноморья» (Т. Н. Берадзе. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 111).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ტრაპიზონის იმპერიის ასპრები შავიზღვისპირეთისთვის ერთგვარი ინტერლოკალური მონეტების როლს ასრულებდა, მათი საშუალებით წარმოებდა ანგარიშსწორება სავაჭრო ოპერაციების დროს. როდესაც ქართველ ნეგოციანტებს, სხვადასხვა მიზეზების გამო, შემოაკლდათ ტრაპიზონის ორიგინალური ასპრები, სწორედ მათი შეკვეთით უნდა დაწყებულიყო დასავლეთ საქართველოში მინაბაძების ემისია. სახელმწიფოს ამ ღონისძიებაში შესაძლებელია მონაწილეობა მიეღო მხოლოდ იმ კუთხით, რომ, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ნება დაერთო მათი ემისია განხორციელებულიყო ქუთაისის ზარაფხანაში. რეგალიის საკითხი, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში არ იყო აქტუალური. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ტერმინი „ტრაპიზონის ასპრების ქართული მინაბაძები“ ზუსტად ასახავს დასავლეთ საქართველოში ჩატარებული ღონისძიების არსს (ასევე გასათვალისწინებელია, რომ იმერეთის *de facto* სამეფოს *de facto* მეფეს, ნარინს, საქართველოს სამეფოს *de jure* არსებობის პირობებში, მხოლოდ მინაბაძის მოჭრა შეეძლო, ე.ი. რეგალიის დაფიქსირების გარეშე – გ. დ., თ. დ.).

გადავდივართ ტრაპიზონის ასპრების ქართული მინაბაძების (კირმანეულების) აღწერაზე.

ტრაპიზონის ასპრების ქართული მინაბაძები ორი იმპერატორის მონეტების მიხედვით იჭრება: მანუილ I-ის (1238 - 1263 წწ.) და იოანე II-ის (1280 - 1297 წწ.). ეს, რა თქმა უნდა, ძირითადად. ვიძლევით მათ სანიმუშო აღწერილობას.

მანუილ კომნენოსის სახელიანი კირმანეული. ვერცხლი. ზ. – 21/23 მმ. წ. – 2. 77 გრ.

შუბლი – ფეხზე მდგომი წმ. ევგენიოსის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, შარავანდედით და გრძელნაკეცებიანი წამოსასხამით. მარჯვენა ხელში მას გრძელბუნიანი ჯვარი უპყრია, მარცხენაში – სამოსის ნაკეცები. წმ. ევგენიოსის მარცხნივ და მარჯვნივ ვერტიკალურად განლაგებულია ბერძნული ზედწერილი: O-A- ΓΙ/ΕΥ-ΓΕ-NI-O, ე.ი. წმინდა ევგენიოსი.

ზურგი – ფეხზე მდგომი იმპერატორის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, რომელსაც თავზე სტემა (საკიდრებიანი საიმპერატორო გვირგვინი) ახურავს და თვლებით მოოჭვილი საიმპერატორო სამოსელი აცვია. მარჯვენა ხელში მას გრძელბუნიანი ლაბარუმი უჭირავს, მარცხენაში – მაპა, საიდანაც დაშვებული ქსოვილი – ლოროსი – სამი თვლით არის შემკული. მარჯვნივ ზემოთ – ღვთაების მაკურთხებელი ხელი. გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ ვერტიკალურად განლაგებულია ბერძნული ზედწერილი: ⲚⲚ-N-Λ/O-K-ⲚⲚN – მანუილ კომნენოსი (თ. აბრამიშვილი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრების და დასავლურ ქართული ფულის (კირმანეულის) კატალოგი. თბ. 1984, გვ. 36, № 72. ამ მონეტების სახესხვაობის შესახებ იხ. იქვე, გვ. 37 - 52, №№ 73 - 144) (ტაბ. I, № 2).

იოანე II-ის ასპრების მინაბაძის I ტიპი (თ. აბრამიშვილის კლასიფიკაციის მიხედვით).

ვერცხლი. ზ. – 20/21 მმ. წ. – 2.69 გრ.

შუბლი – წმინდა ევგენიოსის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავზე შარავანდედით და გულმკერდის არეში თვლებით შემკული წამოსასხამით. მარჯვენა ხელში მას გრძელბუნიანი ჯვარი უპყრია, მარცხენაში – წამოსასხამის ნაკეცები, რომლებიც წელის არეში აქვს მოკრეფილი. ბერძნული ზედწერილი ვერტიკალურად არის განლაგებული: Ⓐ-E-Y/Γ∈-NI. გარშემო გაცვეთილი წერტილოვანი რკალის ფრაგმენტები.

ზურგი – ფეხზე მდგომი კეისრის გამოსახულება პირდაპირ, თვლებით მოოჭვილი საიმპერატორო სამოსით და სტემით. მარჯვენა ხელში მას მოკლებუნიანი ლაბარუმი უჭირავს. მარჯვენა ზედა კუთხეში – ღვთაების მაკურთხებელი ხელი, ქვემოთ – სოლომონის ბეჭედი, ბერძნული ზედწერილი ვერტიკალურად არის განლაგებული: ⓪-O·⁝-K/N-O. შემორჩენილია წერტილოვანი რკალის ფრაგმენტები (თ. აბრამიშვილი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრების და დასავლურ ქართული ფულის (კირმანეულის) კატალოგი, გვ. 59, № 189, ტაბ. XIII. ამ მონეტების ვარიანტები იხ. იქვე, გვ. 60 - 95, №№ 190 - 392) (ტაბ I, № 3).

შემდეგში თ. აბრამიშვილი გამოყოფს მონეტების ჯგუფს, რომელზედაც კეისრის გამოსახულებას სამრკალიანი გვირგვინი ამშვენებს.

ვერცხლი. ზ. – 20/21 მმ. წ. – 2.12 გრ.

შუბლი – ფეხზე მდგომი წმინდა ევგენიოსის გამოსახულება პირდაპირ, მას თავზე შარავანდედი ადგას და წმინდანის სამოსი აცვია. მარჯვენა ხელში ჯვარი უპყრია, მარცხენა – დოინჯშემოყრილი აქვს. ბერძნული ზედწერილი: O-Y/Γ-E-N-O. შემორჩენილია წერტილოვანი რკალის ფრაგმენტი.

ზურგი – კეისრის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავზე სამრკალიანი გვირგვინი ადგას, რომლის აქეთ და იქით საკიდრებია დაშვებული. კეისარი შემოსილია გრძელი და განიერი სამოსით (განსხვავებული როგორც I, ისე

II ტიპის სამოსელისგან, ზოგადად, თითქოს პირველთან უფრო ახლოს დგას). ჰორიზონტალურად გაწვდილ მარცხენა ხელში ჯვრიანი სფერო უპყრია, ნახევარრკალისებურად მოხრილ მარჯვენა ხელში – მოკლებუნიანი ლაბარუმი. მარჯვენა ზედა კუთხეში ღვთაების მაკურთხებელი ხელია, ამავე მხარეს ქვემოთ – სოლომონის ბეჭედი. ბერძნული ზედწერილი: IΩ-O-KO/H-O (თ. აბრამიშვილი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრების და დასავლურ ქართული ფულის (კირმანეულის) კატალოგი, გვ. 98-99, № 406; ვარიანტები იხ. იქვე, გვ. 99 - 102, №№ 407 - 429) (სამონეტო ტიპისთვის იხ. ტაბ. I, № 4).

ე.წ. კირმანეულის ახალი სახე.

თ. აბრამიშვილის სიტყვებით, „დასავლურ-ქართული ფული (კირმანეული) ორი ტიპისაა თავისი მრავალნაირი ვარიანტით, ეს მონეტები კი (იგულისხმება ახალი სახე ე.წ. კირმანეულისა – გ. დ., თ. დ.) ამ ვარიანტების გამოცალკავებით ორივე ტიპისგან განსხვავდება, მაგრამ I ტიპს მაინც უახლოვდება (სტემა, ლაბარუმი, ჯვარი), თუმცა წელსზევითაა წარმოდგენილი; ასევე წმინდანიც მართალია შარავანდედშია, მაგრამ ისიც წელსზევითაა და სამეფო ნიშნებით (ლაბარუმი, ჯვარი) ორივე ხელი დაკავებული აქვს, რის გამოც განსაკუთრებულად გამოვყავით და ახალი სახე ვუწოდეთ“.

ვერცხლი. ზ. – 19/20 მმ. წ. – 1.32 გრ.

შუბლი – წმინდა ევგენიოსის გამოსახულება წელზევით პირდაპირ. თავზე მას შარავანდედი ადგია და ნაკეცებიანი სამოსი აცვია. მარჯვენა ხელში ლაბარუმი უპყრია, მარცხენაში – ჯვარი, შეიმჩნევა ლეგენდების კვალი.

ზურგი – კეისრის წელზევითი გამოსახულება პირდაპირ სტემაში, შემოსილია სწორი და ირიბნაკეცებიანი კეისრის სამოსით. მარჯვენა ხელში მას უპყრია მოკლებუნიანი ლაბარუმი, მარცხენაში – გრძელბუნიანი ჯვარი. მარჯვენა იღლიის ქვეშ ორი წერტილია, ამავე მხარეს – ფარი, ლეგენდა გადასულია, თუ საერთო არ არის ამოკვეთილი?! შეიმჩნევა წერტილოვანი რკალი (თ. აბრამიშვილი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრების და დასავლურ ქართული ფულის (კირმანეულის) კატალოგი, გვ. 96, № 393, ტაბ. XXI. ვარიანტები იხ. იქვე, გვ. 96 - 98, №№ 394 - 405) (ტაბ. I, № 5).

იოანე II-ის ასპრების ქართული მინაბაძის II ტიპი.

ვერცხლი. ზ. – 19 მმ. წ. – 1.38 გრ.

შუბლი – წმინდა ევგენიოსის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ. თავზე მას შარავანდედი ადგია და შემოსილია საიმპერატორო სამოსის მსგავსი ტანსაცმლით. მარჯვენა ხელში უპყრია გრძელბუნიანი ჯვარი, მარცხენა ხელი დოინჯშემოყრილი აქვს. ზედწერილი ასეთი ხასიათისაა: Є-I/Γ-Є-NY-O-O.

ზურგი – კეისრის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავზე სამრკალიანი გვირგვინი ადგას, რომლის აქეთ-იქით თვლიანი თითო საკიდია დაშვებული (სტემა), ყელის გარშემო – თვლებით შემკული მანიაკი, წინ – ჩამოშვებული ლოროსი. მარჯვენა ხელში ლაბარუმი უპყრია, მარცხენა ხელი

დოინჯშემოყრილი აქვს. მარცხენა მხარეს ჯვრიანმა სფერომ სამფოთლოვანი ყვავილისებური ფორმა მიიღო, ლოროსის ბოლომ კი – ოთხკუთხედის, ორივე ერთად ჯვრიანი სფეროს და ლოროსის ბოლო ნაწილის გაერთიანებული და გადაგვარებული ნახაზია. მარჯვნივ ზემოთ – ღვთაების მაკურთხებელი ხელი, ამავე მხარეს ქვემოთ – სოლომონის ბეჭედი, ზედწერილი: ѡ-O-K-H/N-O (თ. აბრამიშვილი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრების და დასავლურ ქართული ფულის (კირმანეულის) კატალოგი, გვ. 102, № 430, ტაბ. XXI. ვარიანტები იხ. იქვე, გვ. 102 - 106, №№ 431 - 456) (ტაბ. I, № 6).

დაბოლოს, უნდა შევეხოთ ე.წ. კირმანეულის ტიპის ქართულწარწერიან მონეტას. ის სულ ორ ცალად არის ცნობილი. ერთი აღმოჩნდა კოპიტნარის განძის შემადგენლობაში და საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული (თ. აბრამიშვილი. XIII - XIV სს. დასავლურ-ქართული ფული . . ., გვ. 82), ხოლო მეორე – ბარათაევის კოლექციის ცალი – ბერლინის მუზეუმის კუთვნილება იყო (М. Баратаев. Нумизматические факты грузинского царства, გვ. 21, ტაბ. VII). მისი აღწერილობა ასეთია:

გ.ფ. 6213. ვერცხლი. ზ. – 18/19 მმ. წ. – 1.5 გრ.

შუბლი – წმინდა ევგენიოსი ჩვეულებრივ პოზაში, შარავანდედით და გრძელი ნაკეცებიანი სამოსით. მარცხნივ გაურკვეველი ნიშნებია; მარჯვნივ – ზემოთ ორი ქართული მთავრული ასოა: ᒪᒥ, ხოლო ქვემოთ ორ სტრიქონად სამი ბერძნული ასოა: ΓΕ-O.

ზურგი – კეისრის (მეფის) გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავზე სამრკალიანი გვირგვინი ადგას, რომლის ორივე მხრიდან სამ-სამი თვლით შემკული თითო საკიდია დაშვებული (სტემა). კეისარი საიმპერატორო ტანსაცმლითაა შემოსილი. წინ თვლებით შემოსილი ლოროსი აქვს ჩამოშვებული. დოინჯშემოყრილ მარცხენა ხელში მოკლებუნიანი ლაბარუმი უჭირავს, მარჯვენა ხელი თავისუფალი აქვს. მარცხნივ ვერტიკალურად და ორ სტრიქონად ორი ქართული მთავრული ასოთი შესრულებული ზედწერილი: Φ - Ᵽ.

თ. აბრამიშვილის აზრით, ორი პირველი ქართული ასო მიგვითითებს „გიორგის“ სახელზე, ხოლო სამი ბერძნული ასო – წმინდა ევგენის ან გიორგის სახელზე (თ. აბრამიშვილი. XIII - XIV სს. დასავლურ-ქართული ფული . . ., გვ. 82, № 44). თ. აბრამიშვილის ვარაუდმა, რომ ბერძნული ზედწერილი ΓΕ-O შეიძლება გიორგის უკავშირდებოდეს, საფუძველი მისცა მ. პატარიძეს წამოეყენებინა მოსაზრება თითქოს ე.წ. კირმანეული იჭრებოდა არა მარტო მანუილ I-ის და იოანე II-ის სახელით, არამედ ტრაპიზონის კიდევ ერთი იმპერატორის – გიორგი I კომნენოსის (1266 - 1280 წწ.) სახელით (მ. პატარიძე. კიდევ ერთხელ კირმანეული თეთრის შესახებ. ჟურ. „არტანუჯი“. № 2-3. თბ. 1994, გვ. 49 - 52) (ტაბ. I, № 7).

ეს მოსაზრება არც თუ ისე დამაჯერებელია. მონეტის შუბლის და ზურგის ზედწერილი ბუნებრივად იშიფრება როგორც „გიორგი მეფე“ (ქართული) და როგორც „წმ. ევგენიოსი“ (ბერძნული). განა წმ. ევგენიოსის სახელის შემოკლება

ასეთი ფორმით უჩვეულოა ტრაპიზონის ასპრების ქართულ მინაბაძებზე? არ შეიძლება მინაბაძის დამზადების ხელოსნებს ბერძნული ენის ნორმების დაცვა მოვთხოვოთ. ან რა საჭირო იყო მეფის სახელის დუბლირება ქართული და ბერძნული წარწერებით?

გარდა ამისა, ტრაპიზონის იმპერატორი გიორგი I ჭრიდა მხოლოდ სპილენძის მონეტებს, ისინი ძალიან იშვიათია (ამ საკითხის შესახებ იხ. И. В. Соколова. Медные монеты трапезундской империи из собрания Эрмитажа. НЭ. XIV. М. 1984, გვ. 69 - 70; მ. პატარიძე, გ. ჯანჯღავა. ტრაპიზონის იმპერიის იშვიათი მონეტები. თბ. 2006, გვ. 9 - 15) და არასდროს აღმოჩენილა საქართველოს ფარგლებში (ტრაპიზონის ასპრების და კირმანეულების აღმოჩენის სია იხ. К. В. Голенко. Клад монет из села Тобаниери, გვ. 169 - 171; თ. აბრამიშვილი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრებისა და დასავლურ ქართული ფულის (კირმანეულის) კატალოგი, გვ. 108 - 113). გამომდინარე აქედან, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ქართველ ხელოსნებს გიორგი I-ის სპილენძის მონეტები გამოეყენებიათ ვერცხლის მინაბაძების პროტოტიპად.

ამრიგად, ამ მონეტებთან დაკავშირებით თითქოს მხოლოდ ერთი საკითხია გადასაწყვეტი: დასავლეთ საქართველოს რომელი მეფე გიორგი იგულისხმება მონეტის წარწერაში? წინასწარვე უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით ეს გადაუჭრელი საკითხია. თუმცა, რა თქმა უნდა, იყო გარკვეული ცდები ამ მიმართებით.

პირველად ეს მონეტა მ. ბარათაევმა გამოაქვეყნა და გიორგი III-ს (1156 - 1184 წწ.) მიაკუთვნა (М. П. Баратаев. Нумизматические факты грузинского царства, გვ. 21). ასეთი ატრიბუცია ყოვლად წარმოუდგენელია.

ი. ბართლომეი და ვ. ლანგლუა მას გიორგი VIII-ს (1446 - 1466 - 1476 წწ.) მიაწერდნენ (I. Bartholomaei. Bulletin Historico-Philologique. XIV. St.-Pétersbourg, 1851, გვ. 282, № 52 და Mélanges Asiatique. III. St.-Pétersbourg. 1859, გვ. 102, № 52; V. Langlois. Essai de Classification des Suites Monétaires de la Géorgie. Paris. 1860, გვ. 104, № 56). გიორგი VIII, როგორც ცნობილია, გარკვეულ პერიოდში, ერთიანი საქართველოს მეფე იყო, ხოლო ე.წ. კირმანეული XV ს-ის ქართულ საბუთებშიც იხსენიება. ასე რომ, ასეთ ატრიბუციას გარკვეული საფუძველი აქვს.

ე. პახომოვის მიხედვით, საინტერესო მონეტების ემისია შეიძლება გიორგი VII-ს (1393 - 1407 წწ.) მიეკუთვნოს, ან იმერეთის მეფე გიორგი I-ს (1389 - 1392 წწ.). ორივე ატრიბუციას აქვს ჰიპოთეზის სახით არსებობის უფლება (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 202).

დ. ლანგი ვარაუდობდა, რომ წარწერა შეიძლება წმინდანს ეკუთვნოდეს და ამ გზით წმინდა ევგენიოსი საქართველოში პოპულარულ წმინდა გიორგისთან არის გაიგივებული (D. M. Lang. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia, გვ. 85).

ფაქტობრივად, იგივე აზრი გამოთქვა დ. კაპანაძემაც: „გიორგის სახელი მეფის გამოსახულებასთან კი არაა აღნიშნული, არამედ მონეტის ზურგზე, წმინდანის გამოსახულებასთან და, ალბათ, ამ უკანასკნელს ეკუთვნის (დ. კაპანაძე. ზოგიერთი ტერმინის შესახებ . . ., გვ. 11).

დაახლოებით ასეთია საკითხის ისტორიოგრაფია.

ნათქვამიდან ცხადია, რომ ამ მონეტების ზუსტი ატრიბუცია მთლიანად მომავალ აღმოჩენებზეა დამოკიდებული.

„ცხუმური თეთრი“ და ვამეყ დადიანის (1384 - 1396 წწ.) მონეტა

სასისხლო სიგელებში, კირმანეული თეთრის პარალელურად, სისხლის დასაურვებლად, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც იხსენიება „ცხუმური თეთრი“. ეს სიგელებია:

1. 1458 წ. გიორგი VIII-ის მიერ ბოძებულ გამყრელიძეთა სიგელში **ორას ოცი ათასი ძველი ცხუმური თეთრი** ფიგურირებს (ხაზი ყველგან ჩვენია – გ. დ., თ. დ.) (ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ. საისტორიო მოამბე. II. 1924, გვ. 63).

2. 1463 წ. გიორგი VIII-ის მიერ ქუთაისს გაცემულია ორალელისძე კვიტაიშვილთა სასისხლო სიგელი. სასისხლო უდრის **ოთხას ათას ძველ ცხუმურს** (ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 63)

3. ფრიად საყურადღებოა ავშანდაძეთა სასისხლო სიგელი, სადაც აღნიშნულია, რომ „მოკითხული ვქენით (ავშანდაძეთა სისხლი) და ძველაც გაჩენილი იყო ლიონ მეფისაგან, აწ ჩუენცა გაგიახლეთ“-ო. ს. კაკაბაძის ვარაუდით, აქ მოხსენიებული პირი არის ლეონ აფხაზთა მეფე – 957 - 967 წწ. სიგელი სხვადასხვა დროს ავშანდაძეთა სისხლის რაოდენობის გამოხატვის სურათს უნდა იძლეოდეს: დავით აღმაშენებლის დროს ის **ორას ათას ბოტინატურ თეთრს უდრიდა, XV ს-ში კი – ორას ათას ძველ ცხუმურ თეთრს (**ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 63 - 65).

ამრიგად, XV ს-ის სასისხლო სიგელებში დადასტურებულია ტერმინი „ცხუმური თეთრი“.

მოკლედ უნდა შევჩერდეთ სასისხლო სიგელებზე.

როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილმა მათ მიმართ მკვეთრად გამოხატული უარყოფითი პოზიცია დაიკავა და ყველა მათგანი უკლებლივ ფიქტიურ საბუთად გამოაცხადა (ივ. ჯავახიშვილი. ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. ტფ. 1926, გვ. 160 - 188). მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დამოუკიდებლად იმისგან, ნატყუარია თუ არა სასისხლო სიგელები, ნუმიზმატიკური მიზნებისთვის მათი გამოყენება არა თუ შეიძლება, არამედ სავალდებულოც არის, ვინაიდან

საინტერესოა არა იმდენად ფულის რაოდენობა, რომელიც, უდავოდ, გაბერილია სასისხლო სიგელებში, არამედ ამა თუ იმ საუკუნეში მიმოქცევაში არსებული ფულადი ერთეული, ფულის აღმნიშვნელი ტერმინები. იმის გამო, რომ „კირმანეული“ სასისხლო სიგელებში ფიგურირებს, ივ. ჯავახიშვილმა ის არც კი შეიტანა თავის სპეციალურ ნაშრომში ქართული ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის შესახებ, მაშინ, როდესაც ეს ტერმინი სავსებით რეალურ და დასავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებულ სამონეტო ჯგუფს აღნიშნავს (დამოუკიდებლად იმისა, ამ ტერმინის ქვეშ ტრაპიზონის ასპრები იგულისხმება, თუ დასავლეთ საქართველოში მოჭრილი იმიტაციები). გამომდინარე თავისი სკეპტიციზმიდან სასისხლო სიგელების მიმართ, ივ. ჯავახიშვილი ეჭვის ქვეშ აყენებდა „ცხუმური თეთრის“ არსებობის ფაქტსაც (ივ. ჯავახიშვილი. ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 177).

ჯერ კიდევ დ. ლანგი შეეცადა დაეკავშირებინა ერთმანეთთან „ცხუმური თეთრი“ და სამეგრელოს მთავრის ვამეყ დადიანის (1384 - 1396 წწ.) ერთადერთ ცალად ცნობილი ვერცხლის მონეტა (D. M. Lang. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia, გვ. 86).

უფრო კატეგორიულად გამოთქვა ეს მოსაზრება თ. ბერაძემ: «в канцелярских книгах кафской Массари за 1386 г. упоминается **себастопольский аспр** . . . Аспр – по грузински «тетри» («серебренник»), а Себастополь в это время грузины именовали Цхуми. **Следовательно «себастопольский аспр» и упоминающаяся в «грамотах о цене крови» монета «цхумури тетри» – одно и то же. А это, в свою очередь, потверждает реальность существования такой монеты. Если учитывать время и пробу, то монета Вамеха I Дадиани и упоминаюшаяся в документах Кафы «себастопольская монета» совпадают друг с другом, что дает нам право утверждать. что найденная в 1927 г. в Сухуми монета и есть «цхумури тетри»** (Т. Н. Берадзе. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, гвг. 113).

განვიხილოთ ვამეყ დადიანის უნიკალური მონეტა.

1927 წ. სოხუმში, „ბაგრატის ციხის“ ნანგრევების მახლობლად, აღმოჩნდა განძი, რომელიც შეიცავდა **რამდენიმე ასეულ ტრაპიზონის ასპრების ქართულ მინაბაძს და ერთ ცალ ვამეყ დადიანის მონეტას** (Е. А. Пахомов. Монетные клады Азербайджана и Закавказья. II. Баку. 1938, გვ. 46, № 483). მისი აღწერილობა ასეთია:

ვერცხლი. ზ. – 20/21. წ. – 2.91.

შუბლი – ორნამენტულ ჩარჩოში შებრუნებით მოთავსებულია მხედრული წარწერა, რომელიც იკითხება როგორც „ვამეყ“.

ზურგი – ადამიანის სქემატური გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, როგორც ჩანს, ტრაპიზონის მფარველი ღვთაების წმინდა ევგენიოსის, რადგან მის მარცხნივ და მარჯვნივ შემორჩენილია ბერძნული ზედწერილი: O-Є/ΓЄ-IN. გამოსახულებას თავზე გვირგვინი უნდა ედგას, რომლის ორივე მხრიდან თითო თვლით შემკული თითო საკიდია დაშვებული. მარცხნივ გაწვდილ და

რკალისებურად მოხრილ მარჯვენა ხელში ბუნი უჭირავს – ის, შესაძლოა, ლაბარუმის ან ჯვრის იყოს (ტაბ. I, № 8).

პირველად ეს მონეტა ს. მაკალათიამ გამოაქვეყნა. „1940 წლის მაისში მე პირადად გავსინჯე და ფოტოგრაფიულად გადავიღე აღნიშნული ფული – წერს ავტორი – რომელიც ინახება ალექსანდრე სიმონოვის ოჯახში, ქალაქ სოხუმში. ეს ფული ვერცხლისაა და მას ერთ მხარეს აქვს მხედრული წარწერა „ვამეყ“. მეორეზე კი გამოსახულია მამაკაცის პორტრეტი (გვირგვინოსანი), სახე დამახინჯებულია და წარმოადგენს ტრაპეზუნტის მეფის იოანე II-ის წაბაძულობას“ (ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ. 1941, გვ. 90). ს. მაკალთიამ ეს მონეტა ვამეყ I-ს მიაკუთვნა.

იგივე მონეტა მეორედ დ. კაპანაძემ გამოსცა და გაიმეორა ს. მაკალათიას განსაზღვრა, ოღონდ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ მონეტაზე „ . . . მხედრული ასოებით უკუღმა აღბეჭდილია ვამეყ დადიანის სახელი“ (დ. კაპანაძე. ზოგიერთი ტერმინის შესახებ ქართულ ნუმიზმატიკაში, გვ. 208).

უფრო ვრცლად ამ უაღრესად საინტერესო მონეტას თ. აბრამიშვილი შეეხო (თ. აბრამიშვილი. XIII - XIV სს. დასავლურ-ქართული ფული . . ., გვ. 100 - 109). მისი გენეზისის საკითხი მან ისტორიულ ფონზე განიხილა. ცნობილია, რომ ვამეყ I დადიანი ერთიანი საქართველოს მეფის გიორგი VII-ისადმი ერთგულებას ინარჩუნებდა და არ ცნობდა უზურპატორების – ალექსანდრეს და მისი მემკვიდრის, გიორგის მეფობას იმერეთში. დადიანმა ერთ-ერთ ბრძოლაში სძლია კიდეც იმერეთის ჯარს და თვით გიორგიც ამ ბრძოლაში დაიღუპა. „საფიქრებელია, ვამეყ დადიანმა მაშინ მოაჭრევინა თავისი სახელით ფული, როდესაც იმერთა მეფე გიორგიზე გამარჯვება მოიპოვა – წერს თ. აბრამიშვილი – მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების რიდი ჰქონდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ დადიანობა მისგან ჰქონდა მიღებული, და მეორეც მას, როგორც ფეოდალს, ფულის მოჭრის უფლება არ ჰქონდა (ის ხომ მეფე არ იყო), ამით შეიძლება აიხსნას მონეტაზე სახელის უკუღმა აღბეჭდვა“ (თ. აბრამიშვილი. XIII - XIV სს. დასავლურ-ქართული ფული . . ., გვ. 108).

ასეთი დასკვნის გამოტანა, ჩვენი აზრით, მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, როცა მეცნიერთა განკარგულებაში მრავალრიცხოვანი ეგზემპლარი იქნება უკუღმა შესრულებული ზედწერილით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი ეს მსჯელობა საფუძველს მოკლებულია.

რაც შეეხება ცხუმურის და ვამეყ დადიანის მონეტის იდენტურობას, ეს საკითხი მარტივად გადასაწყვეტი არ არის. ცხუმური და სებასტოპოლისის ასპრი რომ ერთი და იგივეა, ეს თითქოს უდავოა, მაგრამ ერთი და იგივეა თუ არა ცხუმური თეთრი და ვამეყ დადიანის მონეტა? საქმე ის არის, რომ ორივე ტერმინი – ცხუმური თეთრი და სებასტოპოლისის ასპრი – ემიტენტად ქალაქს გულისხმობს და არა რომელიმე ხელისუფალს, ჩვენს შემთხვევაში, ოდიშის მთავარს.

თ. ბერაძის აზრით, «по сравнению с «кирманеули», «цхумури тетри» была редкой монетой. Ее выпускали **владетели Сухуми (Цхуми) – правители Одиши (Мингрелии),**

дабы удовлетворить возросшую к этому времени потребность в денежной единице торговавших в Причерноморье грузинских купцов» (Т. Н. Берадзе. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 113). ავტორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მის ვარაუდს სწორედ მონეტის უნიკალობა ეღობება წინ. სავაჭრო ფუნქციის როლს ვერ შეასრულებდა ისეთი უიშვიათესი მონეტა, როგორიც ვამეყ I დადიანის მონეტაა. სასისხლო სიგელების მიხედვით კი ცხუმური თეთრი დიდი რაოდენობით იჭრებოდა. ძალიან სიმპტომატური ფაქტია, რომ 1927 წ. სოხუმში აღმოჩენილი განძის შემადგენლობაში **რამდენიმე ასეული ე.წ. კირმანეული თეთრი შედიოდა და მხოლოდ ერთადერთი ვამეყ დადიანის მონეტა**. ლოგიკის მიხედვით, უნდა ყოფილიყო პირიქით. მაშინ გვექნებოდა ნუმიზმატიკური საფუძველი გვემტკიცებინა ცხუმური თეთრის და ვამეყ I დადიანის მონეტის იდენტურობა.

იმ სასისხლო სიგელების მნიშვნელობა, სადაც „ცხუმური თეთრია“ მოხსენიებული, იმითაც არის საგულისხმო, რომ ამ ინფორმაციის მიხედვით, შუა საუკუნეების საქართველოში დოკუმენტურად დასტურდება კიდევ ერთი ზარაფხანის ფუნქციონირების ფაქტი. ტერმინები „ცხუმური თეთრი“ და „სებასტოპოლის ასპრი“ არ შეიძლება სხვა რამეს ნიშნავდეს, თუ არა ცხუმში მოჭრილ მონეტას.

საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს ექვსი სამონეტო ცენტრი მოქმედებდა, რომელთა არსებობა მონეტებზე მოთავსებული წარწერებით ზუსტად დგინდება. ეს ცენტრებია: დიოსკურია (თანამ. სოხუმი), თბილისი, დმანისი, ახალციხე, ყარაღაჯი, ზაგემი. მათ უნდა დაემატოს კიდევ ექვსი ზარაფხანა, რომელთა ფუნქციონირება, ასევე სხვადასხვა ქრონოლოგიურ მონაკვეთში, სავსებით შესაძლებელია, ხოლო ზოგიერთი მათგანის, მაგ. ქუთაისის – უეჭველიც. ეს ცენტრებია: ფაზისი, ქუთაისი, არტანუჯი (თუ უფრო ოლთისი?! – გ. დ., თ. დ.), უფლისციხე, ჟინვალი, ზუგდიდი ან ცხუმი (ზარაფხანების შესახებ იხ. გ. დუნდუა, ირ. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი. თბ. 2009, გვ. 71 - 73). ამჯერად, ცხუმს შეიძლება კითხვის ნიშანი მოვაცილოთ და დადასტურებულ ფაქტად მივიჩნიოთ, რომ შუა საუკუნეებში ცხუმის ფარგლებში ზარაფხანა მოქმედებდა. ეს მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტია, რომელიც მეცნიერების წინაშე რამდენიმე კითხვას აყენებს.

ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ორი დავითის ვერცხლის მონეტების ემისიის ცენტრი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ქუთაისია. ასევე ქუთაისში უნდა იყოს მოჭრილი XIII ს-ის 80-იანი წლებით, ე.ი. დავით ნარინის მეფობის ეპოქით, დათარიღებული კირმანეულიც. გამოდის, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ორი ზარაფხანა ფუნქციონირებდა, არა სინქრონულად, არამედ – სხვადასხვა დროს: ჯერ ქუთაისში, შემდეგ – ცხუმში. ქუთაისში იჭრება კირმანეული, ხოლო მოგვიანებით, ცხუმში – „ცხუმური თეთრი“, იგივე „სებასტოპოლის ასპრი“.

რას ნიშნავს ფორმულირება „ძველი ცხუმური თეთრი“? თუ იყო ძველი, ბუნებრივია, იქნებოდა „ახალი ცხუმური თეთრი“. რა განსხვავებაა იყო მათ შორის?

გარდა ამისა, როგორც ზემომოყვანილი სასისხლო სიგელებიდან ჩანს, ამა თუ იმ გვარის სისხლის საფასურად, რამდენიმე ასეული ათასი „ძველი ცხუმური თეთრი“ იყო დაწესებული. ძალიან საეჭვოა, ვამეყ დადიანს, ან სხვა ვინმეს, ასეთი მასშტაბის სამონეტო ემისია განეხორციელებინოს. ამავე დროს კი, ე.წ. კირმანეულებმა ჩვენამდე დიდი რაოდენობით მოაღწია. გამომდინარე მათი მრავალრიცხოვნებიდან და იმის გათვალისწინებითაც, რომ ვამეყ I დადიანის მონეტა და კირმანეულები ერთად აღმოჩნდა სოხუმის განძის შემადგენლობაში (რაც არაპირდაპირ თითქოს იმის მანიშნებელია უნდა იყოს, რომ ისინი ერთ ზარაფხანაში მოიჭრა), შეიძლება წამოიჭრას ასეთი კითხვა: ხომ არ შეიცავს ტერმინი „კირმანეული“ თავის-თავში „ცხუმურ თეთრს“ და „სებასტოპოლის ასპრს“?(1)

ცხადია, ამ ეტაპზე ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია.

* * *

ჩვენ განვიხილეთ დასავლეთ საქართველოში მოჭრილი ე.წ. კირმანეული თეთრი და ყურადღება გავამახვილეთ „ცხუმურ თეთრსა“ და „სებასტოპოლის ასპრზე“. გამომდინარე „ქართული ნუმიზმატიკის“ არქიტექტონიკიდან, უნდა შევჩერდეთ თვით ტრაპიზონის ორიგინალური ასპრების ცირკულაციის საკითხზე საქართველოში.

ტრაპიზონის იმპერიის და საქართველოს მჭიდრო და მრავალმხრივი კავშირურთიერთობა თუნდაც იმით მტკიცდება, რომ ამ უკანასკნელის ერთ ნაწილში ხორციელდებოდა მეზობელი სახელმწიფოს ვალუტის იმიტაციების ემისია. ბუნებრივია, მინაბაძების გენეზისს წინ უძღოდა ორიგინალების ინტენსიური ტრიალი. ვნახოთ რა ვითარებაა ამ მხრივ. ვიძლევით ტრაპიზონის ასპრების აღმოჩენათა ტოპოგრაფიას საქართველოში (ინფორმაცია ამოღებულია თ. აბრამიშვილის წიგნებიდან – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრებისა და დასავლურ ქართული ფულის (კირმანეულის) კატალოგი, გვ. 108 - 113; XIII - XIV სს. დასავლურ-ქართული ფული . . ., გვ. 112 - 113, №№ 14 - 26; და კ. გოლენკოს შრომიდან – Клад монет из села Тобаниери, გვ. 169 - 171; აქვეა სრული ბიბლიოგრაფია):

1. კოპიტნარის განძის შემადგენლობა ზემოთ მოვიყვანეთ. მასში 15 ც. ტრაპიზონის ასპრი შედის, რომლებიც მოჭრილია შემდეგი იმპერატორების სახელით: ა) მანუილ I (1238 - 1263 წწ.) – 6 ც.; ბ) იოანე II (1280 - 1297 წწ.) – 7 ც.; გ) მანუილ III (1390 - 1417 წწ.) – 1 ც.; დ) ალექსი IV (1417 - 1446 წწ.) – 1 ც.

2. ტობანიერის განძის შესახებაც ჩვენ უკვე ვწერდით. მის შემადგენლობაში 186 ასპრი შედის და ისინი განეკუთვნება შემდეგ იმპერატორებს: იოანე I (1235 - 1238 წწ.) – 4 ც.; ბ) მანუილ I – 56 ც.; გ) იოანე II – 125 ც.; დ) იოანე II და ალექსი II (1297 წ-მდე) – 1 ც.

შემდეგი აღმოჩენები დალაგებულია აღმოჩენის წლების მიხედვით.

3. 1858 წ. თბილისში იპოვეს 2 ც. ტრაპიზონის ასპრი.

4. 1885 წ. სოხუმში, მდ. ბესლეთის მარცხენა ნაპირის მახლობლად, აღმოჩნდა ვერცხლის მონეტა, ა. ვ. ორეშნიკოვის განსაზღვრით, ეს იყო ტრაპიზონის კომნენოსების დროინდელი ცუდად შენახული ასპრი.

5. 1886 წ. სოხუმში, ე.წ. სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, აღმოჩნდა ტრაპიზონის ერთ-ერთი კომნენოსის ასპრი.

6. 1894 წ. ხონის რ-ნის სოფ. პატარა ჯიხაიშში შემთხვევით მიაკვლიეს განძს, რომლის შემადგენლობაში 500-მდე ვერცხლის მონეტა შედიოდა, მათ შორის იყო იოანე III-ის (1340 - 1344 წწ.) ასპრი. განძის ძირითადი ნაწილი თურქული (1520 - 1617 წწ.) და ირანული (1524 - 1574 წწ.) მონეტებია.

7. 1908 წ. ქუთაისის მაზრაში აღმოჩნდა იოანე I-ისა (1235 - 1238 წწ.) და მანუილ I-ის (1238 - 1263 წწ.) ასპრების განძი. ე. ა. პახომოვს აქედან 50 ც. პირადად უნახავს და 30 ც. შეუძენია კიდეც.

8. 1928 თუ 1929 წ. სოხუმის მიდამოებში იპოვეს იოანე II-ის ასპრი.

9. დაახლოებით 1930 წ. ბორჯომის რ-ნის დაბა წაღვერში დასასვენებელი სახლის – კეჩხობის ტერიტორიაზე მიწის ჩიჩქნის დროს აღმოჩნდა ვერცხლის მონეტები, მათ შორის იყო მანუილ I-ის ასპრი.

10. 1931 წ. სოხუმში იპოვეს იოანე II-ის 5 ასპრი, აქედან 1 ც. დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკის საცავში, გ.ფ. № 7175.

11. 1932 წ. ჭიათურის შემოგარენში ბავშვებმა შემთხვევით იპოვეს იოანე II-ის ასპრი, რომელიც დ. კაპანაძემ შეიძინა.

12. იმავე წელს ისევ ჭიათურაში ნაპოვნი იყო იოანე II-ის მონეტა.

13. 1934 წ. ვარძიის მონასტრის (ასპინძის რ-ნი) ერთ-ერთ გამოქვაბულში ნაპოვნი ყოფილა მანუილ I-ის ასპრი.

14. 1935 წ. ქუთაისში ნაპოვნი იყო XIII ს-ის ტიპის ტრაპიზონის მონეტა.

15. 1936 წ. ასპინძის რ-ნში ვარძიის მონასტრის მახლობლად იპოვეს მანუილ I-ის ასპრი, რომელიც დ. კაპანაძემ შეიძინა.

16. 1939 წ. ქარელის რ-ნის სოფ. ხეობაში, ეკლესიის აღმოსავლეთით მიწის თხრის დროს, ადგილობრივმა მცხოვრებმა იპოვა 265 ვერცხლის მონეტისგან შემდგარი განძი. განძის ძირითადი ნაწილი აღმოსავლური მონეტებია და დამარხულია 1267 წ-ის შემდეგ. მის შემადგენლობაში მანუილ I-ის ერთი ასპრიც ერია.

17. 1940 წ. ვანის რ-ნის სოფ. შუამთის მახლობლად აღმოჩენილი იოანე II-ის ასპრი შეიძინა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა (გ.ფ. № 2265).

18. 1948 წ. თერჯოლის რ-ნის სოფ. ზედა საზანოში შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ქილა ვერცხლის მონეტებით. სელჩუკურ მონეტებთან ერთად აქ მანუილ I-ის ასპრებიც იყო, რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, გ.ფ. №№ 5284, 5317 - 5319, 7865 - 7866, 11158 - 11160, სულ – 9 ც.

19. 1951 წ. სოხუმის რ-ნის სოფ. ბესლეთში შემთხვევით იპოვეს მანუილ I მონეტა.

20. 1960 წ. ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით, საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავების დროს აღმოჩნდა ტრაპიზონის ასპრები: იოანე I – 1 ც., მანუილ I – 1 ც., იოანე II – 19 ც. განძი დაცულია აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში, ქიმ. № 7412.

21. 1968 წ. ბორჯომის რ-ნის სოფ. ახალდაბაში ბალავრის ამოღების დროს მიკვლეულ ვერცხლის მონეტების განძში, სხვა მონეტებთან ერთად, აღმოჩნდა მანუილ I-ის ასპრიც. განძი დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, №№ 142 - 151.

22. 1969 წ. ხონში, ერთ-ერთი მაცხოვრებლის ეზოში, მიწის ზედაპირზე იპოვეს იოანე II-ის მონეტა. დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, გ.ფ. № 12372.

23. 1999 წ. მარტვილის რ-ნის სოფ. ნოჯიხევში ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის ნოჯიხევის რაზმმა აღმოაჩინა მანუილ I-ის ასპრები და კირმანეული.

24. ასპინძის რ-ნის სოფ. ვარძიის მიდამოებში ნაპოვნია (დრო და პირობები უცნობია) მანუილ I-ის ასპრი.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ზემომოყვანილ ტოპოგრაფიულ მონაცემებს, მივიღებთ, რომ საქართველოში ტრაპიზონის იმპერიის შემდეგი მმართველების ასპრებია აღმოჩენილი: 1. **იოანე I-ის (1235 - 1238 წწ.) – 5 ც. (დანამდვილებით**). გარდა ამისა, ქუთაისის მაზრაში უპოვიათ განძი, რომელიც 50 ვერცხლის მონეტას შეიცავდა და მიეკუთვნებოდა იოანე I-ს და მანუილ I-ს (იხ. ჩვენთან № 7). მაგრამ რამდენი იყო მოჭრილი პირველის სახელით და რამდენი – მეორის, სამწუხაროდ, უცნობია. აქედან ცხადია, რომ იოანე I-ის ასპრები საქართველოში ხუთზე მეტია ნაპოვნი. ტოპოგრაფია ასეთია: ტობანიერი, ქუთაისი. 2. **მანუილ I-ის (1238 - 1263 წწ.) – დანამდვილებით 80 ც.** და კიდევ – ქუთაისის მაზრაში აღმოჩენილი მანუილ I-ის ასპრები. ამის გათვალისწინებით, ცხადია, საქართველოში აღმოჩენილი მანუილ I-ის სახელით მოჭრილი ასპრები 100 ცალს მაინც გადააჭარბებს. აღმოჩენის ადგილები – კოპიტნარი, ტობანიერი, ქუთაისი, წაღვერი, ვარძია, სოფ. ხეობა (ქარელის რ-ნი), ზედა საზანო (თერჯოლის რ-ნი), სოხუმი, ახალდაბა, ნოჯიხევი (მარტვილის რ-ნი). 3. **იოანე II-ის (1280 - 1297 წწ.) – 161 ც.** ტოპოგრაფია: კოპიტნარი, ტობანიერი, სოხუმი, ჭიათურა, შუამთა (ვანის რ-ნი), ქუთაისი, ხონი. ტრაპიზონის იმპერიის დანარჩენი მმართველების ასპრები საქართველოში თითო-თითო ცალად არის ნაპოვნი.

მოტანილი სტატისტიკური მონაცემები სრულიად აშკარას ხდის იმ ფაქტს, რომ, როგორც დასავლეთ საქართველოს და ტრაპიზონის იმპერიას შორის ინტენსიური ერთიერთობა, ასევე, ასპრების ფართო ცირკულაცია ჩვენში იწყება მანუილ I-ის და იოანე II-ის დროს. ამას პირდაპირ ადასტურებს ისიც, რომ ქართულ წერილობით წყაროებში ფიგურირებს ტერმინი „კირმანეული“ (რაც მანუილ I-ის სახელს უკავშირდება) და ადგილობრივი იმიტაციების უმრავლესობა სწორედ რომ იოანე II-ის ასპრების მიხედვით არის მოჭრილი.

იჭრებოდა თუ არა გიორგაული თეთრი?

ქართულ სამეცნიერო-საისტორიო შრომებში აღნიშნულია, რომ გიორგი V ბრწყინვალემ (1318 - 1346 წწ.) 1330 წ. ხარკის ძლევა შეუწყვიტა მონღოლებს (ვ. გაბაშვილი. საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის. აღმოსავლური კრებული. თბ. 1960, გვ. 121), რაც ფაქტობრივად სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას ნიშნავდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ასევე დამკვიდრებულად ითვლებოდა ის აზრი, რომ გიორგიმ ცვლილებები შეიტანა საქართველოს ფინანსებშიც და მოჭრა საკუთარი მონეტა, რომელიც „გიორგაულის“ სახელით არის ცნობილი (ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 21; მისივე. ქართველი ერის ისტორია. წ. III. თბ. 1949, გვ. 271; ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი. თბ. 1953, გვ. 195; მისივე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი. თბ. 1957, გვ. 9; Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика. М. 1955, გვ. 99 - 100, და სხვ.).

მეორეს მხრივ, სპარსული წყაროები და საქართველოს ზარაფხანებში ილხანების სახელით მოჭრილი მონეტები დიამეტრულად საწინააღმდეგო პოზიციაზე გვაყენებს. სპარსელი ისტორიკოსის ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობის თანახმად, საქართველო მონღოლებს ხარკს უხდის 1336 წელსაც (D. M. Lang. Georgia in the Reign of Giorgi the Brilliant. BSOAS. XVII. I. 1955, გვ. 85). მეორე სპარსელი ისტორიკოსი, სახელდობრ, აბდალაჰ იბნ მოჰამედ იბნ ქია ალ-მაზანდარანი, საქართველოს ხარკის გადამხდელ ქვეყნებს შორის ასახელებს 1349 - 1350 წწ-შიაც (W. Hinz. Ein persischer Leitfaden des Staatlichen Rechnungswessens um 1363. Wiesbaden. 1952. მითითებულია ვ. გაბაშვილის დასახ. ნაშრ. მიხედვით, გვ. 122 - 123). ჰამდალაჰ ყაზვინის თხზულება „ნოზჰათ ალ-ყოლუბ“ („გულთა სიამე“), საიდანაც აღებულია ცნობა საქართველოს მიერ მონღოლთა სასარგებლოდ ხარკის გადახდის შესახებ 1336 წ., დაწერილია 1339 - 1340 წწ-ში. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გიორგი V-ის მეფობის უკანასკნელი წლების შესახებ არსებული ქართული წყაროები XVIII ს. განეკუთვნება, ხოლო ჰამდალაჰ ყაზვინის თხზულება დაწერილია გიორგის სიცოცხლეშივე, მაშინ ნათელი იქნება ამ უკანასკნელის განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს მონღოლებთან ურთიერთობის დასადგენად XIV ს-ის 30-იანი წწ-ის მიწურულს. ხოლო თუ ზემოთქმულს დავუმატებთ იმასაც, რომ მთელი ამიერკავკასიის ზარაფხანებში, მათ შორის საქართველოს ზარაფხანებშიც (თბილისი, ყარაღაჯი), ჰიჯრ. 756 წ-მდე (= 1355 წ.) მონეტები იჭრებოდა მხოლოდ და მხოლოდ ილხანების სახელით (Е. А. Пахомов. Борьба феодальных династии за восточное Закавказье с половины XIV в. до начала XV в. по монетным данным. КСИИМК. вып. 66. М.

1956, გვ. 47), მაშინ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულების გადასინჯვის საჭიროება თვალნათლივი იქნება.

პირველი ასეთი ცდა, ხსენებული სპარსელი ისტორიკოსების ცნობების შემოტანით მეცნიერებაში, დ. ლანგს ეკუთვნის. 1960 წ. მას გამოეხმაურა ვ. გაბაშვილი. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ შრომებში სათანადო გადაწყვეტა ვერ პოვა ნუმიზმატიკურმა საკითხებმა. მეტიც: დ. ლანგის ახალმა ჰიპოთეზამ „გიორგაულის“ და „კირმანეულის“ შესახებ (მათ იდენტურობას რომ გულისხმობს) უფრო გაართულა პრობლემა. იმ ფაქტის დადგენისგან კი, ჭრიდა თუ არა გიორგი ბრწყინვალე საკუთარ, ეროვნული ხასიათის მონეტას, მნიშვნელოვნად არის განპირობებული საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხის გადაწყვეტაც. ამიტომ გიორგი V-ის სამონეტო ემისიის სპეციალური შესწავლა აუცილებელია.

რას ემყარებოდა ქართული ისტორიოგრაფია, როდესაც გიორგი ბრწყინვალეს საკუთარი, ეროვნული ხასიათის მონეტის მოჭრა მიაწერა?

ივ. ჯავახიშვილი წერს – „ათაბაგ აღბუღას თავისი პაპის და თავისი სამართლის წიგნის შესავალში ნათქვამი აქვს: პაპა ჩემს ბექას ყაზანაური თეთრი დაეწესებინა სისხლის საზღაურად, მაგრამ ჩვენს დროს ამგვარი ფული უკვე აღარ არსებობდა და ჩვენ „დიდისა მეფისა გიორგის ჟამისა თეთრი გავაჩინეთო“. აქ უეჭველია გიორგი ბრწყინვალე იგულისხმება. სწორედ ამ გიორგი ბრწყინვალის ვერცხლის ფულს ეძახდნენ „გიორგაულ“ თეთრს. როგორც ეტყობა, XIV ს. მეორე ნახევარშიაც ეს ფული წინანდებურად ხმარებაში იყო“ (ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 21). ამრიგად, ივ. ჯავახიშვილისათვის, შემდეგ კი უკვე სხვებისთვისაც, ამოსავალი იყო ბექა-აღბუღას კანონთა კოდექსი. გარდა ამისა, ქართულ ისტორიოგრაფიას გააჩნდა უფრო გვიანდელი, კერძოდ, XVIII ს-ის ცნობაც. მხედველობაში გვაქვს ვახტანგ VI-ის სამართლის სიტყვები: „პირველს ჟამურს თეთრს გიორგაულს ეძახდნენ. ის თურმე საქმობდა სისხლშიაცა და ისრეცა. . . . გიორგაული რა ერთისაც წონა ყოფილა, იმ ძველს წიგნებში სწერია და იმითი იცნობთ“ (ვახტანგის სამართლის წიგნი. კარი თეთრის გარიგებისა, § 15. ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თ. ენუქიძემ. თბ. 1955., გვ. 53 - 54).

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ ს. კაკაბაზე, დასახელებული საბუთების გარდა, ეყრდნობოდა აგრეთვე სასისხლო სიგელებს (ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 58, 66) და ერთ ნასყიდობის საბუთს, შესრულებულს ქართლში 1508 წ. (ექვთ. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. III. ტფ. 1909, გვ. 401). ამ საბუთების კრიტიკული გარჩევის შემდეგ ვთვლით, რომ მათი გამოყენება „გიორგაული“ თეთრის ემისიის სამტკიცებლად გამორიცხულია (საკითხთან დაკავშირებით იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 33 - 39).

ამრიგად, დაგვრჩა ორი საბუთი, რის საფუძველზეც ქართული ისტორიოგრაფია „გიორგაული“ თეთრის არსებობას ადასტურებს: პირველი ეს არის ბექა-აღბუღას კანონთა კოდექსი, და მეორე – ვახტანგ VI-ის სიტყვები – „პირველს ჟამურს თეთრს გიორგაულს ეძახდნენ“. მაგრამ ვახტანგიც რომ ბექა-აღბუღას სამართალს ეყრდნობოდა, ეს სრულიად აშკარაა. როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, ვახტანგ VI-ს ამ ფულის შესახებ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია, რადგან ის მას პირველ ქართულ ფულად მიაჩნდა (ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 21). კიდევ ერთხელ მოგვყავს ვახტანგ VI-ის სიტყვები: „ის (ე.ი. გიორგაული – გ. დ., თ. დ.) თურმე საქმობდა სისხლშიაცა და ისრეცა. . . . **გიორგაული რა ერთისაც წონა ყოფილა, იმ ძველს წიგნებში სწერია და იმითი იცნობთ**“. ე.წ. „გიორგაულის“ წონა კი მხოლოდ აღბუღას სამართლის წიგნშია მოყვანილი: „ . . . **ორიანი ხუთი დანგი წმინდა ვეცხლი** (ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 286). როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. ბექა-აღბუღას კანონთა კოდექსია იმ აზრის სათავე, თითქოს გიორგი ბრწყინვალეს ცვლილებანი შეეტანოს საქართველოს ფინანსებში.

ეყრდნობოდა რა ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში გაბატონებულ აზრს იმის შესახებ, რომ გიორგი ბრწყინვალემ მოჭრა საკუთარი მონეტა, ე.წ. „გიორგაული“, დ. კაპანაძე შეეცადა ფაქტობრივი მასალით შეემაგრებინა ეს დებულება. „გიორგაულებად“ მან მიიჩნია ქვემოთ აღწერილი მონეტები. ყველა მათგანი ვერცხლისაა.

1. შუბლი – მონეტის ცენტრში მსხვილი წერტილია. ამ წერტილის მარჯვნივ და მარცხნივ გაუგებარი ნიშნებია, რომლებიც მოგვაგონებს გადაბრუნებულ მუსლიმურ ღვთისმსახურებით წარმონათქვამს – „უფალს“, ეს ყველაფერი ჩასმულია წვეტიან ოვალში და ამრიგად იქმნება ადამიანის გახელილი თვალის შთაბეჭდილება. მონეტის კიდეებზე წარწერა: ᎧᏁᏕᏁᏫ/ᎧᏕᏁ ᏢᏁ – „მეფეთა მეფე გიორგი“.

ზურგი – რამდენადმე დამახინჯებული არაბული წარწერა (სუნიტური რელიგიური სიმბოლო) (დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის. სსმმ. XI - B. 1941, გვ. 133; მისივე. Грузинская нумизматика, გვ. 100; მისივე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 117, № 133) (ტაბ. II, № 9).

2. შუბლი – „ადამიანის გახელილი თვალის“ სახე. მონეტის ცენტრში მსხვილი მარჯვნივ და მარცხნივ დაწოლილი ქართული ასოებია მოთავსებული: Ꮧ და Ꮕ – მეფე. ფრჩხილისებური ჩარჩოს გარეთ ტალღისებური ხაზები და თითო წერტილი (დ. კაპანაძის აზრით, დანიღბული ზედწერილი).

ზურგი – სამსტრიქონიანი დამახინჯებული არაბული წარწერა (უნდა იყოს სუნიტური რელიგიური სიმბოლო) (დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, გვ. 140; მისივე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 117, № 134). (ტაბ. II, № 10).

3. შუბლი – მონეტის ცენტრში მსხვილი წერტილია, რომელსაც მარჯვნივ და მარცხნივ კიდევ თითო წერტილი უზის. წერტილები ჩასმულია წვეტიან ოვალში. ზემოთ და ქვემოთ ტალღისებური ხაზები და თითო წერტილი ამკობს. ყველაფერ ამას შემოვლებული აქვს ორმაგი რკალი – ხაზიანი და წერტილიანი.

ზურგი – მონეტის ცენტრში სამსტრიქონიანი დამახინჯებული არაბული ზედწერილი სუნიტური რელიგიური სიმბოლოა, რომელიც ისეთივე რკალებითაა შემოვლებული, რომლებიც მონეტის შუბლზე გვაქვს (დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, გვ. 135; მისივე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 118, № 135) (ტაბ. II, № 11).

რა საბუთები მოყავს დ. კაპანაძეს ზემოთ აღწერილი მონეტების „გიორგაულებად“ მიჩნევის სასარგებლოდ?

აღწერილი მინეტების პირველი ვარიანტი, ე.ი. სრული ქართული ზედწერილიანი მონეტა, ტრაპიზონის ასპრის ქართულ მინაბაძებთან, ე.წ. კირმანეულთან ერთად, 1930 თუ 1931 წ. ერთ თბილისელ კოლექციონერს გადაუცია დ. კაპანაძისთვის და თან დაურთავს ცნობა, რომ ისინი 1904 - 1905 წწ. დუშეთში აღმოჩენილი განძიდან ყოფილა. დ. კაპანაძე ვარაუდობდა, რომ ეს მონეტები იმ განძიდან არის, ე. პახომოვს № 169-ის ქვეშ რომ აქვს მოხსენიებული. თუნდაც ეს ასე იყოს, ეს არაფერს ამტკიცებს. მივმართოთ თვით ე. პახომოვს, რომლის ცნობის თანახმად, 1905 წ. დუშეთის რ-ნში აღმოჩენილა 960 ვერცხლის მონეტისგან შემდგარი განძი. ეს განძი შემდეგ გაიფანტა. ე. პახომოვის განსაზღვრით, გადარჩენილი ეგზემპლარები შემდეგი მონეტები აღმოჩნდა: ერთი ცალი XIV - XV სს. უცნობი ფულია (ე.ი. ის ცალი, რომელიც დ. კაპანაძემ „გიორგაულად“ მიიჩნია), ტრაპიზონული ასპრის ერთი მინაბაძი და ორი ცალი ჯუჩიდური მონეტა, თოხთამიშის მიერ ურდოში მოჭრილი (ერთზე მოჩანს თარიღი 192 წ., უნდა იყოს 792 = 1389/90 წწ.) (Е. А. Пахомов. Монетные клады Азербайджана и Закавказья (შემდეგში клады . . .). I. Баку. 1926, გვ. 60, № 169). ამრიგად, კიდევაც რომ დავუშვათ, თითქოს ხსენებულ განძში უფრო გვიანდელი მონეტა არ შედიოდა, მისი დაფლობის *terminus post quem* 1389/90 წწ-ებია. თუკი საერთოდ შეიძლება ამ საბუთით მსჯელობა, ის საწინააღმდეგოს უფრო დაამტკიცებს, ვიდრე საინტერესო მონეტის და „გიორგაულის“ იგივეობას. დ. კაპანაძეს რატომღაც მიაჩნდა, რომ ამ განძის შემადგენლობაში XIII ს-ის ფულის მინაბაძებს გაცილებით უფრო მეტი ადგილი ეჭირებოდა (დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, გვ. 144 - 145). მას, ალბათ, მხედველობაში იოანე II-ის ასპრების ქართული მინაბაძები ჰქონდა. ასეთი მტკიცებისთვის საფუძველი არ არსებობს. საკითხს ჯერ თეორიულად მივუდგეთ. დუშეთის რ-ნში აღმოჩენილ განძში კირმანეულებს არ შეიძლება მეტი ადგილი ჭეროდა, რადგან აღმოსავლეთ საქართველოში ამ ფულს არ ჰქონია ისეთი ფართო გავრცელება, როგორც დასავლეთ საქართველოში (თ. აბრამიშვილი. XIII - XIV სს. დასავლურ-ქართული ფული, გვ. 44). მაგრამ აქაც ვუშვებთ, რომ კირმანეულები ამ განძის ძირითადი ნაწილი იყო. ნიშნავს ეს იმას, რომ განძი XIII ს-ის დასასრულით ან XIV ს-ის I ნახევრით უნდა

დათარიღდეს? რა თქმა უნდა, არა. XIII ს-ის თვით იოანე II-ის ასპრია, ხოლო მისი მინაბაძები იჭრებოდა როგორც XIII ს-ის დასასრულს, ასევე – XIV ს-ის მთელ სიგრძეზე და XV ს-შიც კი. ეს გზა არ გამოდგება განძის დათარიღებისთვის. განძის გადარჩენილ ჯუჩიდურ მონეტებს კი, როგორც აღნიშნული გვქონდა, XIV ს-ის მიწურულში გადავყავართ. ამრიგად, თუკი პირობითად დავუშვებთ იმას, რომ თბილისელი კოლექციონერის განმარტება ჭეშმარიტებას შეეფერება, არავითარი საფუძველი არ არსებობს, მის მიერ გადმოცემული ორი მონეტა XIV ს-ის I ნახევარს მივაკუთვნოთ.

საინტერესო მონეტების III ვარიანტი, ე.ი. ის მონეტები, რომელთაც არავითარი ქართული წარწერა არ აქვთ, 5 ცალის რაოდენობით აღმოჩნდა 1925 წ. ხაშურის რ-ნის სოფ. ალში ნაპოვნი სამონეტო განძის შემადგენლობაში (განძის შემადგენლობა იხ. თ. ლომოური. საქართველოს და ოქროს ურდოს შორის ურთიერთობის საკითხისათვის XIV ს. (ალის განძის ჯუჩიდური ფულები). კრ. ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 2005, გვ. 118 - 135; აგრეთვე, გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 26). განძი დამარხულია 1400 - 1401 წწ-ების ახლო ხანებში, რადგან ის დიდი რაოდენობით შეიცავს აჰმედ ჯალაირის და გიორგი VII-ის მოჭრილ ფულებს, რომლებიც თ. ლომოურმა სწორედ ამ პერიოდით დაათარიღა (თ. ლომოური. აჰმედ ჯალაირის და გიორგი VII-ის მონეტები. კრ. ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში, გვ. 140). თუ აქედან ამოვალთ, ის 5 მონეტაც XIV ს-ის დასასრულით ან XV ს-ის დასაწყისით უნდა დავათარიღოთ. მაგრამ დ. კაპანაძე სხვა გზას დაადგა. ის წერს: „სრულებით დაუჯერებელია, რომ ეს სამივე ფულადი ტიპი (იგულისხმება ზემოთ აღწერილი მონეტის სამი ვარიანტი – გ. დ., თ. დ.). გიორგი VI-ის (1386/87 – 1407 წწ.) (თანამედროვე ნუმერაციით გიორგი VII – გ. დ., თ. დ.) მეფობაში ყოფილიყო გამოშვებული. მით უმეტეს, რომ XIV ს-ის ბოლო ხანებში, როგორც ამას თვით ჩვენი განძის (იგულისხმება ალის განძი – გ. დ., თ. დ.) შემადგენლობა გვიმტკიცებს, გიორგი VI-ს სულ სხვა ტიპის, საბოლოოდ დაწვრილებული მონეტები მოუჭრია. ალის განძის შემადგენლობაში ამ დაწვრილებულ ფულს თითქმის 50%-ზე მეტი ადგილი უჭირავს . . . V ჯგუფის გაურკვეველი ქართული მონეტები კი, რომლებიც ამ დაწვრილებულ ფულებს წონით თითქმის ერთი ორად აღემატება, ალის განძში მხოლოდ 2%-ზე ცოტა მეტი აღმოჩნდა. ჩვენ გვგონია, რომ ეს გარემოება გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ განძის მეორე უმთავრესი ნაწილი ოქროს ურდოს მეტწილად XIV ს-ის I ნახევრით დათარიღებული 204 ვერცხლის მონეტისაგან შედგება, რომლებიც ზომით და წონით უახლოვდება ჩვენს „გაურკვეველებს“ . . . ადვილი დასაშვებია, რომ ორივე კატეგორიის ფულადი ნიმუშები ერთსა და იმავე დროს ყოფილიყო მიმოქცევაში“. და შემდეგ: „წონით გიორგი VI-ის და აჰმედ ჯალაირის მონეტები XV ს-ის ქართულ ფულს უახლოვდება, იმ დროს, როდესაც განძის დანარჩენი მონეტები, „გაურკვეველი“ ქართული მონეტების ჩათვლით, წონითაც და მთელი თავისი გარეგნობით უფრო XIV ს-ის I ნახევრის ტიპს“ (დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, გვ. 141, 143). „ყოველი

მიმბაძველობა – განაგრძობს დ. კაპანაძე – თავის პირვანდელ ტიპს (ამ შემთხვევაში პირვანდელ ტიპად მას მიაჩნია სრული ქართული ზედწერილიანი მონეტა, ხოლო მეორე და მესამე ვარიანტი კი – მინაბაძებად – გ. დ., თ. დ.) სულ უკანასკნელი 10 წლით მაინც უნდა იყოს დაშორებული და ჩვენს განძში მეორე ან და, შესაძლებელია, მესამე წყების მიმბაძველობების აღმოჩენა, სრულ უფლებას გვაძლევს ეს ვადები სათანადოდ გავადიდოთ. გიორგიმ ტახტი დაიკავა 1386 ან 1387 წ-ს და, ამრიგად, გიორგის ტახტზე ასვლის დღიდან მისი და აჰმედის სახელით აღბეჭდილი ფულადი ნიშნების გამოშვებამდე 10-12 წელიწადზე მეტი არ უნდა გასულიყო. სრულებით დაუჯერებელია, რომ ამ მოკლე ხნის განმავლობაში პირვანდელ ფულად ტიპს გარკვეული ქართული ზედწერილებით ამგვარი მნიშვნელოვანი და მრავალნაირი ცვლილება-დამახინჯების პროცესი და ტიპის სქემატიზაცია გამოევლოს“ (დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, გვ. 143). და ბოლოს, ყოველი ახალი ფულადი ტიპის შექმნის დროს, ჩვეულებრივ ნიმუშად იმ ფულის ნიშნებს იღებენ, რომლებიც იმ დროს არსებობს. ასეთ სანიმუშო მონეტად დ. კაპანაძეს ილხან სულეიმანის (1339 – 1344 წწ.) დირჰემი მიაჩნია (დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, ტაბ. 9). ზემოთ მოყვანილის საფუძველზე, დ. კაპანაძე ფიქრობდა, რომ ეს მონეტა გიორგი VII-ის წინამორბედის მიერ უნდა იყოს მოჭრილი, რომელსაც აგრეთვე გიორგი რქმევია და ასეთი მხოლოდ გიორგი ბრწყინვალე შეიძლება ყოფილიყო (დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, გვ. 143). თავისი აზრის გასამტკიცებლად, დასასრულს, დ. კაპანაძეს მოყავს ივ. ჯავახიშვილის სიტყვები, რომელიც, თავის მხრივ, აღბუღას სამართალს ეყრდნობოდა (დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, გვ. 145). ასეთია დ. კაპანაძის თვალსაზრისი საინტერესო მონეტებთან დაკავშირებით.

ზემოთ აღწერილ სამივე მონეტას ჩვენ გიორგი VII-ს ვაკუთვნებთ (ეს პოზიცია დაფიქსირებულია ჯერ კიდევ 1964 წ. იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 29 - 30 და სხვ.). პირველი საბუთი ასეთი ატრიბუციის სასარგებლოდ იმ განძების დაფლობის ხანაა, რომელთა შემადგენლობაშიც ეს მონეტები შედიოდა. დუშეთის განძი 1389/90 წწ-ის შემდეგ არის ჩამარხული, ხოლო ალის განძი კი – 1400 - 1401 წწ-ში.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, დ. კაპანაძეს ე.წ. „გიორგაულის“ სანიმუშო მონეტად ილხან სულეიმანის ფული მიაჩნია, მაგრამ, როგორც თვითონაც სამართლიანად აღნიშნავს, ეს ტიპი 1339 წ-ზე ადრე ვერ გაჩნდებოდა. ე.ი. თუკი დავუშვებთ, რომ გიორგი ბრწინვალემ იმავე 1339 წ. მოჭრა თავისი მონეტა, რაც ნაკლებად სავარაუდოა, რადგან პროტოტიპი იმდენად დაცილებულია ორიგინალს, რომ დავაც კი შეიძლება იმ საკითხის ირგვლივ, საერთოდ, ილხან სულეიმანის მონეტის მიხედვით თუ არის მოჭრილი ე.წ. „გიორგაული“, ქრონოლოგიური ჩარჩოები ამ მონეტის ემისიისა 6 - 7 წელიწადს არ აღემატება. აქედან დასკვნა: თუკი 10 - 12 წელიწადში არ შეიძლებოდა ამ სამონეტო ტიპს დამახინჯების მსგავსი პროცესი გაევლო, მით უმეტეს, ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო 6 - 7 წელიწადში. გიორგი VII-

ის მეფობის პერიოდი ამისთვის უფრო შესაფერისი ხანაა, როგორც დროის ხანგრძლივობის, ასევე ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის მხრივაც. როგორც ცნობილია, გიორგი VII 1393 წ. გამეფდა. შესაძლებელია, გამეფებასთან დაკავშირებით მან მოაჭრევინა ის მონეტები, რომელთაც სრული ქართული ზედწერილი „მეფეთა მეფე გიორგი“ ამშვენებს. 1394 წ. საქართველოს თემურ-ლენგი შემოესია. მაგრამ ამით თემურის ვოიაჟი არ დამთავრებულა. 1403 წ-მდე მან კიდევ რამდენჯერმე ილაშქრა საქართველოში. ერთი სიტყვით, გიორგი VII მთელი თავისი მეფობის განმავლობაში თავგანწირვით ებრძოდა დამპყრობელს. ამ მონეტების მინაბაძების გაჩენა სწორედ ასეთ სიტუაციაშია უფრო დამაჯერებელი, ვიდრე გიორგი ბრწინვალის ხანაში. გაუგებარია, რაში დაჭირდებოდა გიორგი ბრწყინვალეს საკუთარი მონეტების „მინაბაძები“ მოეჭრა. ამასთან დაკავშირებით, გაოცებას იწვევს ერთი დეტალიც: საქართველოს ზარაფხანებში, კერძოდ, თბილისში, ჰიჯრ. 741, 742 და 743 წწ-ში (= 1340/1, 1341/2, 1342/3 წწ.) სულეიმანის სახელით იჭრება საერთო ჰულაგუიდური ტიპის კლასიკური დირჰემები (ისინი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკური უჯრედის განძების და ქართული მონეტების ძირითად ფონდებში). ეს მასალა, გარდა მოჭრის ადგილის აღმნიშვნელი სიტყვისა, არაფრით განსხვავდება ჰულაგუიდების სხვა ზარაფხანების პროდუქციისგან. ნორმალურია მათი წონა და ლიგატურა, მაღალია მათი მოჭრის ტექნიკა და მხატვრული გაფორმების დონე. ლეგენდებში, არა თუ არაბული, უიღურულიც კი დაზღვეულია რაიმე ენობრივი, თუ გრამატიკული ხასიათის შეცდომისგან. როგორც ჩანს, თბილისში, და საერთოდ, საქართველოს ზარაფხანებში კარგი ხელოსნები ისხდნენ. მაშ, ვის უნდა გამოეშვა ერთი და იმავე ზარაფხანაში სინქრონულად სულეიმანის კლასიკური დირჰემები და დ. კაპანაძის მიერ „გიორგაულად“ მიჩნეული მონეტები, რომელთა არაბული ზედწერილები საშინლადაა დამახინჯებული?!

შევეხოთ მონეტის წონასაც. ის სავსებით ნორმალურია XIV ს-ის 80-იანი წლების მიწურულისთვის და XV ს-ის I ნახევრისთვის. გიორგი VII-ის და აჰმედ ჯალაირის სახელით მოჭრილი მონეტების წონითი რემედიუმი 0.57 - 0.80 გრამებში მერყეობს. „გიორგაულად“ მიჩნეული მონეტების საშუალო წონა კი ერთ გრამსაც არ აღწევს. მეტი დამაჯერებლობისთვის აქვე მოგვყავს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ზოგიერთი ცალის წონა: 0.99 გრ., 0.85 გრ. (ქართული მონეტების ძირითადი ფონდი, შემდეგში: ქძფ., №№ 2961, 3230), 0.99, 0.90 (გფ. №№ 1198, 1202) და აშ. სრულებით აშკარაა, რომ მათ შორის დიდი სხვაობა არ არის. მით უმეტეს, რომ გიორგის და აჰმედის სახელით მოჭრილი მონეტა XIV ს-ის ბოლოს ეკუთვნის და ე.წ „გიორგაულები“ მათზე რამდენიმე წლით მაინც უფრო ადრეული უნდა იყოს.

რაც შეეხება ამ მონეტების მცირერიცხოვნებას XIV ს-ის მიწურულის განძებში და ამის საფუძველზე მათი XIV ს-ის I ნახევარში გადატანას, არ არის მართებული, რადგან სჯულმდებელი აღბუღა **გიორგის ჟამის თეორს** XIV ს-ის 80-იან წწ-ში აწესებს სისხლის საზღაურად (ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 9), თანაც ათასების ფარგლებში, რაც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ამ ხანებში ეს ფული ცოცხალი და ჯანსაღი ერთეულია. აქედან გამომდინარეობს, რომ, თუკი

ზემოაღწერილი მონეტები გიორგაულებია, ისინი გაცილებით მეტი რაოდენობით უნდა ყოფილიყო XIV ს-ის II ნახევრის განძებში, ვიდრე ეს სინამდვილეშია.

დასასრულს, თუკი ბექა-აღბუღას სამართლის შესავალში ნამდვილად გიორგი ბრწყინვალის მიერ მოჭრილი თეთრი იგულისხმება, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, და საიდანაც ამოდის თვით დ. კაპანაძე (დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, გვ. 145), მაშინ ჩვენთვის საინტერესო მონეტის „გიორგაულად“ ჩათვლის მოსაზრებას უკანასკნელი საყრდენი გამოეცლება. მივმართოთ თვით ბექა-აღბუღას სამართლის ტექსტს.

აღბუღა შესავალში აღნიშნავს, რომ სისხლის დასაურვებლად „პატონის პაპისჩემისაგან განაჩენი ყაზანაური თეთრი იყო. **ამა ჟამსა შინა ყაზანაურობა არღარა იყო, დიდისა მეფისა გიორგის ჟამისა თეთრი გავაჩინეთ: ორიანი ხუთი დანგი წმინდა ვეცხლი და, როგორცა თეთრი იყოს ანგარიშად იმა წესითა აიღებოდეს** (ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 286; ხაზი ჩვენია – გ. დ., თ. დ.). როგორც ვხედავთ, აღბუღა პირდაპირ ამბობს, რომ მის მიერ სისხლის საზღაურად დაწესებული თეთრი ხუთდანგიანი მონეტა იყო. გრამებში გადაყვანილი ის 3.50 გრ. აღემატება. „გიორგაულად“ მიჩნეული მონეტის საშუალო წონა კი ერთ გრამსაც არ აღწევს და, ამდენად, არ შეესიტყვება ტექსტში ნაგულისხმევ ფულად ერთეულს.

ინგლისელმა მეცნიერმა დ. ლანგმა სხვა გზით სვლა აირჩია (D. M. Lang. Georgia in the Reign of Giorgi the Brilliant; უფრო დაწვრილებით Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia, გვ. 81 - 87). მან „გიორგაული“ კირმანეულთან გააიდენტურა (D. M. Lang. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia, გვ. 87). თავისი მსჯელობის ამოსავლად ის იღებს იმ ფაქტს, რომ გიორგი მეფის დროინდელი კირმანეულის ორი ნიმუშის ღირებულება უდრიდა სუფთა ვერცხლის ხუთ დანგს. მისი დაკვირვებით, კირმანეულის წონა მერყეობდა 1.7 და 2.2 გრ. შორის. ასე რომ, კირმანეულის საშუალო წონა უდრიდა 1.9 გრ. მისივე გამოანგარიშებით, კირმანეულის ორი ნიმუშის წონა (3.8 გრ.) მჭიდროდ უახლოვდება ბექა-აღბუღას სამართალში ნავარაუდევ მონეტის წონას – ხუთ დანგს. მეორე საბუთად დ. ლანგს მოჰყავს ქართულ ზედწერილიანი კირმანეულის ნიმუში, რომელიც სულ ორ ცალად არის ცნობილი. ერთი მათგანი საქართველოს ეროვნული მუზეუმის კუთვნილებაა (გფ. № 6213), ხოლო მეორე (მ. ბარათაშვილის კოლექციის ცალი) – ბერლინში იყო დაცული.

ამ მონეტის შუბლზე, როგორც თავის ადგილზე გვქონდა აღნიშნული, ქართული მთავრული ასოებით შესრულებულია ზედწერილი – ᒪᒥ, „გიორგი“, ზურგზე ასევე მთავრული ასოებით – ᑭᕮ, „მეფე“. ამ ზედწერილებთან დაკავშირებით, როგორც უკვე ვწერდით, დ. კაპანაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ, ვინაიდან წარწერა ᒪᒥ მეფის (კეისრის) გამოსახულებასთან კი არ არის მოთავსებული, არამედ მონეტის შუბლზე – წმინდანის გამოსახულებასთან, ის ამ უკანასკნელს ეკუთვნისო (დ. კაპანაძე. ზოგიერთი ტერმინის შესახებ ქართულ ნუმიზმატიკაში, გვ. 11).

დ. ლანგმა სწორედ დ. კაპანაძის ამ მოსაზრებას ჩასჭიდა ხელი. ის თვლის, რომ წარწერა წმინდანს ეკუთვნის, რითაც საქართველოში ქართველთათვის უცხო

წმინდანი ევგენიოსი „გააქართველეს“ და წმინდა გიორგად აქციეს. ეს მკვლევარს საფუძველს აძლევს თქვას, რომ ამ მონეტებს ეწოდებოდა კირმანეულიც, კეისარ მანუილის სახელის მიხედვით, და გიორგაულიც – წმინდანის მიხედვით (D. M. Lang. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia, გვ. 87 - 88).

დ. ლანგის პოზიცია მართებული არ არის. „გიორგაული“ და „კირმანეული“ რომ ერთი და იმავე სამონეტო ერთეულს არ აღნიშნავდა, ამის დასამტკიცებლად მარტო ვახტანგ VI-ის სიტყვებიც კმარა: „პირველს ჟამურს თეთრს გიორგაულს ეძახდნენ. ის თურმე საქმობდა სისხლშიაცა და ისრეცა. . . . გიორგაული რა ერთისაც წონა ყოფილა, იმ ძველს წიგნებში სწერია და იმითი იცნობთ. **კიდევ ერთი რიგი სხვა თეთრიც ყოფილა, კირმანეულს ეძახდენ**“ (ვახტანგის სამართლის წიგნი. კარი თეთრის გარიგებისა, § 15). აქ გარკვევით არის ნათქვამი, რომ კირმანეული **სხვა თეთრი** იყო. გარდა ამისა, არსებობს სხვა საბუთებიც. აღბუღას სამართლის შესავალში ნახმარია სიტყვა „**ორიანი**“ და არა „**ორი**“. კონტექსტიდან ცხადად ჩანს, რომ აქ ნაგულისხმევია ორნომინალიანი ერთი მონეტის წონა („**დიდისა მეფისა გიორგის ჟამისა თეთრი . . . ორიანი ხუთი დანგი)** და არა ორი ნიმუშის წონა, როგორც ამას დ. ლანგი ფიქრობდა. კირმანეული ცალკე სამონეტო ჯგუფია, რომელიც იჭრებოდა და მიმოქცევაში იყო გიორგი ბრწყინვალის გამეფებამდე და მის შემდეგაც. ცხადია, სავსებით შესაძლებელია, გიორგი ბრწყინვალის ხანაში მოჭრილიყო კირმანეულის გარკვეული ნაწილი, მაგრამ ეს არ მიუთითებს დ. ლანგის ჰიპოთეზის სასარგებლოდ. ხომ არ შეიძლება, მაგალითად, XIII ს-ში მოჭრილ კირმანეულებს „გიორგაული“ ვუწოდოთ? არც ის მოსაზრებაა დამაჯერებელი, რომ თითქოს წარწერა წმინდანს ეკუთვნის. კირმანეულების აბსოლუტური უმრავლესობა წმინდანის ვინაობის მსგავს განმარტებას არ შეიცავს. ცხადია, ის არავის სჭირდებოდა. სრულიად აშკარაა, რომ ზედწერილი ᒪᒥ მეფის სახელს აღნიშნავს, რომელსაც გიორგი რქმევია, მით უმეტეს, რომ წმინდანის გვერდით მოთავსებულია წმინდა ევგენის სახელის აღმნიშვნელი ასოები (ΓE-O). ყოველ შემთხვევაში, ყველაზე ნაკლებად სავარაუდოა, ამ მონეტის მოჭრა გიორგი ბრწყინვალეს მივაწეროთ, რადგან მისი წონა (1.5 გრ.) XIV ს-ის I ნახევრისთვის მეტად დაბალია, ის უფრო XIV ს-ის მიწურულით და XV ს-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს (Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика, გვ. 97).

ამრიგად, არც დ. კაპანაძის მიერ „გიორგაულად“ მიჩნეული ფული და არც კირმანეულები არ უნდა იყოს ნაგულისხმევი აღბუღას სამართალში.

ამ საკითხს, ჩვენი აზრით, ყველაზე მართებულად მიუდგა თ. ლომოური თავის მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომში „უკანასკნელი ილხანების ფული საქართველოში (იხ. კრ. ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში, გვ. 95 - 108). თ. ლომოურის ამ შესანიშნავ შრომას ამ სტრიქონების ერთ-ერთი ავტორი გაეცნო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ხელნაწერის სახით, რაც აისახა კიდეც მის წიგნში (იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 47 - 49). მაშინაც და

ახლაც ჩვენ ვეყრდნობით იმ სახელმძღვანელო დებულებებს, რომლებიც გამოთქმულია თ. ლომოურის გამოკვლევაში.

თ. ლომოური წერს: „არც გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებაში“ და არც აღბუღას სამართალში ფულის აღმნიშვნელ ტერმინად „გიორგაული“ არ ჩანს. ორივე სჯულმდებელი ვერცხლის ფულის აღმნიშვნელ ტერმინად ხმარობენ „თეთრს“. „გიორგაული“, როგორც ჯერჯერობით ცნობილი წყაროებიდან ირკვევა, მოხსენიებულია XVIII ს-ის პირველ ნახევარში შედგენილ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში („პირველს ჟამურს თეთრს გიორგაულს ეძახდნენ“)“. XVIII ს-ში ვახტანგის მიერ შემოღებულ ტერმინად მიაჩნია „გიორგაული“ ვ. გაბაშვილსაც (ვ. გაბაშვილი. საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის, გვ. 131). „ძნელი წარმოსადგენია – განაგრძობს თ. ლომოური – რომ აღბუღას სამართლის წიგნის ისეთ პასუხსაგებ დებულებებში, როგორიც სისხლის საზღაურის განსაზღვრა იყო, რაიმე ორაზროვანი გამოთქმა ეხმარა და ამით გაუგებრობა გამოეწვია. იმ შემთხვევაში, თუ მას გიორგი ბრწყინვალის ფულზე ექნებოდა ლაპარაკი, ის, აშკარაა, არ დაარქმევდა ამ ფულს გიორგი მეფის დროის (ჟამის), არამედ გარკვეულად გიორგი მეფის თეთრს უწოდებდა“. ეს მოსაზრება სავსებით მისაღებია. მართლაც და აღბუღას ხომ არ უხმარია ტერმინი **ყაზანის დროის თეთრი**, არამედ პირდაპირ ფულის სახელწოდება დაასახელა – „ყაზანაური“. ხომ შეეძლო მას „ყაზანაურის“ გვერდით „გიორგაულიც“ ეხმარა, ეს ფულადი ერთეული რომ არსებულიყო? მან კი სხვაგვარი ფორმულირება მოგვცა: „დიდისა მეფისა **გიორგის ჟამისა** თეთრი გავაჩინეთ“. თ. ლომოურის ინტერპრეტაციით, ეს ნიშნავს იმას, რომ აღბუღას სისხლის საზღაურად შემოუღია **გიორგის დროინდელი** (ჟამის) თეთრი. თ. ლომოურის აზრით, გიორგის დროინდელ თეთრში უნდა იგულისხმებოდეს ილხანების სახელით მოჭრილი ფული, რომელიც დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე.

წყაროს თ. ლომოურისეულ ინტერპრეტაციას სავსებით უჭერს მხარს ფაქტობრივი მასალის ანალიზიც. როგორც ცნობილია, სისხლის დაურვების ფასი, აღბუღას სამართლის მიხედვით, ათასების ფარგლებში იანგარიშება. დ. კაპანაძის მიერ „გიორგაულად“ მიჩნეული მონეტები სულ რამდენიმე ცალად არის ცნობილი, ისინი არ მოჩანს ისე ფართოდ გავრცელებული, როგორც ილხანების ფული. საერთოდ, ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ მონეტებს, თუნდაც ისინი ნამდვილად გიორგი ბრწყინვალეს ეკუთვნოდეს, XIV ს-ის 80-იან წწ-ში, ათაბაგ აღბუღას ხანაში, ასეთი მნიშვნელობა ჰქონოდა. ამის სასარგებლოდ არ ლაპარაკობს არც მათი სინჯი, არც მათი წონა და არც მათი გავრცელების ხასიათი. ილხანების ფულის გავრცელების მასშტაბი ჩვენს ტერიტორიაზე და მათი სრულფასოვნება ამაგრებს თ. ლომოურის აზრს.

შემდეგ თ. ლომოური შეეცადა აეხსნა, რას ნიშნავს აღბუღას სამართლის სიტყვები: „ორიანი ხუთი დანგი წმინდა ვეცხლი“. მან მიუთითა, რომ აქ მოცემულია: 1) წონა იმ ერთეულისა, რომელიც თეთრად იყო წოდებული და 2) მისი ლითონური შემადგენლობა; მაგრამ ეს ცდა ბოლომდე ვერ მიიყვანა.

ჩვენი აზრით, ფორმულირება „ორიანი ხუთი დანგი წმინდა ვეცხლი“ უნდა აღნიშნავდეს **ორ ნომინალიან ხუთი დანგის წონის მქონე წმინდა ვერცხლის მონეტას**. არის თუ არა ილხანების ჩვენამდე მოღწეულ მონეტებში იდენტური ერთეული? რა თქმა უნდა, არის. ესაა ილხანების სახელით მოჭრილი ორდირჰემიანები (ქართ. ორთეთრიანი). გიორგი ბრწყინვალის მეფობის სინქრონული ილხანების ორდირჰემიანების წონა 3.50 გრ-ია (Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика, გვ. 88), კონკრეტულად, აბუ-საიდის (1316 - 1333 წწ.) ორდირჰემიანი სწორედ ამ სტანდარტებით იჭრებოდა, მჭიდროდ უახლოვდება ხუთ დანგს. ივ. ჯავახიშვილის გამოანგარიშებით, 4 ცერცვის მარცვალი = 1 დანგს, 1 ცერცვის მარცვალი = 1 კერატს, 1 კერატი = 0.178 გრ-ს. აქედან 1 დანგი = 0.178 გრ. X 4 = 0.712, რის მიხედვითაც ხუთდანგიანი მონეტის წონა 3.55 გრ-ია (ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 31, 97 - 98). მაგრამ აქ არის ერთი ნიუანსი: კანონმდებელმა ძალიან კარგად იცის, რომ დროთა განმავლობაში ილხანების ფულის წონა და სინჯი ეცემა, ამიტომ ის ეტალონად აწესებს 3.50 გრ-იან, ე.ი. აბუ-საიდის სახელით მოჭრილ ორდირჰემიანს (ორთეთრიანს) და იქვე დასძენს: „როგორცა თეთრი იყოს ანგარიშად იმა წესითა აიღებოდეს“. ეს არის ბედნიერი შემთხვევა, როდესაც წყაროში ყველაფერი განმარტებულია.

დასკვნის სახით ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას შემდეგი: 1. ბექა-აღბუღას სამართლის შესავალში იგულისხმება არა გიორგი ბრწყინვალის მიერ მოჭრილი ეროვნული მონეტა, არამედ ფულის ის ნიშნები, რომლებიც საქართველოში ბრუნავდა მისი მეფობის პერიოდში, სახელდობრ უკანასკნელი ილხანების სახელით მოჭრილი მონეტები. 2. აღბუღას მიერ სისხლის საზღაურად დაწესებული **ორიანი ხუთი დანგის წონის** წმინდა ვერცხლის მონეტა შეიძლება შევუპირისპიროთ ილხანების ორდირჰემიანებს. 3. სპეციალურ ლიტერატურაში „გიორგაულად“ მიჩნეული მონეტების მოჭრა გიორგი ბრწყინვალის მიერ სრულებით არ არის გამორიცხული, მაგრამ თუ ამოსავალად აღბუღას სამართლის ცნობებს მივიღებთ, ამ მონეტების „გიორგაულად“ მიჩნევის საკითხი თავისთავად მოიხსნება, რადგან იქ აშკარად სხვა ფულია ნავარაუდევი. 4. დღესდღეობით ამ მონეტების მიკუთვნება გიორგი VII-ის მეფობის პირველი წლებისთვის, ე.ი გიორგის და აჰმედის სახელით აღბეჭდილი მონეტის მოჭრამდე (1400 - 1401 წწ.), უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

რამდენად მისაღებია ეს დასკვნები? როგორც ცნობილია, გიორგი ბრწყინვალის მეფობის ხანაში საქართველოს ზარაფხანებში არც ერთი წელი არ შეწყვეტილა ილხანების სახელით მოჭრილი საერთო ჰულაგუიდური ტიპის მონეტების გამოშვება. მსოფლიოს მეტად თუ ნაკლებად დიდ საცავში (ბრიტანეთის მუზეუმი, ერმიტაჟი, ნიუ-იორკის მუზეუმი, მოსკოვის ისტორიული და საქართველოს ეროვნული მუზეუმები) ეს ნუმიზმატიკური ნიშნები დიდ რაოდენობით არის დაცული (მათი საინვენტარო ნომრები იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV ს. საქართველოში, გვ. 50 - 51). დიდი რაოდენობითაა ისინი ცნობილი ლიტერატურიდანაც (ბიბლიოგრაფია იხ. იქვე). მათი შესწავლა ამტკიცებს, რომ

საქართველოს ზარაფხანებში გიორგი ბრწყინვალის თანამედროვე ყველა ყაენის სახელით (მარიონეტების სახელითაც კი) მოჭრილია ვერცხლის ფულები. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია აბუ-საიდის სახელით თბილისში მოჭრილი სპილენძის მონეტები (ქმძფ. №№ 523, 2379, 3368, 3369). ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. როგორც ჩანს, ამ დროს საქართველოში არათუ ვერცხლის, არამედ სპილენძის მონეტებიც კი ილხანთა სახელით იჭრება. სამწუხაროდ, თარიღი არც ერთ მათგანზე არ იკითხება, და ამდენად გაუგებარია აბუ-საიდის ილხანობის რომელ პერიოდს ეკუთვნის სპილენძის მონეტების ემისია თბილისის ზარაფხანაში, რასაც საკითხისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

რით ავხსნათ ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტი? ვთქვათ, საქართველოს ერთიანობის აღდგენამდე გიორგი ბრწყინვალეს აბუ-საიდის სახელით რომ მოეჭრა მონეტა, ამაში არაფერია გასაკვირი. მაგრამ რატომ ჭრის გაერთიანებული ძლიერი ქვეყნის მეფე მონეტებს მარიონეტების სახელით?

დავუშვათ, რომ გიორგი ბრწყინვალე პარალელურად საკუთარ მონეტასაც ჭრის, რომლის წონა, აღბუღას მიხედვით, 3.5 გრ-ს აღემატება. მაშინ გამოდის, რომ ერთსა და იმავე ხანებში საქართველოს ზარაფხანებში ორი სრულფასოვანი მონეტა იჭრება, ორდირჰემიანი (ქართ. ორთეთრიანი) მონეტა ილხანის სახელით და ორთეთრიანი წმინდა ვერცხლის მონეტა გიორგი ბრწყინვალის სახელით. და ეს ხდება XIV ს-ის 30-იან წწ-ში, როდესაც თვით ჰულაგუიდური მონეტების წონა საგრძნობლად კნინდება (Г. А. Федоров-Давыдов. К вопросу о денежном курсе золота в Иране и Средней Азии в XIV в. КСИИМК. вып. 66. М. 1956). ვერცხლის რამხელა მარაგი იქნებოდა ამისთვის საჭირო? როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, საქართველოში ილხანთა სახელით მოჭრილი მონეტები დიდი რაოდენობით არის ცნობილი. თუ ამოვალთ აღბუღას სიტყვებიდან, გიორგი ბრწყინვალესაც კოლოსალური რაოდენობით უნდა მოეჭრა თავისი სრულფასოვანი ფულადი ერთეული, რადგან აღბუღა XIV ს-ის 80-იან წლებშიც კი მას სისხლის საზღაურად აწესებს, თანაც 6000 და 12000 ფარგლებში (ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 333 და სხვ.). ნუმიზმატიკური მეცნიერება არ იცნობს ასეთ პარალელურ ემისიებს, მით უმეტეს, ერთი და იმავე ლითონზე დაფუძნებულს.

დასასრულს, ერთი მეტად სიმპტომატური ფაქტიც. საქართველოს ტერიტორიაზე XIV ს-ის მონეტათა განძების აღმოჩენის ოცდაშვიდი შემთხვევა არის აღრიცხული (საკითხის შესახებ და ბიბლიოგრაფია იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 52). უმეტესობა ამ განძებისა რამდენიმე ასეულ მონეტას ითვლიდა. მათ შემადგენლობაში დიდი რაოდენობით არის მოხვედრილი გიორგი ბრწყინვალის თანამედროვე ყველა ილხანის სახელით მოჭრილი მონეტა, ისეთისაც კი, რომელიც მხოლოდ ერთი წლით იყო ტახტზე (მაგ. სათი ბეგი. იხ. გფ. № 7494) და მეტად ხანმოკლე დროის განმავლობაში აწარმოებდა სამონეტო ემისიას. ბუნებრივია, დაისვას კითხვა: რატომ არ მოხვდა ამ განძების შემადგენლობაში გიორგი V-ის თუნდაც ერთადერთი **ხუთდანგიანი** მონეტა, რომელიც

სინქრონულად უნდა ყოფილიყო მიმოქცევაში, და რომელსაც, თუ ვიმსჯელებთ აღბუღას სამართლის მიხედვით, XIV ს-ის 80-იან წლებამდეც კი უნდა ეცოცხლა?! არ გვგონია, რომ ეს ფაქტი შემთხვევით ხასიათს ატარებდეს. მაშ, რა ახსნა უნდა მოეძებნოს მას?

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ აღმოსავლური წყაროები აღნიშნავს საქართველოს მიერ მონღოლთა სასარგებლოდ ხარკის გადახდის ფაქტს ქვეყნის გაერთიანების შემდეგაც. ეს იმის მანიშნებელია, რომ საქართველო რაღაც ფორმით მაინც დამოკიდებულია მონღოლებზე. ეს საკითხის პოლიტიკური ასპექტია, მაგრამ აუცილებელია გავითვალისწინოთ **ეკონომიკური** მომენტიც. ეხებოდა რა მონღოლთა მბრძანებლის ყაზან ყაენის (1295 - 1304 წწ.) მიერ სამონეტო საქმის უნიფიკაციას, მისი თანამედროვე რაშიდ-ად-დინი აღნიშნავდა: «Даже в Грузии, где никогда не чеканили монету во имя бога и посланника (его), **стали по необходимости (ее) чеканить, ибо (другие монеты) помимо нее не имели (нигде) хождения,** так что тем местам тоже пришлось чеканить эту монету, хотя они (грузины) и не признают власти (Газан-хана), а **иначе их деньги нигде не принимали»** (Рашид-ад-дин. Джами-ат-Таврих. Т. III. Составитель научно-критического текста на персидском языке Абдул-Керим Али Оглы Али-Заде. Баку. 1957, გვ. 280).

მართალია, რაშიდ-ედ-დინის ეს სიტყვები უშუალოდ გიორგი ბრწყინვალის მეფობის ხანას არ ეკუთვნის, მაგრამ მისგან დროის არც თუ ისე დიდი მონაკვეთით არის დაშორებული და ამდენად მათ შეუძლია გარკვეული დახმარების გაწევა. მოტანილ ფრაგმენტში გარკვევითაა ნათქვამი ქართველების მიერ საერთო ჰულაგუიდური ტიპის მონეტის მოჭრის მიზეზის შესახებ. იმის გამო, რომ საქართველო არ მოქცეულიყო ეკონომიკურ ბლოკადაში, არ მოწყვეტილიყო მაშინდელ სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებს, მისი მესვეურები იძულებულნი იყვნენ გადაედგათ ეს ნაბიჯი. გიორგი ბრწყინვალე, როგორც თავისი დროის შესანიშნავი პოლიტიკოსი, მით უმეტეს, არ დაადგებოდა საქართველოს მახლობელ აღმოსავლეთისგან ეკონომიკურად მოწყვეტის გზას. ალბათ, ამიტომაც არის, რომ მის დროს საქართველოს ზარაფხანებში არც ერთი წელი არ შეწყვეტილა ილხანების სახელით მოჭრილი მონეტების ემისია

რაშიდ ედ-დინის ზემომოყვანილ ციტატაზე დაყრდნობით, საქართველოს ზარაფხანებში XIV ს-ის I ნახევარში ილხანების სახელით მოჭრილი ნუმიზმატიკური მემკვიდრეობა დ. კაპანაძემ ქართულად გამოაცხადა (Д. Г. Капанадзе. Продолжительность и характер монгольского владычества в Грузии по нумизматическим данным. Советская археология. М. 1964. № 2, გვ. 63 - 78). ჩვენ უფრო მეტსაც ვიტყვით: სწორედ ეს ფულადი ნიშნები უნდა ივარაუდებოდეს ბექა-აღბუღას სამართალში, და თუ ტერმინი „გიორგაული“ ჯერ კიდევ XIV ს-ში ჩაისახა, მის ქვეშ მაინცდამაინც საქართველოს ზარაფხანებში ილხანების სახელით მოჭრილი მონეტები იგულისხმება. მაგრამ ავტორს უნდა გაეთვალისწინებია ისიც, რომ ასეთი მტკიცება თავისთავად გამორიცხავს გიორგი ბრწყინვალის მიერ საკუთარი, ეროვნული ხასიათის **ხუთდანგიანი მონეტის** მოჭრის შესაძლებლობას. განსხვავებული ერთეულის

„გიორგაულად“ გაიდენტურების უფლება კი ჩვენ არ გვაქვს იმდენად, რამდენადაც ქართული ისტორიოგრაფიის ამოსავალი ამ საკითხში ბექა-აღბუღას კანონთა კოდექსია, სადაც პირდაპირ არის მითითებული მონეტის ნომინალი და წონა. დღესდღეობით კი ბექა-აღბუღას სამართალში ნავარაუდევ ერთეულს ილხანების სახელით მოჭრილი ორდირჰემიანების (ორთეთრიანის) გარდა სხვა არც ერთი მონეტა არ შეესიტყვება.

1969 წ-ს გამოიცა დ. კაპანაძის წიგნი „ქართული ნუმიზმატიკა“. აქ მისი პოზიცია ადრე მის მიერ „გიორგაულად“ მიჩნეულ მონეტებთან დაკავშირებით უკვე კატეგორიული აღარ არის, თუმცა ის ბოლომდე უარს არ ამბობს თავის მოსაზრებაზე. ის წერს: „არ უნდა გამოირიცხოს შესაძლებლობა . . . რომ უნიფიცირებულ მონეტასთან ერთად სახელოვან მეფეს ტიპოლოგიურად მსგავსი, მაგრამ ეროვნული ხასიათის მონეტა გაეჩინა. ზემოთ აღნიშნულის გამო, მიუღებელი არ იქნებოდა, რომ აღწერილი მონეტა სწორედ „გიორგაულის“ ერთ-ერთ სახეობად გამოშვებულიყო“ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 117). დ. კაპანაძის ამ ვარაუდს ჩვენ უკომენტაროდ ვტოვებთ.

დაბოლოს, კიდევ ერთი უტყუარი ისტორიული ფაქტი, რომელიც აშკარად მიუთითებს, რომ გიორგი ბრწყინვალეს არასდროს მოუჭრია ეროვნული ხასიათის მონეტა. ეს ფაქტი ამ კუთხით, ჯერჯერობით, არავის განუხილავს.

ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, ალაგირსა და ყარჯინში, პირველში 1338 - 1339 წწ-ში, ხოლო მეორეში – 1348 - 1350 წწ-ში, იჭრება საერთო ჰულაგუიდური ტიპის მონეტები (ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, გვ. 99). ერთი შეხედვით, ეს პარადოქსული ფაქტია, რადგან აღნიშნული ტერიტორია ოქროს ურდოს გავლენის სფეროა. რატომ მოიჭრა აქ მონეტები ჯუჩიდების მოსისხლე მტრის – ჰულაგუიდების სახელით?! ეს ფაქტი დამაჯერებლად ახსნა ც. ღვაბერიძემ (ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, გვ. 90 - 100).

როგორც ცნობილია, ოვსთა განდევნა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან გიორგი ბრწყინვალის ერთ-ერთი კარდინალური ამოცანა იყო, რასაც მან წარმატებით გაართვა თავი. გიორგი V-მ არა თუ „განსხნა“ ოვსნი ქართლიდან, არამედ საკუთრივ ოსეთიც დაიმორჩილა. ამას ადგილი 1337 - 1338 წწ-ში უნდა ჰქონოდა (ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, გვ. 97). ც. ღვაბერიძის აზრით, „ . . . ოსეთის საქართველოს სამეფოსთან შემოერთების პირდაპირი შედეგია ჯერ ალაგირში 1338 - 1339 წწ-ში და შემდეგ ყარჯინში 1348 - 1350 წწ-ში ზარაფხანის ამოქმედება . . . ვინაიდან საქართველო გიორგი ბრწყინვალის დროს ნომინალურად ითვლებოდა ილხანთა ვასალად და თბილისის ზარაფხანაში მათი სახელით იჭრებოდა მონეტები, კანონზომიერია, რომ ოსეთშიაც გიორგი ბრწყინვალის და შემდეგ მისი მემკვიდრის დავით IX (1346 - 1360 წწ.) დროს საერთო ჰულაგუიდური ტიპის მონეტები მოჭრილიყო. ეს გიორგი V დიპლომატიური ნაბიჯის შედეგი იყო“ (ც. ღვაბერიძე.

საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, გვ. 99).

ქართველი მეფეების ამ აქციას, როგორც ჩანს, მოჰყვა ჯუჩიდების სარევანშო ლაშქრობა. მათი ჯარი საქართველოში შემოსულა (დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ შემდეგ პარაგრაფებში ვისაუბრებთ).

დაბოლოს, კიდევ ერთი ფაქტი: ცნობილია ილხან აბუ-საიდის სახელით თბილისში მოჭრილი სპილენძის 2 მონეტა სტანდარტული არაბული ზედწერილით, რომელთა შუბლის არეზე თითქოს მოთავსებულია ქართული მხედრული ასო – გ, რასაც გიორგი ბრწყინვალეს უკავშირებენ (ტაბ. II, № 12) (ც. ღვაბერიძე. ილხანთა ირანის სპილენძის ფულის კატალოგი. თბ. 1994, გვ. 17, 134 - 135). თუ ეს ასეა, მაშინ ცხადია, რომ არა თუ ვერცხლის, არამედ სპილენძის მონეტებზეც კი ქართველ მეფეს სრულად თავისი სახელის მოთავსების უფლება არ ჰქონია (გ. დუნდუა, ირ. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, გვ. 39).

საქართველოს და ოქროს ურდოს ურთიერთობა XIV საუკუნეში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით

საქართველოს და ოქროს ურდოს ურთიერთობა ჯერ კიდევ ურდოს პირველი ხანის – ბათუს დროიდან (1227 - 1255 წწ.) იწყება: რუსუდანის მიერ არსენ მწიგნობართუხუცესის მივლინება ჩრდილოეთ ულუსში მონღოლ-ქართველთა შორის საზავო შეთანხმების საბოლოო გამორკვევისათვის (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. III. თბ. 1941, გვ. 23), დავით ნარინის და დავით ულუს გამგზავრება ურდოში ტახტზე დასამტკიცებლად (ჟამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1959, გვ. 206, 218 - 220), დავით ულუს წასვლა „ . . .წინაშე ბათოსა . . . რომელსა ეპყრა ყივჩაყეთი და ოსეთი, ხაზარეთი, რუსეთი და ბორღალეთი . . . ნიჭითა უზომოთა“ (ჟამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება. II., გვ. 229) და აშ. ეს გასაგებიცაა, რადგან თავდაპირველად საქართველო ჯუჩის ულუსს ემორჩილებოდა.

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა 1256 წ-დან, როდესაც საქართველო ჰულაგუ ყაენის და მისი მემკვიდრეების სამფლობელოში შევიდა. ამიერიდან ოქროს ურდოსთან „მეგობრულ“ კავშირს და ურთიერთობას საფუძველი ეცლება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს კავშირი არ წყდება. პირიქით, ქართველი პოლიტიკოსები შესანიშნავად იყენებდნენ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ამტყდარ ქიშპს და ჩრდილოეთი ულუსისთვის დარიალანის კარის გახსნის მუქარით ხშირად ჰულაგუიდების მხრიდან

კომპრომისებს აღწევდნენ (კონფლიქტი ჰულაგუ ყაენსა და დავით ულუს შორის, „ურჩი“ დავითის (1293 - 1311 წწ.) მთელი მოღვაწეობა).

მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს და ოქროს ურდოს ურთიერთობის შესახებ XIV ს-ის ქართულ წყაროებში არაფერი მოიძებნება. ეს ფაქტი მით უფრო იწვევს გაოცებას, რომ, როგორც **ნუმიზმატიკური მასალა ეჭვმიუტანლად ადასტურებს,** აღებულ ხანაში ოქროს ურდოს და საქართველოს მჭიდრო სავაჭრო და, გარკვეულ პერიოდში, **პოლიტიკური** ურთიერთობაც აკავშირებდა. უფრო მეტიც: XIV ს-ის 50-იან წწ-ში, როგორც ჩანს, საქართველო ხანმოკლე დროით ჯუჩის ულუსის გავლენის სფეროშია მოქცეული და, შესაძლებელია, ოქროს ურდოს არმიამ, საქართველოს ხელისუფლების თანხმობით, ან თვითნებურად, თბილისზედაც კი გაიარა (გ. დუნდუა. ერთი ფურცელი საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობის ისტორიიდან XIV საუკუნეში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით. ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ. 1976, გვ. 319 - 323).

მივმართოთ ფაქტებს: **1.** საქართველოს და ოქროს ურდოს ეკონომიკური ურთიერთობის თვალნათლივი ილუსტრაციაა ძველი საბაჟოს, ალის (ხაშურის რ-ნი) (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. I. თბ. 1964, გვ. 23, 191) მიდამოებში აღმოჩენილი სამონეტო კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში XIV ს-ის 200-ზე მეტი ჯუჩიდური მონეტაც შედიოდა. მათი ემისიის ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1310 - 1380 წწ. ცხადია, ალის განძში ასეთი რაოდენობით ჯუჩიდური მონეტების თავმოყრა არ ატარებს სპორადულ ხასიათს. ეს უნდა აიხსნას ამ ორი პოლიტიკური რეგიონის ინტენსიური ეკონომიკური (აგრეთვე სხვა ხასიათის) კავშირ-ურთიერთობით, რომელიც, თ. ლომოურის შესანიშნავი მონოგრაფიული გამოკვლევის თანახმად, ამ ხანებში მხოლოდ და მხოლოდ დარიალანის გზით უნდა წარმართულიყო (თ. ლომოური. საქართველოს და ოქროს ურდოს შორის ურთიერთობის საკითხისათვის XIV ს. (ალის განძის ჯუჩიდური ფულები). კრ. ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში, გვ. 118 - 135). თ. ლომოურის აღნიშნულ წერილს ამ წიგნის ერთ-ერთი ავტორი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წწ-ში გაეცნო. მაშინაც და ახლაც ჩვენ მთლიანად თ. ლომოურის ატრიბუციას ვეყრდნობით (იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 26). **2.** ჩრდილოეთ ულუსის და საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის უტყუარი საბუთია თბილისის ზარაფხანაში მონეტების ემისია ჯანიბეკის (ჰიჯრ. 757 = 1356 წ.) და ბერდიბეკის სახელით (წელი დაუდგენელია).

ეს უკანასკნელი ფაქტი ყოველმხრივ განხილვას და სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. ჩვენი აზრით, თბილისის ზარაფხანაში ჯუჩიდების სახელით სამონეტო რეგალიის განხორციელება შეიძლება სხვა კუთხით გაშუქდეს, ვიდრე ადრე იყო მოცემული ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში.

გადავდივართ ამ უიშვიათესი ცალების აღწერაზე.

ა) ჯანიბეკ ხანი. თბილისი. ჰიჯრ. 757 (= 1356 წ.). საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ქართული მონეტების ძირითადი ფონდი № 4795. წ. – 1 გრ. ზ. – 14/15 მმ.

შუბლი – ორსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „სულთანი სამართლიანი/ჯანიბეკ ხანი“. ირგვლივ ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი.

ზურგი – ექვსფურცლოვან ვარდულში, არაბულად: „იჭედა/თბილისს/წელსა/757“. ირგვლივ ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი (სამონეტო ტიპისთვის იხ. ტაბ III, № 13).

ბ) იდენტური. ქმძფ. № 4796. წ. – 1.01 გრ. ზ. – 15 მმ.

შუბლი – არაბულად: „სულთანი სამართლიანი/ . . . ხანი“.

ზურგი – ექვსფურცლოვან ვარდულში, არაბულად: „იჭედა/თბილისს/წელსა/757“.

გ) ბერდიბეკ ხანი. თბილისი. წელი? ზ. – 10/14 მმ.

შუბლი – მონეტის ცენტრში არაბულად: „სულთანი/ბერდიბეკ ხანი“. სეგმენტებში: „იჭედა თბილისს . . .“

ზურგი – კვადრატში: „არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა ერთისა,/ მუჰამედი/მოციქულია ალაჰისა“. სეგმენტებში: ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას სახელი.

მონეტა მომდინარეობს სომხეთში 1912 წ. აღმოჩენილი განძიდან და ინახება ერმიტაჟში (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 190; Клады . . ., I, გვ. 58, № 160; Г. А. Федоров-Давыдов. Клады Джучидских монет. НЭ. I. 1960, გვ. 153, № 130).

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტი, სამწუხაროდ, ჩვენამდე არავის გაუხდია სპეციალური კვლევის საგნად (იხ. გ. დუნდუა. ერთი ფურცელი საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობის ისტორიიდან XIV საუკუნეში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 319 - 323; მისივე. Взаимоотношения Грузии с Золотой Ордой в XIV веке по нумизматическим данным. კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა. თბ. 2010, გვ. 149 - 150). მკვლევართა უმრავლესობა დუმილით უვლიდა (და დღესაც უვლის) მას გვერდს, მცირე ნაწილი კი ფაქტის კონსტატაციით და იმის აღნიშვნით კმაყოფილდებოდა, რომ ამ ხანებში საქართველო ოქროს ურდოს გავლენას განიცდიდა (იხ. მაგ. Е. А. Пахомов. Борьба феодальных династии за восточное Закавказье с половины XIV в. до начала XV в. по монетным данным, გვ. 47 - 50; მისივე. Монеты Грузии, გვ. 170; М. А. Сейфеддини. Монетное дело в Азербайджане в XII - первой половине XV вв. (автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Баку. 1970, გვ. 60 - 61).

გამონაკლისია დ. კაპანაძე, რომელიც შეეცადა ზოგადად შეეფასებინა ეს ფაქტი. ის აღნიშნავდა: „ . . . ასეთი მონეტები შეიძლება გაჩენილიყო ჩრდილო და სამხრეთ ულუსებს შორის სწორედ ამ დროს მომხდარ კონფლიქტსა და **ჩრდილო ულუსის ლაშქრისათვის ამიერკავკასიის ტერიტორიაზე (დარიალის ხეობით) საქართველოს მთავრობის დახმარების გაწევასთან დაკავშირებით**“ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 119). და შემდეგ: „ჰულაგუიდთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ამიერკავკასიაში თავისი გავლენის გასამტკიცებლად ერთმანეთს შეეჯახა ოთხი მოწინააღმდეგე (ჩრდილო ულუსიდან – ჯანიბეკი, ბერდიბეკი, ჯობანიდები – ჰასან ქუჩუკი, აშრაფი, ჯელაირნი – შეიხ-ოვეისი, აჰმედი და მუზაფარიანი მუფარიზ

ედ-დინი). ასეთ რთულსა და არეულ პირობებში იმ დროს ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი საქართველოს გადაკიდება არც ერთ მოქიშპეს ხეირს არ დააყრიდა. თავის მხრივ, გაუთავებელი ბრძოლით დაქანცული საქართველოც ომიანობას ერიდებოდა და მოქნილი პოლიტიკის შედეგად მათთან კეთილი დამოკიდებულების დამყარებას ცდილობდა. ალბათ, ამ მიზეზის გამო, იმისდა მიხედვით, თუ რომელ მხარეს იხრებოდა უპირატესობა და გამარჯვება, საქართველოში სათანადო მონეტა იჭრებოდა (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 120; იხ აგრეთვე, Д. Г. Капанадзе. Комментарии к книге Е. А. Пахомова «Монеты Грузии». Тб. 1970, გვ. 316 - 317).

რა შეიძლება ითქვას დ. კაპანაძის ზემომოყვანილ მოსაზრებებთან დაკავშირებით?

პირველი ვარიანტი, ჩვენი აზრით, ნაკლებად რეალურია. დავუშვათ, რომ საქართველოს მთავრობამ მართლაც მისცა უფლება ოქროს ურდოს ლაშქარს გაევლო საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ თბილისის ზარაფხანაში მონეტების ემისია ჯანიბეკის და ბერდიბეკის სახელით აქ რა შუაშია? რაც შეეხება საქართველოს დიპლომატიურ ქმედებას, რაც გამოიხატა მონეტების ემისიით უცხო სახელმწიფოს მმართველთა სახელით, ეს დასაშვები ვარაუდია, თუმცა ჩვენ სხვა პოზიციაზე ვდგავართ.

როგორც ცნობილია, აბუ-საიდის (1316 - 1333 წწ.) გარდაცვალების შემდეგ ილხანების სახელმწიფო დაიშალა და აზერბაიჯანი ხელში ჩობანიდებმა (ჯობანიდებმა) ჩაიგდეს. აქ მათ სასტიკი რეჟიმი დაამყარეს. ამით შეწუხებული ქვეყნის მესვეურნი ოქროს ურდოს ხანს ჯანიბეკს სთხოვდნენ აზერბაიჯანის შეერთებას ჩრდილოეთ ულუსთან. ჯანიბეკი (1342 - 1357 წწ.) აზერბაიჯანის მიმართ ოქროს ურდოს ტრადიციულ პოლიტიკას ახორციელებდა. მან, წერილობითი წყაროების ცნობების თანახმად, ჰიჯრ. 758 წ. (= 1357 წ.) დაამარცხა მელიქ აშრაფი, აიღო თავრიზი და მოკლე ხნით აზერბაიჯანი ჯუჩის ულუსს შეუერთა (ამ საკითხის შესახებ დაწვრილებით იხ. Б. Д. Греков, А. Ю. Якубовский. Золотая орда и ее падение. М. - Л. 1950, გვ. 263 - 265). **ამ ლაშქრობის შედეგად თავრიზის (აგრეთვე აზერბაიჯანის სხვა ქალაქების) ზარაფხანამ ჰიჯრ. 757 წ. (1356 წ.) მოჭრა ვერცხლის მონეტები ჯანიბეკის სახელით**. აქ წყაროების ჩვენებასა და ნუმიზმატიკურ მასალას შორის ერთგვარი წინააღმდეგობაა: წყაროები ჯანიბეკის ლაშქრობის თარიღად 758 წ. დებს, ხოლო მონეტების მიხედვით ეს 757 წ. უნდა მომხდარიყო. როგორც ჩანს, ნუმიზმატიკურმა მასალამ მეტი ობიექტურობით ასახა ეს ფაქტი, ვიდრე წერილობითმა წყაროებმა. **უმთავრესი აქ მაინც ის არის, რომ თბილისის ზარაფხანა იმავე 757 წ. ახორციელებს სამონეტო ემისიას ჯანიბეკის სახელით**. განა შესაძლებელი იქნებოდა სინქრონულად ამ ღონისძიების გატარება აზერბაიჯანის ქალაქებსა და თბილისში, რომ საქართველოზე ამ დროს არ გაევლო ოქროს ურდოს ლაშქრის ერთ ნაწილს? ჩვენი აზრით, არა. განა ჯანიბეკის სახელით მონეტის მოჭრა თავრიზის ზარაფხანაში ქალაქის ოკუპაციის შემდეგ არ განხორციელდა?

ახლა, თუ გავიხსენებთ იმ ფაქტსაც, რომ გიორგი ბრწყინვალემ 1337/8 წწ. დაიმორჩილა ჩრდილოეთ ოსეთი და ქართველმა მეფეებმა ოქროდ ურდოს გავლენის სფეროს ტერიტორიაზე, კერძოდ, ალაგირსა და ყარჯინში მონეტები ილხანების სახელით მოჭრეს (1338/9, 1348/50 წწ.), მაშინ სრულიად აშკარა გახდება, რომ ჯუჩიდებმა საქართველოს წინააღმდეგ სარევანშო ლაშქრობა მოაწყვეს და თბილისის ზარაფხანაში საკუთარი სახელით მონეტები მოჭრეს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯანიბეკმა მელიქ აშრაფის წინააღმდეგ ორი მიმართულებით აწარმოა საომარი ოპერაცია: დარუბანდის გადასასვლელით (ეს თავისთავად ცხადია) და დარიალანის კარით თბილისზე გავლით (ასეთივე აზრი გამოთქვა ივ. ჯავახიშვილმა ოქროს ურდოს ხანის თოხთამიშის ლაშქრობასთან დაკავშირებით 1385 წ., რომელიც შეშფოთებული იყო თემურ-ლენგის მიერ ჩრდილოეთ სპარსეთის პროვინციების დაპყრობით. ოქროს ურდოს ორი გზით ულაშქრია თემურის წინააღმდეგ: დარუბანდის და დარიალის კარით. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ამ კარით გადმოსვლა თოხთამიშს შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მესვეურებს შეუთანხმდებოდა. იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. III. თბ. 1941, გვ. 182. იმავე შეხედულების იზიარებდა თ. ლომოურიც. იხ. თ. ლომოური. საქართველოს და ოქროს ურდოს შორის ურთიერთობის საკითხისათვის XIV ს. (ალის განძის ჯუჩიდური ფულები). კრ. ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში, გვ. 135).

ამრიგად, ჯუჩიდებს XIV ს-ის 50-იან წწ. მცირე ხნით უნდა სჭეროდათ საქართველოს დედაქალაქი. 758 წ. თბილისის ზარაფხანა დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ცვლილებებს, ოქროს ურდოს პოლიტიკურ ცხოვრებაში რომ მოხდა.

ჯანიბეკი აზერბაიჯანში დიდხანს არ დარჩენილა. აქ მან მოადგილედ თავისი შვილი ბერდიბეკი დატოვა და სარაისაკენ გასწია. გზაში ის ავად გახდა. ბერდიბეკი სასწრაფოდ გამოცხადდა მთავარ ბანაკში და სახელმწიგო გადატრიალება მოახდინა (Б. Д. Греков, А. Ю. Якубовский. Золотая орда и ее падение, გვ. 269 - 270). ეს პოლიტიკური აქცია დაუყონებლივ აისახა თბილისის ზარაფხანის მიერ ბერდიბეკის სახელით მოჭრილ ვერცხლის ფულებზე. მართალია, მონეტაზე წელი წაშლილია, მაგრამ იქ რომ 758 წ. უნდა ყოფილიყო ამოკვეთილი, ეს დავას არ იწვევს (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 190, სქ.). საეჭვოა, ეს რეგალია ასე სასწრაფოდ საქართველოს ხელისუფლებას საკუთარი ნება-სურვილით, ან რაღაც დიპლომატიური მოსაზრებით განეხორციელებინოს. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ბერდიბეკის მიერ აზერბაიჯანში დატოვებული ვეზირი ახიჩუკი პატრონის წასვლისთანავე სათავეში ჩაუდგა სიკვდილით დასჯილი აშრაფის მომხრეებს და დაუყოვნებლივ გააჩაღა ბრძოლა ოქროს ურდოს წინააღმდეგ (Е. А. Пахомов. Борьба феодальных династии за восточное Закавказье . . . , გვ. 48).

* * *

როგორც უკვე ზემოთ დავრწმუნდით, გიორგი ბრწყინვალის და, როგორც ჩანს, მისი მემკვიდრის, დავით IX-ის (1346 - 1360 წწ.) დროს საქართველოს ზარაფხანებში მონეტები იჭრება მხოლოდ და მხოლოდ უკანასკნელი ილხანების სახელით. ისმის კითხვა, ახორციელებდნენ თუ არა ქართველი მეფეები სამონეტო რეგალიას XIV ს-ის II ნახევარში საკუთარი სახელით?

დ. კაპანაძე ცდილობდა ეროვნული ემისიები მოეძებნა ვერცხლის ანონიმური სერიის მონეტებში, რომელთაც ის წონის, ზომის, ფაქტურის და სხვა მაჩვენებლების გათვალისწინებით, XIV ს-ის II ნახევარს აკუთვნებდა (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 118 - 119). ვიძლევით მათ აღწერილობას:

შუბლი – ცენტრში ხაზოვანი რკალით შემოვლებული ფრინველის (მტრედი(?)) გამოსახულება, რომელსაც ირგვლივ შემოვლებული აქვს დამახინჯებული არაბული ზედწერილი.

ზურგი – მორკალულ კვადრატში მოთავსებულია სამსტრიქონიანი დამახინჯებული არაბული ზედწერილი, რომელიც მუსლიმურ რელიგიურ სიმბოლოს მოგვაგონებს. სეგმენტებში გაურკვეველი ნიშნებია.

დ. კაპანაძის მიხედვით, ამ მონეტების რამდენიმე ვარიანტია ცნობილი. ზოგიერთ მათგანზე ფრინველის ნაცვლად რაიმე ცხოველია გამოსახული – მაგ. ლომი ან ჯიხვი. უკანასკნელ შემთხვევაში უფრო მეტად დამახინჯებული მუსლიმური ზედწერილების მოხაზულობა სხვა არის და ჩვეულებრივ რელიგიურ სიმბოლოს არ ჰგავს (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 118, №№ 136 - 137). და შემდეგ: დ. კაპანაძე თვლიდა, რომ ჯიხვის გამოსახულებიანი მონეტების 2 თუ 3 ცალზე, გამოსახულების ირგვლივ, ასომთავრული წარწერის ძალიან მცირე ნაწილია გადარჩენილი, რომელიც თითქოს ბაგრატის სახელში შემავალ ასოებს შეიცავს, მაგრამ ეს მხოლოდ წინასწარი დაკვირვებაა და თუ შემდეგში დადასტურდება, მაშინ ის შესაძლებელია ბაგრატ V (1360 - 1393 წწ.) მიეკუთვნოს (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 119, № 139).

დაბოლოს, დ. კაპანაძე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ალის განძის შემადგენლობაში ჯიხვის გამოსახულებიანი ორი მონეტაც შედიოდა, მაგრამ ამ ცალებს ქართული ზედწერილები არ ახლავს. ამ მონეტების წონა დაახლოებით 1.0 - 1.2 გრ. ფარგლებში მერყეობს და ამრიგად, XIV ს. შუა წლების საერთო-ჰულაგუიდური ტიპის მონეტათა წონას უახლოვდება.

რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით? მხოლოდ ის, რომ მათი ზუსტი ატრიბუცია შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ განხორციელდეს, როდესაც მომავალში ამ მიმართებით სათანადო ახალი მასალა დაგროვდება.

ზემოთ, სადაც საქართველოს და ოქროს ურდოს ურთიერთობის საკითხს ვიხილავდით, ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ბერდიბეკის მიერ აზერბაიჯანში მოადგილედ დატოვებულმა ახიჩუკმა უღალატა პატრონს და ხელთ იგდო

ძალაუფლება. მაგრამ მისი ბატონობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ხანმოკლე აღმოჩნდა. ჰიჯრ. 759 წ. (1357/58 წწ.) სპარსეთის ერაყი და აზერბაიჯანი ქალაქ თავრიზით დროებით დაიპყრეს მუზაფარიანებმა. შემდეგ კი ჯალაირ ჰასან ბუზურგის შვილი შეიხ ოვეისი ამარცხებს მუზაფარიან მუბარიზ ად-დინს და შეიპყრობს ახიჩუკსაც (ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, გვ. 46).

ჰასან ბუზურგმა ჰულაგუიდების სახელმწიფოზე ხელისუფლების გავრცელების შემდეგ, ჰიჯრ. 757 წ. დაიწყო ჯალაირთა სახელით სამონეტო ემისიის განხორციელება. საქართველოში ფულის მოჭრა ჯალაირებს დაექვემდებარა (ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, გვ. 47). ეს დასტურდება შეიხ ოვეისის სახელით თბილისში მოჭრილი ფულით. ე. პახომოვის ცნობის მიხედვით, თბილისში უკვე ჰიჯრ. 759 წ. (1357/58 წწ.) მისი სახელით იჭდება ვერცხლის მონეტა. მისი აღწერილობა ასეთია:

შუბლი – ორმაგ წრიულ არშიაში მოთავსებულია სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „სულთანი უმაღლესი, ოვეისი ბეჰადურ (გამარჯვებული) ხანი, განიგრძოს მეფობა მისი“. გარშემო: „იჭედა თბილისს, 759 წ.“

ზურგი – ორმაგ წრიულ არშიაში კვადრატულად ჩაწერილი მაჰმადიანური რწმენის ფორმულა. გარშემო ოთხი ხალიფას სახელი (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 190; ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, გვ. 48, № 36).

ც. ღვაბერიძის აზრით, შეიხ ოვეისის სახელით თბილისში მოჭრილი მონეტა ადასტურებს, რომ დავით IX-ის და ბაგრატ V-ის (1360 - 1393 წწ.) მეფობის დროს საქართველო მონღოლებს ემორჩილება (ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, გვ. 48).

ჰიჯრ. 766 წ. (1364 - 1365 წწ.) ჯალაირთა სახელმწიფოში დირჰემის ახალი ტიპი შემოიღეს (А. К. Марков. Каталог джелаиридских монет. СПБ. 1897, გვ. LVI). ამ ტიპის ფული თბილისის ზარაფხანაშიც მოიჭრა. ეს მონეტები ცნობილი გახცდა 1955 წ. ლენინგორის (ახალგორის) რ-ნის სოფ. ძუკატში აღმოჩენილი განძის წყალობით, რომელიც 83 ვერცხლის წვრილ მონეტას შეიცავდა (განძის შესახებ იხ. ირ. ჯალაღანია. XIV საუკუნის თბილური მონეტების ლენინგორის განძი. სმამ. ტ. XXII. № 2. თბ. 1959, გვ. 251 - 255). ვიძლევით სანიმუშო ცალის აღწერილობას:

ვერცხლი. წ. – 0.66 გრ. ზ. – 13/14 მმ.

შუბლი – სამი ნახევარწრისგან შედგენილ სამ ბუდეში არაბულად: „უვეისი სულთანი, დაე განიგრძოს მეფობა მისი“. ბუდეებს შორის შექმნილ არეზე მოჭრის ადგილი: „იჭედა თბილისს“. ბუდეების გარშემო უნდა იყოს თარიღი, რომელიც ლენინ-გორის განძის არც ერთ ეგზემპლარზე არ იკითხება.

ზურგი – ექვსი ნახევარწრისგან შედგენილ ბუდეში, რომელიც თავის მხრივ წერტილოვან ჩარჩოშია მოთავსებული, მუსლიმური სარწმუნოებრივი სიმბოლო: „არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა, მუჰამედი მოციქულია მისი“. სიმბოლოს თავზე –

ჩუქურთმა, რკალსა და ბუდეს შორის რაღაც ნიშნები, რომელიც განძის არც ერთ ცალზე არ იკითხება (სამონეტო ტიპისთვის იხ. ტაბ III, № 14).

ირ. ჯალაღანიას აზრით, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ეგზემპლარზე ემისიის თარიღი არ იკითხება, სავარაუდოდ, ისინი ჰიჯრ. 766 - 776 წწ. (1364 - 1375 წწ.) უნდა დათარიღდეს, რადგან ჰიჯრ. 766 წ. პირველად შემოიღეს მონეტის ეს ტიპი, ხოლო ოვეისი გარდაიცვალა ჰიჯრ. 776 წ. (ირ. ჯალაღანია. XIV საუკუნის თბილური მონეტების ლენინგორის განძი, გვ. 252).

გარდა ზემოაღწერილი ფულისა, ც. ღვაბერიძემ მიაკვლია შეიხ ოვეისის მონეტის ახალ ტიპს და მის სახესხვაობას. ამ მონეტებზე მოჭრის თარიღი არ არის აღნიშნული (ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, გვ. 48 - 49).

ვინაიდან ამ მონეტებს რაიმე პრინციპული სიახლე არ შეაქვს შეიხ ოვეისის „ნუმიზმატიკურ მოღვაწეობაში“, მათ აღწერას გვერდს ვუვლით. შევჩერდებით მხოლოდ ერთ დეტალზე. შეიხ ოვეისის ზოგ მონეტაზე დამღაა დაკრული. ის არაბულად გადმოგვცემს რელიგიურ ფორმულას: „ღმერთი ჩემი კმაყოფაა“. ასეთი წარწერა შეიხ ოვეისის მონეტაზე ჰიჯრ. 773 წლიდან (1371 - 1372 წწ.) ჩნდება (А. К. Марков. Каталог джелаиридских монет, გვ. LIX). საფიქრებელია, რომ თბილისში მოჭრილ მონეტებზე შეიხ ოვეისის ეს დამღა მისი მმართველობის დასასრულს არის შესრულებული (ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, გვ. 49).

გიორგი VII-ის მონეტებიდან ყველაზე საინტერესოა 1861 წ. თბილისის მიდამოებში აღმოჩენილი განძის შემადგენლობაში შემავალი ცალები (Е. А. Пахомов. Монетные клады . . . I, გვ. 59, № 163), რომლებიც ჯერ კიდევ იმავე წელს ვ. ლანგლუამ გამოაქვეყნა, მაგრამ მან ზედწერილები სწორად ვერ წაიკითხა. ამ მონეტების წონა მერყეობს 0.57 - 0.80 გრამებს შორის. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, **რომ პირველი, რომელმაც ყოველმხრივ შეისწავლა ეს მონეტები, ბოლომდე გამოამჟღავნა ვ. ლანგლუას შეცდომები და მოუძებნა მათ ვიწრო ქრონოლოგიური ჩარჩოები, იყო თ. ლომოური** (თ. ლომოური. აჰმედ ჯალაირისა და გიორგი VII-ის მონეტა, გვ. 137 - 140. ხსენებულ წერილს ამ სტრიქონების ერთ-ერთი ავტორი ხელნაწერში გაეცნო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წწ-ში. იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 28. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ც, ღვაბერიძე ამ მონეტების ემისიის განსხვავებულ თარიღს იძლევა, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ). ამაში მას დიდი დახმარება გაუწია 1925 წ. ხაშურის რ-ნის სოფ. ალში აღმოჩენილმა ფულადმა განძმა, რომელიც 471 ცალ ვერცხლის მონეტას შეიცავდა, აქედან 249 – ჩვენთვის საინტერესო მონეტაა (ალის განძის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით სათანადო ადგილას. მონეტების ატრიბუცია თ. ლომოურს ეკუთვნის). ვიძლევით სანიმუშო ცალის აღწერილობას:

შუბლი – ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „სულტან ა/ჰმედ, ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი,/ მეფე გამარჯვებული გიორგი,/იჭედა თბილისს“.

ზურგი – ორმაგ ხაზოვან კვადრატში, რომელსაც გარს უვლის ჯერ ხაზოვანი, შემდეგ კი წერტილოვანი რკალი: „არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა,/მუჰამედი/ღვთის წინასწარმეტყველი“. კვადრატსა და რკალს შუა სეგმენტებში ოთხი ხალიფას სახელი (ტაბ. III, № 15).

ალის განძში შემავალი გიორგი VII-ის და აჰმედ ჯალაირის სახელით მოჭრილი 249 მონეტა, როგორც დაცულობის, ასევე ტექნიკური შესრულების მხრივ, ერთნაირი არ არის. მათი უმცირესობა (28 ც.) წესიერად არის მოჭრილი და წარწერებიც გარკვევით იკითხება. 89 ცალი პირველებს შინაარსით შეესიტყვება, მაგრამ ტექნიკურად ბევრად უფრო მდარე ღირსების არის – წარწერები მათზე გაურკვევლადაა აღბეჭდილი. მესამე ჯგუფი, 74 ცალის რაოდენობით, ამ უკანასკნელთაგან უნდა მომდინარეობდეს, მაგრამ მათზე ზედწერილები შებრუნებითაა გამოყვანილი. დანარჩენები გაცვეთილია და მათზე არაფერი ირკვევა.

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ თ. ლომოური გიორგი VII-ის და აჰმედ ჯალაირის სახელით მოჭრილ მონეტებს 1400 - 1401 წწ. ათარიღებდა. ც. ღვაბერიძეს კი მათი ემისიის თარიღად 1396 წ. მიაჩნია. მოკლედ განვიხილოთ მათი არგუმენტაცია.

როგორც ცნობილია, თემურ-ლენგმა საქართველოში პირველად 1386 წ., შემდეგ კი 1387 წ. ილაშქრა. მესამედ ის საქართველოს გიორგი VII-ის მეფობის პირველსავე წელს – 1393 წ. შემოესია. თ. ლომოურის მსჯელობას ასეთი ხასიათი: აქვს 1394 - 1398 წწ. საქართველოს თითქმის ოთხწლიანი შესვენების საშუალება მიეცა. 1395 წ. თემურმა სასტიკად დაამარცხა მისი მეტოქე თოხთამიშ ხანი (А. Ю. Якубовский. Тимур (опыт краткой характеристики). ВИ. М. 1946. 8/9, გვ. 63 - 64) და პირი ინდოეთისკენ იბრუნა. ამით ისარგებლეს თემურ-ლენგის მიერ დაპყრობილმა და ყმადნაფიცმა ქვეყნებმა და თავიანთი დამოუკიდებლობის აღდგენა სცადეს. გიორგი VII უკავშირდება ჯალაირიდთა დინასტიის წარმომადგენლებს აჰმედს და მის ძეს ალ მელიქ ათ-თაჰირს (ქართული წყაროებით თირ სულთანი). ამ დროს ჯალაირიდთა და საქართველოს პოლიტიკური კავშირი თემურ-ლენგის წინააღმდეგ წყაროებით დადასტურებული ფაქტია (თ. ლომოური აქ მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებას“ უთითებს, გამოცემა ექვ. თაყაიშვილისა. თბ. 1906, გვ. 876). საქართველოს ჯარი ადარბადაგანში გადასულა და ჯალაირიდების მხარეზე მონაწილეობა მიუღია ალინჯის ციხის გარშემო წარმოებულ ბრძოლაში. ამის შესახებ ცნობები აქვს შემონახული სპარსელ ისტორიკოსს შერიფ ალ-დინ ალი იეზდის. მაგრამ, თ. ლომოურის განცხადებით, ეს მტკიცდება აგრეთვე ლარგვისის მონასტრის პარაკლიტონის წარწერითაც: „მეფობასა შინა მეფეთ მეფისა გიორგი ბაგრატის ძისასა და ერისთაობასა შინა ერისთავთ-ერისთავისა ქვენიფნეველისა ვირშელისასა, ოდეს იგი დიდთა ომთაგან გამარჯვებული ალინჯით მოვიდეს მოქცევასა იდ ქ ˜ კსა პß მაისსა ზ, მოვიდა თემურ ბეგ სულტანი სამარყანდელი“ (ვახუშტი. საქართველოს ისტორია. განმარტებული და შევსებული დ. ბაქრაძის მიერ. თბ. 1885, გვ. 291, შენ. 2). წარწერაში მოხსენიებული თარიღი – ქორონიკონი 88 = 1400 წ. თ. ლომოურის აზრით, სწორედ ამ დროს უნდა იყოს მოჭრილი გიორგი VII-ის და აჰმედ ჯალაირის

სახელებით აღბეჭდილი მონეტები. ამ მონეტის წარწერაში გიორგისადმი მიკუთვნებული ეპითეტი „გამარჯვებული“ („ღაზი“), მისივე სამართლიანი მოსაზრებით, ამ ფაქტის გამოძახილია.

ც. ღვაბერიძე, იმავე ლარგვისის მონასტრის პარაკლიტონის მინაწერის ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, ამტკიცებს, რომ თარიღში 1400 წ. იგულისხმება არა გამარჯვებული გიორგი VII-ის დაბრუნება ალინჯის ციხიდან, არამედ თემურის მორიგი შემოსევა საქართველოში. ამიტომ 1400 წ. აჰმედის და გიორგის სახელით მონეტების ემისია „გამარჯვებულის“ ეპითეტით გამორიცხულია. ც. ღვაბერიძეს თავისი აზრის დასამტკიცებლად სხვა არგუმენტებიც მოყავს. ერთ-ერთი მათგანია ცნობა, რომელიც დაცულია ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანეში. „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი გადმოგვცემს: „მაშინ გიორგი მეფე განილაშქრა ალინჯას, ყოვლითა სპითა ქართველთა, იმერელითა, მესხითა და შირვანელითა. მოვიდა ალინჯასასა და დახოცა ლაშქარი თემურ ყანისაი და მოვიდა გამარჯვებული“ (შ. მესხია. ძეგლი ერისთავთა. მსკი. ნაკვ. 30. თბ. 1954, გვ. 358). და შემდეგ: „ალინჯაზე ლაშქრობის ტექსტს გასწვრივ ხელნაწერში მხედრულით, ბრძოლის თარიღი აქვს მიწერილი „აქ᾽ს აქეთ 1396“ (შ. მესხია. ძეგლი ერისთავთა, გვ. 358) . . . ამ წელს უნდა იყოს მოჭრილი საქართველოს მეფე გიორგი VII-ის და სულთან აჰმედ ჯალაირის სახელით მონეტები, რომლებიც საუკეთესოდ ასახავენ ახლად შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას“ (ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, გვ. 51 - 52). ც. ღვაბერიძის მიერ შემოთავაზებულ თარიღს, ცხადია, გარკვეული საფუძველი აქვს და მას ჩვენ არ ვხდით სადავოდ, თუმცა შევნიშნავთ, რომ ეს არ ცვლის ალის განძის დამარხვის თარიღს, 1400 წ., ვინაიდან თემურ-ლენგის მორიგ შემოსევასთან დაკავშირებით, შესაძლებელია, ალის საბაჟოს მესვეურებმა კომპლექსი მიწას მიაბარეს.

ზემოაღწერილი მონეტის სინქრონულია კიდევ ორი მონეტა, რომლებიც უფრო იშვიათად გვხვდება. მათ ასეთი სახე აქვს:

შუბლი – სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „იჭედა თბილისს,/მეფე გამარჯვებული/გიორგი“.

ზურგი – ასევე სამსტრიქონიანი არაბული წარწერა: „სულტანი/აჰმედ/ხანი (Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика, გვ. 102, ტაბ. IX, № 128) (ტაბ. III, № 16).

შუბლი – ხაზოვანი რკალით შემოვლებულ კვადრატში მოთავსებული ორსტრიქონიანი ქართული წარწერა: ᲒᲝᲠᲒᲘᲝᲜ/ᲬᲘᲜᲐ, ე.ი „მეფეთა მეფე გიორგი“.

ზურგი – სამსტრიქონიანი არაბული წარწერა: „სულტანი/აჰმედ/ხანი (Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика, გვ. 102, ტაბ. IX, № 129) (ტაბ. III, № 17).

დაბოლოს, ჩვენ გიორგი VII ვაკუთვნებთ იმ იშვიათ მონეტებს, რომლებიც ადრე განვიხილეთ (იხ. თავი. იჭრებოდა თუ არა გიორგაული თეთრი?). როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, დ. კაპანაძე მათ ე.წ. „გიორგაულებად“ მიიჩნევდა, რასაც ჩვენ არ ვიზიარებთ.

* * *

გადავდივართ საქართველოში აღმოჩენილი XIV ს-ის უცხოური მონეტების მიმოხილვაზე. აქ ყურადღებას, ძირითადად, სამონეტო კომპლექსების ჩამოთვლაზე გავამახვილებთ, ვინაიდან მათი შემადგენლობა რელიეფურად წარმოაჩენს უცხოური მონეტების ცირკულაციის სურათს საქართველოში, ქვეყნის ეკონომიკის და პოლიტიკის მთავარ მიმართულებებს. აქვე შევნიშნავთ, რომ ინფორმაცია ამოკრეფილია ც. ღვაბერიძის ნაშრომიდან – საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, გვ. 68 - 90. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ განძების შემადგენლობის ატრიბუციის ავტორი მხოლოდ ც. ღვაბერიძეა. ისიც, თავის მხრივ, სხვა ავტორების მონაცემებს ეყრდნობა. მაგრამ მის წიგნში მასალა ერთად არის თავმოყრილი, რაც, ცხადია, მრავალ ტავტალოგიას და ლიტერატურის დაწვრილებით მითითებას თავიდან აგვაცილებს.

1. ქოდალოს განძი. მოქ. ი. მოსულიშვილის საშუალებით, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში სამ წყებად (1940, 1941 და 1948 წწ.) შემოვიდა ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც შედგება 502 ვერცხლის მონეტისგან. განძი ნაპოვნია სოფ. ქოდალოში (გურჯაანის რ-ნი).

ქოდალოს განძი შეისწავლა და გამოაქვეყნა თ. ლომოურმა (თ. ლომოური. ქოდალას განძი. სსმმ. XIV - B. თბ. 1947, გვ. 127 - 146; მისივე. ქოდალას განძი. II ნაწილი. კრ. ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში, გვ. 26 - 93), ხოლო ზოგი რამ დააზუსტა ც. ღვაბერიძემ (ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, გვ. 81 - 86).

თ. ლომოურის ატრიბუციით, განძი შეიცავს ყაზან ყაენის და ოლჯაითუ სულთნის სახელით გამოშვებულ ფულს, აგრეთვე ერთ სელჩუკურ მონეტას, რომელიც ეკუთვნის რუმის სულთან ქაიხოსრო II-ს (1236 - 1245 წწ.).

განძში შემავალი მონეტების უმრავლესობა (491 ც.) დირჰემებია, 10 მონეტა წარმოდგენილია სხვა ნომინალის – ორიანი დირჰემის სახით. განძის ძირითად ნაწილს ყაზან ყაენის სახელით მოჭრილი მონეტები წარმოადგენს.

განძის ხელმეორედ გადათვალიერების შემდეგ დადგინდა-დაზუსტდა თარიღები და ზარაფხანები ზოგ მონეტაზე. 501 მონეტიდან ზარაფხანა არ არის აღნიშნული 6 მონეტაზე, გაცვეთილია – 10; გაურკვეველი მონეტების საერთო ჯამია – 43. განძში შემდეგ ზარაფხანებში მოჭრილი ფული ჩანს: თბილისი (166 ც.), თავრიზი (62 ც.), ახალციხე (18 ც.), სივასი (20 ც.), ჯეზირე (16 ც.), სამსუნი (3 ც.), ბაზარი (12 ც.), ნახჭევანი (12 ც.), ხლათი (9 ც.), ნისა (13 ც.), ირბილი (9 ც.), ბარდავი (8 ც.), ბაღდადი (7 ც.), ერზინჯანი (7 ც.), სინჯარი (6 ც.), მოსული (5 ც.), თოკათი (4 ც.), ერზერუმი (3 ც.), ისპაჰანი (3 ც.), ანისი (3 ც.), ამასია (7 ც.), ბექ-ბაზარი (8 ც.), ჰილე (2 ც.), მაიაფარიკინი (2 ც.), ჰიდლისი (1 ც.), განჯა (1 ც.), სავე (1 ც.), ვასიტი (1 ც.), არმინია (?) (1 ც.), შირაზი (1 ც.), ჰამადანი (1 ც.), ქაშანი (1 ც.), რავია (1 ც.), ნისაბური (1 ც.), შუსთერი (3 ც.).

თ. ლომოურის მიერ ყაზან ყაენის უნიფიცირებული დირჰემის რამდენიმე ცალზე ამოკითხულ ზარაფხანის სახელწოდებაში ც. ღვაბერიძემ ეჭვი შეიტანა. თ. ლომოური კითხულობს ზარაფხანის სახელს „სამსუნი“. ზარაფხანის სახელის მოხაზულობის მიხედვით კი ეს უნდა იყოს „ნისა“, ქალაქი კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, საქარავნო გზაზე, აშხაბადიდან 20 კმ. დაშორებით (E. Zambaur. Inventar-Katalog der Bestände der Wiener Offentlichen und Privat-Sammlungen in mohammedischen Münzen. Wiesbaden. 1988, გვ. 256).

განძის მესამედს შეადგენს თბილისის ზარაფხანის პროდუქცია; მეორე ადგილზე დგას თავრიზის, შემდეგ სივასის, ახალციხის და აშ. აღმოსავლეთ საქართველოს შიდა ბაზრის მოთხოვნილებას ძირითადად აკმაყოფილებდა თბილისის ზარაფხანა.

თ. ლომოურმა ქოდალოს განძი დაათარიღა ჰიჯრ. 694 - 715 წწ. (1294 - 1315/16 წწ.). ც. ღვაბერიძემ განძი გადაათარიღა ჰიჯრ. 696 - 705 წწ. (1296 - 1306 წწ.). განძის ჩამარხვა ჰიჯრ. 705 წ. (1306 წ.) შემდეგ მოხდა.

2. 1979 წ. სოფ. ფოკაში (ნინოწმინდის რ-ნი) ფარავნის ტბის პირას შემთხვევით იპოვეს ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც თიხის ჭურჭელში იყო მოთავსებული. განძის ნაწილი დაიკარგა და მხოლოდ 155 ც. დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ საცავში (გფ. №№ 20295 - 20442, 20554 - 20560). კომპლექსი შეიცავს ჰულაგუიდ ოლჯაითუს სახელით მოჭრილ მონეტებს (ორიანი და ერთიანი დირჰემები) შემდეგი ზარაფხანებიდან: თბილისი (27 ც.), ანისი (14 ც.), სამსუნი (11 ც.), თავრიზი (8 ც.), ბაზარი (3 ც.), ბარდავი (1 ც.), გარნისი (1 ც.), ბაღდადი (1 ც.), სულტანია (1 ც.), ერზინჯანი (1 ც.). განძის ყველაზე ადრეული მონეტა თარიღდება ჰიჯრ. 709 წ. (1309 - 1310 წწ.), უგვიანესი – ჰიჯრ. 715 წ. (1315/1316 წწ.). ფოკას განძი დაფლული უნდა იყოს 1316 წ. შემდეგ. ფოკას განძის მონეტების რეატრიბუციის შედეგად, ზარაფხანების მიხედვით დირჰემების რაოდენობრივი გადანაწილება რამდენადმე განსხვავებულია (იხ. ც. ღვაბერიძე. სოფელ ფოკის განძი. არქეოლოგიური ჟურნალი. IV. თბ. 2006, გვ. 86 - 87).

3. 1979 წ. სოფ. ჯანდარაში (მარნეულის რ-ნი) ტრაქტორით მიწის დამუშავების დროს აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების პატარა განძი (10 ც.). 3 მონეტა ოლჯაითუს სახელით არის მოჭრილი თბილისში, ორი მათგანი ჰიჯრ. 714 წ. (1314 - 1315 წწ.). 1 მონეტა ანისის ზარაფხანას მიეკუთვნება და ჰიჯრ. 711 წ. (1311/1312 წწ.) თარიღდება. 7 ორიანი დირჰემი აბუ-საიდ ილხანს ეკუთვნის, აქედან 4 თბილისშია მოჭრილი ჰიჯრ. 727 წ. (1326 - 1327 წწ.). ორ მონეტაზე ზარაფხანა არ იკითხება, ხოლო ერთი სულთანიაშია გამოშვებული 724 წ. (ჰიჯრ. 1323 - 1324 წწ.). სავარაუდოდ, განძი XIV ს-ის 20-იანი წწ. დასასრულს არის ჩამარხული. მონეტები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, გფ. №№ 20285 - 20293.

4. 1948 წ. სოფ. გრიგოლათის მიდამოებში (ხარაგაულის რ-ნი) აღმოჩენილი ვერცხლის მონეტების განძი მპოვნელებმა დაინაწილეს. მოხერხდა 3 ეგზემპლარის შემოწმება. სამივე მათგანი ილხან აბუ-საიდის ორიანი დირჰემი იყო.

5. 1958 წ. სოფ. დარჩიეთში (გურჯაანის რ-ნი) საყანე მიწის დამუშავების დროს ნაპოვნი ვერცხლის მონეტების განძიდან 3 ცალი მოიტანეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში: 1. ქაიხოსრო სელჩუკის დირჰემი, გამოშვებული ჰიჯრ. 628 წ. (1230 - 1231 წწ.); 2. აბაღა ჰულაგუიდის (1265 -1282 წწ.) დირჰემი და 3. აბუ-საიდის ორიანი დირჰემი, მოჭრილი ჰიჯრ. 724 (1323 - 1324 წწ.) თავრიზში.

6. სოფ. ურაველში (ახალციხის რ-ნი) საკარმიდამო ნაკვეთში ძველი შენობის დანგრევისას ნაპოვნია XIII - XIV სს. ვერცხლის მონეტები. განძის შემადგენლობა ასეთია: ა) რუმის სელჩუკთა XIII ს-ის 20-30-იანი წწ. დირჰემები – 5 ც., ბ) ყაანური I ტიპის (660 - 663 წწ. = 1261 - 1264 წწ.) – 1 ც., გ) ყაანური II (663 - 680 წწ. = 1264 - 1280 წწ) – 2 ც., დ) ქართულ-ჰულაგუიდური (680 - 694 = 1281 - 1294 წწ.) დირჰემები – 4 ც., ე) მეფე ვახტანგ III-ის (1297, 1302 - 1308 წწ.) ჰიჯრ. 698 = 1298/99 წწ. დირჰემები, თბილისის ზარაფხანა – 4 ც., ვ) ჰულაგუიდ ყაზან ყაენის დირჰემები – 2 ც., ზ) ჰულაგუიდ აბუ-საიდის დირჰემი – 1 ც. განძი ჩამარხული უნდა იყოს 1333 წ. შემდეგ. დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის საცავში გფ. №№ 12255 - 12274).

7. 1862 წ. სოფ. სართიჭალაში (საგარეჯოს რ-ნი) იპოვეს უკანასკნელი ჰულაგუიდების ვერცხლის მონეტები (243 ც.). განძი აღმოჩნდა ძველებურ აკლდამაში ჩადგმულ ფერადი ფაიანსის ქილაში. მისი შემადგენლობა ასეთია: სათიბეკ ხათუნის ფული (ჰიჯრ. 739 წ. = 1338 - 1339 წწ.) მოჭრილია შემდეგ ზარაფხანებში – არდებილი, ბაზარი, ბელაქანი, ხოი და ზოგი გაურკვეველი; სულეიმანის (ჰიჯრ. 740 წ. = 1339 - 1340 წწ.) – შემდეგ ზარაფხანებში: არდებილი, ბაზარი, ბაქო (?), ბაიბურთი, ბარდავი, ბელაქანი, ქაშანი, კალისტუვანი, ნახიჩევანი, ჰამადანი, თავრიზი, მარაღა, სულთანია, ხოი, სალმასი. განძი XIV ს-ის შუა ხანებში უნდა იყოს ჩამარხული.

8. 1954 წ. ცხინვალ-ხეითის გზის გაფართოების დროს აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი. განძი გაიფანტა. გადარჩენილი 22 ც. ეკუთვნოდა ილხანებს – სათიბეკსა და სულეიმანს.

9. 1936 წ. დმანისის რ-ნის სოფ. პატარა გომარეთში წვიმების შედეგად გადარეცხილ ნიადაგში აღმოჩნდა თიხის ქოთანი, რომელშიც 92 ვერცხლის მონეტა იყო. ისინი ეკუთვნის უკანასკნელ ჰულაგუიდებს: მუჰამედი (1335 - 1338 წწ.) – 2 ც., სათიბეკი (1338 - 1340 წწ.) – 5 ც., ტუღათემური (1336 - 1340 წწ.) – 1 ც., სულეიმანი (1339 - 1346 წწ.) – 80 ც. 4 ცალი გაურკვეველია. დირჰემები მოჭრილია შემდეგ ზარაფხანებში: ბაზარი, თბილისი, თავრიზი, შირვანი (?), ბარდავი, სულტანია, ანისი. განძი უნდა ჩაემარხათ XIV ს-ის 40-იანი წწ. შემდეგ.

10. 1933 წ. სოფ. ლიკანში (ბორჯომის რ-ნი) მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების მოზრდილი განძი. აქედან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მხოლოდ 2 ცალი შემოვიდა. მონეტები სულეიმან ჰულაგუიდის ორიანი დირჰემებია, მოჭრილი ჰიჯრ. 742 წ. (1341 - 1342 წწ.).

11. სოფ. ლელიანში (ლაგოდეხის რ-ნი) მიწის სამუშაოების დროს თიხის ქოთანში აღმოჩნდა ილხანური მონეტების განძი, რომელიც მპოვნელებმა დაიტაცეს. გადარჩენილი 5 მონეტა შევიდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ხუთივე მონეტა მოჭრილია სულეიმანის სახელით ჰიჯრ. 741 წ. (1340 - 1341 წწ.) სხვადასხვა

ზარაფხანაში – თავრიზი, ბარდავი, თბილისი. ორ მონეტაზე ზარაფხანის სახელი გადაშლილია.

12. 1953 წ. სიღნაღის რ-ნის საბჭოთა მეურნეობის საცდელი სადგურის ტერიტორიაზე (სადგურ წნორის წყალთან) აღმოჩენილი იყო ვერცხლის ფულის განძი, რომელიც მპოვნელებმა დაინაწილეს. ერთი ცალი ილხან სულეიმანის მონეტა აღმოჩნდა.

13. 1952 წ. სოფ. ფოდაანთან (ლაგოდეხის რ-ნი) შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი ვერცხლის მონეტებით, დაახლოებით 150 ეგზემპლარი. მუზეუმში, განსაზღვრის მიზნით, მიიტანეს ორი მონეტა, ილხანების სულეიმანის და ანუშირვანის სახელით მოჭრილი. სულეიმანის მონეტა თბილისის ზარაფხანაშია მოჭრილი.

14. სოფ. ყარაღაჯში (დედოფლისწყაროს რ-ნი) 1940 წ. იპოვეს ჰულაგუიდების ვერცხლის მონეტების განძი. სიძველეთა დაცვის კომიტეტის მეშვეობით, ის გადაეცა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ მუზეუმს. განძი შედგება სულეიმანის და ანუშირვანის (1344 - 1353 წწ.) მონეტებისგან. ერთის გამოკლებით, ყველა ერთიანი დირჰემია. სულეიმანის მონეტები მოჭრილია შემდეგ ზარაფხანებში: თავრიზი, სულთანია, 6 ცალზე ქალაქის სახელი არ იკითხება. ანუშირვანის მონეტები გამოშვებულია: არდებილი, ბაზარი, თავრიზი, ყარაღაჯი, მარაღა, ბარდავი, გუშტასბი, განჯა, თბილისი, შირვანი. გარკვეულ ცალებზე ქალაქის სახელი არ იკითხება. განძი ჩამარხული უნდა იყოს XIV ს-ის მესამე მეოთხედის დასაწყისში.

15. იმავე ყარაღაჯში 1949 წ. ნიადაგის შესწავლის დროს იპოვეს 24 ვერცხლის მონეტა, მოჭრილი ჰულაგუიდ ანუშირვანის სახელით. წარმოდგენილია შემდეგი ზარაფხანები: ანისი, შირვანი, განჯა, თავრიზი, ბაზარი, მარაღა. განძის ადრეული მონეტა განეკუთვნება ჰიჯრ. 748 წ. (1347 - 1348 წწ.), გვიანი – ჰიჯრ. 753 წ. (1352 - 1353 წწ.). მისი ჩამარხვა შეიძლება მომხდარიყო XIV ს-ის მესამე მეოთხედში. განძი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ საცავში (გფ. №№ 5549 - 5572).

16. 1860 წ. თბილისის მახლობლად აღმოჩნდა 60-მდე ვერცხლის მონეტა მოჭრილი ჰულაგუიდების, ჯუჩიდების, ჯალაირების და მუზაფარიდების სახელით ჰიჯრ. 740 - 759 წწ. (1339/40 - 1357/58 წწ.). განძის ერთი ნაწილი სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟს გადაეცა.

17. 1861 წ. თბილისის მიდამოებში იპოვეს განძი, რომელიც 160 ვერცხლის მონეტას შეიცავდა. განძი შედგებოდა ჰულაგუიდების, ჯუჩიდების, ჯალაირიდების და გიორგი VII-ის და აჰმედ ჯალაირის სახელით თბილისში მოჭრილი წვრილი მონეტებისგან. განძი XIV - XV სს. მიჯნაზე უნდა იყოს ჩამარხული.

18. 1955 წ. სოფ. ძუკატში (ახალგორის რ-ნი) გზის გაყვანის დროს იპოვეს თიხის ჭურჭელი, რომელშიც 83 ც. ვერცხლის წვრილი მონეტა იყო. ყველა მათგანი ერთი ტიპისაა და მოჭრილია ჯალაირიდი შეიხ ოვეისის (1356 - 1375 წწ.) მიერ თბილისის ზარაფხანაში.

19. 1900 - იან წწ. თბილისის მიდამოებში აღმოჩენილი განძებიდან ე. პახომოვს შემოწმებული აქვს შეიხ ოვეისის (3 ც.) და აჰმედის (19 ც.) მონეტები. ისინი თითქოს მინაბაძები ყოფილა.

20. 1948 წ. სოფ. ბოშურას (გორის რ-ნი) მიდამოებში მწყემსებს უპოვიათ თიხის ჭურჭელი, რომელშიც მოთავსებული ყოფილა 300-მდე ვერცხლის ფული. განძის მონეტები მპოვნელებმა დაინაწილეს. მოხერხდა ერთი მათგანის ატრიბუცია. ის აჰმედ ჯალაირის და გიორგი VII-ის სახელით მოჭრილი აღმოჩნდა.

21. 1950 წ. სოფ. ფაცვისხევთან (გორის რ-ნი) ნაპოვნი იყო ვერცხლის წვრილი ფულის განძი, რომელიც მპოვნელებმა დაირიგეს. გორის მუზეუმმა მოგვიანებით 72 ცალს მოუყარა თავი. ეს ნაწილი შემდეგ მონეტებს შეიცავს: 1. გაურკვეველი ქართული ცხოველის გამოსახულებით – 1 ც., 2. გიორგი VII-ის და აჰმედ ჯალაირის არაბულ ზედწერილიანი – 68 ც., 3. გიორგი VII-ის და აჰმედ ჯალაირის ქართულ ზედწერილიანი – 3 ც.

22. 1900-იან წწ. ახალციხის რ-ნში აღმოჩენილი კირმანეული თეთრის განძიდან ე. პახომოვს ოციოდე ცალი შეუმოწმებია.

23. 1905 წ. დუშეთში ნაპოვნი იყო განძი, რომელიც მაშინვე დაიფანტა. გადარჩენილი 4 მონეტა კირმანეული ყოფილა.

24. 1900 წ. გორის რ-ნში აღმოჩნდა ჯუჩიდური მონეტების განძი, რამდენიმე ქართული მონეტა და კირმანეული.

25. ე. თაყაიშვილის ცნობით, 1905 წ. დუშეთის რ-ნში აღმოჩენილა განძი, რომელიც 960 ვერცხლის მონეტას შეიცავდა. განძი გაიფანტა. გადარჩენილი 4 მონეტა, ე. პახომოვის განსაზღვრით, შემდეგია: 1. „მეფეთა მეფე გიორგი“, ე.წ. „გიორგაული“, 2. კირმანეული თეთრი, 3. ორი ჯუჩიდური, თოხთამიშის სახელით მოჭრილი ურდოში. ერთ მათგანზე იკითხება თარიღი ჰიჯრ. 792 წ. (1389/90 წწ.).

26. 1957 წ. წითელწყაროში, გიორგი სააკაძის ქუჩაზე, მიწის დამუშავების დროს იპოვეს ილხან ანუშირვანის ვერცხლის მონეტების განძი. განძი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. განძი შედგება 6 ორიანი დირჰემისგან. განძის ყველაზე ადრეული მონეტა განეკუთვნება ჰიჯრ. 747 წ. (1346/47 წწ.), გვიანი – ჰიჯრ. 755 წ. (1354 წ.).

27. 1925 წ. სოფ. ალში (ხაშურის რ-ნი) აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც 471 ვერცხლის მონეტას შეიცავს (ამ განძის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით). დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ საცავში (გფ. №№ 743 - 1213). განძი შედგება შემდეგი მონეტებისგან: 1. 204 ც. ოქროს ურდოსი, 2. ჯალაირების – 4 ც., 3. კირმანეული – 1 ც., 4. აჰმედ ჯალაირის და გიორგი VII-ის – 249 ც., 5. გაურკვეველი ქართული – 10 ც., 6. გაცვეთილი – 2 ც. განძი ჩამარხული უნდა იყოს XIV ს-ის მიწურულს, ან XV ს-ის დასაწყისში.

ც. ღვაბერიძის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე XIV ს-ის ვერცხლის მონეტების მოპოვების 58 შემთხვევაა ფიქსირებული. ამათგან 28 სამონეტო განძია, ხოლო 30 – ცალკეულად აღმოჩენილი ეგზემპლარი (ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, გვ. 78).

განსხვავება ჩვენს მონაცემებს და ც. ღვაბერიძის სიას შორის გამოიწვია იმან, რომ მან ლორეს განძი, ვინაიდან მის შემადგენლობაში XIV ს-ის მონეტებიც შედის, მაგრამ 1426 წ. შემდეგ არის ჩამარხული, XIV ს. მიაკუთვნა. ჩვენ ვამჯობინეთ მის შესახებ მსჯელობა XV ს-ის მასალასთან გადაგვეტანა. აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ საქართველოში აღმოჩენილი XIV ს-ის ცალკეული ეგზემპლარები მთლიანად შეესაბამება სინქრონული განძების შემადგენლობას.

რა დასკვნების გამოტანა შეიძლება მოყვანილი მასალის ანალიზის საფუძველზე?

ც. ღვაბერიძის დაკვირვების მიხედვით ირკვევა, რომ XIV ს-ის პირველ ნახევარში ილხანების სახელით გამოშვებული ვერცხლის მონეტების აღმოჩენის 43 შემთხვევაა აღრიცხული, ხოლო ამავე საუკუნის მეორე ნახევრის მასალაზე მოდის აღმოჩენების თითქმის 3-ჯერ ნაკლები რაოდენობა – 16. ამ უკანასკნელების შემადგენლობაში შედის ჯალაირიდების სახელით მოჭრილი მონეტები, ჯუჩიდური ფული და კირმანეული თეთრი (ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, გვ. 79).

საქართველოში აღმოჩენილი XIV ს-ის ნუმიზმატიკური მასალა ამტკიცებს, რომ მთელი XIV ს-ის მანძილზე ქვეყნის სამონეტო ცირკულაციაში აქტიურად იყო ჩაბმული ილხანთა სახელით მოჭრილი მონეტები. საუკუნის პირველ ნახევარში მათ პრევალირებული ადგილი ეკავა ფულის მიმოქცევაში. საუკუნის მეორე ნახევრიდან მათ ადგილს ჯალაირების და ოქროს ურდოს მონეტები იკავებს.

არსებული ტოპოგრაფიის მიხედვით, ილხანების მონეტების გავრცელების გეოგრაფიული არეალი აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოა. ისინი იშვიათად ჩანს დასავლეთ საქართველოში. ჯალაირიდული მონეტები ასევე აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში მიმოიქცევა. ჯუჩიდური მონეტების მოქმედების ზონა კი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოა (ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, გვ. 79 - 80).

აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ აღნიშნული სამონეტო ჯგუფების ინტენსიური ცირკულაციის წინაპირობა, ძირითადად მაინც, ქვეყნის პოლიტიკური ვითარება იყო.

XV საუკუნის ქართული მონეტები

XV ს. ტრაგიკული პერიოდია საქართველოს ისტორიაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ სწორედ XV ს-ში დაიშალა საბოლოოდ ერთიანი საქართველო ცალკე სამეფო-სამთავროებად და ამის შემდეგ ქვეყნის ინტეგრირება დიდი ხნის განმავლობაში ვეღარ მოხერხდა. ცხადია, პოლიტიკურ კონიუნქტურასთან უნისონშია XV ს-ის საქართველოს ნუმიზმატიკური ძეგლებიც.

ამ ბილონის, ან, უკეთეს შემთხვევაში, დაბალი ხარისხის ვერცხლის ფირფიტების, პირით საქართველო ღაღადებს თავის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კატასტროფას. XV ს-ის ქართული მონეტები საბოლოოდ დაკნინდა, მათი წონა 0.50 გრამამდე და უფრო დაბლაც კი დაეცა. მეტად დაბალი ხარისხის არის მათი დიზაინი, გაფორმების მხატვრული დონე. მონეტებს თარიღი არ უზის, საშინლად დამახინჯებულია არა მარტო მუსლიმური, არამედ ქართული წარწერებიც კი. ყოველგვარი ცდა პალეოგრაფიული ანალიზისა გამორიცხულია. ლეგენდები მხოლოდ მეფეთა სახელების დაქარაგმებას შეიცავს მამის სახელების აღუნიშნავად. ამით კიდევ უფრო რთულდება მონეტის ზუსტი განსაზღვრა. განძების კომპლექსების ანალიზის გარეშე ბევრი მათგანის სწორი ატრიბუცია ვერც კი მოხერხდებოდა. მაგრამ თუკი ამ დამახინჯებულ წარწერებიან მონეტათა მეტ-ნაკლები სიზუსტით განსაზღვრა მაინც შესაძლებელია, სინქრონული ანეპიგრაფიკული მონეტები დღესდღეობით ამოუხსნელ ამოცანად რჩება მეცნიერებისათვის. არის შემთხვევები, როდესაც მონეტა მხოლოდ და მხოლოდ „მეფის“ სახელით არის მოჭრილი და ამ ინკოგნიტო „მეფის“ მიგნება ისტორიკოსის ძალ-ღონეს აღემატება. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, XV ს. შექმნილ რთულ ისტორიულ სიტუაციასთან მიზეზობრივ კავშირშია.

იყო პერიოდი, როდესაც XV ს. ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერებისათვის „თეთრ ლაქას“ წარმოადგენდა იმის გამო, რომ არ არსებობდა შესაბამისი პერიოდის მასალა. ეს „ვაკუუმი“ 1935 წ. გორში აღმოჩენილმა განძმა შეავსო, რომლის შემადგენლობაში, მიახლოებითი გამოანგარიშებით, 10000-მდე მონეტა შედიოდა. ამან საშუალება მისცა დ. კაპანაძეს ძირითადად მოეხაზა XV ს. ქართული ნუმიზმატიკური ძეგლები. მაგრამ მაინც მის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიება წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოს ფარგლებს არ სცილდებოდა. მისივე სიტყვებით, მან „მხოლოდ მასალა მოამზადა მომავალი გამოკვლევისათვის“ (იხ. დ. კაპანაძე. XV საუკუნის ქართული ფულის გორის განძი. სსმმ. ტ. X - B. 1940, გვ. 279 - 299). 1964 წ. გამოვიდა ამ პრობლემისადმი მიძღვნილი გ. დუნდუას ნაშრომი – სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში. თბ. 1964, გვ. 3 - 109, ხოლო 1965 წ. ავტორმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი XV საუკუნის საქართველოში (ისტორიულ-

ნუმიზმატიკური ნარკვევები), იხ. ავტორეფერატი რუსულ ენაზე. თბ. 1965, გვ. 3 - 17. ქვემოთ ჩვენ ძირითადად ამ ნაშრომებს ვეყრდნობით.

დავუბრუნდეთ გორის განძს.

1935 წ. გორში, ყოფილი სემინარიის ქუჩას და სასაფლაოს შორის მიწის დამუშავების დროს, აღმოჩნდა დაბალხარისხოვანი ვერცხლის და ბილონის დაკნინებული წონის მონეტების განძი. მიახლოებითი გამოანგარიშებით ის შეიცავდა 10000 ცალს. გორის განძის მნიშვნელობა ქართული ნუმიზმატიკის ისტორიისათვის უაღრესად დიდია, ვინაიდან მისი წყალობით მეცნიერებისთვის ცნობილი გახდა XV ს-ის ქართველ მეფეთა, თუ ცალკეულ ფეოდალთა მონეტების უმრავლესობა და მოხერხდა მათი ზუსტი ატრიბუცია. განძის მონეტები რამდენიმე ჯგუფად იყოფა: I ჯგუფი – მონეტები ქართული ზედწერილებით; II ჯგუფი – მონეტები არაბული ზედწერილებით; III ჯგუფი – ანეპიგრაფიკული მონეტები სხვადასხვა გამოსახულებებით (მაგ. მხეცის), ან მონეტები უაღრესად დამახინჯებული ზედწერილებით. გარდა ამისა, მონეტების გარკვეული რაოდენობა ცალმხრივად სიქანაკრავია. განძის მონეტების დათარიღება მოხერხდა იმის საშუალებით, რომ მის შემადგენლობაში შემავალ ერთ-ერთ თურქულ ახჩაზე (ან მის მინაბაძზე) მოთავსებულია სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „ისახელოს ძლევა მისი, მოჭრილია – ადრიანოპოლში – წელსა [8]86 = 1481 წ.“ ამრიგად, განძის დაფლობა XV ს-ის 80-იან წწ-შია სავარაუდო და მის შემადგენლობაში შემავალი მონეტები XV ს-შია მოჭრილი. განძის ქართული მონეტები მიეკუთვნება შემდეგ მეფეებს და ფეოდალებს: ალექსანდრე I (1412 - 1442 წწ.), ვახტანგ IV (1442 - 1446 წწ.), გიორგი VIII (1446 - 1466 წწ.), ვიდრე ის ერთიანი საქართველოს მეფე იყო, ბაგრატ VI (1466 - 1478 წწ.), სამცხის ათაბაგი ყვარყვარე (1451 - 1498 წწ.), კონსტანტინე II (1478 - 1505 წწ.). მისი სახელით მოჭრილი მონეტები განძის შემადგენლობაში ყველაზე მრავალრიცხოვანია და გამოირჩევა ვარიანტული მრავალფეროვნებით. განძი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ საცავში. გფ. №№ 743 - 1213, 1683 - 1863, 7183 - 7482 (მოკლე ინფორმაცია გორის განძის შესახებ იხ. გ. დუნდუა, ირ. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, გვ. 41 - 42).

აქვე უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი სამონეტო კომპლექსი, კერძოდ, ყაზბეგის რ-ნის სოფ. მნაში 1924 წ. აღმოჩენილი განძი, რომელიც 926 ც. ბილონის და სპილენძის მონეტას შეიცავს. მნას განძის შემადგენლობა თითქმის იდენტურია გორის განძის კომპლექსისა. ის ორ წყებად შევიდა აკად ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში (გფ. №№ 3142 – 3481, 16293 - 16868). განძი შედგება XV - XVI სს-ის დაკნინებული მონეტებისგან და მოჭრილია შემდეგი მეფეების სახელით: 1. ვახტანგ IV, 2. გიორგი VIII, 3. კონსტანტინე II და 4. დავით X (1505 - 1525 წწ.). გარდა ამისა, განძის შემადგენლობაში შედიოდა თურქული აყჩების მინაბაძები, მონეტები მხეცის, თევზის და გეომეტრიული ორნამენტის გამოსახულებით (ინფორმაცია მნას განძის შესახებ იხ. გ. დუნდუა, ირ. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, გვ. 113).

გადავდივართ XV ს-ის ქართული მონეტების აღწერილობაზე.

გიორგი VII-ის შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტი დაიკავა მისმა ძმამ კონსტანტინე I (1407 - 1411 წწ.). საქართველოს ეროვნული მუზეუმის ქართული მონეტების ძირითად ფონდში დაცულია ერთადერთი მონეტა (№ 3202), რომელსაც დ. კაპანაძე კონსტანტინე I აკუთვნებდა. მას ასეთი სახე აქვს:

ვერცხლი. წ. – 0.40 გრ.

შუბლი – კვადრატში ჩასმული მთავრული ასოები, Ꝑ

ᏏᏏ Ꮒ – კონსტანტინე.

Ꮝ

ზურგი – ორსტრიქონიანი დამახინჯებული არაბული წარწერა (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ, 124, № 147) (ტაბ. IV, № 18).

იდენტური მონეტა ჯერ კიდევ ვ. ლანგლუამ გამოაქვეყნა XIX ს-ის 80-იანი წწ. დასაწყისში და შეცდომით კონსტანტინე II მიაკუთვნა. მაგრამ, როგორც მის მიერ არც თუ ისე ზუსტად დასახელებული თარიღიდან ჩანს (1407 - 1414 წწ.), ის კონსტანტინე I გულისხმობდა.

ეს მონეტა უცილობლად კონსტანტინე I ეკუთვნის. ამის დასამტკიცებლად სამი საბუთის მოტანა შეიძლება: 1. აღწერილი მონეტა ტიპოლოგიურად ახლოს დგას გიორგი VII-ის მონეტასთან, 2. მიუხედავად იმისა, რომ გორის და მნას განძებში, რომლებიც XV ს-ის შუა ხანების და XVI ს-ის დასაწყისის მონეტებს შეიცავს, კონსტანტინეს სახელით აღბეჭდილი მონეტები მრავალი ვარიანტით არის წარმოდგენილი, ანალოგიური მონეტა იქ არ გვხვდება, დაბოლოს, 3. ეს მონეტა შედიოდა 1832 წ. ლორეში აღმოჩენილ ფულად განძში, რომლის უკიდურესი ქრონოლოგიური ზღვარი 1426 წელია (განძის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ).

ალექსანდრე I-ის (1412 - 1442 წწ.) მონეტები საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდში არ ინახება. მართალია, გორის განძში ერია ერთადერთი ცალი (გფ. № 7183, წ. – 0.38 გრ.), რომელსაც დ. კაპანაძე ალექსანდრეს აკუთვნებს, მაგრამ ეს მონეტა იმდენად გაცვეთილია, რომ გადაჭრით რაიმეს მტკიცება შეუძლებელია. მონეტის შუბლზე თითქოს უნდა იკითხებოდეს შებრუნებული მთავრული ასო ᏥᏥ. თუ ეს ასეა, მაშინ ის ნამდვილად ალექსანდრე I ეკუთვნის, რადგან, როგორც ჯერ კიდევ ვ. ლანგლუამ მიუთითა, ეს ასო ქორონიკონს აღნიშნავს და ალექსანდრე I-ის გამეფების წელს ემთხვევა (100 = 1412 წ.).

ვ. ლანგლუა, მართალია, სწორ გზაზე იდგა, როდესაც ᏥᏥ-ში ქორონიკონის აღმნიშვნელი დაინახა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან ეს მონეტა შეცდომით კონსტანტინე I მიაკუთვნა (V. Langlois. Essai de Classificaton des Suites Monétaires de la Géorgie, გვ. 95).

ალექსანდრე I ჯერ კიდევ ვერცხლის მონეტის აღწერილობა ასეთია:

შუბლი – მონეტის ცენტრში ხაზოვან რკალში ჩასმული მთავრული ასო ᏥᏥ (ხშირ შემთხვევაში შებრუნებული), წრიული წარწერა, რომელიც, ე. პახომოვის ცნობით, კარგად შენახულ ცალებზე იკითხება ასე: „მეფეთ მეფე ალექსანდრე“.

ზურგი – ორსტრიქონიანი ქართული წარწერა: „სახელითა ღვთისათა“ (ტაბ. IV, № 19).

ამ სტრიქონების ერთ-ერთმა ავტორმა თავის დროზე შეამოწმა სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟის საცავში დაცული ალექსანდრე I მონეტები და დარწმუნდა ე. პახომოვის წაკითხვის სისწორეში. განსაკუთრებით კარგად იკითხება მონეტის ზურგის ზედწერილი: ᲡᲔᲪ/ᲘᲡᲪ (სახელითა ღვთისათა). მონეტის შუბლის წარწერის ამოკითხვა კი მოხერხდა რამდენიმე მონეტის ლეგენდის ფრაგმენტების შეერთებით, რადგან სრული ზედწერილი არც ერთ მათგანზე შერჩენილი არ არის. სულ ერმიტაჟში ალექსანდრე I მონეტები 73 ცალის რაოდენობითაა დაცული (გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 56 - 57).

ალექსანდრე ტახტზე მისმა ვაჟმა ვახტანგ IV (1442 - 1446 წწ.) შეცვალა. დ. კაპანაძეს გამოქვეყნებული აქვს ვახტანგ IV-ის მონეტების ერთი ტიპი, რომელიც გორის განძში აღმოჩნდა (გფ. № 7184), მაგრამ ისინი ისე ცუდად არის დაცული, რომ მნას განძის იდენტური ცალები რომ არა, მისი მიკუთვნება ვახტანგისადმი გაძნელდებოდა.

ბილონი. წ. – 0.65, 0.85 გრ.

შუბლი – სამსტრიქონიანი ქართული წარწერა: ᲘᲪ/ᲦᲐᲫ/ᲪᲣᲡ – „ღმერთო, გაუმარჯოს“.

ზურგი – ასევე სამსტრიქონიანი წარწერა, რომელიც შუბლის ლეგენდას აგრძელებს: ᲐᲪᲘ/ᲡᲩᲗᲔ /ᲔᲦᲡ – „მეფესა ვახტანგს“ (ტაბ. IV, № 20).

სოფ. მნას მეტად საინტერესო, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე გამოუქვეყნებელი განძის შემადგენლობაში აღმოჩნდა ვახტანგ IV-ის მონეტის ახალი ტიპი (გფ. №№ 7185 - 7187).

ბილონი. წ. – 0.88 გრ.

შუბლი – ორსტრიქონიანი ქართული წარწერა: ᲐᲪᲘ/ᲗᲔᲔ – „მეფე ვახტანგი“.

ზურგი – ცხოველის გამოსახულება, ძლიერ წააგავს სახედარს.

ცხადია, აღწერილი მონეტა ვახტანგ IV ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ ის XVI ს-ის პირველ მეოთხედში ჩამარხული განძის შემადგენლობაში შედიოდა. სხვა ვახტანგი ამ ხანაში არ მოიძებნება. ამაზე ნათლად მეტყველებს თვით მნას განძის შემადგენლობის ანალიზიც. დასახელებული განძი შედგება ვახტანგ IV-ის I ტიპის, გიორგი VIII-ის, კონსტანტინე II-ის და დავით X-ის მონეტებისგან. სავსებით ნათელია, რომ ქართველ მეფეთა ასეთი თანმიმდევრობა შემთხვევითი არ არის და აღწერილი მონეტაც ვახტანგ IV უნდა მიეკუთვნოს.

გორის განძში გიორგი VIII-ის (1446 - 1466, 1466 - 1476 წწ.) ორი ერთმანეთისგან განსხვავებული სამონეტო ტიპი აღმოჩნდა. მათი აღწერილობა ასეთია:

ბილონი. წ. – 0.47 - 0.70 გრ.

შუბლი – ოთხსტრიქონიანი ასომთავრული ქართული წარწერა: ᲗᲬᲛ/ᲗᲬᲛᲪ/ᲗᲘᲩᲘᲠ/Ს ᲦᲬᲦᲬ – „მეფე მეფეთა, მონა ღვთისა, გიორგი“.

ზურგი – თანაბარტოტებიანი ჯვარი (ტაბ. IV, № 21).

ბილონი.

შუბლი – ორსტრიქონიანი ქართული ზედწერილი – [ᲗᲦᲗ/ᲦᲗᲦᲗ – „მეფე გიორგი“.

ზურგი – რომელიღაც ცხოველის კონტურები, ხშირ შემთხვევაში კი გამოსახულების გარეშე (ტაბ. IV, № 22).

დ. კაპანაძის აზრით, მონეტა, რომლის ზედწერილში გიორგი მოხსენებულია უბრალოდ „მეფედ“ და არა „მეფეთ მეფედ“, უნდა ეკუთვნოდეს მისი კახეთში მეფობის პერიოდს (1466 - 1476 წწ.), როდესაც მას, ბაგრატ VI-ის მიერ შევიწროებულს, არ შეეძლო რაიმე პრეტენზია ჰქონოდა „მეფეთ მეფის“ ტიტულზე. შეიძლება ეს ასეც იყოს.

გიორგი VIII-ის მეტოქეს, ბაგრატ VI-ს (1466 - 1478 წწ.) უნდა ეკუთვნოდეს შემდეგი მონეტა:

ბილონი. წ. – 0.64 გრ.

შუბლი – ორსტრიქონიანი ქართული წარწერა – ᲗᲦᲗ/ᲦᲦᲔ – „მეფე ბაგრატ“.

ზურგი – ფრთოსანი მხეცის გამოსახულება (ტაბ. IV, № 23).

გორის განძში ასეთი მონეტა ერთადერთ ცალად აღმოჩნდა.

ამ ორი ისტორიული პირის მონეტების სინქრონულია ათაბაგ ყვარყვარეს მონეტაც.

ვერცხლი. წ. – 0.66 გრ.

შუბლი – ხაზოვან ოთხკუთხედში ორსტრიქონიანი ზედწერილი მხედრული ასოებით – ყრ/ყრ (ზედწერილი შესრულებულია შებრუნებულად), „ყვარყვარე“.

ზურგი – თევზის სქემატური გამოსახულება. გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ რვაქიმიანი ვარსკვლავი (ტაბ. IV, № 24).

ფეოდალურ მონეტებს თავდაპირველად მ. ბარათაევი შეეხო, მაგრამ მსგავსი მონეტა შეცდომით რუსუდანს (1222 - 1245 წწ.) მიაკუთვნა. ათაბაგ ყვარყვარეს სახელის ასოებში მან 450 (= 1230 წ.) ქართული ქორონიკონი დაინახა, რომელიც რუსუდანის დირჰემებზე გვხვდება (М. П. Баратаев. Нумизматические факты грузинского царства, გვ. 129, № 14, ტაბ. VI, № 14).

შემდეგში იდენტური მონეტა, რომელიც გორის განძში აღმოჩნდა, ოღონდ **ასომთავრული** ზედწერილით, დ. კაპანაძემ მიაკუთვნა ბაგრატ VI-ის და კონსტანტინე II-ის თანამოსაყდრეობის (1466 - 1478 წწ.) პერიოდს. უკვე მაშინვე ავტორი თავის განსაზღვრას ეჭვის ქვეშ აყენებდა. ამიტომ იყო, რომ ზედწერილის საკუთარ წაკითხვას (ᲮᲰ/ᲦᲯ . . .?) კითხვის ნიშანი დაუსვა (დ. კაპანაძე. XV საუკუნის ქართული ფულის გორის განძი, გვ. 292). ზემოთ აღწერილი ცალის აღმოჩენამ კი მას საშუალება მისცა სწორად ამოეხსნა ამ თევზის გამოსახულებიანი მონეტების მომჭრელის ვინაობა (დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, გვ. 150). ეს არის სამცხის ათაბაგი ყვარყვარე (1451 - 1498 წწ.), ცნობილი თავისი პარტიკულარიზმით. მისი მონეტების სხვადასხვა ვარიანტი მოწმობს,

რომ სამცხის ზარაფხანა, რომელიც, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ახალციხეში იყო, საკმაო პროდუქციას უშვებდა. ყვარყვარეს მონეტების ვარიანტებიდან განსაკუთრებით გამოსაყოფია ის, რომ ც. ღვაბერიძემ მიაკვლია ისეთ ცალს, რომლის შუბლზე ათაბაგის სახელი **არაბულად** არის დაქარაგმებული, ხოლო ზურგზე ისევ და ისევ თევზია გამოსახული (ც. ღვაბერიძე. ახალციხის ზარაფხანა (XIV - XVI სს.). ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში. № 19. თბ. 2010, გვ. 225, № 5, ტაბ. 1).

სპეციალურად უნდა შევჩერდეთ ანეპიგრაფიკულ მონეტებზე, რომელთა ემისია ახალციხის ზარაფხანაში არავითარ ეჭვს არ იწვევს (დ. კაპანაძე, გ. დუნდუა). ვიძლევით მათ აღწერილობას ც. ღვაბერიძის მიხედვით:

1. გფ. № 7200. ვერცხლი. წ. – 077 გრ. ზ. – 14/16 მმ.

შუბლი – წრეში მოთავსებულია მარჯვნივ მიმართული თევზის სქემატური გამოსახულება. გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ წერტილები.

ზურგი – წრეში მოთავსებულია თევზის სქემატური გამოსახულება მიმართული მარცხნივ. ზემოთ და ქვემოთ წერტილები.

2. ქმძფ. № 603. ვერცხლი. წ. – 0.48 გრ. ზ. – 13/14 მმ.

შუბლი – წრეში გამოსახულია ჯვარი.

ზურგი – წრეში მოთავსებულია თევზის სქემატური გამოსახულება, მიმართული მარცხნივ.

3. ქმძფ. № 3215. ვერცხლი. წ. – 0.73 გრ. ზ. – 13/14 მმ.

შუბლი – წრეში მოთავსებულია თევზის გამოსახულება, მიმართული მარცხნივ.

ზურგი – ხაზოვან ოთხკუთხედში სუნიტური რწმენის ფორმულა სამ ხაზზე არაბულად – „არ არს ღმერთი, გარდა ალაჰისა, მუჰამედი მოციქულია მისი“ (ც. ღვაბერიძე. ახალციხის ზარაფხანა (XIV - XVI სს.), გვ. 225 - 226, №№ 6 - 8).

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, თევზის გამოსახულებიანი ქართული მონეტები ანონიმურია. მიუხედავად ამისა, დ. კაპანაძემ სავსებით მართებულად ეს მონეტები მესხეთის ზარაფხანას დაუკავშირა (დ. კაპანაძე. ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის, გვ. 150 - 151, 154 - 155). მას მხარი დაუჭირა გ. დუნდუამ (გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 105). მეტიც: გ. დუნდუამ სპეციალურად განიხილა თევზის გამოსახულებიანი ანონიმური მონეტების ატრიბუცია-დათარიღების საკითხი და, განძების კომპლექსების ანალიზისა და ამ მონეტების დიდი მსგავსების საფუძველზე ყვარყვარეს წარწერიან მონეტებთან, დაასკვნა, რომ მათი ემისია ათაბაგს ეკუთვნის, ოღონდ მისი მოღვაწეობის შედარებით ადრეულ პერიოდს, ვიდრე ის მეფე გიორგის ტყვედ აიყვანდა 1465 წ., ვიდრე სამცხე-საათაბაგო ფორმალურად ჯერ კიდევ შედიოდა ერთიანი საქართველოს ფარგლებში (გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 101 - 106). გაუგებარი მიზეზების გამო, ც. ღვაბერიძემ ამ მოსაზრებას დუმილით აუარა გვერდი და ანონიმური მონეტების ემისია, არც თუ ისე დამაჯერებელ არგუმენტებზე დაყრდნობით, ყვარყვარე II-ის მემკვიდრეებს – ქაიხოსროს (1498 - 1500 წწ.), მზეჭაბუკს (1500 - 1515 წწ.) და ყვარყვარე III (1515 - 1535 წწ.) მიაწერა. ჩვენ იმას არ ვამტკიცებთ, რომ ასეთი

დათარიღება შეუძლებელია, არამედ იმას, რომ ასეთი ატრიბუციისათვის მარტო ავტორის „დაკვირვება“ საკმარისი არ არის (ც. ღვაბერიძე. ახალციხის ზარაფხანა (XIV - XVI სს.), გვ. 226).

გორის და მნას განძებში ყველაზე მრავლად წარმოდგენილია კონსტანტინე II-ის (1478 - 1505 წწ.) მონეტები. ისინი ორ დიდ ჯგუფად იყოფა, როგორც ტექნიკური შესრულების, ასევე მონეტაზე კონსტანტინეს სახელის გადმოცემის თვალსაზრისითაც. პირველ ჯგუფს ეკუთვნის ორმხრივად სიქანაკრავი მონეტები, რომლებზედაც კონსტანტინეს სახელს თან ახლავს ტიტული „მეფე“. მეორე ჯგუფს ცალმხრივად სიქანაკრავი მონეტები შეადგენს. ზოგიერთ შემთხვევაში კონსტანტინეს სახელს თან ახლავს ტიტული „მეფე“, ზოგიერთ შემთხვევაში კი არა.

პირველი ჯგუფის მონეტების აღწერილობა ასეთია:

ბილონი. წ. – 0.43 - 0.62 გრ.

შუბლი – ორსტრიქონიანი ასომთავრული ზედწერილი – ᲨᲦᲘ/ᲮᲡᲘ, „მეფე კონსტანტინე“, გაყოფილია ურთიერთგადამკვეთი ორი ჰორიზონტალური ხაზით (ზოგჯერ – ᲨᲦ/ᲮᲘ).

ზურგი – მარცხნივ მიმავალი უცნობი მხეცი, გრძელი, აშვერილი და ზურგისკენ გადახრილი კუდით (ზოგჯერ გამოსახულების ქვემოთ ან ზემოთ – ჯვარი) (ტაბ. IV, № 25).

ამავე ჯგუფს მიეკუთვნება გორის განძში აღმოჩენილი ოთხი მონეტა.

ბილონი. წ. – 0.57 გრ.

შუბლი – მზის გამოსახულება

ზურგი – ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა – ᲨᲦ/ᲮᲔ – „მეფე კონსტანტინე“, გაყოფილია ურთიერთგადამკვეთი ორი ჰორიზონტალური ხაზით.

ოთხივე მონეტა გაცვეთილია.

ცალმხრივად სიქანაკრავ მონეტებზე კონსტანტინეს სახელის სხვადასხვა შემოკლებები გვხვდება: ᲨᲦᲘ/ᲮᲔᲰᲘ, ᲨᲘ/ᲮᲘ, ᲨᲘ/ᲮᲡ, „მეფე კონსტანტინე“, ან ტიტულის გარეშე – ᲮᲡ/ᲔᲰᲘ, „კონსტანტინე“. დ. კაპანაძეს ეს მონეტები ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელად მიაჩნია. წარწერები ამ მონეტებზე, როგორც ორმხრივად სიქანაკრავ მონეტებზე, გაყოფილია ურთიერთგადამკვეთი ორი ჰორიზონტალური ხაზით (ბილონი, წ. – 0.47 - 0.64 გრ.).

გარდა ქართული მონეტებისა, გორის განძის საშუალებით დადგინდა აგრეთვე ის უცხოური ფულიც, რომელიც მიმოიქცეოდა საქართველოში XV ს. II ნახევარში. ესენი უნდა ყოფილიყო შირვანული თანგები და ოსმალური ახჩები, რომელთა მიხედვით ადგილობრივ მოუჭრიათ ცალმხრივად სიქანაკრავი მინაბაძები (Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика, გვ. 111).

XV ს-ში ფართო გავრცელება ჰქონია ანეპიგრაფიკულ მონეტებსაც, განსაკუთრებით მათ, რომლებზედაც ექვსქიმიანი ვარსკვლავია გამოსახული. ასეთი მონეტები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი გორის და მნას განძებში. უნდა

ვიფიქროთ, რომ ეს სამონეტო ტიპები, ისევე როგორც XV ს-ის ქართული მონეტების ტიპოლოგია საერთოდ, ოსმალეთის ნუმიზმატიკური ძეგლების გავლენას განიცდის.

ასეთია, ძირითადად, XV ს-ის ქართული მონეტების აღწერილობა. მათი უმეტესობა მეცნიერებისათვის გორის განძის წყალობით გახდა ცნობილი. ბუნებრივია დაისვას კითხვა: რამდენად მართებულია ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი განძის XV ს-ით დათარიღება? ეს საკითხი თავის დროზე სავსებით მართებულად გადაჭრა დ. კაპანაძემ (დ. კაპანაძე. XV საუკუნის ქართული ფულის გორის განძი, გვ. 296 და სხვ.). როგორც ზემოთ მივუთითეთ, ამ განძის შემადგენლობაში, გარდა ქართული მონეტებისა, ერია აგრეთვე უცხოური ფულადი ნიმუშების მიხედვით მოჭილი ცალები და, შესაძლებელია, დედნებიც კი. ერთ-ერთი მათგანის ზედწერილი გარკვეული იქნა ცნობილი რუსი და ქართველი ორიენტალისტების – ა. ბიკოვის, გ. წერეთლის, ს. ჯიქიას და ვლ. ფუთურიძის დახმარებით. არაბული ლეგენდა ასე გაიშიფრა: „ისახელოს ძლევა მისი, მოჭრილია/ადრიანოპოლში/წელსა 86“ (დ. კაპანაძე. XV საუკუნის ქართული ფულის გორის განძი, გვ. 296).

მონეტა ცალმხრივია და სავსებით იმეორებს ადრიანოპოლში მოჭრილი ახჩას ტიპს. ასეულების აღმნიშვნელი ციფრი გამოტოვებულია. დ. კაპანაძე სავსებით მართალი იყო, როდესაც წერდა, რომ ამ მონეტაზე 886 წ. უნდა ყოფილიყო აღბეჭდილი. საქმე ის არის, რომ ადრიანოპოლში პირვანდელ მოჭრილ ფულად ტიპად ცნობილია ჰიჯრ. 813 წ. (1410 - 1411 წწ.) დათარიღებული ახჩა (А. А. Быков. Первый османский монетный двор. Труды отдела нумизматики ГЭ. т. I. 1945, გვ. 120). ეს ადრეული ახჩები ეკუთვნის ბაიეზით I - ის (1389 - 1402 წწ.) შვილებს – სულეიმანს და მუსას. ადრიანოპოლშივე უნდა იყოს მოჭრილი სულეიმანის (1403 - 1410 წწ.) უფრო ადრეული მონეტებიც, რომელთა ზედწერილი არ შეიცავს ზარაფხანის სახელს. ყველაზე ადრეული მათ შორის მოჭრილია ჰიჯრ. 806 წ. (= 1403 - 1404 წწ.). მაშასადამე, გორის განძის შემადგენლობაში შემავალი მონეტის თარიღიც ამ საუკუნეში უნდა ვეძიოთ (А. А. Быков. Первый османский монетный двор, გვ. 120). ჰიჯრ. 886 წ. = 1481 წ. ეს წელი კი შედის კონსტანტინე II-ის მეფობის ხანაში.

მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, განძის XV ს-ის II ნახევრით დათარიღება მაინც იქნებოდა შესაძლებელი. თავი რომ დავანებოთ მონეტის წონას, ზომას, ფაქტურას და მოჭრის ტექნიკას, რომელთაც ამ შემთხვევაში განძის ასაკის ზოგადი თარიღისათვის შეიძლება ვენდოთ, არსებობს სხვა საბუთიც. გორის განძის ძირითადი ნაწილი, მოჭრილი კონსტანტინეს სახელით, არ შეიძლება სხვა ვინმეს მიეკუთვნოს, თუ არა კონსტანტინე II-ს. შეუძლებელია კონსტანტინე I-ს თავისი მეფობის ოთხიოდე წელიწადში ფულის ამდენი ნიშანი გამოეშვა და თანაც ასეთი ნაირნაირი ვარიანტებით. XVI ს-ის პირველი მეოთხედის მნას განძში კონსტანტინეს სახელით მოჭრილი ანალოგიური მონეტების დიდი რაოდენობით აღმოჩენა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ისინი კონსტანტინე I-ს არ მიეკუთვნება, რადგან საეჭვოა რომ ამ უკანასკნელის მონეტებს მიეღწია XVI ს-ის პირველი მეოთხედისთვის. ალექსანდრე, ვახტანგი, გიორგი, ბაგრატი, ყვარყვარე, კონსტანტინე, აი ის სახელები, რომლებიც

გორის განძის მონეტებზე გვხვდება. ამის საფუძველზე, ჩვენი აზრით, დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს გორის განძის ქრონოლოგიური ჩარჩოების მოძებნა.

XV ს-ის ქართულ მონეტებს ოსმალური ნუმიზმატიკის დიდი გავლენა ემჩნევა. ამ სტრიქონების ერთ-ერთი ავტორი ამაში დარწმუნდა არა მარტო ლიტერატურის, არამედ მოსკოვის ისტორიული მუზეუმის და სახელმწიფო ერმიტაჟის ოსმალური მონეტების ფონდების გადათვალიერების დროს. განსაკუთრებით თვალში საცემია ის გარემოება, რომ ოსმალური ტრადიციების გავლენა ქართულ მონეტებზე ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამდეც შეიმჩნევა. როგორც ცნობილია, ოსმალური მონეტების თარიღი შეესატყვისება არა მონეტის მოჭრის წელს, არამედ ამა თუ იმ სულთნის ტახტზე ასვლის დროს (А. А. Быков. Первый османский монетный двор, გვ. 9). ამავე წესის მიხედვით უნდა იყოს მოჭრილი ალექსანდრეს მონეტებიც. ალექსანდრეს დღემდე ცნობილი ყველა მონეტა მოჭრილია „ᲩᲐ“ ქორონიკონს, რაც მისი გამეფების წელს ემთხვევა („ᲩᲐ“ = 100 = 1412 წ.). XV ს-ის მეორე ნახევრის ქართული მონეტების ტიპები კი პირდაპირ აღებულია სინქრონული ოსმალური საფასეებიდან.

რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ XV ს-ის ქართული მონეტების მოჭრის ტექნიკას, რაც თავის დროზე სპეციალურად იქნა შესწავლილი ამ სტრიქონების ერთ-ერთი ავტორის მიერ (საკითხის შესახებ იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 21 - 24). გამოირკვა, რომ XV ს-ის ქართული მონეტების მოჭრის ტექნიკის პრონციპი იგივეა, რა პრინციპითაც ჭრიდნენ მონეტებს ოქროს ურდოში, რუსეთში, ყირიმის სახანოში და, შესაძლებელია, სხვა ქვეყნებშიც. ის დამყარებულია ე.წ. **მავთულურ (ან მავთულის) ტექნიკაზე**. მისი არსი, მოკლედ, შემდეგში მდგომარეობს: ნაცვლად იმისა, რომ ხელოსნებს მოეხდინათ ლითონის (ვერცხლის) გამოკვერვა (კვერში გამოყვანა, ჭედვა) ფურცლებად და აქედან გამოეჭრათ მრგვალი ფირფიტები, როგორც ეს საერთოდ იყო მიღებული, მას (ე.ი. ლითონს) ჭიმავდნენ და ღებულობდნენ მავთულს, რომელსაც შემდეგ ყოფდნენ თანაბარი ზომის ნაწილებად. მათი გადაჭრის და გაბრტყელების შედეგად მიღებულ ოდნავ ოვალური ფორმის ნამზადებს ურტყამდნენ სიქას. მართალია, ასეთი ტექნიკით დამზადებული მონეტების ესთეტიური მხარე საგრძნობლად აგებდა, მაგრამ მას თავისი დადებითი მხარეც ჰქონდა: ჯერ ერთი, ნაკლები იყო მონეტათა წონითი რემედიუმი და მეორეც, ამით აღწევდნენ ლითონის და დროის ეკონომიას, რადგან ასეთი მეთოდით მუშაობისას ნაკლებია ლითონის დანაკარგი და ნარჩენები აღარ მოითხოვს დამატებით დამუშავებას (იხ. И. Г. Спасский. Русская монетная система. Л. 1962, გვ. 89). ეს ტექნიკა, როგორც ჩანს, მონღოლური წარმოშობისაა და არა რუსული, როგორც ამას რუსული ნუმიზმატიკის მკვლევარები ფიქრობდნენ (იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 23, აქვე სათანადო ლიტერატურა).

* * *

XV ს-ის ქართული მონეტების აღწერის შემდეგ, გავეცნოთ სინქრონული უცხოური მონეტების აღმოჩენის ფაქტებს საქართველოში და ამის საფუძველზე, აგრეთვე, წერილობითი წყაროების ცნობების მოშველიების გზით, აღვადგინოთ სამონეტო ცირკულაციის სურათი ჩვენს ქვეყანაში შესაბამის პერიოდში. მაგრამ ჯერ ერთ მნიშვნელოვან მომენტზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

XV ს-ის დასაწყისში აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ფულად სისტემაში ახალი გარდატეხა მოხდა. საბოლოოდ დაკნინებულ ჯალაირულ დირჰემს ცვლის თემურ-ლენგის მაღალხარისხოვანი ვერცხლის თანგა, რომლის წონა 6.2 გრ. უდრიდა (Е. А. Пахомов. Монетные клады . . . I, გვ. 30). თანგა, როგორც ფულის ძირითადი ერთეული, მიღებულ იქნა მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. საქართველოს ფულად სისტემას, როგორც ფაქტობრივი მასალის ანალიზი ცხადყოფს, ეს რეფორმა არ შეხებია. XIV ს-ის დასასრულს და XV ს-ის დასაწყისში ჩვენში საბოლოოდ დაკნინებული წონის მონეტები იჭრება და მათ ტიპოლოგიურადაც არაფერი აქვს საერთო თემურ-ლენგის თანგებთან. ეს, რა თქმა უნდა, შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ ეკონომიკურად დასუსტებულ ქვეყანას საშუალება არ ჰქონდა ასეთი სრულფასოვანი მონეტის მოჭრისა, მაგრამ ამ გარემოებას ხელი არ უნდა შეეშალა თემურ-ლენგის თანგების გავრცელებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე. სინამდვილეში კი სულ სხვა სურათი გვაქვს. ჩვენში თემურის მონეტების (მაგრამ არა რეფორმის შემდგომ დროინდელი სრულფასოვანი თანგების, არამედ XIV ს-ის წვრილი ფულის) აღმოჩენის სულ რამდენიმე შემთხვევაა აღრიცხული (მათი ჩამონათვალი იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 75 - 76).

თემურ-ლენგის მონეტებთან დაკავშირებით კიდევ ერთ ფაქტზე უნდა შევჩერდეთ.

თემურის ისტორიკოსის შერეფ ედ-დინ ალი იეზდის ცნობის თანახმად, როდესაც მასა და გიორგი VII-ს შორის შეთანხმება მოხერხებულა, ამ უკანასკნელს მრისხანე მეტოქისათვის სხვა საჩუქრებთან ერთად გაუგზავნია **ათასი ოქროს მონეტა შემკული თემურ-ლენგის სახელით** (ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 8). XVII ს-ის ქართველ ისტორიკოსს ფ. გორგიჯანიძეს კი ნათქვამი აქვს, რომ გიორგი VII-მ თემურს **ათასი თეთრი გაუგზავნაო** (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. ს. კაკაბაძის გამოცემა. საისტორიო მოამბე. თბ. 1925. II, გვ. 312). რომელ ცნობას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა?

ჯერ ერთი, სავალდებულო არ არის ფ. გორგიჯანიძის მიერ ნახმარ ტერმინში „თეთრი“ აუცილებლად ვერცხლის მონეტები ვიგულისხმოთ, რადგან, როგორც ეს ჯავახიშვილს აქვს გამორკვეული, „თეთრი“ ფულის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინადაც იხმარებოდა და ზოგიერთ შემთხვევაში მის ქვეშ ოქროს მონეტებიც იგულისხმებოდა (ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 12). მაგრამ თუკი ფ. გორგიჯანიძის მიერ ნახმარ ტერმინში

ნამდვილად ვერცხლის მონეტები იგულისხმება, მაშინ მის ცნობას შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ შემდეგი მიზეზების გამო:

შერეფ ედ-დინ ალი იეზდის თხზულება „ზაფარ-ნამე“ სამეცნიერო ლიტერატურაში თემურის მოღვაწეობის შესახებ ყველაზე კომპეტენტურ წყაროდ არის მოჩნეული (А. Ю. Якубовский. Тимур (опыт краткой характеристики)., გვ. 44). ის ისეთ წყაროებს იყენებს, რაც არც ერთ სხვა ისტორიკოსს არ გამოუყენებია. გარდა ამისა, შერეფ ედ-დინ ალი იეზდი XV ს-ის პირველი ნახევრის ისტორიკოსია და მისი ცნობები ამდენად უფრო სარწმუნოა, ვიდრე XVII ს-ის ქართველი ისტორიკოსის ვერსია. მართალია, ალი იეზდის ნაშრომი სრულებით არ არის დაზღვეული ნაკლისგან, რაც, უპირველეს ყოვლისა, თემურის გადაჭარბებულ აპოლოგიაში გამოიხატება, მაგრამ ამ შემთხვევაში არავითარ გადამეტებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ბოლოს და ბოლოს, რას წარმოადგენდა **ათასი ვერცხლის თანგა** მოჭრილი გიორგის მიერ, რომ ის განსაკუთრებით აღენიშნა ისტორიკოსს. თემურის წინაშე თითქმის მთელი მაშინდელი აღმოსავლეთი იხრიდა ქედს და სპეციალურ ლიტერატურაში ჩამოთვლილი საჩუქრების ფონზე, რასაც დაპყრობილი ქვეყნების მესვეურები უგზავნიდნენ მას, ათასი ვერცხლის თანგა იმდენად უმნიშვნელოა, რომ საეჭვოა, ვინმეს ეკადრებია მათი გაგზავნა მრისხანე დამპყრობლისათვის.

ფ. გორგიჯანიძის ისტორია ჩვენი წარსულის შესწავლის საქმეში, მისი სანდოობის თვალსაზრისით, არც თუ ისე მაღალ შეფასებას იმსახურებს (ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თბ. 1945, გვ. 284 - 298). თემურ-ლენგის შემოსევების ამბავიც მას თავისებურად და ზოგჯერ შემცდარი გაშუქებით აქვს გადმოცემული (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. ს. კაკაბაძის გამოცემა, გვ. 198). კონკრეტულ შემთხვევაშიც, მის ცნობას ვერ მივცემთ უპირატესობას შემდეგი მოსაზრებების გამო: 1. ფარსადან გორგიჯანიძე XVII ს-ის ისტორიკოსია და ასეული წლებით არის მოცილებული თემურის ეპოქას, ალი იეზდი კი თითქმის თემურის თანამედროვეა; 2. ფარსადან გორგიჯანიძე თავისი ისტორიისათვის, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, იყენებს არა პირველხარისხოვან წყაროებს (შერეფ ედ-დინ ალი იეზდის და ნიზამ ედ-დინ შამის „ზაფარ-ნამეს“), არამედ კომპილაციურ თხზულებებს და ამდენადაც არც ამ მხრივ ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც მის თხრობას, როგორც თემურის არათანამედროვე პირისას, გააჩნდა (დ. კაციტაძე. ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებისა და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებების XV საუკუნის სპარსული წყაროები. აღმოსავლური კრებული. I. 1960, გვ. 156 - 157).

ამრიგად, ფაქტად უნდა ჩაითვალოს გიორგი VII-ის მიერ თემურისთვის მისი სახელით აღბეჭდილი ათასი ოქროს გაგზავნა. რა მონეტები უნდა ყოფილიყო ისინი?

ივ. ჯავახიშვილი და ს. კაკაბაძე მათ უცილობლად გიორგი VII-ის მიერ მოჭრილ მონეტებად მიიჩნევენ (ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა . . ., გვ. 8 - 10; ს. კაკაბაძე. საფასის ისტორიისათვის საქართველოში. საისტორიო მოამბე. I. 1925, გვ. 15).

თუ არ ჩავთვლით ანტიკურ პერიოდს, საქართველოს ზარაფხანებში ოქროს მონეტების ემისია ფაქტობრივი მასალით არ დასტურდება (ანტიკური ხანის მასალაც რამდენადმე სადავოა). მართალია, მეცნიერების განკარგულებაში შერეფ ედ-დინ ალი იეზდის ზემოთ მოყვანილი სიტყვების გარდა სხვა ცნობებიც არსებობს, რომლებიც თითქოს ადასტურებს საქართველოში ოქროს მონეტების მოჭრის ფაქტს, მაგრამ ასეთი ფული ჯერჯერობით არავის უნახავს. ამასთან დაკავშირებით დ. კაპანაძე აღნიშნავს: „მაღალ წრეებში სასაჩუქროდ ოქროს შაურიანებიც უჭრიათ. ექვთ. თაყაიშვილმა თავის დროზე ვახტანგ VI დროინდელი შემდეგი შინაარსის საბუთი გადაწერა: „ქ. ნასყიდა თავლადარს ასლანის აწონილი შვიდი მისხალი ოქრო გავუგზავნე ხალასი **ოქროს შაურების მოსაჭრელად. ოცდათვრამეტი შაური გამოგზავნა**. ესეც ავწონე. შვიდს მისხალს აკლდა ნახევარი მისხალი და ხუთი მუხუდო“. მაშასადამე, ოქროს შაურის წონა იმ დროს დაახლოებით 0.70 გრ. ყოფილა. 1789 წლით ერთ-ერთ საბუთში წერია, რომ „ოქრო შაურებადაც მოჭრილა სანავრუზოდ“ (ე.ი. საახალწლო საჩუქრის გასაცემად). თუმცა ასეთი ოქროს შაურიანები ჩვენ არ შეგვხვედრია“ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 142).

გამომდინარე ზემოთქმულიდან, თუკი ივ. ჯავახიშვილის და ს. კაკაბაძის მოსაზრება გამართლდება, მას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ქართული ნუმიზმატიკის ისტორიისათვის. სამწუხაროდ, მათ თავიანთი აზრი მხოლოდ შერეფ ედ-დინ ალი იეზდის ცნობაზე აქვთ დამყარებული და ის სხვა საბუთით არ შეუმაგრებიათ. ეს კი დამაჯერებელი არ არის, რადგან გიორგი VII თემურისთვის შეეძლო მისივე მოჭრილი ოქროს ფულიც გაეგზავნა.

პირველი საბუთი ივ. ჯავახიშვილის და ს. კაკაბაძის აზრის სასარგებლოდ თვით შერეფ ედ-დინ ალი იეზდის მიერ ფაქტის აღნიშვნაში უნდა ვეძიოთ. როგორც ჩანს, ისტორიკოსი ამ ფაქტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ მასზე ასე რიგ გაამახვილა ყურადღება. შემდეგი საბუთი ის არის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე თემურ-ლენგის თანგების აღმოჩენის არც ერთი შემთხვევა არ არის აღრიცხული. სავარაუდოა, რომ ისინი საერთოდ არ შემოდის საქართველოს ტერიტორიაზე. მით უმეტეს, არ უნდა შემოსულიყო ოქროს მონეტები, რომლებიც აღმოსავლეთში განსაზღვრული რაოდენობით იჭრებოდა. ე. პახომოვმა თავის დროზე ამ სტრიქონების ერთ-ერთ ავტორს წერილობით შეკითხვაზე უპასუხა, რომ თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მას ამიერკავკასიის განძებში არ შეხვედრია არც ერთი ოქროს მონეტა, მოჭრილი თემურ-ლენგის სახელით. მაგრამ, როგორც ცნობილია, თემურს საქართველოს დედაქალაქი, თბილისი, რამდენჯერმე ეპყრა ხელთ. ადვილი დასაშვებია, რომ თბილისის აღების აღსანიშნავად მან აქვე მოაჭრევინა ოქროს მონეტები, რომლებიც შემდეგ გიორგი VII-ს ჩაუვარდა ხელთ. თავის დროზე ამ წიგნის ერთ-ერთმა ავტორმა გულდასმით შეისწავლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, მოსკოვის ისტორიული მუზეუმის და ერმიტაჟის აღმოსავლური მონეტების ფონდები, მაგრამ თემურ-ლენგის სახელით თბილისში მოჭრილი ოქროს, ან, თუნდაც, ვერცხლის მონეტა ვერ მოიძია. მისივე თხოვნით, პროფ. დ. ლანგმა შეამოწმა ბრიტანეთის მუზეუმის აღმოსავლური მონეტების საცავი და უპასუხა მას, რომ

საინტერესო მონეტები არც იქ აღმოჩენილა. იგივე პასუხი მიიღო მან შუა აზიის რესპუბლიკებში მომუშავე ნუმიზმატებისგან (ე. დავიდოვიჩის და მ. კაპლუნოვასაგან): დუშანბეს, ტაშკენტის და სამარყანდის მუზეუმებში თემურის სახელით თბილისში მოჭრილი მონეტები დაცული არ არის და არც ოდესმე ყოფილა მათი აღმოჩენის შემთხვევა აღრიცხული შუა აზიის ტერიტორიაზე. თბილისში მოჭრილი თემურის მონეტები ცნობილი არ არის ლიტერატურიდანაც. და საერთოდ, თემურის სახელით მოჭრილი ოქროს მონეტები საკმაოდ დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. შუა აზიის და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მათი აღმოჩენის შემთხვევები აღრიცხული არ არის.

ასეთია ის საბუთები, რომლებიც ივ. ჯავახიშვილისა და ს. კაკაბაძის მოსაზრებას მისაღებად ხდის.

მაგრამ შეიძლება მათი აზრის საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანაც. პირველი ასეთი არგუმენტი ზოგადი ხასიათისაა. სავსებით სამართლიანია საყოველთაოდ მიღებული შეხედულება, რომ აღმოსავლეთში ოქროს მონეტები მცირე რაოდენობით იჭრებოდა, მაგრამ ოქროს მონეტების ემისიას მაინც ჰქონდა ადგილი და მათი გარკვეული ნაწილი მიმოქცევაშიც კი ირთვებოდა (Г. А. Федоров-Давыдов. К вопросу о денежном курсе золота в Иране и Средней Азии в XIV в., გვ. 54). საქართველოში კი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ანტიკური ხანის გამოკლებით, ოქროს მონეტები არ იჭრებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მონეტები ჯერჯერობით არ ჩანს. უნდა ვიფიქროთ, რომ ოქროს მონეტების ემისიის ტრადიცია საქართველოში არ ყოფილა. მით უფრო დაუჯერებელია, რომ ეს განხორციელებულიყო თემურ-ლენგის შემოსევების პერიოდში, როდესაც ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურად უკიდურესად იყო დასუსტებული. მეორეც, მართალია, თემურის ოქროს მონეტები დიდ იშვიათობას წარმოადგენს, მაგრამ ისინი მაინც ცნობილია. სამი ცალი ინახება ერმიტაჟში, რომლებიც ა. მარკოვს აქვს გამოქვეყნებული (А. Марков. Инвентарный каталог мусульманских монет Императорского Эрмитажа. С.-Петербург. 1897, გვ. 566, №№ 335-336, 339; № 335 მოჭრილია 781 წ. = 1379/80 წწ., № 336 – 781 წ. = 1379/80 წწ., № 339 – 783 წ. = 1381/82 წწ.), და შვიდი ცალი დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, ისინი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დღემდე გამოუქვეყნებელია (მოსკოვის ისტორიული მუზეუმის აღმოსავლური მონეტების ფონდი №№ 91560/В – 1029 - 1030, თემური და სიურღათმიში, მოჭრილია ჰიჯრ. 781 წ. = 1379/80 წწ. – 2 ც, 91560/ В – 1031 - 2, თემური და სიურღათმიში, მოჭრილია ჰიჯრ. 781 წ. = 1379/80 წწ. – 2 ც, 91560/ В – 1034 - 6, თემური და სიურღათმიში, მოჭრილია ჰიჯრ. 782 წ. = 1380/81 წწ. – 3 ც.). მეტად სიმპტომატურია, რომ ათივე მონეტა მოჭრილია თემურის საქართველოში ლაშქრობამდე და საფინანსო რეფორმის წინა ხანებში. თემურის ვერცხლის სინქრონული მონეტები კი, როგორც თავის ადგილზე მივუთითეთ, საქართველოში, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც შემოდის. დასაშვებია, რომ სხვადასხვა არხებით საქართველოში მოეღწია თემურის სახელით მოჭრილ ოქროს მონეტებსაც.

ზემოთქმულის გამო, ჩვენ უყოყმანოდ ვერ გავიზიარებთ ივ. ჯავახიშვილის და ს. კაკაბაძის აზრს. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ თემურის სახელით

სიქაშემკული ათასი ოქროს ფული გიორგი VII-მ მოაჭრევინა, როგორც **დონატური მონეტა**, მაგრამ ამ მოსაზრების კატეგორიული მტკიცების მომხრე ჩვენ არ ვართ.

დავუბრუნდეთ საკითხს იმის შესახებ, თუ რა მონეტები მიმოიქცეოდა XV ს-ის საქართველოში ადგილობრივ მოჭრილ ფულთან ერთად.

უპირველეს ყოვლისა, მივმართოთ წერილობით ცნობებს.

კონსტანტინე I-ის (1407 - 1411 წწ.) და ალექსანდრე I დიდის (1412 - 1442 წწ.) სახელთან დაკავშირებული რამდენიმე ცნობა მოგვეპოვება. კონსტანტინე I-ის დროის საბუთებში ნახსენებია **თეთრი**: „ . . . თქუენთვის **თეთრი** მოეჴსენა ოთარს, ვარაზსა, რომემცა ვენაჴ გეყიდა და მცხეთას მათისა სულისათუის აღაპი დაედვა ნიკოლოზობის დღესა“ (XV ს-ის საბუთებში მოხსენიებული ერთად თავმოყრილი ფულის აღმნიშვნელი ტერმინები სათანადო ბიბლიოგრაფიით იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 8 - 19).

ალექსანდრე I-ის ეპოქაში საფასის აღმნიშვნელი ორი ტერმინი იხმარება: **თეთრი და თანგა**. ქვათახევის მონასტრის სიგელში ნათქვამია: „მერმე მან ვენახი მომყიდა **სამასი თანგა** მივეც“-ო. როდესაც ალექსანდრე I-ს ლორე აუღია და ქართული ტაძრების აღდგენისათვის მიუყვია ხელი, ვინაიდან „ . . . მას ჟამსა შემოსავალი არსაით იყო სახლისა მისისათვის და ამით საქართველოს კუამლსა ზედა **ორმეოცი თეთრი მალად** განაჩინა“. **თანგა** იხსენიება აგრეთვე ალექსანდრე I-ის მიერ 1433 წ. გაცემულ ერთ-ერთ სიგელში, რომელიც შემდეგ მის მემკვიდრეს, ვახტანგ IV განუახლებია.

გიორგი VIII-ის რამდენიმე საბუთში ასევე **თანგა** ფიგურირებს (გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 9 - 10).

ამრიგად, წყაროების ცნობების მეშვეობით დასტურდება, რომ 1440 წლამდე (და შემდეგაც) საქართველოში გავრცელებული მონეტა **თანგა** ყოფილა. გარდა ამისა, დასტურდება ისიც, რომ ალექსანდრეს მეფობის ხანაში როგორც სახელმწიფო ხაზინა, ასევე ხალხი ფულის დიდ ნაკლებობას განიცდიდა. სომეხი ისტორიკოსის თომა მეწოფელის სიტყვებით, მოსახლეობას **1000 თანგის** საფასურად თავისი ახლობლების ტყვეობიდან დახსნა არ შეეძლო (გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 10). გარდა ამისა, საბუთებში **თანგის** და **თეთრის** მონაცვლეობა გვაფიქრებინებს, რომ ამ დროს თეთრში თანგა იგულისხმებოდა.

მაგრამ რომელი ქვეყნის თანგაა ქართულ საბუთებში ნაგულისხმევი? ამაზე პასუხი ფაქტობრივმა მასალამ, საქართველოში აღმოჩენილმა სამონეტო კომპლექსებმა უნდა გაგვცეს. ქვემოთ მოგვყავს მათი სია:

1. 1830 - 32 წწ. ლორეში აღმოჩნდა ფულადი განძი. ეს კომპლექსი თავის დროზე პეტერბურგის აზიურ მუზეუმში მოხვდა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წწ. ამ სტრიქონების ერთ-ერთი ავტორი ამაოდ შეეცადა აღედგინა ამ განძის ერთიანი კომპლექსი. საქმე ის არის, რომ განძში შემავალი მონეტები, მათი სადაურობის მიხედვით, სათანადო დოკუმენტაციის გარეშე, სხვადასხვა ფონდებში გაუტარებიათ. მაგრამ ლორეს განძი რომ ნამდვილად პეტერბურგის აზიურ მუზეუმში შევიდა, ეს არ

უნდა იყოს საეჭვო. ლორეს განძში 67 ქართული მონეტა იყო (Е. А. Пахомов. Монетные клады . . . I, გვ. 59, № 165). ყოფილი აზიური მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდებში დღესაც ამდენივე ქართული მონეტა არის დაცული.

განძის აღმოსავლური მონეტების ემისიის უკიდურესი თარიღებია 1343 - 1426 წწ. 1426 წ. არის კომპლექსის დაფლობის terminus post quem. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ განძი კიდევ უფრო გვიან უნდა იყოს ჩამარხული. ამას გვაფიქრებინებს ლორეს განძში 67 ქართული მონეტის აღმოჩენა. ალექსანდრე I ლორე 1431 წ. აიღო (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. IV. თბ. 1948, გვ. 35). ძნელი დასაჯერებელია, XV ს-ის გაუფასურებული და, ფაქტობრივად, არავითარი ღირებულების მქონე ქართული მონეტა ასეთი რაოდენობით გასულიყო საქართველოს ფარგლებს გარეთ და სრულფასოვან მონეტებთან ერთად მოხვედრილიყო განძში. ჩვენი აზრით, უფრო სწორი იქნება განძის დაფლობა 1431 წ. შემდეგ ვივარაუდოთ, როდესაც ლორე საქართველოს შემოუერთდა და, ბუნებრივია, ქართულმა მონეტებმა იქ იწყო ტრიალი.

ლორეს განძის 503 მონეტიდან 13 ჯუჩიდურია, 22 – ჰულაგუიდური, 9 – ჯალაირიდული, 16 – თემურის და სხვადასხვა პირის (სიურღათმი'ში, მაჰმუდი) მიერ მოჭრილი, 47 – თემურიდების, 50 – შირვანშაჰების, 8 – ოსმალების, 3 – მამლუქების, 90 – ყარა-ყოინლუს და 9 – აყ-ყოინლუს (Е. А. Пахомов. Монетные клады . . . I, გვ. 59, № 165). რა დასკვნის გამოტანა შეიძლება აქედან? უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემია ის, რომ ამ განძის შემადგენლობაში მოხვედრილი არ არის თემურის 6.2 გრ. წონის მქონე თანგა. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ამ თანგის აღმოჩენის არც ერთი შემთხვევა არ არის ფიქსირებული საქართველოს ტერიტორიაზე, რაც გვიმტკიცებს იმ აზრს, რომ ქართულ წყაროებში მოხსენიებულ **თანგაში არ უნდა იგულისხმებოდეს თემურის თანგები**. ისინი, როგორც ჩანს, საერთოდ არ შემოდის საქართველოში. სამაგიეროდ, კვლავ მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი თემურ-ლენგის და სხვადასხვა პირის სახელით XIV ს. 80-90-იან წწ. მოჭრილი მონეტები. შემდეგი დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს ამ ნაწილში კვლავ ტრიალებს (მართალია, უკვე შემცირებული მასშტაბით) ჯუჩიდური, აგრეთვე ჰულაგუიდური და ჯალაირიდული მონეტები.

თემურ-ლენგის სიკვდილის შემდეგ ადარბადაგანს თურქმანები ეუფლებიან. საქართველოს მეზობლად ახალი ძალა ჩნდება. ყარა-ყოინლუს წინააღმდეგ ომს საქართველოს ორი მეფე (გიორგი VII და კონსტანტინე I) შეეწირა მსხვერპლად. ყარა-ყოინლუს მონეტების თავმოყრას ლორეს განძში ადვილად ავხსნით ამ ისტორიული მომენტების გათვალისწინებით.

ლორეს განძის შემადგენლობა გვაფიქრებინებს, რომ თემურიდების და შირვან-შაჰების მონეტებს საკმაოდ ფართო გავრცელება უნდა ჰქონოდა საქართველოში. ძნელი სათქმელია, რამდენად იყო ჩვენში ამ დროს გავრცელებული ოსმალების და მამლუქების მონეტები, მაგრამ განძის შემადგენლობაში მათი მოხვედრა უკვე თავისთავად იმსახურებს დიდ ყურადღებას.

ცხადია, ლორეს განძი დიდ დახმარებას გვიწევს, მაგრამ მას მაინც არ შეუძლია სრულად წარმოგვიდგინოს ფულის ტრიალის სურათი ჩვენში XV ს-ის 30-40-იან წწ-ში, რადგან ლორე საქართველოს ახლადშემოერთებული სამხრეთის საზღვარი იყო, რომელსაც უშუალო შეხების წერტილი ჰქონდა აღმოსავლეთთან. დამატებითი ცნობების უქონლობის პირობებში, გაძნელდება იმის თქმა, იყო თუ არა ანალოგიური მდგომარეობა ქვეყნის სიღრმეშიც. საბედნიეროდ, ჩვენ მოგვეპოვება ასეთი დამატებითი მასალა, და არა ერთი.

2. 1964 წ. აპრილში სოფ. ახალი საქობოს (ლაგოდეხის რ-ნი) მახლობლად შემთხვევით იპოვეს თიხის ქოთანი, რომელშიც მოთავსებული იყო ვერცხლის მონეტები. მონეტები გაიფანტა, გადარჩა მხოლოდ 46 ც., რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ საცავში – გფ. №№ 11415 - 11460. განძის ყველა მონეტა შირვანული ანონიმური თანგაა და მიეკუთვნება ჰალილულაჰ I-ის (ჰიჯრ. 820 - 867 წწ. = 1417 - 1462 წწ.) მმართველობის პერიოდს. განძის 46 მონეტიდან 44 მოჭრილია შემახიაში, 2 – ბაქოში. მონეტებზე მოთავსებული თარიღის მიხედვით, განძის ჩამარხვა 1426 - 1427 წწ. შემდეგ არის სავარაუდო (დაწვრილებითი ინფორმაცია ამ და შირვანული მონეტების სხვა განძების შესახებ იხ. Г. Ф. Дундуа. Монетное обращение и торгово-экономические связи Грузии XV века. Автореферат диссертации на соискание ученной степени кандидата исторических наук. Тб. 1965, გვ. 12 - 13; Ир. Л. Джалагания, Г. Ф. Дундуа. Обращение ширванских монет XV века в Грузии. Статья первая и вторая. Известия Академии наук Азербайджанкой ССР. Серия истории, философии и права. Б. 1973. № 4, გვ. 53 - 69; 1974. № 1, გვ. 56 - 68. ამ უკანასკნელ ნაშრომში ამომწურავად არის განხილული საქართველოში შირვანული მონეტების მიმოქცევის და საქართველო-შირვანის ურთიერთობის საკითხები XV ს.).

3. 1951 წ. შემოდგომაზე სოფ. თამარაშენში (ცხინვალის რ-ნი) შემთხვევით იპოვეს თიხის კოჭობი ვერცხლის მონეტებით. კომპლექსი მპოვნელებმა ერთმანეთს შორის გაინაწილეს. ცხინვალის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ამ განძიდან მომდინარე 37 მონეტა არის დაცული, ხოლო საქართველოს ეროვნულ მუზეუმში – 8 (გფ. №№ 11414, 12140 - 12146). განძის შემადგენლობაში შემავალი სპილენძის ერთი მონეტა მოჭრილია საქართველოს მეფის დავით VIII-ის (1293 - 1311 წწ.) სახელით. განძის 44 **შირვანული თანგა** მიეკუთვნება ჰალილულაჰ I-ის ეპოქას. კომპლექსი ჩამარხული უნდა იყოს 1462 - 1463 წწ-ის შემდეგ. თანგები ძალიან გაცვეთილია და ზარაფხანები ცუდად იკითხება. 18 ეგზემპლარი შეიძლება შემახიაში იყოს მოჭრილი.

4. 1928 წ. სოფ. დიდხორხში (დუშეთის რ-ნი) აღმოჩნდა თიხის ქოთანი ვერცხლის მონეტებით. ე. პახომოვს განძის აღმოჩენის არც თუ ისე ზუსტი კოორდინატები აქვს მითითებული და არც განძის შემადგენლობაში შემავალი მონეტების ზუსტი რიცხვი აქვს დასახელებული: „ . . . около 68 денег начало XV в. . . .“ (Е. А. Пахомов. Монетные клады. вып. III. 1940, გვ. 54, № 876). სინამდვილეში, განძი შეიცავს **66 შირვანულ თანგას** და 20 ქართულ მონეტას (ეს რიცხვი ე. პახომოვს სწორად აქვს დაფიქსირებული). შირვანული თანგები მიეკუთვნება ჰალილულაჰ I-ის

ხანას, რომელთაგან ყველაზე გვიანდელის ემისიის წელია ჰიჯრ. 834 (= 1430 - 1431 წწ.). ისინი მოჭრილია შემახიაში, ბაქოსა და დარუბანდში. მაგრამ შირვანული მონეტების მიხედვით განძის დაფლობის თარიღს ვერ დავადგენთ. ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული თევზისგამოსახულებიანი ანონიმური ქართული მონეტების ატრიბუციასთან, რომელთა ემისია, თავის დროზე, სამცხის ათაბაგს ყვარყვარეს მიეწერა. ოღონდ, მიახლოებით, მისი მოღვაწეობის იმ პერიოდს, როდესაც მან საქართველოს მეფე გიორგი VIII დაატყვევა (გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 105 - 106). ამრიგად, განძის ჩამარხვის ხანად XV ს-ის მეორე ნახევარი უნდა ვიგულისხმოთ.

5. 1971 წ. ხაშურის რ-ნის სოფ. ალში, გომიდან (ქართლი) საჩხერისაკენ (იმერეთი) მიმავალი გზის მონაკვეთის სიახლოვეს, ვენახში მუშაობის დროს, შემთხვევით აღმოჩნდა თიხის კოჭობი ვერცხლის მონეტებით. განძი გაიფანტა. 55 ც. ხაშურის მუზეუმში შევიდა, ხოლო 4 – სოფ. ქორეთის (საჩხერეს რ-ნი) სასკოლო მუზეუმში. განძი შეიცავს ჰალილულაჰ I-ის დროის ანონიმურ თანგებს, 6 ც., და ფარუხ-იასარის (ჰიჯრ. 867 - 906 წწ. = 1462 - 1500 წწ.) წვრილ მონეტებს – 53 ც. განძის ყველაზე ადრეული მონეტა მოჭრილია ჰიჯრ. 834 წ. (= 1430 - 1431 წწ.), გვიანდელი – ჰიჯრ. 898 (1492 - 1493 წწ.). განძი, როგორც ჩანს, ჩამარხულია XV ს-ის დასასრულს. ალის განძის მონეტები გაცვეთილია, მხოლოდ ზოგიერთ ცალზე იკითხება ზარაფხანის სახელი – შემახია.

ამრიგად, ზემოთ მოხსენიებული განძების შემადგენლობის ანალიზი სრულ უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ XV ს-ის მთელ სიგრძეზე აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო ცირკულაციაში პრევალირებული ადგილი შირვანულ **თანგებს** ეკავა, რომ ქართულ წყაროებში მოხსენიებული თანგების ქვეშ უცილობლად ამ ქვეყნის მონეტებია ნავარაუდევი.

შირვანული მონეტების შემოსვლის გზებს საქართველოში თვით განძების აღმოჩენის ადგილები გვკარნახობს. დავიწყოთ დიდხორხის განძით.

სოფ. დიდხორხი თავისი მდებარეობით ერთგვარ ჩიხს წარმოადგენს. ის მდინარეებით და მთებით არის შემოფარგლული. ერთადერთი შესაძლებელი პუნქტი, საიდანაც განძში შემავალი მონეტები ამ სოფელში უნდა მოხვედრილიყო, ჟინვალია.

ვახუშტის მიხედვით, „ . . . ჟინვანი არს შავისა და თეთრის არაგვის შესაკრებელოს შორის ციხე შენი და მაგარი და იყო ქალაქი და აწ უქმ არის“ (ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1940, გვ. 93). ვახუშტის სიტყვების გარდა, ჟინვალის მნიშვნელობას სხვა ცნობებიც ადასტურებს. თამარის დროინდელი წყარო გვაუწყებს, რომ „ . . . ჭიაბერსა მანდატურთ-უხუცესსა მოუმატეს და უბოძეს ჟინვანი, ქალაქი და ციხე, მრავლითა მთიულეთითა“ (ქართლის ცხოვრება. II. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 55). როდესაც დავით VIII-ს და ყაზან ყაენს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, დავითმა სწორედ ჟინვალს შეაფარა თავი: „ . . . და მოვიდა მთიულეთს, უკუდგა ჟინვანს, შეკრა სიბა, და მცველნი დაუდგინნა“ (ქართლის ცხოვრება. II. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 302) – გვაუწყებს ჟამთააღმწერელი. თ. ლომოური ჟინვალში

ზარაფხანის არსებობასაც ვარაუდობს, სადაც, მისი აზრით, მთებში გახიზნულ დავით VIII-ს თავისი სპილენძის მონეტები უნდა მოეჭრა (თ. ლომოური. დავით VII-ის და ვახტანგ III-ის ფულები. სსმმ. ტ. XV-B. 1948, გვ. 74).

როგორც ჩანს, პოლიტიკურად ჟინვალი კახეთს უკავშირდება. აქ კახთა მეფის სასახლე ყოფილა. კახეთის უკიდურეს ჩრდილოეთ წერტილად სტეფანწმინდაა მიჩნეული (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II. თბ. 1948, გვ 41). ფუძნარის ეკლესიას, რომელიც ჟინვალის ახლოს მდებარეობდა, აკად. გ. ჩუბინაშვილი კახეთის არქიტექტურულ ძეგლებში ათავსებს (Г. Н. Чубинашвили. Архитектура Кахетии. Тб. 1959, გვ. 423).

ჟინვალზე გადიოდა მთავარი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალები, რომლებიც ჩრდილოეთისკენ მიემართებოდა. ერთ-ერთი მათგანი, გადაჭრიდა რა მთელ კახეთის სამეფოს (გიში – კახი – ბელაქანი – ლაგოდეხი – ყვარელი – გრემი – ბახტრიონი – ჟინვალი – სტეფანწმინდა – არაგვისკარი), მას, ერთი მხრივ, ჩრდილოეთთან აკავშირებდა, ხოლო, მეორე მხრივ, შაქთან და შირვანთან. ჩვენი აზრით, სწორედ ამ გზით უნდა მოხვედრილიყო ჟინვალში (ხოლო შემდეგ სოფ. დიდხორხში) შირვანული მონეტები.

XV ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან კახეთის სამეფო საქართველოს სხვა კუთხეებზე მეტად დაწინაურდა პოლიტიკურად და ეკონომიკურადაც. ქალაქები – ზაგემი, გრემი, თელავი – მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებს წარმოადგენდა. ჩვენი აზრით, დიდხორხის განძი, ერთგვარად, კახეთის სამეფოში სამონეტო მიმოქცევის სურათის ანარეკლი უნდა იყოს. სრულიად აშკარაა, რომ XV ს-ში კახეთის სამეფო ეკონომიკურად მჭიდროდ იქნებოდა დაკავშირებული შირვანთან, რომელიც აბრეშუმის წარმოების და მისით ვაჭრობის მნიშვნელოვანი მხარე იყო (И. П. Петрушевский. Государства Азербайджана в XV в. сб. статей по истории Азербайджана. вып. I. 1949, გვ. 182 - 183). უნდა ვიფიქროთ, რომ ამავე არხებით და ამავე გზით არის შემოსული შირვანული განძის მონეტები სოფ. საქობოში (ლაგოდეხის რ-ნი).

ასევე მნიშვნელოვანი პუნქტი იყო სოფ. ალი (ხაშურის რ-ნი), სადაც საბაჟო მდებარეობდა (ამის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით), და რომელიც უკვე XII ს-ში ქალაქს წარმოადგენდა (შ. მესხია. ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში. თბ. 1959, გვ. 44). ალზე გადიოდა გზა, რომელიც ქართლს იმერეთთან აკავშირებდა. საბაჟოს მიდამოებში სამონეტო განძების კონცენტრაცია (ჯუჩიდური და შირვანული მონეტების კომპლექსები) სავსებით კანონზომიერია და ისინი ადეკვატურად ასახავს ფულადი მიმოქცევის სურათს ქართლის ტერიტორიაზე.

გარდა შირვანული თანგებისა, XV ს-ის ქართული საბუთების მიხედვით, **ვენეციური დუკატების** გავრცელება საქართველოში უცილობელი ფაქტია (ამ საკითხის შესახებ იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 85 - 88; აგრეთვე რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV - XVIII საუკუნეებში. თბ. 1971, გვ. 19 - 26). გარდა წერილობითი ცნობებისა, ამას ადასტურებს ფაქტობრივი მასალაც.

1974 წ. ლეხურის ხეობაში (ახალგორს და მეჯვრისხევს შუა) აღმოჩენილ XVI ს-ის ოსმალურ ალთუნებს და ვენეციურ დუკატებს შორის XV ს-ის სამი ვენეციური ოქროს მონეტაც იყო, მოჭრილი შემდეგი დოჟების სახელით: ფრანჩესკო ფოსკარი (1423 - 1457 წწ.), პასკუალე მალიპიერო (1457 - 1462 წწ.) და ქრისტოფორო მორო (1462 - 1471 წწ.) (ლეხურის განძის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია იხ. რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV - XVIII საუკუნეებში, გვ. 25 - 30). ეს ფულები, შესაძლოა, საქართველოში იტალიური სავაჭრო ფაქტორიებიდან – კაფა და ტანა – შემოდიოდა.

გარდა ამისა, სრულიად უდავოა, რომ რომ XV ს-ში ცირკულაციას განაგრძობს, განსაკუთრებით ინტენსიურად დასავლეთ საქართველოში, კირმანეული თეთრი, რაც დასტურდება არაერთგზის მოხსენიებული კოპიტნარის განძის შემადგენლობით.

გიორგი VIII-ის მეფობის ბოლო წლებში და ბაგრატ VI-ის მეფობის დროს სამცხე-საათაბაგოში, შესაძლოა, მის ფარგლებს გარეთაც, როგორც ჩანს, მიმოიქცევა **ოთმანური ფული**, როგორც **ფლური** (ე.ი. ოქროს მონეტები), ასევე **თეთრიც**. ოთმანური, ცხადია, ოსმალურს ნიშნავს (გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, გვ. 89). საქართველოში ოსმალური მონეტების გავრცელების ფაქტს, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ადასტურებს თუნდაც ის, რომ XV ს-ის მეორე ნახევრის ქართულ მონეტებს ოსმალური ნუმიზმატიკის ძლიერი გავლენა ემჩნევა. ამაზე მიუთითებს აგრეთვე გორის და მნას განძების შემადგენლობა, სადაც ოსმალური მინაბაძების გარდა ორიგინალებიც ურევია.

სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა XVI საუკუნის საქართველოში

მასალის სიმცირის და სირთულის გამო, შეიძლება ითქვას, რომ XVI ს-ის ქართული მონეტები ყველაზე ნაკლებად არის შესწავლილი. ნუმიზმატიკის განყოფილების ძველი თანამშრომლების გადმოცემით, თავის დროზე თ. ლომოურს პუბლიკაციისთვის მოუმზადებია უკვე არაერთგზის მოხსენიებული მნას განძი, რომლის შემადგენლობაშიც, ძირითადად, დავით X-ის (1505 - 1525 წწ.) მონეტები შედის. სამწუხაროდ, ეს გამოკვლევა თვალს მიეფარა. ამრიგად, მნას განძი გამოუქვეყნებელია, რაც გარკვეულ უხერხულობას და სირთულეს ქმნის. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წწ-ში ამ სტრიქონების ერთ-ერთმა ავტორმა, XV ს-ის მასალაზე მუშაობის პარალელურად, მნას განძის მონეტებიც გადაათვალიერა და დარწმუნდა იმაში, რომ დავით X-ის მონეტების უმრავლესობა ზუსტი ასლია ვახტანგ IV-ის I ტიპის ფულისა. შეცვლილია მხოლოდ მეფის სახელი (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 130). თუ ვახტანგ IV-ის მონეტის შუბლის და ზურგის ლეგენდა იკითხება ასე: „ღმერთო, გაუმარჯოს/მეფესა ვახტანგს“, დავითის მონეტების ზედწერილს კი ასეთი სახე აქვს: „ღმერთო, გაუმარჯოს/მეფესა დავითს“. ცხადია, მნას განძში დავითის მონეტების სხვადასხვა ვარიანტი შედის, მაგრამ მათი აღწერა ამ შრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელი არ არის.

XVI ს-ის ქართული მონეტების ისტორია ამით ამოიწურებოდა, რომ, საბედნიეროდ, 1946 წ. ხონის რაიონის სიფელ პატარა ჯიხაიშში არ აღმოჩენილიყო ვერცხლის მონეტების საკმაოდ მოზრდილი განძი, რომლის შემადგენლობაში შემავალი ფულები, სამწუხაროდ, თითქმის მთლიანად მიმოიფანტა (განძის აღმოჩენის პირობების შესახებ იხ. თ. ლომოური. პატარა ჯიხაიშში აღმოჩენილი XVI ს-ის განძის გამო. სსმმ. ტ. XVII - Б. 1953, გვ. 5). გადარჩა მხოლოდ 18 მონეტა. განძის გადარჩენილმა ამ მცირე ნაწილმაც კი საშუალება მისცა თ. ლომოურს ფაქტობრივად შეევსო XVI ს-ის ქართული ნუმიზმატიკის ის ხარვეზი, რის შესახებაც ზემოთ ვწერდით. მაგრამ, ვიდრე ამ საკითხს დაწვრილებით შევეხებოდეთ, ძალიან მოკლედ საკითხის ისტორიის შესახებ.

1850 წ. თბილისის მიდამოებში აღმოჩნდა შერეული მონეტების განძი. ვ. ლანგლუას სიტყვებით, მის შემადგენლობაში შედიოდა ვერცხლის წვრილი ფული, რომელიც მსგავსი იყო XV ს-ის უკანასკნელი ჯუჩიდების მონეტებისა, და რამდენიმე ქართული მონეტა. ვ. ლანგლუას მიერ ქართული წარწერების ამოკითხვის თანახმად, ისინი ეკუთვნოდა საქართველოს მეფეებს – დიმიტრის, გიორგის და ბაგრატს. თ. ლომოურის შენიშვნით, XV ს-ის საქართველოში ცნობილი იყვნენ ერისთავი (და არა მეფე) დიმიტრი (ვახუშტის მიხედვით, 1447 - 1451 წწ.), გიორგი VIII (1446 - 1466 წწ.) და ბაგრატ VI (1466 - 1478 წწ.) ქართლსა და იმერეთში. სწორედ მათ მიაკუთვნა ვ. ლანგლუამ მოხსენიებული ქართული

მონეტები და თვით განძის ჩამარხვა 1465 - 1470 წწ. დაათარიღა (თ. ლომოური. პატარა ჯიხაიშში აღმოჩენილი XVI ს-ის განძის გამო, გვ. 5).

დავუბრუნდეთ პატარა ჯიხაიშის განძს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი შემადგენლობიდან მხოლოდ 18 მონეტა გადარჩა. აქედან, 5 – ქართულია, 4 – თურქული და 9 – ირანული. ყველა მათგანი ვერცხლისაა (თ. ლომოური. პატარა ჯიხაიშში აღმოჩენილი XVI ს-ის განძის გამო, გვ. 5).

5 ქართული მონეტა სამ სხვადასხვა ტიპს იძლევა:

I ტიპი. გფ. № 5288. წ. – 0.62 გრ. ზ. – 11 მმ.

შუბლი – წვერულვაშიანი მამაკაცის თავის სქემატური გამოსახულება პირდაპირ, ძვირფასი თვლებით შემკული სამეფო თავსაბურით. მარცხნივ – მცენარეული ორნამენტი, ირგვლივ – ხაზოვანი დაწერტილოვანი რკალები.

ზურგი – დაქარაგმებული ქართული ასომთავრული წარწერა: ᲒᲬᲝᲠᲒᲘ – „მეფე გიორგი“, მარჯვნივ მცენარეული ორნამენტი (თ. ლომოური. პატარა ჯიხაიშში აღმოჩენილი XVI ს-ის განძის გამო, გვ. 6) (ტაბ. V, № 26).

პირველად ასეთი მონეტა მ. ბარათაევმა გამოაქვეყნა და სრულიად დაუსაბუთებლად ის გიორგი II-ს (1072 - 1089 წწ.) მიაკუთვნა (М. П. Баратаев. Нумизматические факты грузинского царства. Разряд II. СПБ. 1844, გვ. 8 - 9, ტაბ. I, №№ III - IV). ვ. ლანგლუამ ეს ატრიბუცია არ გაიზიარა. მ. ბარათაევის მიერ გამოცემული და 1850 წ. აღმოჩენილი განძის ცალები მან გიორგი VIII მიაკუთვნა (V. Langlois. Essai de Classificaton des Suites Monétaires de la Géorgie, გვ. 41 - 42, ტაბ. III, 4 - 6 და გვ. 53 - 58, ტაბ. III, 14 - 16, ტაბ. IV, 1 - 2).

უნდა აღინიშნოს, რომ ექვთ. თაყაიშვილმა პარიზში გამოცემულ ერთ-ერთ თავის ნაშრომში ეს მონეტა „გიორგაულად“ მიიჩნია, მაგრამ როდესაც პატარა ჯიხაიშის განძის შემადგენლობას გაეცნო, ამ ატრიბუციაზე უარი თქვა და მის განკარგულებაში არსებული ეგზემპლარი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადასცა 1951 წ. (გფ. № 7484). ეს ცალი პატარა ჯიხაიშის ცალისაგან განსხვავდება წონით და ზომით (წ. – 1.44 გრ., ზ. – 13/18 მმ.) და, როგორც დ. კაპანაძე ვარაუდობს, ის ორმაგი ნომინალია (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 131 - 132).

II. პატარა ჯიხაიშის განძის შემადგენლობაში მეორე ტიპის სამი მონეტა შედის. გფ. №№ 5289, 5290, 5303. წ. – 0.75, 0.77, 0.79; ზ. – 6/14, 6/16, 6/15. სამივე მონეტა ერთი და იმავე სახისაა: მოგრძო, კუთხოვანი მოყვანილობის ლითონის მონაკვეთზე ორივე მხრიდან აღბეჭდილია ასომთავრულით შესრულებული წარწერები. ორი მონეტა, №№ 5289 და 5303, თ. ლომოურის დაკვირვებით, ერთი და იმავე ბეჭდით უნდა იყოს მოჭრილი, მესამე კი, № 5290, ამათ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს.

№ 5289-ის ავერსის წარწერა ორ სტრიქონად არის განლაგებული. სტრიქონებს შუა ხაზია. პირველ სტრიქონზე წერია – ᲒᲬᲝ, მეორეზე – ᲒᲝ, ე.ი. „მეფეთა მეფე“, ან „მეფე მეფეთა“. სიზუსტის დადგენაში გვეხმარება № 5303. აქ წარწერა სრულად არის მოცემული – ᲒᲬᲝᲬ, რამაც თ. ლომოურს საშუალება მისცა ავერსის მთელი წარწერა ამოეკითხა, როგორც „მეფე მეფეთა“. ირგვლივ ორმაგ ხაზოვან რკალს შუა

ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲙᲐᲚᲘ. ᲠᲔᲕᲔᲠᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ ᲝᲠᲘᲕᲔᲖᲔ ᲘᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘᲐ: ᲒᲝᲤ ᲚᲮᲝ – „ᲛᲔᲤᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ“ (თ. ᲚᲝᲛᲝᲣᲠᲘ. ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲯᲘᲮᲐᲘᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ XVI Ს-ᲘᲡ ᲒᲐᲜᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲒᲕ. 8) (ᲪᲐᲑ. V, № 27).

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲝᲜᲔᲢᲐ (ᲒᲤ. № 5290) ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲕᲔᲠᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲘᲗ. ᲛᲝᲒᲠᲫᲝ ᲐᲠᲔᲖᲔ ᲬᲔᲠᲘᲐ: ᲒᲝᲤᲝᲒ – „ᲛᲔᲤᲔᲗ“, ᲓᲐ ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲠᲙᲐᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘᲐ, ᲐᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲥ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ. ᲠᲔᲕᲔᲠᲡᲘ ᲐᲛ ᲛᲝᲜᲔᲢᲘᲡᲐ ᲬᲘᲜᲐ ᲝᲠᲘᲡ ᲘᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘᲐ. ᲐᲛᲠᲘ�გᲐᲓ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲖᲔᲓᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛ ᲪᲐᲚᲘᲡᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲮᲘᲡᲐᲐ: ᲒᲝᲤᲝᲒᲒ ᲒᲝᲤᲝ ᲚᲮᲝ – „ᲛᲔᲤᲔᲗ ᲛᲔᲤᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ“ (თ. ᲚᲝᲛᲝᲣᲠᲘ. ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲯᲘᲮᲐᲘᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ XVI Ს-ᲘᲡ ᲒᲐᲜᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲒᲕ. 9) (ᲡᲐᲛᲝᲜᲔᲢᲝ ᲢᲘᲞᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲮ. ᲪᲐᲑ. V, № 28).

ᲝᲠᲘ ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲔᲢᲐ 1850 Წ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲓᲐᲛᲝᲔᲑᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲣᲚ ᲒᲐᲜᲫᲨᲘᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ Ვ. ᲚᲐᲜᲒᲚᲣᲐᲡ (V. Langlois. Essai de Classificaton des Suites Monétaires de la Géorgie, ᲒᲕ. 100, ᲪᲐᲑ. VIII, 1 - 2), ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ, ᲘᲡᲔ ᲐᲢᲠᲘᲑᲣᲪᲘᲐ ᲛᲪᲓᲐᲠᲘᲐ.

III ᲢᲘᲞᲘ. ᲒᲤ. № 5291. Წ. – 0.82. Ზ – 8/15.

ᲘᲡ ᲛᲝᲒᲠᲫᲝ, ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲝᲗᲮᲙᲣᲗᲮᲔᲓᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲐ. ᲔᲠᲗ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔ ᲩᲐᲜᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘᲗ ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲕ. ᲛᲝᲜᲔᲢᲘᲡ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲘᲡ ᲡᲘᲛᲪᲘᲠᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲡᲐᲮᲔ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲨᲔᲘᲛᲩᲜᲔᲕᲐ ᲨᲣᲑᲚᲘ, ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐ, ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲮᲔᲚᲘᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲘ, ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲘᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲡᲐᲑᲣᲠᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲬᲕᲔᲠᲘ. ᲨᲣᲑᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲦᲐᲪ ᲐᲡᲝᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ – Ლ. ᲐᲛ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲔᲡ ᲐᲡᲝ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘ Ლ, ᲚᲐᲜ ᲚᲔ ᲘᲧᲝᲡ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲐ �გᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘ. ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲩᲐᲜᲡ ᲢᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲤᲖᲔᲮ. ᲑᲣᲜᲓᲝᲕᲜᲐᲓ ᲛᲝᲩᲐᲜᲡ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲐᲬᲔᲣᲚᲘ ᲙᲣᲓᲘ. ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲕ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ (თ. ᲚᲝᲛᲝᲣᲠᲘ. ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲯᲘᲮᲐᲘᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ XVI Ს-ᲘᲡ ᲒᲐᲜᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲒᲕ. 10, ᲡᲣᲠ. 8) (ᲪᲐᲑ. V, № 29).

ᲝᲠᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲝᲜᲔᲢᲐ 1850 Წ. ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲫᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ Ვ. ᲚᲐᲜᲒᲚᲣᲐᲡ (V. Langlois. Essai de Classificaton des Suites Monétaires de la Géorgie, ᲒᲕ. 100, ᲪᲐᲑ. VIII, 3 - 4). ᲘᲡ ᲛᲝᲜᲔᲢᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲡ ᲚᲝᲛᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲡ. Ვ. ᲚᲐᲜᲒᲚᲣᲐᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲪᲐᲑᲣᲚᲐᲖᲔ № 3-ᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲔᲢᲘᲡ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲤᲐᲠᲗᲝᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘ ᲐᲡᲝ: ᲤᲝᲚ. Ვ. ᲚᲐᲜᲒᲚᲣᲐ ᲛᲐᲗ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „ᲛᲔᲤᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ“, ᲠᲐᲡᲐᲪ თ. ᲚᲝᲛᲝᲣᲠᲘ, ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲫᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲓᲐᲜ, ᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ (თ. ᲚᲝᲛᲝᲣᲠᲘ. ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲯᲘᲮᲐᲘᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ XVI Ს-ᲘᲡ ᲒᲐᲜᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲒᲕ. 11).

Ვ. ᲚᲐᲜᲒᲚᲣᲐᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ ᲐᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲛᲝᲜᲔᲢᲐ Მ. ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲔᲕᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐ (М. П. Баратаев. Нумизматические факты грузинского царства. Разряд II, ᲒᲕ. 8, ᲪᲐᲑ. I, №№ II). ᲛᲘᲡ ᲔᲒᲖᲔᲛᲠᲚᲐᲠᲖᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲩᲐᲜᲡ ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲕ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘ, ᲬᲕᲔᲠᲣᲚᲕᲐᲨᲘ, ᲗᲐᲕᲡᲐᲑᲣᲠᲐᲕᲘ. ᲗᲐᲕᲘ ᲘᲡᲔᲐ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲔᲢᲘᲡ ᲐᲠᲔᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲬᲘᲜ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲜ, ᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲔᲢᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲡ ᲨᲣᲐ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ. ᲐᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲡᲝᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘ ᲖᲔᲓᲬᲔᲠᲘᲚᲘ: ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲘᲜ – ᲒᲤᲚ, ᲣᲙᲐᲜ – ᲚᲚ, Ე.Ი. „ᲛᲔᲤᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ“. ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲙᲐᲚᲘ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲠᲔᲕᲔᲠᲡᲘᲡ �გᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲔᲑᲐᲡ, ᲛᲝᲜᲔᲢᲘᲡ

ცუდი დაცულობის გამო ცხოველის კონტურები კარგად არ ჩანს. მ. ბარათაევი მას გარეულ ღორს ამსგავსებს (М. П. Баратаев. Нумизматические факты грузинского царства. Разряд II, გვ. 8 - 9, შენ. 1). თვით მონეტას ის გიორგი I-ის (1014 - 1027 წწ.) მოჭრილად მიიჩნევს (М. П. Баратаев. Нумизматические факты грузинского царства. Разряд II, გვ. 8 - 9, შენ. 1).

ვ. ლანგლუას ატრიბუციით, მისი ემისია გიორგი VIII ეკუთვნის (V. Langlois. Essai de Classificaton des Suites Monétaires de la Géorgie, გვ. 100).

საბოლოო ჯამში, ვის უნდა მიეკუთვნოს 1850 წ. თბილისის მიდამოებში აღმოჩენილი და პატარა ჯიხაიშის განძების შემადგენლობაში შემავალი მეფე გიორგის სახელით მოჭრილი მონეტები? საბედნიეროდ, პატარა ჯიხაიშის განძში აღმოჩნდა კარგად დათარიღებული უცხოური მონეტები, რომლებიც საზღვრავს განძის ქართულ მონეტებს. ეს არის ჰიჯრ. 982 წ. მოჭრილი ოსმალური ახჩა (= 1574/5 წწ.) სულთან მურად III-ის დროის (1574 - 1595 წწ.) (თ. ლომოური. პატარა ჯიხაიშში აღმოჩენილი XVI ს-ის განძის გამო, გვ. 14). თავისთავად ცხადია, რომ მეფე გიორგი XVI ს-ის II ნახევრის პოლიტიკური მოღვაწეა.

„ . . . XVI ს-ში საქართველოში ორი გიორგი მოღვაწეობდა – წერს თ. ლომოური – ერთი გიორგი, კონსტანტინეს-ძე, ქართლში 1524 - 1534 წლებში, მეორე – გიორგი II, ბაგრატ III-ის ძე იმერეთში 1548 - 1585 წლებში. თარიღის მიხედვით საძიებელ გიორგი მეფედ თითქოს იმერეთის მეფე გიორგი II უნდა ვიგულისხმოთ“ (თ. ლომოური. პატარა ჯიხაიშში აღმოჩენილი XVI ს-ის განძის გამო, გვ. 17). აქ ქრონოლოგია ოდნავ არეულია იმის გამო, რომ თ. ლომოური ვახუშტის თარიღს მიყვება (ასე მაგ., გიორგი კონსტანტინეს ძე ქართლში 1525 - 1527 წწ-ში მეფობდა, ხოლო გიორგი II იმერეთში 1664/65 - 1585 წწ.). მაგრამ მონეტის ატრიბუცია სწორია. ის უცილობლად იმერეთის მეფე გიორგი II ეკუთვნის.

საინტერესო მონეტებს თავის სახელმძღვანელოში შეეხო დ. კაპანაძე (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 131 - 133, №№ 158 - 160). მართალია, თ. ლომოურის ატრიბუციაში მას რაიმე კორექტივი არ შეუტანია, მაგრამ გამოთქვა თავისი მოსაზრება ზემოთ აღწერილი მონეტების დიზაინთან დაკავშირებით. ის წერს: „XIV - XV სს. დანარჩენ მონეტებთან შედარებით ეს ორი აღწერილი ნიმუში (ჩვენთან I და II ტიპი – გ. დ., თ. დ.) ფულის მოჭრის ნამდვილი შედეგრია: გამოსახულება ისე მხატვრულად არის შესრულებული (იგულისხმება I ტიპის მონეტის იკონოგრაფია – გ. დ., თ. დ.), რომ ხელოვნებათმცოდნე ო. სანებლიძე ამ მონეტაზე მოთავსებულ გამოსახულებას გელათის ერთ-ერთ ხატზე მოჭედილ გიორგი II გამოსახულებასა და ამავე ტაძრის ფრესკას ადარებს. ზედწერილის მოყვანილობაც განსაკუთრებით ლამაზი და მოხდენილია. სიფაქიზე და ხელოვნება, რომლებიც ხელოსანს გამოუჩენია ნახატის და წარწერების გადმოცემის დროს, იმდენად მაღალია, რომ განცვიფრებას იწვევს; საოცარია როგორ შეძლო ხელოსანმა მცირე ზომის ლითონის ფირფიტაზე ასე ლამაზად, კოხტად და მოხდენილად ასეთი მინიატურული გამოსახულებისა და წარწერის მოთავსება.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მიუხედავად მძიმე პირობებისა, რომელშიც იმ დროს დასავლეთ საქართველო იმყოფებოდა, გიორგი ბაგრატის ძის მონეტები, თავისი ტექნიკური და მხატვრული ნიშნებით, გაცილებით უკეთესია, ვიდრე მათი თანადროული თურქული მონეტები. საინტერესოა, რომ ლითონის სინჯი და წონაც უფრო მაღალია“ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 132).

შეიძლებოდა ამ პატრიოტული ჟღერადობით დაგვესრულებია XVI ს-ის ქართული მონეტების მიმოხილვა, მაგრამ მას კიდევ ერთი შტრიხი აკლია.

მ. ბარათაევს და ვ. ლანგლუას გამოქვეყნებული ჰქონდათ ქართული მონეტების ისეთი ნიმუში, რომელზედაც იკითხებოდა ბაგრატის სახელი. თავის დროზე ვერცხლის ეს მონეტა ვ. ლანგლუამ ბაგრატ III იმერთა მეფეს მიაკუთვნა (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 133). ამ მონეტის აღწერილობა ასეთია:

შუბლი – პირდაპირ მიმართული სქემატურად შესრულებული მეფის გამოსახულება სამრკალიანი გვირგვინით.

ზურგი – ჰორიზონტალური ხაზით გაყოფილი ორსტრიქონიანი ქართული ასომთავრული ზედწერილი, რომელიც ასე უნდა იკითხებოდეს: „მეფე ბაგრატ“ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 133, № 162) (ტაბ. V, № 30).

დ. კაპანაძე შენიშნავს: „პატარა ჯიხაიშის განძიდან შემორჩენილ ნაწილში ბაგრატის სახელით აღბეჭდილი მონეტა არ აღმოჩნდა, მაგრამ არსებული ნიმუშების დაპირისპირება და ტიპების შედარება შესაძლებლობას იძლევა ამავე პერიოდს დავუკავშიროთ და 1510 - 1565 წლებით დავათარიღოთ ქვემომოყვანილი (იგულისხმება ზემოთ აღწერილი ფული – გ. დ., თ. დ.) ვერცხლის წვრილი მონეტა“ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 133).

ეს, რაც შეეხება XVI ს-ის საკუთრივ ქართულ მონეტებს. მაგრამ საკითხი ამით არ ამოიწურება. საქართველოს ერთ-ერთ ზარაფხანაში იმავე XVI ს-ში უცხო ქვეყნის მმართველის სახელით იჭრება ვერცხლის მონეტები. ეს ზარაფხანა არის ზაგემი. მისი ფუნქციონირების ფაქტი დადასტურდა პანკისის ხეობის სოფ. ბირკიანში (ახმეტის რ-ნი) 1967 წ. აღმოჩენილი სპარსული ვერცხლის მონეტების განძის შემადგენლობით. ამ განძში შედიოდა შაჰ სეფი I-ის (1629 - 1642 წწ.), სეფიანის, სახელით ზაგემში მოჭრილი ორი აბაზიანიც, დათარიღებული ჰიჯრ. 1039 წ. (= 1629 წ.). თ. ქუთელიას გამოკვლევის თანახმად, რომელმაც მონოგრაფიულად შეისწავლა საქართველოსა და სეფიანთა ირანის ურთიერთობა ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, დადგინდა, რომ სამონეტო ემისიას ზაგემის ზარაფხანა XVI ს-შიც ახორციელებდა (ზაგემის ზარაფხანის, ქალაქის ლოკალიზაციის და სხვა საკითხების შესახებ, აგრეთვე პრობლემის გარშემო არსებული სრული ბიბლიოგრაფია იხ. Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики). Тб. 1979, გვ. 14 - 25).

ზაგემი მდებარეობდა მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე, ისტორიული კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში, გრემიდან შირვანში მიმავალ გზაზე. საისტორიო წყაროების მიხედვით, XVI - XVII სს-ში ზაგემი, გრემსა და თელავთან ერთად, წარმოადგენდა კახეთის მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს.

თ. ქუთელიამ სხვადასხვა მუზეუმში მუშაობის პროცესში მიაკვლია 26 ვერცხლის მონეტას, რომელთა ემისია განხორციელდა ზაგემის ზარაფხანაში სეფიანი შაჰის თაჰმასპ I-ის (1524 - 1576 წწ.) სახელით. მან ზოგიერთ ცალზე მათი მოჭრის თარიღიც ამოიკითხა: ჰიჯრ. 963 წ. (1555/6 წწ.), 975 წ. (1567/68 წწ.), 977წ. (1569/70 წწ.). ეს მონეტები მცირე ზომისა და მოგრძო ფორმისაა. მათი სიგრძე 11 - 13 მმ. მერყეობს, ხოლო სიგანე – 8 - 9 მმ. თ. ქუთელიამ წონის მიხედვით დაადგინა, რომ ისინი ბისტს, ან ნახევარშაჰებს წარმოადგენდა. ბისტის წონაა 0.91 გრ., ხოლო ნახევარშაჰის – 1.05 გრ. (Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 19). ამ მონეტებზე, ცხადია, ქართული არაფერია. მათ შუბლზე არაბულად მოთავსებულია შიიტური რწმენის სიმბოლო, ხოლო ზურგზე – ზარაფხანის სახელი და თარიღი (მონეტის აღწერილობა იხ. Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 20). ვიძლევით სანიმუშო ცალის აღწერილობას:

შუბლი – არაბულად, შიიტური რწმენის სიმბოლო სამ სტრიქონად: „არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა, მუჰამედი მოციქულია ალაჰისა, ალი თანაგამზრახია ალაჰისა“.

ზურგი – სპარსული ზედწერილი: „მოიჭრა ზაგემს 963 წ. (= 1555/6 წწ.) (ტაბ. V, № 31).

ზარაფხანის გარდა, მათ ქართულ სამყაროსთან არაფერი აკავშირებს. ისინი უფრო სპარსულ ნუმიზმატიკურ ძეგლებს მიეკუთვნება. საქართველოში სეფიანთა სახელით მოჭრილი მონეტები მოწმობს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ დამოკიდებულებას უცხო ქვეყანაზე, ირანის შაჰის უზენაესობის ცნობას (Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 14, 24). როდესაც სიუზერენი გიმტკიცებს სამონეტო ტიპს („ხუტბას“ და „სიქას“), ტექნიკურად ვინ და სად ჭრის მონეტას, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. საკუთარი სახელით მონეტის ემისიის უფლება სეფიანთა ირანის გავლენის ქვეშ მყოფი არც ერთი ქვეყნის მმართველს არ ჰქონდა (Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 15). რეგალიის პრეროგატივა, უპირობოდ, შაჰის ხელში იყო კონცენტრირებული.

დაბოლოს, როგორც ფაქტობრივი მასალა ადასტურებს, საქართველოში იჭრება თაჰმასპ I-ის მონეტების იმიტაციები.

უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ჩვენთვის ცნობილი პატარა ჯიხაიშის განძის შემადგენლობიდან სულ 18 მონეტა გადარჩა. აქედან 5 ქართულია, 4 – თურქული, ხოლო 9 – ირანული, ან ირანულის მიმბაძველობა (ამ უკანასკნელთა საინვენტარო №№ 5292 - 5300). თ. ლომოურის აღწერით, „ . . . გარეგნულად ესენი წარმოადგენენ მოგრძო არასწორ ოთხკუთხედ ფირფიტებს დიამეტრით 6/11 მილიმეტრიდან 13/16 მილიმეტრამდე და წონით 0.42 გრამიდან 0.75 გრამამდე. ფირფიტების ორივე მხარეს აღბეჭდილია არაბული წარწერები. ერთი მხარის წარწერა ჩვეულებრივი მუსლიმანური სიმბოლო უნდა იყოს, ხოლო მეორე მხარისა სრულიად გაურკვეველია. არც ერთ მათგანზე თარიღი არ ჩანს, მაგრამ სხვადასხვა ნიშნების შემწეობით მათი

ზოგადი დათარიღება მაინც შესაძლებელია . . . საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში დაცულია მოზრდილი კოლექცია – რიცხვით 692 ცალი, რომელიც მცირედის გამოკლებით, შედგება ამავე ტიპის ფულებისგან. წარწერები მეტწილად გაურკვეველია. ორ ცალზე №№ 5059, 5200 შესაძლებელი გახდა თარიღის – 963 წ. ჰიჯრით (= 1555 წ.) ამოკითხვა“ (თ. ლომოური. პატარა ჯიხაიშში აღმოჩენილი XVI ს-ის განძის გამო, გვ. 15 - 16). ეს წელი კი შედის თაჰმასპ I-ის მმართველობის ხანაში.

ასეთივე მონეტები შედიოდა აგრეთვე 1909 წ. ამბროლაურის მახლობლად აღმოჩენილი დიდი განძის შემადგენლობაშიც. ამ კომპლექსის ერთი ნახევარი შაჰ-აბას I-ის (1589 - 1629 წწ.) მონეტები იყო, ხოლო მეორე – მოგრძო ოთხკუთხედი ფორმის წვრილი ფული დამახინჯებული არაბული წარწერებით (Е. А. Пахомов. Монетные клады . . . I, გვ. 64 - 65, № 195). ე. პახომოვი თვლიდა, რომ ეს გამოუცნობი მონეტები („ . . . загадочные продолговатые монеты . . .“) ფორმით და ზომით მსგავსია თაჰმასპ I-ის მონეტების და მათი ემისია დასავლეთ საქართველოშია სავარაუდო (Е. А. Пахомов. Монетные клады . . . I, გვ. 31 - 32). იმერეთის ზარაფხანის პროდუქციად მიიჩნევდა მათ თავდაპირველად დ. კაპანაძეც (Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика, გვ. 118). მაგრამ შემდეგში მისი პოზიცია ოდნავ შერბილდა. ის წერდა: „საინტერესოა, რომ მეტროლოგიური მონაცემებით, მოყვანილობით და ფაქტურით ისინი გიორგი II იმერთ მეფის მონეტებს მოგვაგონებენ. ამ მონეტების **ქართული წარმოშობის შესახებ მსჯელობა ზოგიერთი საკითხის დაზუსტებამდე თითქოს ნაადრევია**, მაგრამ ისქანდერ მუნშისა და არქანჯელო ლამბერტის მოთხრობილი ამბების შუქზე ამბროლაურის განძის მონეტათა **ქართული წარმოშობა დამაჯერებლად გამოიყურება**“ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 138). ისქანდერ მუნშის და არქანჯელო ლამბერტის ცნობებს ჩვენ სხვა ადგილას შევეხებით.

ცხადია, სრულიად აშკარაა, რომ თაჰმასპ I-ის მონეტების მინაბაძებს საქართველოში სპარსეთიდან არავინ შემოიტანდა, ის ადგილობრივი ემისიაა, მაგრამ ვის მიერ ხორციელდება ეს ღონისძიება, ან სად? პატარა ჯიხაიშის განძის შემადგენლობაში ჰიჯრ. 982 წ. (1574/5 წწ.) დათარიღებული ოსმალური ახჩაც შედიოდა. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო მონეტებიც შესაბამისი პერიოდით უნდა დათარიღდეს. ამ დროს კი იმერეთის ტახტზე გიორგი II (1565 - 1585 წწ.) ზის, რომელიც თვითონ ჭრის მონეტებს საკუთარი სახელით. რაში ჭირდებოდა მას იმიტაციების ემისია? ამ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი, თორემ საქართველოს სამონეტო ცირკულაციაში ოსმალური ახჩების და სპარსული მონეტების მინაბაძების აქტიური როლი განძების შემადგენლობით კარგად დასტურდება (გორის, მნას, ამბროლაურის სამონეტო კომპლექსები).

ამის შემდეგ შევეცდებით აღვადგინოთ სამონეტო მიმოქცევის მთლიანი სურათი XVI ს-ის საქართველოში, რისთვისაც აუცილებელია უცხო მონეტათა აღმოჩენების სრული რეესტრის შედგენა. დავიწყოთ ოქროს მონეტათა აღმოჩენების ტოპოგრაფიით:

1. 1949 წ. სოფ. ჯორჯიაშვილში (თეთრიწყაროს რ-ნი) აღმოჩნდა თაჰმასპ I-ის (1524 - 1576 წწ.) ეპოქის ნახევარაშრეფი დათარიღებული ჰიჯრ. 941 წ. (= 1534/5 წწ.). გფ. № 10176 (Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 68).

2. 1947 წ. მდ. ლეხურას ხეობაში (მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადი, კასპის რ-ნი) აღმოჩნდა განძი, რომელიც 23 ოქროს მონეტას შეიცავდა. აქედან 13 ვენეციური დუკატია, 8 – ოსმალური ალთუნი და ორი ირანული ნახევარაშრეფი (განძის შესახებ იხ. რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV - XVIII საუკუნეებში, გვ. 25 - 29; М. Г. Антадзе, Р. В. Кебуладзе. Клад золотых монет из Лехурского ущелья. НЭ. IX. М. 1971, გვ. 127 - 132; Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 68 - 69). ვენეციური დუკატები მოჭრილია შემდეგი დოჟების სახელით: ფრანჩესკო ფოსკარი (1423 - 1457 წწ.), პასკუალე მალპიერო (1457 - 1462 წწ.), ქრისტოფორო მორო (1462 - 1471 წწ.); ამ დუკატების შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით სათანადო ადგილას, როდესაც XV ს-ის საქართველოს ნუმიზმატიკის საკითხებს ვიხილავდით; ანდრეა გრიტო (1523 - 1539 წწ.), პიეტრო ლანდო (1539 - 1545 წწ.). ალთუნები ოსმალეთის სულთნის სულეიმან I (1520 - 1566 წწ.) სახელს ატარებს (8 ც.), ნახევარაშრეფები კი სეფიანი შაჰის თაჰმასპ I-ის, დათარიღებული ჰიჯრ. 953 წ. და 955 წ. (= 1546/7 წწ., 1548/9 წწ.).

ამრიგად, ლეხურის განძი XVI ს-ის 50-60 - იან წწ-შია ჩამარხული.

3. 1932 წ. ადიგენის რ-ნის სოფ. უდეს ძველი ციხის ნანგრევებში იპოვეს XVI - XVII სს-ის მონეტების განძი, რომლის შემადგენლობაში აღმოჩნდა 28 ვერცხლის ფული და მურად III-ის (1574 - 1595 წწ.) ერთი ოსმალური ალთუნი (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV - XVIII საუკუნეებში, გვ. 83; მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV - XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1982, გვ. 43. განძის ვერცხლის მონეტებს ქვემოთ შევეხებით).

4. დაახლოებით 1970 წ. მცხეთის რ-ნის სოფ. ხეკორძულაში იპოვეს სელიმ I-ის (1512 - 1520 წწ.) სახელით მოჭრილი ალთუნი, დათარიღებული ჰიჯრ. 918 წ. = 1512 – 1513 წწ. (მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV - XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, გვ. 43).

5. 1920 - იან წწ-ში გორის რ-ნის სოფ. ატენის მიდამოებში აღმოჩენილა ოქროს მონეტების განძი. განძის მონეტები ნაწილ-ნაწილ გაუყიდიათ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ამ განძიდან სხვადასხვა დროს ორი ჰოლანდიური დუკატი შემოვიდა (გფ. №№ 10515, 11071). ერთ-ერთ მათგანი ფრისლანდიის პროვინციის 1588 წ. დუკატია, მეორე – 1646 წ. მოჭრილი (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV - XVIII საუკუნეებში, გვ. 30 - 31). მის შესახებ XVII ს-ის მასალის განხილვისას ვისაუბრებთ.

მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ საქართველოში სპარსული ოქროს მონეტები არ თამაშობდა რაიმე მნიშვნელოვან როლს. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან თვით ირანში ოქროს მონეტების ემისია არ ატარებდა რეგულარულ

ხასიათს და სავაჭრო ბრუნვაში ოქრო ჩართული არ იყო (Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 66. აქვეა სათანადო ლიტერატურა საკითხის შესახებ). რაც შეეხება ვენეციურ დუკატებს და ოსმალურ ალთუნებს, მათი ცირკულაცია საქართველოში ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამასთანავე, ლიტერატურაში გამოთქმულია შემდეგი მოსაზრება: მიუხედავად იმისა, რომ XV ს-დან, ოსმალეთის აგრესიის გამო, იტალიურ სავაჭრო ფაქტორიებთან ეკონომიკური ურთიერთობა წყდება, ვენეციური დუკატები საქართველოში მაინც შემოდის, ოღონდ სხვა გზით, ოსმალეთის და ირანის გავლით (М. Г. Антадзе, Р. В. Кебуладзе. Клад золотых монет из Лехурского ущелья, გვ. 130 - 131).

გადავდივართ საქართველოში აღმოჩენილ XVI ს-ის უცხოურ ვერცხლის მონეტებზე: პატარა ჯიხაიშის, ამბროლაურის, რაჭის და უპასპორტო მონეტების შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით (როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, ორი უკანასკნელი, შესაძლებელია, ამბროლაურის კომპლექსის ნაწილი იყოს). მართალია, ზოგიერთი განძი XVII ს-შია ჩამარხული, მაგრამ მათ შემადგენლობაში დიდი რაოდენობით შედის თაჰმასპ I-ის (1524 - 1576 წწ.) მონეტების იმიტაციები და, ჩანს, თვით ორიგინალებიც. ზოგიერთი ცალზე თ. ქუთელიამ ზაგემის ზარაფხანის სახელი ამოიკითხა (Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 81). ამ განძების შემადგენლობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკნათ, რომ XVI ს-ის შუა ხანების შემდეგ, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ფარგლებში, სპარსული მონეტების ცირკულაციას ინტენსიური ხასიათი აქვს (Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 99). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ამ თვალსაზრისით მაინც და მაინც ზაგემის ზარაფხანაში მოჭრილ მონეტებს ეკავა პრევალირებული ადგილი. ისინი მიმოიქცევა აგრეთვე მთელ სამხრეთ კავკასიაში, რასაც მოწმობს სომხეთს და აზერბაიჯანში მიკვლეული აშტარაკსისა და შახბუზის განძები (Е. А. Пахомов. Монетные клады Азербайджана и Закавказья. IV. Баку. 1949, გვ. 68, № 1195; Монетные клады Азербайджана и Закавказья. VII. Баку. 1957, გვ. 71, № 1834). ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ ქალაქის განსაკუთრებულ მნიშვნელობას კავკასიის ეკონომიკურ ცხოვრებაში (Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 81).

მივმართოთ სხვა აღმოჩენებს (ინფორმაცია ამოკრეფილია შემდეგი შრომებიდან: Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики). Тб. 1979; რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV - XVIII საუკუნეებში. თბ. 1971; მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV - XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით. თბ. 1982; თავისთავად ცხადია, რომ ეს ავტორები, თავის მხრივ, სხვა ავტორების მონაცემებსაც ეყრდნობიან).

უპირველს ყოვლისა, საჭიროა დავასრულოთ საუბარი XVI ს-ის სპარსული მონეტების შესახებ. გარდა ჩვენ მიერ მოყვანილი მასალისა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ნაპოვნია თაჰმასპ I-ის ერთეული ცალები მოჭრილი სხვადასხვა ზარაფხანაში (მათი სია იხ. Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным

нумизматики), გვ. 95 - 96), მაგრამ ეს პრინციპულად არ ცვლის საერთო სურათს. ამიტომ მათ არ ჩამოვთვლით.

ოსმალური მონეტები.

1. 1952 წ. ბორჯომის რ-ნის სოფ. ახალდაბის მახლობლად, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, კლდის აფეთქების დროს აღმოჩნდა სელიმ I-ის (1512 - 1520 წწ.) ოთხი ახჩა.

2. პატარა ჯიხაიშის განძში იყო 4 ოსმალური ახჩა, მოჭრილი სელიმ II-ის (1566 - 1574 წწ.) და მურად III-ის (1574 - 1595 წწ.) სახელით.

3. 1945 წ. ოზურგეთის რ-ნის სოფ. ლიხაურში აღმოაჩინეს ვერცხლის ფულის განძი, რომელიც შეიცავდა XVI - XVII სს-ების ასიოდე ოსმალურ ახჩას, ახჩას ათასზე მეტ მინაბაძს და ოცამდე სხვადასხვა ზომის ფირფიტას. სამწუხაროდ, უცნობია XVI ს-ის მონეტების რაოდენობა.

4. 1895 წ. ქუთაისში აღმოუჩენიათ განძი, რომლის შემადგენლობაში XVI - XVII სს-ის 500-მდე ოსმალური, ტრაპიზონული და ირანული მონეტა ყოფილა თავმოყრილი.

5. 1903 წ. სოხუმის ოლქში, ოტობაიების სასაფლაოზე, სხვა ნივთებთან ერთად, იპოვეს XV ს-ის ჯუჩიდური, XVI ს-ის ოსმალური და XVI ს-ის დავერცხლილი ესპანური მონეტები.

მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, XVI ს-ის ოსმალური მონეტების აღმოჩენის შემთხვევები თითქოს მცირეა, მათი მიახლოებითი რაოდენობაც კი არ ვიცით, ოსმალური ვერცხლის ფულის ფართო ტრიალი საქართველოში სრულიად უდავოა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამის პირდაპირი დადასტურებაა მათი იმიტაციების დიდი რაოდენობით კონცენტრაცია განძებში. ბუნებრივია, მინაბაძების ემისიას წინ ორიგინალების ინტენსიური ცირკულაცია უძღოდა. სხვა შემთხვევაში, მინაბაძი არ მოიჭრებოდა.

გადავდივართ XVI ს-ის ევროპული მონეტების ჩამონათვალის შედგენაზე:

1. 1940 წ. ბოგდანოვკის (ნინოწმინდის) რ-ნის სოფ როდიონოვკასთან იპოვეს ფრანკონიაში ჰოჰენცოლერნთა სამფლობელოების (ბაირეტ-ანსბახი) მარკგრაფ ალბერტის 1549 წ. ერლანგენის ზარაფხანაში მოჭრილი ტალერი.

2. 1959 წ. ყვარლის რ-ნში მარმარილოს კარიერის აფეთქების დროს აღმოჩნდა ევროპული მონეტების განძი, რომელიც მპოვნელებმა დაინაწილეს. თელავის მხარეთმცოდნეობითმა მუზეუმმა მოახერხა მხოლოდ 9 მონეტის შეძენა. განძის გადარჩენილი ნაწილი შედგება ნიდერლანდების დაალდერების და ჩეხეთის, ზალცბურგის და საქსონიის ტალერებისგან. განძის გადარჩენილი ადრეული მონეტა იმპერატორ კარლ V-ს (1519 - 1555 წწ.) ეკუთვნის, ხოლო ყველაზე გვიანდელი, რომელიც 1572 წ. არის მოჭრილი – საქსონიის ჰერცოგ ავგუსტს. განძის ჩამარხვა 1572 წ. ადრე არ უნდა მომხდარიყო (მონეტების აღწერილობა იხ. რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV - XVIII საუკუნეებში, გვ. 50 - 54).

3. 1953 წ. ივნისში მახარაძეში (თანამედროვე ოზურგეთი), საბავშვო სახლის ტერიტორიაზე საცდელი ნაკვეთის დამუშავების დროს, იპოვეს სპილენძის ჭურჭელში ჩაყრილი 414 ვერცხლის ევროპული მონეტა, საერთო წონით – 8.5 კგ. აქედან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა 270 ც., ხოლო ოზურგეთის მხარეთმცოდნეობით მუზეუმს – 144. განძი შეისწავლა და გამოაქვეყნა რ. ქებულაძემ (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV - XVIII საუკუნეებში, გვ. 54 - 82). ხსენებული კომპლექსი შემადგენლობის მხრივ სამ ნაწილად იყოფა. ის შედგება ავსტრიული, იტალიური და ესპანური მონეტებისგან. განძის ყველაზე ადრეული მონეტა, ერცჰერცოგ ფერდინანდის ტალერი, 1564 - 1595 წწ-შია მოჭრილი, ხოლო ყველაზე გვიანდელი, ფილიპე IV-ის პესო – 1628 წ. გვიანდელი მონეტის მიხედვით, განძი XVII ს-ის 20-იანი წწ. შემდეგ უნდა ჩაემარხათ. ამ განძის შესახებ დაწვრილებით XVII ს-ის მასალის განხილვის დროს ვისაუბრებთ. ამჟამად, ჩვენთვის ის არის საინტერესო, თუ XVI ს-ის რამდენი მონეტა შედის მის შემადგენლობაში. ვიძლევით მათ სიას:

1. ტიროლის საგრაფო, ჰალეს ზარაფხანა – 6, ენსისჰაიმის – 1. ტალერი. ერცჰერცოგი ფერდინანდი (1564 - 1595 წწ.) – 7 ც.

2. ვენეციის რესპუბლიკა, დოჟი პასკუალე ჩიკონია (1585 - 1595 წწ.). ვერცხლი. უთარიღო დუკატო.

3. ესპანეთი და მისი ყოფილი კოლონიები ამერიკაში. ფილიპე II (1556 - 1598 წწ.) – 2 ც.

ამრიგად, ოზურგეთის განძის შემადგენლობაში XVI ს-ის 10 მონეტა შედის. თუმცა, ცხადია, გამორიცხული არ არის, რომ ისინი XVII ს-ის მასალათან ერთად შემოვიდა საქართველოში.

4. XX ს-ის 50-იან წწ-ში წითელწყაროს (დედოფლისწყაროს) რ-ნის სოფ ქვემო ქედში იპოვეს ერცჰერცოგ ფერდინანდის 1575 წ. ტალერი.

5. 1965 წ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოვიდა XVI ს-ის დასასრულის და XVII ს-ის დასაწყისის ორი ჰოლანდიური ლევენდაალდერი (ვერცხლი, უთარიღო).

6. 1932 წ. ადიგენის რ-ნის სოფ. უდეს ძველი ციხის ნანგრევებში აღმოჩნდა XVI - XVII სს-ის განძი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 28 ვერცხლის და 1 ოქროს მონეტა. ოქროს მონეტა მურად III-ის (1574 - 1595 წწ.) ალთუნია, დანარჩენი კი – ევროპული. ეს ნაწილი შედგება: ავსტრიული და უნგრული ტალერებისგან, ჰოლანდიური არენდსდაალდერების, რიკსდაალდერების ახტენტვინტიგებისაგან და ესპანური პესოებისგან.

უდეს განძის ყველაზე ადრეული მონეტა, ერცჰერცოგ ფერდინანდის ტალერი, 1564 - 1595 წწ. მოჭრილი, გვიანდელი – ფილიპე III-ის პესო – 1598 - 1621 წწ. განძის ჩამარხვა XVII ს-ის 20-იან წწ. ადრე არ უნდა მომხდარიყო.

უდეს განძის შემადგენლობაში XVI ს-ის სამი მონეტა შედის: ესენია, 1-2. ერცჰერცოგ ფერდინანდის უთარიღო ტალერი, ტიროლის საგრაფო, ჰალეს ზარაფხანა

და 3. უნგრეთი, იმპერატორ რუდოლფ II-ის (1576 - 1612 წწ.) 1594 წ. მოჭრილი ტალერი, კრემნიცის ზარაფხანა.

7. 1965 წ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოვიდა კახეთში ნაპოვნი ნიდერლანდური დაალდერი და უნგრული ტალერი: 1. ნიდერლანდები ესპანეთის მფლობელობის დროს, ზუტფენის საგრაფო, გრაფი ვილჰელმ III ბერგელი (+1586 წ.); 2. უნგრეთი, იმპერატორ რუდოლფ II-ის ტალერი, მოჭრილი კრემნიცის ზარაფხანაში 1591 წ.

8. 1903 წ. გალის რ-ნის სოფ. ოტობაიას სასაფლაოზე იპოვეს ვერცხლის მონეტების განძი, სადაც XV ს-ის ჯუჩიდურ და XVI ს-ის ოსმალურ ახჩებთან ერთად XVI ს-ის ესპანური მონეტებიც შედიოდა.

9. 1955 წ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ურთაში აღმოჩნდა XVI - XVII სს. ესპანური პესოები.

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ საქართველოში აღმოჩენილი XVI ს-ის ევროპული მონეტების ნაწილი, შესაძლებელია, XVII ს-შია შემოსული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ეჭვის ქვეშ დავაყენოთ მათი ცირკულაცია XVI ს-ის საქართველოში. რ. ქებულაძის დასკვნით, „საქართველოში ტალერული მონეტების გავრცელების თარიღად XVI ს-ის შუა წლები უნდა მივიჩნიოთ“ (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV - XVIII საუკუნეებში, გვ. 93 - 94). გარდა ამისა, ხსენებული ავტორი იმასაც ვარაუდობს, რომ ჩვენში ტალერული მონეტები, ძირითადად, მაინც ირანიდან და ოსმალეთიდან შემოდიოდა. ეს ქვეყნები მჭიდროდ იყო დაკავშირებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით ევროპის სახელმწიფოებთან და ტალერული მონეტების ხვედრითი წონა მათ სამონეტო ბაზარზე მნიშვნელოვანი იყო (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV - XVIII საუკუნეებში, გვ. 102 - 103).

თუ შევაჯამებთ ყველაფერს, რაც ზემოთ ითქვა, შემდეგ სურათს მივიღებთ: XVI ს-ში ქართველი მეფეები საკუთარი სახელით ახორციელებენ სამონეტო რეგალიას – დავით X (1505 - 1525 წწ.) ქართლში, გიორგი II იმერთ მეფე (1565 - 1585 წწ.) და, შესაძლებელია, ასევე იმერთ მეფე ბაგრატ III (1510 - 1565 წწ.). გარდა ამისა, დაუდგენელი ემიტენტის მიერ საქართველოში იჭრება და ინტენსიურად მიმოიქცევა თურქული ახჩების და სპარსეთის შაჰის თაჰმასპ I-ის (1524 - 1576 წწ.) მონეტების იმიტაციები.

რაც შეეხება უცხოურ ვალუტას. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა ჩვენში ვენეციური ოქროს დუკატების და ოსმალური ალთუნების ცირკულაცია. ამავე დროს XVI ს-ში ფუნქციონირებას იწყებს ზაგემის ზარაფხანა კახეთში და აქ მოჭრილი ირანული ტიპის მონეტები ასევე ტრიალებს საქართველოს ფარგლებში.

დაბოლოს, ეჭვს გარეშეა ჩვენში ევროპული მონეტების ცირკულაციაც, ოღონდ ამ ეპოქაში მათი შემოსვლის გზები, ძირითადად, მაინცდამაინც ოსმალეთსა და სპარსეთზე უნდა გადიოდეს.

სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა XVII - XVIII საუკუნეების საქართველოში

ა) XVII - XVIII საუკუნეებში საქართველოში მოჭრილი მონეტები.

1555 წ., ამასიის ზავის თანახმად, საქართველო ორმა დიდმა სახელმწიფომ – ირანმა და ოსმალეთმა გაიყო: აღმოსავლეთ საქართველო და მესხეთის ნაწილი (სამცხე, ჯავახეთი) ყაენმა ირგუნა, დასავლეთი – სულთანმა, მანვე მიიერთა ტაო, შავშეთი, კლარჯეთი (მ. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI - XVII სს. თბ. 1971, გვ. 80 - 81).

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ თაჰმასპ I-ის (1524 - 1576 წწ.) დროს, ზაგემის ზარაფხანა წმიდაწყლის სპარსულ ვერცხლის მონეტას ჭრის. XVII ს-დან ასეთსავე ემისიას თბილისის ზარაფხანაც იწყებს.

ასეთ ვითარებაში ძალაუნებურად დგება საკითხი: საქართველოს ზარაფხანებში ირანის შაჰების სახელით მოჭრილი მონეტები სპარსეთის ნუმიზმატიკური ძეგლებია, თუ ქართული? ამასთან დაკავშირებით, გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება.

დ. კაპანაძე წერს: „XVII - XVIII სს. თბილისურმა ვერცხლმა ეროვნული ნიშნები საბოლოოდ დაკარგა და სავსებით გადავიდა ერანულ ყაიდაზე. მონეტის ზომა და წონა შეეფარდება ერანში მიღებულ სტანდარტს, სპარსული ზედწერილი შაჰის სახელს იუწყება, ზედწერილის საკულტო ნაწილი არაბულია, თარიღი ჰიჯრით არის გადმოცემული. ქართული წარწერა, ქართველი მეფის სახელი ან ქრისტიანული ლოცვა ამ მონეტებზე სრულიად არ ჩანს. ერანული მონეტებისგან განმასხვავებელი ერთადერთი ნიშანი მხოლოდ მოჭრის ადგილია – თბილისი. მონეტების გარეგნული ნიშნები, განსაკუთრებით კი ქართველებისათვის უცხო იდეოლოგიისა და შინაარსის შემცველი ზედწერილები საბუთს გვაძლევდა ჩაგვეთვალა ეს მონეტები ერანის ზარაფხანის ერთ-ერთი ფილიალის პროდუქციად“ (დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 139). მაგრამ ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით (არქანჯელო ლამბერტი, ვახტანგ VI-ის კანონთა კრებული, რომელიც შეიცავს „თეთრის გარიგების“ სპეციალურ კარს, რუსი მოგზაურის კაპიტან იაზიკოვის ინფორმაცია, ბატონიშვილ ნიკოლოზის 1678 წ. წერილი რუსეთის მეფე თევდორე ალექსის ძისადმი და სხვ. ამ საკითხის შესახებ იხ. დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 136 - 141), დ. კაპანაძე ასკვნის: „ . . . XVI ს. დასაწყისიდან რუსეთთან შეერთებამდე **საქართველოში იჭრებოდა საკუთარი ფული,** რომელმაც განსაკუთრებული პირობების გამო ეროვნული იერი მთლიანად დაკარგა და ერანული ყაიდის იყო. ზოგჯერ ამა თუ იმ მიზეზის გამო თავის მოქმედებაში შეზღუდული ქართული მთავრობა ფულის მოჭრას დროებით აჩერებს, მაგრამ სამონეტო საქმიანობის მთელი მსვლელობა ძირითადად მის ხელში იყო. **ამიტომ ერანული**

ყაიდის ვერცხლის ფული აუცილებლად შეტანილი უნდა იყოს საკუთრივ ქართულ მონეტათა რიცხვში“ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 141 - 142). და შემდეგ: „საერთო ერანული ყაიდით მოჭრილ ამ მონეტებზე მორიგი შაჰის სახელის, მოჭრის ადგილისა და ჰიჯრის გარდა საკეთილმყოფელო მუსულმანური რელიგიური ფორმულები ან ლოცვანია მოთავსებული, რის გამოც ამ მონეტების სხვადასხვა წვრილმანი ვარიანტის რაოდენობა მრავალრიცხოვანია. **ამ ვარიანტების დაწვრილებით აღწერას რომ შევუდგეთ, ფაქტიურად და უნებლიეთ ერანულ ნუმიზმატიკაში უნდა შევიჭრათ (**დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 142). თუ ეს მონეტები „საკუთრივ ქართულ მონეტათა რიცხვს“ ეკუთვნის, მაშინ ჩვენთვის სრულებით გაუგებარია, მათი აღწერით რატომ უნდა შევიჭრათ „ერანულ ნუმიზმატიკაში“?

რაც შეეხება წერილობითი წყაროების ცნობებს, რის საფუძველზეც დ. კაპანაძე თბილისში მოჭრილ „ერანული ყაიდის“ მონეტებს „საკუთრივ ქართულ ფულად“ მიიჩნევს, მათ ჩვენ საგანგებოდ და დაწვრილებით მოგვიანებით განვიხილავთ.

თ. ქუთელიას, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა სეფიანთა ირანის და საქართველოს ურთიერთობა ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, ასეთი პოზიცია უკავია: « . . . с юридической точки зрения, – წერს ის – монету тбилисского чекана следует считать иранской, тем более, что и весовой ремедиум тбилисских монет, в принципе, соответствовал иранским стандартам. **Однако выясняется, что сефевидские шахи Ирана удовлетворялись только этой формой выражения покорности грузинскими царями (чеканки иранской монеты) и совершенно не вмешивались в деле управления монетным двором и контроля над количеством и качеством чеканенной монеты.** Все это входило в юрисдикцию картлийских царей. Доход получаемой от эксплуатации монетного двора, естественно, поступал в казну картлийских царей» (Т. С. Кутелия. Грузия и сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 26-27). აქ სადავო თითქოს არაფერია, მაგრამ გვინდა კიდევ ერთხელ მკვეთრად გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება თბილისში მოჭრილ ირანული ვერცხლის მონეტებთან დაკავშირებით. თუ კი დამპყრობელი გიმტკიცებს სამონეტო ტიპს („ხუტბას“ და სიქას), გაიძულებს მოჭრა მონეტა ქრისტიანული იდეოლოგიისათვის მიუღებელი შიიტური ფორმულით, მოათავსო მასზე **მხოლოდ** ირანის შაჰის სახელი, გიწესებს მეტროლოგიურ სტანდარტს და თბილისში მოჭრილი მონეტა არაფრით განსხვავდება ირანის სახელმწიფოს სხვა ქალაქების ემისიისაგან, მაშინ ეს მონეტები ირანული ნუმიზმატიკის განუყოფელი ნაწილია.

ვიდრე უშუალოდ საქართველოში მოჭრილ XVII - XVIII სს. ირანულ მონეტებზე შევჩერდებოდეთ, გვინდა სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის ერთ ცნობაზე გავამახვილოთ ყურადღება. ისტორიკოსი გვაუწყებს, რომ 1602/3 წწ. კახეთის მეფე ალექსანდრე (1574 - 1605 წწ.), მისი შვილის კონსტანტინე-მირზას მეცადინეობით, ერევნის ციხის გარემოცვის დროს წარუდგა ირანის შაჰს: „ . . . იმ დღეს, როცა ხსენებული (ალექსანდრე) მაღალ ბანაკში მოდიოდა, ხელმწიფის ბრძანების თანახმად ყველა ამირები და სახელმწიფოს დიდებულები მის შესახვედრად წავიდნენ და ის სრული დიდებითა და პატივით მოიყვანეს. გზიდან პირდაპირ მაღალ კარზე მოვიდა

და მისი უდიდებულესობის ფერხთა კოცნით იქნა განდიდებული. **მან ხელში აიღო თაბახი ოქროს ფულებით, რომლებიც თავის ქვეყანაში მოეჭრა, შაჰის სახელზე, და თავზე დააფრქვია ხელმწიფეს, როგორც ეს წეს-ჩვეულებად აქვთ საქართველოში,** სადაც ხელმწიფეს თავზე აფრქვევენ [ფულს]" (ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ. თბ. 1969, გვ. 43).

ამ ცნობამ არ შეიძლება არ გაგვახსენოს თემურ-ლენგის ისტორიკოსის შერეფ ედ-დინ ალი იეზდის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, გიორგი VII-მ თემურს, სხვა საჩუქრებთან ერთად, გაუგზავნა **ათასი ოქროს მონეტა შემკული დამპყრობლის სახელით**. ჩვენ უკვე ვწერდით ამის შესახებ და გამოვთქვით მოსაზრება, რომ გიორგი VII-მ, შესაძლებელია, სპეციალურად ამ შემთხვევისთვის, მოაჭრევინა **დონატიური მონეტები**. იგივე შეიძლება ვიფიქროთ ალექსანდრე კახთა მეფის მიერ განხორციელებული ღონისძიების შესახებ, რამდენადაც ფაქტობრივი მასალით არც ამ ფაქტის დადასტურებაა შესაძლებელი და არც უარყოფა. რაღაც ტრადიციაც ხომ არ დამკვიდრდა საქართველოში დამპყრობელთა გულის მოსალბობად? რაც შეეხება თ. ქუთელიას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ისქანდერ მუნშის ცნობა ადასტურებს ამ პერიოდში კახეთის ფარგლებში ზარაფხანის არსებობის ფაქტს (Т. С. Кутелия. Грузия и сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 16), ცხადია, მას საფუძველი აქვს, რაც დადასტურდა კიდეც ზაგემში მოჭრილი მონეტებით.

ვინაიდან ზაგემის ზარაფხანა ვახსენეთ, აქვე აღვნიშნავთ, რომ ზაგემში XVII ს-ში ვერცხლის მონეტების ემისია განხორციელდა შაჰ-აბას I-ის (1587 - 1629 წწ.) და შაჰ-სეფი I-ის (1629 - 1642 წწ.) სახელით (Т. С. Кутелия, Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 19). სანიმუშოდ ვიძლევით შაჰ-სეფი I-ის სახელით ზაგემის ზარაფხანაში მოჭრილი აბაზიანის აღწერას, რომელიც ბირკიანის განძის შემადგენლობაში აღმოჩნდა (იხ. თ. ქუთელია. კახეთის სამეფოს უცნობი ზარაფხანა. ძეგლის მეგობარი. № 23. თბ. 1970, გვ. 31 - 32).

გ.ფ. № 11952. აბაზი. წ. – 7.52 გრ. ზ. – 22 მმ.

შუბლი – წერტილოვან და ხაზოვან რკალებში ჩასმული სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი შიიტური ფორმულით: „არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა,/ მუჰამედი მოციქულია ალაჰისა,/ ალი თანაგამზრახია ალაჰისა".

ზურგი – ასეთივე რკალებში მოქცეული ოთხსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი (თარიღის მხოლოდ ორი უკანასკნელი ციფრია შერჩენილი, „სიწმინდის ხელმწიფის მონა სეფი [10]39=1629/30 წწ., მოიჭრა ზაგემში") (ტაბ. VI, № 32).

ბირკიანის განძის შემადგენლობაში შაჰ-სეფი I-ის მეორე მონეტის აღწერილობა ასეთია:

გ.ფ. №11953. აბაზი. წ. – 7.47 გრ. ზ. – 21 მმ.

შუბლი – ისეთივე როგორც წინა.

ზურგი – ხაზოვან რკალში ჩასმული ოთხსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი: „სულით და გულით შაჰის მონა სეფი, მოიჭრა ზაგემში [10]41“ = 1631/32 წწ. (Т. С. Кутелия. Грузия и сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 16).

მონეტების ლეგენდებში მოხსენიებულ „სიწმინდის ხელმწიფისა“ და „შაჰის“ ქვეშ იგულისხმება შიიტების მიერ „გაღმერთებული“ იმამი ალი (Т. С. Кутелия. Грузия и сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 17).

დავუბრუნდეთ თბილისში მოჭრილ ვერცხლის მონეტებს.

დ. კაპანაძის მიხედვით, „XVII - XVIII სს. თბილისური ვერცხლის მონეტებზე აღბეჭდილია უცხო მფლობელების, ერანის შაჰების შემდეგი სახელები: აბას პირველი (1587 - 1628 წწ.), აბას მეორე (1642 - 1667 წწ.), სულეიმანი (1667 - 1694 წწ.), ჰუსეინი (1694 – 1722 წწ.) სეფიანთა გვარეულობიდან და ნადირ-შაჰი (1736 - 1747 წწ.), იბრაჰიმი (1748 - 1749 წწ.) და შაჰ-როჰი (1748 - 1796 წწ.) აბშარიანთა გვარეულობიდან (უკანასკნელის მხოლოდ მმართველობის პირველი წლებისაა) . . . **ყველაზე მეტი გავრცელება ჩვენში ვერცხლის აბაზიანს ჰქონია,** შემდეგ მის წილადებს: ორშაურიანს, მაჰმუდს ანუ როგორც მას კიდევ უწოდებენ, უზალთუნს, შედარებით იშვიათად შაური ჩნდება, რომელიც აბაზის მეოთხედს უდრიდა. გაცილებით მეტ იშვიათობას წარმოადგენს მსხვილი ნომინალები: მარჩილი, რომელიც ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ბრიტანეთის კატალოგის ჩანაწერით, შემდეგ – ნახევარმარჩილი (უდრის ექვსშაურიანს ანუ 1½ აბაზიანს) და ფანჯშაჰი (ანუ ხუთშაურიანი).

ვერცხლის ფულის უკნინესი ნომინალი ბისტი იყო (ბისტი შაურს უდრიდა), რომელსაც სპეციალური დანიშნულებისათვის, გამონაკლისის სახით და განსაზღვრული რაოდენობით ძალიან იშვიათ შემთხვევაში ჭრიდნენ; მაგ. ნოვრუზ ბაირამის დროს მოწყალების დასარიგებლად“ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 142).

დ. კაპანაძე იმასაც აღნიშნავს, რომ წერილობითი ცნობების საფუძველზე თითქოს საქართველოში ოქროს შაურიანებიც მოუჭრიათ და ცირკულაციაში ვერცხლის ფულის უფრო მსხვილი ნომინალებიც ყოფილა, სახელდობრ, მინალთუნი, მაგრამ ფაქტობრივი მასალით არც ერთი და არც მეორე არ დასტურდება (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 142 - 143).

თბილისში მოჭრილი ირანული მონეტების ნომინალების და წონითი სტანდარტების ცვალებადობის შესახებ დაზუსტებული ცნობები მოცემული აქვს თ. ქუთელიას (იხ. Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 32 - 33; აგრეთვე, მისივე. ირანული სპილენძის ფულის კატალოგი, გვ. 16 - 17).

XVII - XVIII სს-ში თბილისის ზარაფხანაში ვერცხლის მონეტები იჭრებოდა ირანის სისტემის მიხედვით, რომლის ძირითადი ერთეული იყო შაჰ-აბას I-ის მიერ შემოღებული ნომინალი – აბაზი, სტანდარტული წონით – 7.76 გრ. აბაზის თეორიული წონა უცვლელი დარჩა 1717 წ-მდე, როდესაც შაჰ-ჰუსეინის ბრძანებით, აბაზის წონა შემცირდა 5.40 გრამამდე. 1721 წ. აბაზის წონა კიდევ ერთხელ შემცირდა

და შეადგინა 4.63 გრ. (Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 32-33).

ვინაიდან, ჩვენი ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიზნად არ ვისახავთ ირანის ნუმიზმატიკაში ღრმად „შეჭრას“, ვიძლევით მხოლოდ შაჰ-აბას I-ის და შაჰ-სეფი I-ის სანიმუშო ცალების – სპარსული სამონეტო სისტემის ძირითადი ერთეულის, აბაზის აღწერილობას (თბილისში ირანის შაჰების სახელით მოჭრილი მონეტების დაწვრილებითი აღწერა-ატრიბუცია იხ. Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 217 და შმდ; Т. С. Кутелия. Грузия и сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 34 და შმდ.; მისივე. თბილისის ზარაფხანა XVII - XVIII სს. (ვერცხლის ფული). სსმმ. ტ. XXXIII-B. თბ. 1978, გვ. 89 - 109).

როგორც ე. პახომოვი აღნიშნავდა, ირანის შაჰის სახელით პირველი ვერცხლის მონეტა თბილისში ჰიჯრით 1013 წ. (1604/5 წწ.) მოიჭრა, რომელიც დრეზდენის მუზეუმში ყოფილა დაცული (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 217).

თ. ქუთელიას მიხედვით, 1604 - 1616 წწ. შორის უნდა იყოს მოჭრილი ქვემოთ აღწერილი ცალი:

შაჰ-აბას I-ის აბაზიანი.

1. ქმძფ. № 4841. წ. – 7.59 გრ. ზ. – 23-24 მმ.

შუბლი – ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი, შიიტური რწმენის ფორმულა: „არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა, მუჰამედი მოციქულია ალაჰისა, ალი თანაგამზრახია ალაჰისა“.

ზურგი – ოთხსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი: „სიწმინდის ხელმწიფის მონა აბასი, მოიჭრა თბილისში“ (Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 34) (ტაბ. VI, № 33).

2. მონეტა მოჭრილი თბილისის ზარაფხანაში შაჰ-აბას I-ის მიერ 1614 - 1616 წწ. საქართველოში ლაშქრობის შემდეგ.

აბაზი. ქმძფ. № 4853. წ. – 7.53 გრ. ზ. – 19-20 მმ.

შუბლი – წერტილოვან რკალში მოთავსებული სამსტრიქონიანი შიიტური რწმენის ფორმულა და თარიღი – ჰიჯრ. 1032 წ. (1622/23 წწ.). რკალს გარეთ წრიული ლეგენდის კვალი – შიიტების იმამების სახელებით, იკითხება: „ . . . ალი . . . მუჰამედი. . .“.

ზურგი – ოთხსტრიქონიანი სპარსული წარწერა, ისეთივე, როგორც წინაზე (Т. С. Кутелия. Грузия и сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 34).

3. შაჰ-სეფი I. აბაზი

გ.ფ. № 11948. წ. – 7.65 გრ. ზ. – 21 მმ.

შუბლი – ხაზოვან რკალში მოთავსებული ოთხსტრიქონიანი არაბული წარწერა – შიიტური რწმენის ფორმულა.

ზურგი – ხუთსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი: „მთელი სულით და გულით შაჰის მონა სეფი, მოიჭრა თბილისში 1051 წ.“ (1641 - 1642 წწ.). მონეტის არე

დამშვენებულია წერტილოვანი ვარდულებით (Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 36) (ტაბ. VI, № 34).

ვერცხლის მონეტების გარდა, თბილისის ზარაფხანა ირანული სტანდარტით სპილენძის ფულსაც ჭრიდა. ვიდრე მათ შესახებ ვისაუბრებდით, საჭიროდ მიგვაჩნია ზოგად ხაზებში შევეხოთ სპილენძის მონეტების ემისიას თვით ირანის ფარგლებში (დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ სათანადო ბიბლიოგრაფიით იხ. თ. ქუთელია. ირანული სპილენძის ფულის კატალოგი, გვ. 5 - 23. ჩვენ მთლიანად ვეყრდნობით ამ ნაშრომს, ამიტომ სათანადო გვერდებს მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში ვუთითებთ).

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ XVI - XIX სს-ის ირანული სპილენძის მონეტა, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, **ავტონომიური იყო**. სპილენძის ფულის მოჭრა, ვერცხლისაგან განსხვავებით, ირანში ადგილობრივი ხელისუფლების – პროვინციის ან ქალაქის მმართველის – პრეროგატივას წარმოადგენდა. ცენტრალური (შაჰის) მთავრობა უშუალოდ არ აკონტროლებდა სპილენძის ემისიას და, ამდენად, ის იყო ადგილობრივი ხელისუფლების შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო. სპილენძის ფულს ირანში საკუთარი და, ამასთანავე, საკმაოდ ფართო სფერო გააჩნდა. ბაზრებში საცალო ვაჭრობა, ჯარისათვის და, ალბათ, წვრილი მოხელეებისათვის ხელფასის გაცემა, ზოგიერთი გადასახადის აკრეფა და სხვა წვრილი ფულადი ოპერაციები, უმეტესად, სპილენძის ფულით ხორციელდებოდა.

ირანული სპილენძის მონეტების დიზაინი ხშირად იცვლებოდა. თ. ქუთელია შენიშნავს, რომ „სპილენძის სამონეტო ტიპის მონაცვლეობის პერიოდულობის საკითხი ღიად უნდა დარჩეს იქამდე, სანამ ხელთ არ გვექნება მონეტების უფრო სრული ქრონოლოგიური ნუსხები. ერთი რამ კი დაბეჯითებით შეიძლება ახლავე აღინიშნოს: მონეტის ტიპის ცვლა დიდ მოგებას აძლევდა ხელისუფლებას და უეჭველია, რომ იგი (ხელისუფლება) ყველა შესაძლებელ საბაბს გამოძებნიდა, რათა მონეტის მოჭრის უფლება გამოეყენებინა ფისკალური მიზნებისათვის. ასეთ საბაბად გამოდგებოდა როგორც ნოვრუზი, ისე მმართველის შეცვლაც“ (თ. ქუთელია. ირანული სპილენძის ფულის კატალოგი, გვ. 11).

XVI - XIX სს-ის ირანის მთელ ტერიტორიაზე ერთი სახის სპილენძის ფული იჭრებოდა. მონეტის შუბლზე მოთავსებულია რაიმე გამოსახულება, ხოლო ზურგზე – სპარსული წარწერა, რომელშიც მოცემულია ზარაფხანის სახელი და მოჭრის დრო. ირანული სპილენძის მონეტების შუბლზე მეორდება **ორმოცამდე** გამოსახულება – ფარშევანგი, ბატი, ქათამი, მამალი, თუთიყუში, არწივი და კაკაბი, აქლემი, თხა, ცხვარი, ნიამორი, ანტილოპა, სპილო, მარტორქა, ლომი და მზე, ლომი ხმლით მზის ფონზე, მხედარი ხმლით და სხვ. (რეპერტუარის ჩამონათვალი იხ. თ. ქუთელია. ირანული სპილენძის ფულის კატალოგი, გვ. 11). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზოგიერთი ამ გამოსახულებათაგანი, კერძოდ, თევზები, ცხვარი (ვერძი), ლომი, სასწორი და აშ. უკავშირდება ზოდიაქოს ნიშნებს, ზოგი კი – ე.წ. თათრული კალენდარული ციკლის ეპონიმ ცხოველებს. ესენია – ხარი, კურდღელი, დრაკონი, ცხენი, ცხვარი, მაიმუნი, მამალი . . . მაგრამ ფაქტობრივ მასალაზე ერთი თვალის

გადავლებაც კი საკმარისია იმისათვის, რათა დავასკვნათ, რომ ამ გამოსახულებებს მონეტებზე არ ჰქონდათ კალენდარული (ქრონოლოგიური) მნიშვნელობა. **წინაადმდეგ შემთხვევაში, ერთსა და იმავე წელს ირანის ყველა ქალაქში ერთგამოსახულებიანი მონეტა უნდა მოჭრილიყო.** ეს კი ასე არ არის. კიდევ მეტი, ცალკეულ ქალაქებშიც კი მონეტაზე მოთავსებული გამოსახულების დამთხვევა მოცემული წლის ეპონიმ ცხოველთან იმდენად იშვიათია, რომ იგი მხოლოდ შემთხვევითობით შეიძლება აიხსნას (თ. ქუთელია. ირანული სპილენძის ფულის კატალოგი, გვ. 11-12).

ირანული სპილენძის მონეტის ზურგზე მოთავსებული სპარსული წარწერა ასე იკითხება: „ფულუსი იჭედა“, შემდეგ ზარაფხანის სახელი და თარიღი. ტერმინი ფულუსი ნომინალს არ აღნიშნავს. ის მხოლოდ სამონეტო ლითონს – სპილენძზე მიგვანიშნებს (თ. ქუთელია. ირანული სპილენძის ფულის კატალოგი, გვ. 12).

XV ს-ის მეორე ნახევრიდან სპილენძის მონეტის ძირითადი ერთეულის აღსანიშნავად ტერმინი „ადლი“ შეცვალა „დინარმა“. ეს ტერმინი XVI ს-ში ვერცხლის ფულსაც აღნიშნავდა. შაჰ აბას I-ის სამონეტო რეფორმის შემდეგ „დინარმა“ საბოლოოდ დაკარგა რეალური მონეტის მნიშვნელობა და იქცა საანგარიშო ერთეულად როგორც სპილენძის, ასევე ვერცხლის მონეტებისათვის (თ. ქუთელია. ირანული სპილენძის ფულის კატალოგი, გვ. 15-16).

დაბოლოს, კიდევ ორ მომენტს უნდა გაესვას ხაზი: 1. სპილენძის მონეტების ემისიას ახორციელებდნენ, როგორც ეს უკვე გვქონდა აღნიშნული, ირანის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების მმართველები, მათ შორის ირანისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი მემკვიდრეობითი ხელისუფალნი, მაგ., ქართლის მეფეები, რომლებიც ოფიციალურად შაჰის მოადგილეებად, ნაცვლებად (ვალი) ითვლებოდნენ (Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 60) და 2. სპილენძის ფულის ნახევრადსაკრედიტო ბუნების გამო მის დაგროვებას აზრი არ ჰქონდა და არც გროვდებოდა. ამიტომ არის, რომ სამუზეუმო საცავებში ირანული სპილენძის ფულის განძები, ვერცხლის მონეტებისაგან განსხვავებით, პრაქტიკულად არ გვხვდება. როგორც ჩანს, გამონაკლისია XVIII ს-ის დასაწყისში თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი სპილენძის მონეტების განძებად დაგროვება, რაც თ. ქუთელიას შენიშვნით, ამ ფულის განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივი სტატუსით იყო განპირობებული (თ. ქუთელია. ირანული სპილენძის ფულის კატალოგი, გვ. 7, 21, შენიშვნა 13).

ირანული სპილენძის მონეტების ემისიის ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ გადავდივართ თბილისში მოჭრილი სპილენძის მონეტების სქემატურ აღწერილობაზე. დ. კაპანაძის შენიშვნით, მონეტათა ეს სერია ორ დამოუკიდებელ და განსხვავებულ ჯგუფად იყოფა: 1. XVII ს-ის თბილური უსახელო სპილენძის მონეტები და 2. XVIII ს-ის ქართლის მეფეთა სახელებით აღბეჭდილი მონეტები (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 148).

თბილისში XVII - XVIII სს-ში მოჭრილი სპილენძის მონეტების შესახებ ვრცელი ინფორმაცია და მათი აღწერილობა მოცემული აქვთ ე. პახომოვს და თ.

ქუთელიას (იხ. Е. А. Пахомов. Вес и достоинство медной монеты Тифлисе XVII - XVIII вв. Отдельный оттиск из т. III, «Востоковедение». Изд. вост. факультета Азерб. Гос. Университета. Баку. 1928, გვ. 88-109, ტაბ. I-II; Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 47-65), ხოლო სქემატურად მათ დ. კაპანაძე ეხება (დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 149-151). სახელმძღვანელოს **მიზნიდან** გამომდინარე, მონეტების აღწერისას დ. კაპანაძის ნაშრომს ვეყრდნობით. მაგრამ ვიდრე მონეტის აღწერას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ერთ უაღრესად საინტერესო ფაქტის ხაზგასმა: თ. ქუთელიამ თბილისში მოჭრილ სპილენძის ერთ მონეტაზე წაიკითხა შაჰ სეფის (მისი აზრით, სეფი I-ის 1629 - 1642 წწ.) სახელი და ის მიიჩნია ამ სერიის ყველაზე ადრეულ ნიმუშად (Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 51-54). თუმცა, ამ საკითხის შესახებ სხვა მოსაზრებაც არსებობს, რასაც ქვემოთ შევეხებით. ამ მონეტის აღწერილობა ასეთია:

გ.ფ. № 2657. წ. – 8.44 გრ. ზ. – 21-22 მმ. ნახევარბისთი (XVII ს-ის შუა ხანებში ბისთი უკვე სპილენძის მონეტაა. თ. ქუთელია. ირანული სპილენძის ფულის კატალოგი, გვ. 18). ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ძნელია იმის გარკვევა რომელი მხარეა მონეტის შუბლი, ან ზურგი, თ. ქუთელია მათ აღნიშნავს როგორც I და II მხარეს. ჩვენ პირობითად, ისევ შუბლს და ზურგს ვხმარობთ.

შუბლი – მარჯვნივ მიმართული ლომი, რომლის ზურგს უკან ამომავალი მზეა გამოსახული.

ზურგი – სპარსული ზედწერილი: „სეფი. ფულუსი მოიჭრა თბილისში“. თარიღი შემორჩენილი არ არის (ტაბ. VI, №35).

ეს მონეტა კიდევ ერთი საბუთია იმის სამტკიცებლად, რომ სპილენძის ფულის ემისია სახელმწიფოებრივი ღონისძიებაა და არა თბილის-ქალაქის ავტონომიის მაჩვენებელი.

XVII ს-ის თბილისის სპილენძის ანონიმურ მონეტებზე, დ. კაპანაძის მიხედვით, მოთავსებულია შემდეგი გამოსახულებანი და წარწერები:

1. შუბლი – ორნამენტულ ჩარჩოში მოთავსებული მარცხნივ მიმართული ლომი.

ზურგი – ასეთივე, ოღონდ მომცრო გამოსახულების ირგვლივ სპარსულად: „იჭედა ფულუსი თბილისს წელსა 1014“ (= 1605 - 1606 წწ.). თარიღის ასეთ წაკითხვას თ. ქუთელია ეჭვის ქვეშ აყენებს (Т. С. Кутелия, Грузия и Сефевидский Иран, გვ. 52-54).

ზემოაღწერილ ცალს, დ. კაპანაძის სიტყვებით „უნდა მოსდევდეს ტიპები, რომლებმაც თარიღი არ შეინარჩუნეს, მაგრამ გარეგნული ნიშნების მიხედვით XVII საუკუნის პირველ მეოთხედს უდგება“.

2. შუბლი – ირმის გამოსახულება მარცხნივ.

ზურგი – სპარსული ზედწერილი: „იჭედა ფულუსი თბილისს“ (შემორჩენილია მცირე რაოდენობით) (ტაბ. VI, №36).

3. შუბლი – ბრჭყალებიანი მხეცი მარჯვნივ.

ზურგი – სპარსული ზედწერილი: „იჭედა ფულუსი თბილისს“ (შემორჩენილია ერთ ცალად, დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში).

4. შუბლი – ლომის გამოსახულება მარჯვნივ, რომლის უკან ამომავალი მზეა.

ზურგი – სპარსულად: „იჭედა ფულუსი თბილისს წელსა 1033“ (= 1623/24 წწ.).

5. შუბლი – მზის გამოსახულება

ზურგი – სპარსულად: „იჭედა ფულუსი თბილისს 1075“ (= 1664 - 1665 წწ.) (ტაბ. VI, №37).

6. შუბლი – ხარის გამოსახულება, რომელიც ვეშაპს თელავს, მის უკან – მზე.

ზურგი – სპარსულად: „იჭედა ფულუსი თბილისს 1081“ (= 1670 - 1671 წწ.) (ტაბ. VII, №38).

ეს მონეტა ცნობილია ოთხ ცალად: საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია 2 ც., ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში – 1 და ერთიც – თბილისელი კოლექციონერის კუთვნილებაა.

7. შუბლი – მარჯვნივ მიმართული ლომის გამოსახულება.

ზურგი – სპარსულად: „ფულუსი იჭედა თბილისს 1090“ (= 1679 - 1680 წწ.).

8. შუბლი – მარცხნივ მიმართული ცხენის გამოსახულება.

ზურგი – სპარსულად: „იჭედა ფულუსი თბილისს“ და თარიღი, რომელიც ამ სამონეტო ტიპზე სხვადასხვაა: 1091, 1093, 1094, 1095 ან 1096, რაც ევროპული ერის 1680 - 1685 წწ. ემთხვევა (ტაბ. VII, № 39).

9. შუბლი – მარცხნივ მიმართული ფარშევანგის გამოსახულება.

ზურგი – სპარსულად: „ფულუსი იჭედა თბილისს 1103“ (= 1691 - 1692 წწ.) (ტაბ. VII, № 40).

10. შუბლი – მარჯვნივ მიმართული მარტორქა.

ზურგი – სპარსულად: „ფულუსი იჭედა თბილისს 1112“ (= 1700 - 1701 წწ.). (მთელი ინფორმაცია თბილისის ზარაფხანაში XVII ს-ში მოჭრილი ანონიმური სპილენძის მონეტების შესახებ და მათი აღწერილობა, როგორც აღვნიშნეთ, ამოღებულია დ. კაპანაძის ნაშრომიდან – ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 149-150, ტაბ. XV, №№ 193-202) (ტაბ. VII, № 41).

დ. კაპანაძე იმასაც შენიშნავდა, რომ კიდევ არის თითო-ოროლა სამონეტო ტიპი, რომლებიც ზემოთ აღწერილი ცალების პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ მათი ზუსტი ადგილი მან ვერ მოძებნა (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 150).

დაბოლოს, უნდა შევეხოთ საკითხს იმის შესახებ, თუ როდის დაიწყო თბილისის ზარაფხანაში სპილენძის მონეტების ემისია. ამასთან დაკავშირებით, უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი თბილური ანონიმური სპილენძის მონეტა, რომლის შუბლსა და ზურგზე ლომია გამოსახული, ხოლო რევერსის ლეგენდა ასე იშიფრება: „იჭედა ფულუსი თბილისსა“ და თარიღი, რომელიც ცნობილმა ორიენტალისტებმა რ. სტ. პულმა, ა. მარკოვმა და ე. პახომოვმა, აგრეთვე დ. კაპანაძემ წაიკითხეს როგორც 1014 (= 1605 წ. მაისი - 1606 წ. მაისი). აქედან გამომდინარე, ე. პახომოვი თვლიდა, რომ ეს იყო პირველი ანონიმური სპილენძის მონეტა, რომელიც თბილისის ზარაფხანაში მოიჭრა (Е. А. Пахомов. Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII - XVIII вв., გვ. 90-91, № 1, ტაბ. I, №№ 1-2).

თ. ქუთელიამ ეჭვი შეიტანა თარიღის ასეთ გაშიფვრაში. მისი აზრით, თარიღი უნდა იკითხებოდეს როგორც 1114 წ. (= 1702 - 1703 წწ.). ერთ-ერთ არგუმენტად მას მოჰყავს ის ფაქტი, რომ XVII ს-ის დასაწყისში მოჭრილი ეს მონეტები, „რაღაც სასწაულით“ შემორჩა („каким-то чудом сохранились“) მიმოქცევაში საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში და აღმოჩნდა XVIII ს-ის პირველ მეოთხედში ჩამარხული განძების – ატენის, დისევის, ყანდაურას – შემადგენლობაში (Т. С. Кутелия. Грузия и сефевидский Иран, გვ. 53). ამიტომ იყო, რომ ავტორმა თბილისში მოჭრილი ყველაზე ადრეული სპილენძის მონეტად ის ნიმუში მიიჩნია, რომელსაც სეფი I სახელი ამშვენებს (Т. С. Кутелия. Грузия и сефевидский Иран, გვ. 54).

ცხადია, სახელმძღვანელოს ფურცლებზე ამ სადისკუსიო საკითხის გადაჭრა შეუძლებელია და ჩვენ ეს არც გვეხელმწიფება, ამიტომ, კომენტარების გარეშე, მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით შემოვიფარგლებით. თუმცა იმას კი მაინც გავუსვამთ ხაზს: თარიღი 1014 წ. ისეთი ავტორიტეტების მიერ არის შემოთავაზებული, რომ მისი იგნორირება გვიჭირს.

დიდი ხნის შესვენების შემდეგ, თბილისის ზარაფხანაში მოჭრილ მონეტებზე 1708 წ-დან ქართული წარწერები ჩნდება. პირველად თავისი სახელი სპილენძის მონეტებზე ქართლის მმართველმა ვახტანგ VI მოათავსა. ამ მონეტის აღწერილობა ასეთია:

ნახევარბისთი (ორმაგი ფული). ქმძფ. № 935. წ. – 9.12 გრ. ზ. – 25-26 მმ.

შუბლი – ცენტრში ზოდიაკალური თევზების გამოსახულება და ვახტანგის სახელის დაქარაგმება ქართულად: „ვნგ“ ან „ვტგ“, ჩასმული ორნამენტულ ჩარჩოში, რომლის გარეთ სპარსული ზედწერილი: „ფულუსი იჭედა თბილისს, წელსა 1120“ = 1708 - 1709 წწ.

ზურგი – სამანძიანი ხომალდის გამოსახულება, ხომალდზე ზემოდან მტრედი ეშვება, რომელსაც ნისკარტში ტოტი უჭირავს. ქვემოთ ტალღების ფონზე ევროპული თარიღი: 1708 ან 1709. ყველაფერი ეს ჩასმულია ხაზოვან-წერტილოვან რკალში (ტაბ. VII, № 42).

მონეტა მიეკუთვნება ვახტანგის ჯანიშინობის პერიოდს, როდესაც ის ქვეყანას გიორგი XI-ის (1703 - 1709 წწ.) და ქაიხოსროს (1709 - 1711 წწ.) სახელით მართავდა.

ამ მონეტების აღწერილობა, რომლებმაც ჩვენამდე დაახლოებით 60 ცალამდე მოაღწიეს, მოცემული აქვთ ე. პახომოვს, დ. კაპანაძეს და თ. ქუთელიას უკვე არაერთგზის მითითებულ ნაშრომებში.

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგის ფულზე ორი თარიღია აღბეჭდილი, სამონეტო ტიპი უცვლელია.

ვახტანგის 1708 წ. მოჭრილი მონეტების საშუალო წონა 8.87 გრამია (მაქსიმალური წონა – 9.04 გრ., მინიმალური – 8.38 გრ.). 1709 წ. დათარიღებული მონეტების საშუალო წონა 8.79 გრამია (მაქსიმალური წონა – 9.16 გრ., მინიმალური – 8.20 გრ.) (Т. С. Кутелия, Грузия и Сефевидский Иран, გვ. 60).

ზემოთ ხსენებული ქართლის მეფეები – გიორგი XI და ქაიხოსრო ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპნენ. ირანის შაჰმა ქართლის მეფედ ვახტანგ VI დაამტკიცა იმ პირობით, რომ ის ისლამს აღიარებდა, მაგრამ ვახტანგმა ამ შემოთავაზებაზე უარი თქვა. ამის გამო, ირანის შაჰმა ქვეყნის მეფობა ვახტანგის ძმას, იესეს უბოძა, რომელიც ქართლს ალი-ყული-ხანის სახელით 1714 - 1716 წწ. მართავდა. მისი სახელით მოჭრილ მონეტას ჩვენამდე არ მოუღწევია.

1716 წ. ვახტანგი იძულებული გახდა მიეღო ისლამი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შაჰმა ის ირანში დატოვა 1719 წ-მდე. მის არყოფნაში 1712 - 1714 წწ. ქვეყანას სათავეში ედგა მისი უმცროსი ძმა სიმონი, რომელიც ახორციელებდა სამონეტო ემისიას. ამ მონეტების აღწერილობა ასეთია:

ნახევარბისთი (ორმაგი ფული). გ.ფ. № 11310. წ. – 9.10 გრ. ზ. – 22-23 მმ.

შუბლი – ფრთოსანი ურჩხულის გამოსახულება, რომლის ირგვლივ სიმონის სახელის დაქარაგმება ქართულად: „სმნ“. ეს ყველაფერი ჩასმულია წერტილოვან რკალში.

ზურგი – წერტილოვან რკალში მოთავსებული სპარსული ზედწერილი: „ფულუსი იჭედა თბილისს, წელსა 1124“ (= 1712 - 1713 წწ.) (სამონეტო ტიპისთვის იხ. ტაბ. VII, № 43).

ე. პახომოვი ამ მონეტის ორ ვარიანტს გამოყოფს: ერთზე ურჩხული მარჯვნივ იცქირება, მეორეზე – მარცხნივ (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 97).

სიმონის ნახევარბისთიანი მონეტების საშუალო წონა, თ. ქუთელიას მიხედვით, 8.71 გრამია (მაქსიმალური წონა – 9.93 გრ., მინიმალური – 6.64 გრ.) (Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран, გვ. 61).

1717 - 1719 წწ-ში ქართლს ვახტანგის ვაჟი ბაქარი განაგებდა. მისი მონეტები 1130 (= 1717 - 1718 წწ.) და 1131 (= 1718 - 1719 წწ.) იჭრებოდა, მაგრამ ტიპი უცვლელი იყო.

ნახევარბისთი (ორმაგი ფული). გ.ფ. № 11316. წ. – 8.25 გრ. ზ. – 23 მმ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბაქარის მონეტების საშუალო წონა 8.42 გრამია (მაქსიმალური წონა – 8.73 გრ., მინიმალური – 7.70 გრ.) (Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран, გვ. 62).

შუბლი – მარჯვნივ (ზოგჯერ მარცხნივ) მიმართული ფარშევანგის გამოსახულება და ბაქარის სახელის დაქარაგმება ქართულად: „ბქრ“. რკალი ჯერ ხაზოვანი, ხოლო შემდეგ – წერტილოვანი.

ზურგი – ხაზოვან რკალში მოთავსებული სპარსული წარწერა: „ფულუსი იჭედა თბილისს, წელსა 1130 ან 1131“ (= 1717/18 ან 1718/1719 წწ.) (სამონეტო ტიპისთვის იხ. ტაბ. VIII, № 44).

დ. კაპანაძე შენიშნავდა, რომ „ძალიან იშვიათ შემთხვევაში ჩნდება ცალები, რომლებზედაც წარწერა: „ბაქარ“ სულ არ არის. ასეთი მონეტა ჩვენთვის ცნობილია თეთრიწყაროს რაიონის სოფ. დაღეთში აღმოჩენილი და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ჩამოტანილი ერთი ნიმუშით“ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 151). დაღეთში აღმოჩენილი ბაქარის ამ „ანონიმურ“ მონეტაზე მოთავსებულია თარიღი 1131

(= 1718/19 წწ.) (Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран, გვ. 62). დ. კაპანაძე იმასაც აღნიშნავდა, რომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში „ . . . დაცულია შესანიშნავი სიფაქიზით შესრულებული ბაქარის მსხვილი და მაღალწონიანი მონეტა, რომელიც გარეგანი ნიშნების მიხედვით შეიძლება საცდელად ჩაითვალოს“ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 151, № 207, ტაბ. XVI, № 207).

ვიდრე ქართველ მეფე-მმართველთა სპილენძის მონეტების მნიშვნელობაზე ვისაუბრებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ ე. პახომოვის პოზიციაზე ამ სამონეტო ჯგუფთან დაკავშირებით. ის აღნიშნავდა, რომ თბილისის ანონიმური სპილენძის მონეტების შემდეგ ამავე ზარაფხანაში იჭრება ის ცალები, რომლებზედაც მოთავსებულია ბაგრატიონთა სახლის წევრების სახელები. «Однако, было бы ошибкой сказать, что последние осуществляют этим право грузинских царей: **во всю первую половину XVIII столетия на тифлисской медной монете выставляются имена не грузинских царей, а их заместителей, фактических правителей Тифлиса и Карталинии. Со второй половины того-же столетия, в силу изменившихся политических условий, носители царского титула лично становятся правителями страны и в силу этого, а не по праву царя (?! გ. დ., თ. დ.), по установившемуся обычаю, помечают тифлисскую медь своими именами** (ხაზი ავტორებისაა – გ. დ., თ. დ.). С этой точки зрения можно рассматривать всю тифлисскую монету вплоть до водворения русского владычества. Хотя Ираклий II и Георигий XII бьют медь со своим полным именем, но никогда не помещают на ней своих титулов . . . » (Е. А. Пахомов. Вес и достоинство медной монеты Тифлисе XVII - XVIII вв., გვ. 94-95). ე. პახომოვის ეს მოსაზრება ჯერ კიდევ 1963 წ. გააკრიტიკა პროფ. ნ. ქოიავამ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა ჩვენთვის საინტერესო მონეტების ქართული და, ამავე დროს, სახელმწიფოებრივი ხასიათი სწორედ იმიტომ, რომ მათზე მოთავსებული იყო ქართველ მეფეთა და მმართველთა სახელები (ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის საქართველოში. თბ. 1963, გვ. 45). მოგვიანებით ნ. ქოიავას გადაჭრით დაუჭირა მხარი თ. ქუთელიამ. ის წერს: «По какому же праву можно считать тбилисскую медную монету XVIII в. иранской? Они чеканились от имени правителя или царя Картли и, естественно, зависели от династических смен. И, наконец, вопреки утверждению Е. А. Пахомова, один из правителей Картли начала XVIII века, чье имя стоит на монете – Бакар, в то время носил имя царья» (Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран, გვ. 63). თავისი აზრის დასამტკიცებლად, მას მოჰყავს ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვები (რომელიც, სხვათაშორის, ბაქარის ნახევარძმა იყო მამის ხაზით და ძალიან კარგად იცოდა, იყო თუ არა ბაქარი მეფე): „არამედ ვინაჲთგან ჰგონებდა მეფე ვახტანგ წარსვლასა ხორასანს, ამისთჳს ჰკადრა ყეენსა, **რათა მისცეს მეფობა ქართლისა ძესა თჳსსა ბაქარს. უსმინა და მოსცა და მოაქციეს რჯულსა მათსა** (ხაზი ჩვენია – გ. დ., თ. დ.), მხოლოდ სიტყჳთა და არა საქმითა“ (ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 496). რაც შეეხება ერეკლე II-ის და გიორგი XII-ის მიერ მოჭრილი მონეტების

ემისიას, რაც ე. პახომოვის შენიშვნით, თურმე ხორციელდებოდა « . . . не по праву царя», ეს სიტყვები კომენტარსაც არ იმსახურებს.

XVIII ს-ის პირველი ნახევრის ქართველ მეფე-მთავართა სახელით მოჭრილი მონეტების მნიშვნელობა მარტო იმით კი არ ამოიწურება, რომ ფიქსირდება ამ პერიოდში ქართული მონეტების ემისიის ფაქტი ქვეყნის ერთ-ერთი სამეფოს ფარგლებში. ჩვენი აზრით, მათი მნიშვნელობა გაცილებით დიდია. ის იძლევა გასაღებს იმის გასააზრებლად, თუ რომელი ქვეყნის ნუმიზმატიკური მემკვიდრეობაა საქართველოში ირანის შაჰების სახელით მოჭრილი ვერცხლისა და თბილისის ზარაფხანის სპილენძის ანონიმური მონეტები. გადამწყვეტი აქ რეგალიის საკითხია, რის საფუძველზედაც მარტივად წყდება, ერთი შეხედვით, რთული პრობლემა. როდესაც ქართველი მეფე-მთავრები საკუთარი სახელით ჭრიან მონეტებს, ბუნებრივია, რეგალიის რეალიზაცია მათი პრეროგატივაა, **რომელიც მათ უბოძეს, ან მოიპოვეს და, შესაბამისად, ეს მონეტები ქართული ნუმიზმატიკური ძეგლებია. ხოლო როდესაც საქართველოს ნებისმიერ ზარაფხანაში, ვინც არ უნდა აკონტროლებდეს მას, მონეტა იჭრება მხოლოდ და მხოლოდ ირანის შაჰის სახელით, ის სპარსეთის ნუმიზმატიკის კუთვნილებაა (სიქა და „ხუტბა“ სხვის მიერ არის დამტკიცებული)**.

თბილისში სეფიანთა დინასტიის დროს მოჭრილი უკანასკნელი სპილენძის მონეტა ჰიჯ. 1148 წ. (= 1735 - 1736 წწ.) თარიღდება (თუმცა მანამდე აღმოსავლეთ საქართველოში ადგილი ჰქონდა ოსმალების შემოსევას და თბილისის აღებას, რასაც ოსმალური მონეტების ემისია მოჰყვა თან. ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ). ვიძლევით ამ მონეტის აღწერილობას.

ნახევარბისთი (ორმაგი ფული). გ.ფ. № 975. წ. – 8.82 გრ. ზ. – 23/26 მმ.

შუბლი – ლომის გამოსახულება, რომელიც ცხოველს ესხმის თავს (დ. კაპანაძის აზრით – შველს).

ზურგი – სპარსული ზედწერილი: „ფულუსი იჭედა თბილისს 1148“ (= 1735 - 1736 წწ.). ზემოთ – ე. პახომოვის და დ. კაპანაძის მიხედვით, მოთავსებულია არაბული **აინის** მსგავსი ნიშანი (Е. А. Пахомов. Вес и достоинство медной монеты Тифлисе XVII - XVIII вв., გვ. 98; დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 151, № 208; Т. С. Кутелия, Грузия и сефевидский Иран, გვ. 64-65).

ე. პახომოვი ფიქრობდა, რომ ეს ნიშანი იყო ალი-ყული-ხანის (კახეთის მეფის დავით II-ის ვაჟის) სახელის აღმნიშვნელი ინიციალი, რომელიც 1736 წ. რამდენიმე თვით მართავდა ქართლს. თუმცა ე. პახომოვს აქვე შეჰქონდა ეჭვი თავის წაკითხვის სისწორეში და არ გამორიცხავდა, რომ ეს ნიშანი ჩვეულებრივი ორნამენტი იყო. დ. კაპანაძე თითქოს ე. პახომოვის პირველი ვარაუდის სასარგებლოდ იხრება. თ. ქუთელიას მიაჩნია, რომ ჩვენთვის საინტერესო დეტალის მსგავსება არაბულ აინთან შემთხვევით ხასიათს ატარებს და ის მხოლოდ ორნამენტია და სხვა არაფერი. გარდა ამისა, მისი აზრით, ალი-მირზას არ შეეძლო სამონეტო ემისიის განხორციელება თუნდაც იმიტომ, რომ ის ქართლის ნომინალური მმართველი იყო და აღმოსავლეთ საქართველოს სათავეში ირანის სარდალი სეფი-ხანი ედგა.

1723 - 1735 წწ. აღმოსავლეთ საქართველო ოსმალების მიერ იყო ოკუპირებული და თბილისშიც ოსმალები ისხდნენ. ამ პერიოდში თბილისის ზარაფხანა სულთნის სახელით ჭრის მონეტებს. მაგრამ ვიდრე მათ აღწერას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე პირველი ოსმალური მონეტა უფრო ადრე მოიჭრა ქალაქ არტანუჯში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ამ საკითხს მ. ანთაძე შეეხო, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა საქართველოს და ოსმალეთის ურთიერთობა ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით (იხ. მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV - XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით. თბ. 1982). ის წერს: „ . . . სამცხე-საათაბაგოში, პირველად საქართველოს ისტორიაში, იჭრება ოსმალური მონეტები. ესენია ახჩები და ალთუნები, მოჭრის ადგილია ქ. არტანუჯი“. და შემდეგ: „არტანუჯში მოჭრილი ოსმალური მონეტები უცნობი იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის. უკანასკნელ ხანებამდე უცნობი იყო ისინი ნუმიზმატიკურ ლიტერატურაშიც. პირველი ცნობები მათ შესახებ, რამდენადაც ვიცით, მოცემულია გერმანელი ნუმიზმატის ა. შადლინგერის წიგნში“ (მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა . . ., გვ. 64).

არტანუჯში მოჭრილი პირველი ახჩები სულთან სულეიმან I-ის ტახტზე ასვლის პირველი წლით, ჰიჯრის 926 წლით (= 1520 წ.) თარიღდება. მ. ანთაძე იქვე შენიშნავს, რომ „ეს მონეტა გერმანელი მეცნიერის გამოკვლევის ძირითად ნაწილში არ აისახა. ის დამატების სახით ავტორს ჩაუწერია საკუთარი ხელით, დაბეჭდვის შემდეგ ფანქრით“ (მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა . . ., გვ. 64, სქ. 106).

თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ არტანუჯში ხელახლა მოიჭრა ფულის ორი ნომინალი – ახჩა და ალთუნი, რომლებიც სელიმ II-ის ზეობის პირველი წლით, ჰიჯრის 974, ე.ი. 1566 - 1567 წწ. არის დათარიღებული (მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა . . ., გვ. 65). თუმცა, მ. ანთაძის მითითებული ნაშრომიდან მთლად ნათელი არ არის ამ მონეტების ადგილსამყოფელი და ისიც, ჰქონდა თუ არა გერმანელ მეცნიერს გამოქვეყნებული ამ მონეტების აღწერილობა, მეტროლოგიური მონაცემები და ფოტო-ილუსტრაცია.

2008 წ. ავტორი კვლავ მიუბრუნდა ამ საკითხს. ჟურნალ „ფიროსმანში“ მან ქართულ და თურქულ ენებზე გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „არტანუჯის ზარაფხანა“ (იხ. ჟურნ. „ფიროსმანი“. 2008 წ. გაზაფხული, № 4, გვ. 53-55). მ. ანთაძის ამ უაღრესად საინტერესო წერილში მოცემულია არტანუჯში მოჭრილი მონეტების, როგორც მეცნიერული აღწერილობა და ფოტო-რეპროდუქციები, ასევე XVI ს-ში საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიული ექსკურსი. ამ პუბლიკაციის მნიშვნელობა ქართული ნუმიზმატიკის ისტორიისათვის უაღრესად ფასეულია, **ვინაიდან დოკუმენტურად დასტურდება კიდევ ერთი ზარაფხანის ფუნქციონირების ფაქტი საქართველოს (თუნდაც ყოფილ) ტერიტორიაზე**. მონეტები, რომლებსაც ჩვენ ქვემოთ აღვწერთ, მ. ანთაძის სტატიის მიხედვით, მისსავე განცხადებით, დაცულია საქართველოს ელჩთან ეგვიპტეში გიორგი ჯანჯღავასთან.

არტანუჯი. სულეიმან I-ის (1520 - 1566 წწ.) ახჩა. ჰიჯ. 926 წ. (= 1520 წ.). მ. ანთაძე ამ მონეტის ემისიას აქცევს 1520 წლის 22 სექტემბერსა და 11 დეკემბერს შორის.

შუბლი – არაბული წარწერა: „სულთანი სულეიმანი, ძე სელიმ ხანისა“.

ზურგი – ასევე არაბულად: „იდიდოს მისმა ძლიერებამ, მოიჭრა არტანუჯში 926 წ.“

რითი ხსნის ავტორი ოსმალური მონეტის ემისიას არტანუჯში? ბატონიშვილი ვახუშტის თანახმად, 1520 წ. „მოვიდა სპა ხონთქრისა და მოადგა საათაბაგოს. არამედ ყუარყუარე ათაბაგმან განამაგრნა ციხე-სიმაგრენი საათაბაგოსანი და დახიზნა ხიზანნი. მაშინ ოსმალთა რა ვერღარა რაჲ ჰპოვეს სამცხეს, გარდავლეს სამცხეს და შთავიდნენ თრიალეთს და მერმე ქართლს“ (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსი. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 711). მერი ანთაძე ამასთან დაკავშირებით წერს: „ლაშქრობის წელი და არტანუჯში პირველი ახჩის ემისიის თარიღი ემთხვევა ერთმანეთს. დაგვრჩენია ვივარაუდოთ, რომ 1520 წ. შემოდგომაზე ოსმალებმა დროებით დაიკავეს ქ. არტანუჯი და მოჭრეს აქ **საოკუპაციო მონეტა,** მაგრამ ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ მონეტის ემისია დიდხანს არ გაგრძელებულა. ქართლში შემოსული ოსმალნი „მუნ მოსწყჳდნა დავით მეფემან და ლტოლვილთა გამოვლეს კუალად საათაბაგო“. ათაბაგს მათთვის ბრძოლა აღარ გაუმართავს, პირიქით, „მისცნა საზრდელნი და განუტევნა მშჳდობით“ (ვახუშტი. აღწერა . . . ქართლის ცხოვრება. ტ. IV, გვ. 712). ოსმალებმა, როგორც ჩანს, არტანუჯიც დაცალეს, რადგან მომდევნო წლებში საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე აქაური მონეტა აღარ ჩანს (მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა . . „ გვ. 65; მისივე. არტანუჯის ზარაფხანა, გვ. 55).

სამონეტო ემისია არტანუჯში თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ განახლდა. სულთან სელიმ II-ის (1566 - 1574 წწ.) ზეობის პირველი წლით, ჰიჯრ. 974 (1566 წ.), დათარიღებული ფულის ორი ნომინალი მოიჭრა არტანუჯში – ახჩა და ალთუნი. ოქროს მონეტას, მ. ანთაძის აღწერით, ასეთი სახე აქვს:

შუბლი – არაბული ზედწერილი: „გამარჯვებული მბრძანებელი, მფლობელი ხმელეთისა და ზღვის, იდიდოს მისმა ძლიერებამ“.

ზურგი – ასევე არაბულად: „სულთანი სელიმ ხანი, ძე სულეიმან ხანისა, იდიდოს მისმა ძლიერებამ, მოიჭრა არტანუჯში 974 წ.“

არტანუჯში სამონეტო საქმის განახლებას მ. ანთაძე უკავშირებს ოსმალეთის ექსპანსიის წარმატებას და ამასიის ზავს (1555 წ.), რომლის თანახმადაც, სამცხე-საათაბაგოდან ოსმალებს ერგო ტაო, შავშეთი და კლარჯეთი. ოსმალეთის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა ქ. არტანუჯიც „ . . . და სწორედ ამ პოლიტიკური აქტის გამომსახველია სულთან სელიმ II-ის სახელით მოჭრილი ზემოხსენებული მონეტები“ (მ. ანთაძე, საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა . . „ გვ. 65). მიტაცებული ტერიტორია აგრესორმა ვილაიეთებად დაყო. „არტანუჯი, რომელიც ამ დროისათვის ერთ-ერთ ძლიერ კულტურულ და ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა, მოყვა

ართვინის ვილაიეთში“ (მ. ანთაძე. არტანუჯის ზარაფხანა, გვ. 53). იჭრებოდა თუ არა მონეტები არტანუჯში შემდგომ პერიოდში, ფაქტობრივი მასალის მიხედვით, ჯერჯერობით, არ დასტურდება. და კიდევ ერთი, საქართველოს ელჩის, გიორგი ჯანჯღავას კუთვნილი ოქროს მონეტა, როგორც ჩანს, მეორე ცალია და არა ის, რომელიც გერმანელი ნუმიზმატის ა. შადლინგერის ნაშრომშია მოხსენებული.

დავუბრუნდეთ აღმოსავლეთ საქართველოს ოკუპაციას ოსმალთა მიერ 1723 - 1735 წწ-ში. ცხადია, მათ ხელში აღმოჩნდა თბილისის ზარაფხანაც და აქ განხორციელდა ოსმალური ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის მონეტების ემისია. ამ მონეტების აღწერილობა და შედარებით ვრცელი ინფორმაცია მათ შესახებ მოცემულია მ. ანთაძის ნაშრომებში (იხ. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა . . „ გვ. 122-127; თბილისში მოჭრილი იშვიათი ოსმალური ოქროს მონეტა. „ძეგლის მეგობარი“. № 23. თბ. 1970, გვ. 29-30), რომელთაც, ძირითადად, ჩვენ ვეყრდნობით. მასალის აღწერას ოქროს მონეტით (ალთუნით) ვიწყებთ. ის აღმოჩნდა 1941 წ. ქუთაისში, კათოლიკეთა ეკლესიის ეზოში, დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდში.

გ.ფ. № 5086. წ. – 3.47 გრ. ზ. – 19 მმ.

შუბლი – ცენტრში „თუღრა“ – სულთან აჰმედ III სახელის დაქარაგმება („თუღრა“ შემოღებული იყო სულთან მურად I დროს – 1359 - 1389 წწ. ის წერა-კითხვის უცოდინარი ყოფილა და როდესაც ხელი უნდა მოეწერა რაიმე ოფიციალურ საბუთზე, თითებს მელანში ისველებდა და გაშლილად ადებდა ქაღალდს. ამას ეძახდნენ თუღრას. სულთნის კალიგრაფებმა ეს თუღრა გაალამაზეს და გადააქციეს სახელმწიფო ბეჭდად. იხ. მ. ანთაძე. თბილისში მოჭრილი იშვიათი ოსმალური ოქროს მონეტა, გვ. 30, სქ. 2).

ზურგი – მოჭრის ადგილი და თარიღი სამ სტრიქონად (არაბულად): „მოიჭრა/თბილისში/1115 (= 1703/4 წწ.)“. ირგვლივ ორმაგი რკალი, წერტილოვანი და ხაზოვანი. თარიღი ინიციალურია და აღნიშნავს სულთან აჰმედ III-ის (1703 - 1730 წწ.) ტახტზე ასვლის წელს. როგორც წესი, თურქეთში ყველა მონეტა თარიღდებოდა სულთნის ტახტზე ასვლის წლით (სამონეტო ტიპისთვის იხ. ტაბ. VIII, № 45).

უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გარდა ალთუნისა, თბილისის ზარაფხანაში ამ დროს მოიჭრა ორმაგი ალთუნი – ე.წ. ალთუნ-აშრეფი, რომელიც ცნობილი იყო მხოლოდ ერთ ცალად და დაცული იყო კონსტანტინოპოლის მუზეუმში. 1965 წელს იდენტური მონეტა, ე. პახომოვის კოლექციის დანარჩენ მონეტებთან ერთად, გადაეცა აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს.

ქმფ. № 4975. წ. – 6.15 გრ.. ზ. – 30-32 მმ.

შუბლი – ცენტრში „თუღრა“, ქვემოთ მოჭრის ადგილი და თარიღი: „მოიჭრა/თბილისში/1115“.

ზურგი – სულთნის მედიდური ეპითეტი ოთხ სტრიქონად: „სულთანი ორი ხმელეთისა/და მპყრობელი ორი ზღვისა/სულთანი ძე/ სულთნისა“. ირგვლივ წერტილოვანი რკალი (მ. ანთაძე, საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა... გვ. 124-125; თბილისში მოჭრილი იშვიათი ოსმალური ოქროს მონეტა, გვ. 29-30).

თბილისის ზარაფხანა უშვებდა აგრეთვე ვერცხლის სხვადასხვა ნომინალს: ონლიყს, ბეშლიყსა და ნიმბეშლიყს, რომლებიც, შესაბამისად, სპარსული ყაიდის აბაზიანს, ორშაურიანსა და შაურიანს უდრის (დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 144).

ონლიყი. გ.ფ. № 2162. წ. – 5.52 გრ. ზ. – 19 მმ.

შუბლი – მონეტის ცენტრში „თუღრა“, მის ქვემოთ ზედწერილი სამ სტრიქონად: „მოიჭრა/თბილისში/1115“.

ზურგი – ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „სულთანი ორი ხმელეთისა/და ხაკანი ორი ზღვისა/სულთანი ძე/სულთნისა“. ირგვლივ ორმაგი რკალი, ხაზოვანი და წერტილოვანი (მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა . . ., გვ. 93, № 38) (სამონეტო ტიპისთვის იხ. ტაბ. VIII, № 46).

ონლიყი თბილისში იჭრებოდა მაჰმუდ I-ის (1730 - 1754 წწ.) დროსაც. ემისიის თარიღად მითითებულია ჰიჯრ. 1143 (= 1730 - 1731 წწ.) მისი აღწერილობა ასეთია:

ონლიყი. ქმძფ. № 4988. წ. – 5.30 გრ. ზ. – 26-27 მმ.

შუბლი – მაჰმუდ I-ის სახელის დაქარაგმება, ე.წ. „თუღრა“.

ზურგი – არაბულად: „მოიჭრა თბილისში 1143“. ირგვლივ გარშემოვლებულია რკალით (მ. ანთაძე, საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა . . . , გვ. 126, № 53).

თბილისში მოჭრილი ბეშლიყი ჰიჯრ. 1115 წლით თარიღდება და მისი გარეგნული სახე არ განსხვავდება ონლიყისაგან. ევ. პახომოვის მიერ აღწერილი ეგზემპლარის წონა შეადგენს 2.65 გრამს (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 229).

ოსმალური ვერცხლის ფულის მესამე ნომინალი, რომელიც თბილისში მოიჭრა არის ნიმბეშლიყი. როგორც მ. ანთაძე შენიშნავს, ის უაღრესად იშვიათი მონეტაა და ჯერჯერობით მხოლოდ ორ ცალად არის ცნობილი. მისი მოჭრის თარიღად მითითებულია ჰიჯრ. 1115 წ. გარეგნულად ისეთივეა, როგორც ამავე წლის ონლიყი, წონა შეადგენს 1.26 გრ-ს (მ. ანთაძე, საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა... გვ. 126).

ოსმალთა ბატონობის პერიოდში თბილისის ზარაფხანაში მოუჭრიათ სპილენძის მონეტაც, რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდშია დაცული და ჯერ დ. კაპანაძემ, ხოლო შემდეგ მ. ანთაძემ გამოაქვეყნეს.

ქმძფ. № 5020. სპილენძი. წ. – 7.65 გრ., ზ. – 15-22 მმ.

შუბლი – მონეტის ცენტრში „თუღრა“, ირგვლივ წერტილოვანი რკალი.

ზურგი – არაბული ზედწერილი სამ სტრიქონად: „მოიჭრა/თბილისს/1143 = 1730-1731 წწ. (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 144-145; მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა... გვ. 126, № 53).

აღმოსავლეთ საქართველოს ოკუპაცია ოსმალთა მიერ მხოლოდ 12 წელიწადს გაგრძელდა და, მიუხედავად ამისა, მათ თბილისის ზარაფხანაში მოასწრეს თავიანთი სამონეტო სისტემის რამდენიმე ნომინალის – ალთუნის, ალთუნ აშრეფის, ონლიყის, ბეშლიყის, ნიმბეშლიყის და სპილენძის მონეტების – ემისია. ლოგიკურად ისმის კითხვა: ვთქვათ, ოსმალთა ოკუპაცია აღმოსავლეთ საქართველოში 50 წლით და უფრო მეტ ხანს რომ გაგრძელებულიყო, თბილისის ზარაფხანა სტრუქტურულად

ისევე გადაკეთებულიყო, როგორც ეს ოტომანთა იმპერიის ცენტრალურ ზარაფხანებში იყო (და როგორც ეს ირანელთა ბატონობის დროს განხორციელდა – იხ. Т. С. Кутелия. Грузия и сефевидский Иран …, გვ. 32) და, რომ ოსმალთა ხელისუფლება არ ჩარეულიყო თბილისის ზარაფხანის ფუნქციონირებაში, დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ თავისი წილის მიღებით და ა.შ., ჩაითვლებოდა თუ არა ეს მონეტები „საკუთრივ“ ქართულ ნუმიზმატიკურ ძეგლებად? ძალიან საეჭვოა, რომ ასეთი დეფინიცია ვინმეს გაერისკა. მაშ რის საფუძველზე ცხადდება, ზოგიერთების მხრიდან, მეორე დამპყრობლის მიერ თბილისში მოჭრილი მონეტები „საკუთრივ ქართულად“?

ძირითადად ეს მოსაზრება ემყარება წერილობითი წყაროების ჩვენებებს. დ. კაპანაძე თავის ნაშრომებში ამ ინფორმაციას პუნქტობრივად ჩამოთვლის (იხ. დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 139-146; მისივე კომენტარები, რომელიც მან დაურთო ე. პახომოვის მონოგრაფიას: Монеты Грузии. Тб. 1970, გვ. 335-336). ჩვენ მათ ასევე პუნქტობრივად განვიხილავთ:

1. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც თექვსმეტი წლის განმავლობაში (1633 - 1649 წწ.) ცხოვრობდა სამეგრელოში, გვაუწყებს, რომ სამეგრელოს მთავარს ლევან II დადიანს (1611 - 1657 წწ.) სამთავროს ფარგლებში მოუჭრია **„ერანული ყაიდის ფული“** (დ. კაპანაძის ტერმინია). ეს ფაქტი, დ. კაპანაძის მოსაზრების თანახმად, „ . . . не оставляет сомнений в том, что правом чеканить монету пользовались даже отдельные феодалы“ (ლიტერატურა ზემოთ მივუთითეთ და აღარ გავმეორდებით). ვნახოთ რა წერია არქანჯელო ლამბერტის ცნობაში: „ . . . **წინათ კოლხიდაში ფული სრულად არ იყო ხმარებაში** (?! – გ. დ., თ. დ.) და საქონელს ერთმანეთში ცვლიდნენ. ხოლო როცა მთავარმა დაასახლა სომხები, რომელნიც ძლიერ მისდევდნენ ვაჭრობას, ამასთან ერთად ფულიც შემოვიდა ხმარებაში, მაგრამ მუდამ მაინც არ ხმარობდნენ მას, როგორც ჩვენ ვხმარობთ, რადგან საქონელს დღესაც ცვლიან ერთმანეთში . . . **სომხებმა შემოიტანეს ირანის ფული – აბაზები, რომლებზედაც ამოჭრილია მხოლოდ რამდენიმე არაბული ასო** . . . (?! – გ. დ., თ. დ.). როცა მთავარმა დაარსა ზარაფხანა**, ამ ზარაფხანაში ჭრიდნენ ირანულისავე ნიშნის ფულს, რომელსაც უფრო სომხებივე ხმარობდნენ, როცა ირანში მიდიოდნენ სავაჭროდ, ვიდრე მკვიდრნი, რომელნიც უფრო აფასებენ უცხო ფულს, მაგალითად, უნგრულს, ცეკკინოს და ესპანურ რეალებს“** (არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი. თბ. 1938, გვ. 156). ვიდრე იტალიელი მისიონერის ამ ცნობას დეტალურად განვიხილავდეთ, აქვე აღვნიშნავთ, რომ **ცეკკინო** ვენეციური ოქროს მონეტა – დუკატია (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV - XVIII საუკუნეებში, გვ. 31).

დავუბრუნდეთ არქანჯელო ლამბერტის ინფორმაციას. უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ მისი სიტყვები, თითქოს „ . . . წინათ კოლხიდაში ფული სრულად არ იყო ხმარებაში“ – არ შეესაბამება სინამდვილეს. თუ აქ მისი მოგზაურობის წინარე ხანის ვითარება იგულისხმება, მაშინ სამეგრელოს ტერიტორიაზე, დაწყებული ანტიკური პერიოდიდან და შემდეგი დროის, სამონეტო

განძები და ცალკეული აღმოჩენებია დაფიქსირებული, რაც ფულადი მეურნეობის ინტენსიურ განვითარებაზე მიუთითებს. ხოლო, თუ ის სამეგრელოში თავისი ცხოვრების პერიოდს გულისხმობს, აქაც წინააღმდეგობაში ვარდება, როდესაც წერს, რომ ისინი „ . . . უფრო აფასებენ უცხო ფულს, მაგალითად, უნგრულს, ცეკკინოს და ესპანურ რეალებს“. აქედან დასკვნა: ირანული აბაზიანების პარალელურად, თუ უფრო ადრე არა, სამეგრელოს ფარგლებში ევროპული მონეტებიც ცირკულირებდა.

შემდეგ, არქანჯელო ლამბერტი წერს: „სომხებმა შემოიტანეს ირანის ფული – აბაზები, რომლებზედაც ამოჭრილია მხოლოდ რამდენიმე არაბული ასო“. აქედან აშკარაა, რომ ის კარგად ვერ ერკვევა ირანულ აბაზიანებში, რადგან მათზე რამდენიმე არაბული ასო კი არა, არამედ შიიტური რწმენის სიმბოლოა ამოკვეთილი.

დაბოლოს, იტალიელი მისიონერის ცნობიდან გამომდინარე სავსებით ნათელია, რომ დადიანმა აბაზიანები სომეხი ვაჭრების ინტერესების გათვალისწინებით მოჭრა, როგორც ჩანს, მათივე შეკვეთით და მათივე დაფინანსებით, რათა ეს მონეტები ირანში გაეტანათ. ცნობილია, რომ ქართველები ირანული ფულის ემისიისათვის ევროპულ მონეტებს იყენებდნენ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 137). XVII ს-ის შუა ხანების ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან ბატისტ ტავერნიე აღნიშნავს, რომ „ტფილისის მეფე ფულსა ჭრის **სპარსეთის ხელმწიფის სახელით ევროპის სახელმწიფოთა ვერცხლის ფულებისგან** . . . ეს ფულები ევროპიდან მოაქვთ სომხებს და სამაგიეროდ, აქედან გააქვთ სხვადასხვა სავაჭროები“ (ტავერნიეს მოგზაურობიდან. თარგმანი ალ. ჭყონიასი. „მოამბე“. VI. 1898, გვ. 3). იგივე ხდებოდა ირანში, სადაც სავაჭრო გარიგებების დროს ევროპულ ტალერებს წონით ღებულობდნენ და შემდეგ კი ზარაფხანაში აგზავნიდნენ ადგილობრივი მონეტების დასამზადებლად (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV - XVIII საუკუნეებში, გვ. 101; თავის მხრივ, რ. ქებულაძე XVII ს-ის შუა ხანების დიპლომატისა და მოგზაურის ადამ ოლეარიუსის ინფორმაციას ეყრდნობა). **უნდა ვივარაუდოთ,** რომ ევროპული მონეტების გარკვეული ნაწილი სამეგრელოში სომეხმა ვაჭრებმა ჩამოიტანეს და აბაზიანების ემისიის სანაცვლოდ სამთავროს ახლად და სპეციალურად მათთვის დაარსებულ ზარაფხანას ჩააბარეს. კონტექსტიდან აშკარაა, რომ დადიანმა საკუთარი სახელით კი არ განახორციელა სამონეტო რეგალია, არამედ მოჭრა **ირანული აბაზიანები გარკვეული მიზნით**. ეს ჩანს, იყო ერთჯერადი ღონისძიება. საუბარი იმის შესახებ, თითქოს ქართველი ფეოდალების ცალკეული წარმომადგენლები ფლობდნენ სამონეტო ემისიის ლეგალურ უფლებას, არქანჯელო ლამბერტის ცნობაზე დაყრდნობით, დამაჯერებელი არ არის. მითუმეტეს არ უნდა მოველოდეთ ოდესმე სამეგრელოს ფარგლებში მოჭრილი ირანული აბაზიანების აღმოჩენას (შდრ. რ. ქებულაძე, ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV - XVIII საუკუნეებში, გვ. 32). თეათინელი ბერი ხომ არ საუბრობს იმის შესახებ, რომ დადიანის მიერ მოჭრილ მონეტებს რაიმე განასხვავებდა ირანულ აბაზიანებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში სომეხი ვაჭრები ირანში მათ არც გაიტანდნენ.

2. დ. კაპანაძეს მოჰყავს ერთ-ერთი „უტყუარი საბუთი“ (მისი სიტყვებია) იმის შესახებ, რომ ვახტანგ V შაჰნავაზს (1658 - 1676 წწ.) საკუთარი ფული მოუჭრია. ის

წერს: „დაახლოებით 1678 წელს **ბატონიშვილი თეიმურაზი** (?! – გ. დ., თ. დ.) სწერდა რუსეთის მეფე **თევდორე ალექსის ძეს** (1676 - 1682 წწ.), რომ სულეიმან შაჰი ომით ემუქრებოდა ვახტანგ V-ს მრავალი მიზეზის გამო და, **კერძოდ, საკუთარი ფულის მოჭრის უფლების მითვისებისათვის**“ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 139; ის ეყრდნობა მ. ბროსეს პუბლიკაციას: Переписка грузинских царей с российскими государями. СПб. 1861, გვ. 99). უფრო ადრე, 1955 წ. მოსკოვში გამოცემულ Грузинская нумизматика-ში, ავტორი ასევე აღნიშნავდა: «приблизительно в 1678 г. грузинский **царевич Теймураз** (?! – გ. დ., თ. დ.) писал русскому царю **Федору Алексеевичу**: «великий шах (речь идет об иранском владыке Сулеймане – Д. К.) пришел в Казбин, чтобы отправиться в Грузию по многим причинам и непостоянству Шах Наваз хана, **который вычеканил собственную монету»** (Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика, გვ. 158). შემდეგ დ. კაპანაძე აგრძელებს: «Н. А. Бердзенишвили справедливо заметил, что если бы монета, выпущенная Вахтангом V Шахнавазом, соответствовала установленному в то время общеиранскому образцу, он не навлек бы на себя немилости шаха. Очевидно, монета, о которой идет речь в письме царевича Теймураза, носила явно выраженные грузинские национальные черты» (Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика, გვ. 158).

ვნახოთ, რამდენად „უტყუარია“ ეს ცნობა? ჯერ ერთი, სად, რომელ ნაშრომში თქვა აკად. ნ. ბერძენიშვილმა დ. კაპანაძის მიერ ზემოთ მოყვანილი სიტყვები? როდესაც ისეთ ავტორიტეტს ვეყრდნობით, როგორიც ნ. ბერძენიშვილი იყო, აუცილებელია სათანადო წყაროზე მითითება და, მეორეც, საიდან მოიტანა ავტორმა, რომ ბატონიშვილმა თეიმურაზმა 1678 წ. წერილი მისწერა რუსეთის მეფეს თევდორე ალექსის ძეს? რომელი თეიმურაზია ეს – თეიმურაზ I (1606 - 1648 წწ.), თუ თეიმურაზ II (1732 - 1744 წწ., 1745 - 1762 წწ.)? ეს ხომ აშკარა ანაქრონიზმია. მ. ბროსეს მიერ გამოცემულ საბუთს აქვს მინაწერი: «письмо къ царю Феодору Алексъеевичу изъ Персіи, отъ грузинскаго царевича Николая . . .» (ხაზი ჩვენია – გ. დ., თ. დ.). რა შუაშია აქ თეიმურაზ ბატონიშვილი? ისეთი დონის ისტორიკოსს, როგორიც ნ. ბერძენიშვილი იყო, არ შეიძლებოდა ეს შეუმჩნეველი დარჩენოდა, მას რომ რაიმე შეხება ჰქონოდა აღნიშნულ საკითხთან. ან რატომ აურია ერთმანეთში თვით დ. კაპანაძემ თეიმურაზ ბატონიშვილი და ნიკოლოზი (იგივე ერეკლე I)? გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ის პირადად არ გაცნობია მ. ბროსეს პუბლიკაციას და საიდანღაც გადმოწერა ზემოთ მოტანილი ფრაგმენტი. გარდა ამისა, ბატონიშვილი ნიკოლოზი უტყუარ ფაქტს კი არ გადმოცემს, არამედ წერს: „ . . . **слышалъ** (ხაზი ჩვენია – გ. დ., თ. დ.), что великій шахъ пришелъ въ Казбинь, чтобы отправиться въ Гурцію (Грузію) по многим причинамъ и непостоянству Шах-Навас-Хана, который вычеканил собственную монету». ამრიგად, ბატონიშვილ ნიკოლოზს გაგონილი ჰქონდა იმის შესახებ, რომ ვახტანგ V შაჰნავაზმა საკუთარი სახელით მოჭრა მონეტა. ამიტომ არ შეიძლება არ დაეთანხმო თ. ქუთელიას, რომელიც ამასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ ეს არის „ყურმოკრული ცნობა“, რომლის თანახმადაც, „თითქოს ქართლის მეფემ ვახტანგ V შაჰნავაზმა გაბედა საკუთარი მონეტის მოჭრა“ (თ. ქუთელია. თბილისის ზარაფხანა . . ., გვ. 90).

გარდა ამისა, ისიც საკითხავია, რატომ არ ჩანს დღემდე ვახტანგ V-ის მიერ მოჭრილი „საკუთარი მონეტა“?

3. დ. კაპანაძის სიტყვებით, «армянский историк Захарий Акулисский свидетельствует, что правитель Тбилиси Ростомхан (т.е. царь Ростом) в середине XVII века передает тбилисский монетный двор на откуп некоему ходжа Бебуту» (Дневник Захария Акулисского. Ереван. 1939, გვ. 39). ჯერ ერთი, როსტომ ხანი (1632 - 1658 წწ.) შაჰის კრეატურა იყო და არაფერია იმაში გასაკვირი, რომ თბილისის ზარაფხანა მის ხელში ყოფილიყო და მეორეც: არ შეეფერება სინამდვილეს, თითქოს როსტომმა ხოჯა ბებუთას მისცა იჯარით თბილისის ზარაფხანა. რეალურად ხოჯა ბებუთა ნახსენებია როგორც **ზარაფი** (ე.ი. როგორც ფულის დამხურდავებელი) (Дневник Захария Акулисского, გვ. 39; თ. ქუთელია. თბილისის ზარაფხანა, გვ. 93, სქ. 22).

დაბოლოს, ჩვენთვის სრულებით გაუგებარია, რისი დამტკიცება სურს ავტორს ამ ცნობაზე დაყრდნობით? თბილისის ზარაფხანა იმ პერიოდში, რომ როსტომის ხელში იყო, განა ვინმე დაობს ამის შესახებ. მაშ რა საჭიროა ღია კარის მტვრევა?! მთავარი სხვაა: ვისი სახელით ჭრის მონეტებს როსტომ ხანი?

4. დ. კაპანაძე განაგრძობს: „ქართლ-კახეთის XVIII საუკუნის ქრონიკებიდან“ ვგებულობთ, რომ „თეიმურაზ მეფე მივიდა იბრეიმ ყაენთან (1748 - 1749 წწ.) და მორჩილება განუცხადა. ეამა დიდად ყაენს თეიმურაზის მისვლა, უბოძა ურიცხვი ოქრო და ვერცხლი, ყოველივე შესაფერისი საქონელი, დაუმტკიცა ყაზახ-ბორჩალო და დაითხოვა – „წადი შენს ქვეყანას მოეპატრონეო““ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 140). ავტორს ეს ცნობა აღებული აქვს პაპუნა ორბელიანისაგან, რომელიც გვაუწყებს: „ . . . ამ შაჰ-სულთან იბრეიმს ასეთი რაყამი მოეცა მეფის თეიმურაზისათვის, რომ როგორც საქართველო, ეგრე ყაზახ-ბორჩალო იმსახურეო“ (პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა. თბ. 1981, გვ. 156). შემდეგ პაპუნა ორბელიანი წერს: „გამოეგზავნა შაჰ-სულთან იბრეიმს **თავის სახელზე ზარაფხანა ქალაქში და დაჰკრეს სიქა და ბრძანებისაებრ მისისა** მოსჭრეს სამაბაზიანი და შაური, ფლური ოცდაათის შაურის (პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, გვ. 154). ქართველი ისტორიკოსის ეს ცნობა გამოყენებული აქვს დ. კაპანაძეს, მაგრამ სრულიად უადგილოდ. მოტანილი ფრაგმენტი სწორედ ავტორის თვალსაზრისის წინააღმდეგ არის მიმართული, რადგან იქ ხაზგასმულია, რომ შაჰმა ქალაქში **თავის სახელზე ზარაფხანა გამოგზავნა** (ამ კონტექსტში, ცხადია, ზარაფხანის ტექნიკური აღჭურვილობა კი არ იგულისხმება, არამედ შაჰის მიერ დამტკიცებული სამონეტო ტიპის სტანდარტი, სიქა) და მონეტების ემისიაც მისი ბრძანების თანახმად განხორციელდა.

5. არის პაპუნა ორბელიანის კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელსაც დ. კაპანაძე ეყრდნობა: თეიმურაზმა და ერეკლემ შეჭირვების ჟამს „გამოიტანეს . . . თვისსა სალაროთი ოქროსა და ვერცხლის იარაღი, **მისცეს ზარაფხანაში, მოაჭრევინეს ფლური და თეთრი და აძლევდნენ ჯარსა**“ (პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი,

გვ. 196). აქედან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ თბილისში ფუნქციონირებდა ზარაფხანა (რასაც არავინ ხდის სადავოდ) და აქ ქართველმა მეფეებმა თითქმის ფორსმაჟორულ სიტუაციაში მოაჭრევინეს ოქროს და ვერცხლის მონეტები. ეს მძიმე ვითარება შეიქმნა იმის გამო, რომ შაქი-შარვანის ხანმა აჯი-ჩალაბმა განჯასთან 1752 წ. მარტში დაამარცხა ერეკლეს და თეიმურაზის ჯარი და შემდეგ მუსლიმური კოალიციის ლაშქრით ქართლ-კახეთის საზღვარი გადმოლახა. მდგომარეობა თითქმის გამოუვალი იყო, მაგრამ მამა-შვილმა ენერგიული ღონისძიებები გაატარეს და ქვეყანას თავიდან ააცილეს საფრთხე. ერთ-ერთი მათგანი სწორედ ოქროს და ვერცხლის მონეტების ემისია იყო, რამაც მათ საშუალება მისცა დაექირავებიათ ჩრდილოეთ კავკასიელი მეომრები. მაგრამ ვისი სახელით განხორციელდა ეს ღონისძიება? გამომდინარე პოლიტიკური ვითარებიდან, არაფერი იქნება გასაოცარი და მოულოდნელი იმ ფაქტში, რომ მეფეებმა ეს თავიანთი სახელით გააკეთეს, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა ჩვენ მაინც საეჭვოდ მიგვაჩნია შემდეგი მოსაზრების გამო: 1. დღემდე არ ჩანს თეიმურაზის და ერეკლეს სახელით მოჭრილი ვერცხლის ფული. მართალია, არის თბილისში მოჭრილი რამდენიმე ვერცხლის მონეტა – ე.წ. სირმა-ვერცხლი, ან სირმა-აბაზიანი, რომლებზედაც თითქოს მოცემულია თარიღი ჰიჯრის 1166 წ. (1752 - 1753 წწ.), მაგრამ მათი პირველი ნომინალები მაინც ჰიჯრის 1181 წ. (1767 - 1768 წწ.) თარიღდება (რ. ქებულაძე. სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში. სსსრმამ. ტ. 53. № 3. 1969. № 3, გვ. 757). მიუხედავად იმისა, რომ ამ სამონეტო ჯგუფის ადგილობრივ წარმოშობას არავინ ხდის სადავოდ, მათზე ქართველი მეფეების სახელები ამოკვეთილი არ არის; 2. მართალია, ჩვენამდე მოაღწია ერეკლე II-ის სახელით XVIII ს-ის მიწურულს მოჭრილმა ორმა ოქროს მონეტამ, მაგრამ მათი ორიგინალობა გარკვეულ სკეპტიციზმს იწვევს (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 155; გ. დუნდუა, ირ. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, გვ. 64). დაბოლოს, თუნდაც საკუთარი სახელით განეხორციელებინათ ქართველ მეფეებს ვერცხლისა და ფლურის ემისია, განა ეს გადაჭრიდა საკითხს იმის შესახებ, არის თუ არა შაჰ-აბას I სახელით თბილისში მოჭრილი აბაზიანები „საკუთრივ ქართული“?!

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აგრეთვე თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ეს ფული ჩრდილოეთ კავკასიელი მოქირავნეებისთვის იყო განკუთვნილი, მაშინ უფრო სარწმუნო იქნება ვიფიქროთ, რომ ეს იყო იმ დროისათვის ფართოდ გავრცელებული ვალუტა (რომელსაც შეჩვეული იყვნენ კავკასიელი მოქირავნეები), ასეთად კი ირანული მონეტები მოჩანს (თუმცა იმასაც არ გამოვრიცხავთ, რომ ეს სირმა-აბაზიანები იყო).

6. კიდევ ერთი ცნობა, რომელსაც დ. კაპანაძე ეყრდნობა თავისი თვალსაზრისის შესამაგრებლად, ეს არის კაპიტან ნ. იაზიკოვის სიტყვები: «**Денги грузины имеют свои, только выше монеты нет как в 30 копеек серебром и называется абаз**». ავტორისავე განცხადებით, იაზიკოვის ეს ცნობა 1770 წ. თარიღდება (დ. კაპანაძე. ქართული

ნუმიზმატიკა, გვ. 141, 143; მისივე კომენტარები, რომელიც მან დაურთო ე. პახომოვის მონოგრაფიას «Монеты Грузии», გვ. 336).

კაპიტანი ნ. იაზიკოვი სპეციალურად მიავლინა რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოში იმ გაუგებრობათა გამოსარკვევად, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში მოქმედ რუსთა სამხედრო ექსპედიციის სარდალ გენერალ ტოტლებენს და ქართველ მეფეთა შორის (საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 656). ის კარგად გაეცნო ქვეყნის ვითარებას და სათანადო ინფორმაციას მოახსენებდა ზემდგომ ინსტანციას. ასე რომ, მისი სიტყვების ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანა უსაფუძვლოა. მაგრამ, რა შუაშია აქ თბილისში სეფიანთა ირანის შაჰების სახელით მოჭრილი მონეტების წარმომავლობა?! კაპიტან ნ. იაზიკოვის სიტყვებში, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, იგულისხმება ამავე ზარაფხანაში გამოშვებული ე.წ. სირმა-ვერცხლი, სირმა-აბაზიანები, ან „ბაგრატიონთა ვერცხლი“, რომელთა ემისია სისტემატურად ხორციელდებოდა ჰიჯრ. 1181 წ-დან (1767 - 1768 წწ.). ეს სულ სხვა სამონეტო ჯგუფია და ფორმალური ნიშნების გარდა, არავითარი საერთო არა აქვს ირანულ ნუმიზმატიკასთან (მათ ჩვენ სპეციალურად ქვემოთ განვიხილავთ).

ამრიგად, წერილობითი წყაროების ყველა ჩვენება, რომლებიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ, არანაირად არ უჭერს მხარს დ. კაპანაძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თბილისში ირანის შაჰების სახელით მოჭრილი მონეტები „საკუთრივ ქართული“ ნუმიზმატიკური ძეგლებია.

დასასრულს, უნდა შევეხოთ ვახტანგ VI-ის (1703 - 1714, 1716 - 1724 წწ.) საკანონმდებლო ძეგლებს და, უპირველეს ყოვლისა, „დასტურლამალს“, რომელიც შედგენილია 1707 - 1709 წწ. „დასტურლამალი“ შეიცავს სპეციალურ მუხლს (კარი 19, მუხლი 69, ზარაფხანის რიგი), სადაც დაწვრილებით არის გადმოცემული თბილისის ზარაფხანის ყველა მოხელის უფლება-მოვალეობანი და ზარაფხანის შემოსავლის განაწილების წესი (ქართული სამართლის ძეგლები. 1. ხელმწიფის კარის გარიგება, 2. დასტურლამალი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ. თბ. 1970, გვ. 533-535). ივ. ჯავახიშვილი ამ ძეგლთან დაკავშირებით წერდა: „საკმარისია დასტურლამალისავე ერთი თავი, რომელსაც სათაურად აქვს „ზარაფხანის რიგისათვის“, გადაიკითხოს ადამიანმა, რომ დარწმუნდეს, **რამდენად ძლიერი, წამლეკავი ყოფილა სპარსეთის გავლენა ზარაფხანაში. ყველა თანამდებობის და ტეხნიკური ტერმინები სპარსულია**“ (ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 45). ცნობილი ირანისტი ვ. გაბაშვილი აღნიშნავდა: „„დასტურლამალის“ „ზარაფხანის რიგის“ მთელი ტერმინოლოგია ირანულია და თბილისის ზარაფხანაც საკუთრივ ირანის ქალაქების ზარაფხანების სრული ანალოგი იყო“ (ვ. გაბაშვილი. სპარსული დასტურლამალი. თსუ შრომები. XXX. თბ. 1949, გვ. 213). ვ. გაბაშვილის აზრით, ვითარება შეიცვალა მხოლოდ ვახტანგ VI-ის დროს. ეს არც არის გასაკვირი. ვახტანგ VI-ის ჯანიშინობისა და მეფობის ხანა ქართლის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გააქტიურების პერიოდია. სინქრონულად სეფიანთა ირანი ღრმა კრიზისს განიცდის. შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ ქართლის მმართველები

და მეფეები სწორედ ამ პერიოდში ახორციელებენ სპილენძის მონეტების ემისიას საკუთარი სახელით.

თ. ქუთელია, ცხადია, არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ „დასტურლამალის“ „ზარაფხანის რიგის“ მთელი ტერმინოლოგია და თბილისის ზარაფხანის მთელი სტრუქტურა ირანულია (Т. С. Кутелия. Грузия и сефевидский Иран, გვ. 31), მაგრამ არ ეთანხმება ვ. გაბაშვილის იმ მოსაზრებას, რომ სიტუაცია მხოლოდ ვახტანგ VI-ის ეპოქაში შეიცვალა. მისი სიტყვებით, „ . . . თბილისის ზარაფხანა თავიდანვე **ქართლის მეფის განკარგულებაში იყო, ხოლო ვახტანგ VI დროს მხოლოდ აისახა არსებული ვითარება კანონმდებლობაში**“ (თ. ქუთელია. თბილისის ზარაფხანა . . „ გვ. 95, სქ. 32). მაგრამ განა ეს საკმარისია იმის სამტკიცებლად, თითქოს, თუნდაც ვახტანგის დროს, თბილისში მოჭრილი აბაზიანები, რომ არაფერი ვთქვათ უფრო ადრეულ მასალაზე, „საკუთრივ ქართული“ მონეტებია, როგორც ეს დ. კაპანაძეს მიაჩნდა? რა თქმა უნდა, არა. ისიც საკითხავია, სამონეტო რეგალიის დადგენასთან დაკავშირებით, რა მნიშვნელობა აქვს, ვის განკარგულებაშია სამონეტო კარი, როგორ ნაწილდება ზარაფხანის შემოსავალი, რა რაოდენობის იყო შაჰებისათვის განკუთვნილი „ფეშქაში“ და ა.შ. გადამწყვეტი აქ ის არის, ვინ ამტკიცებს „ხუტბას“ და სიქას, ვისი სახელით ხორციელდება სამონეტო ემისია. ესენი კი ირანის მბრძანებლები – ირანის შაჰებია. შესაბამისად, თბილისში ირანის შაჰების სახელით მოჭრილი მონეტები ირანის ნუმიზმატიკის განუყოფელი ნაწილია.

დავუბრუნდეთ მონეტების აღწერილობას.

ქართველი ხალხის წინააღმდეგობის და ქართველი მეფეების მოქნილი პოლიტიკის წყალობით, ნადირ-შაჰი იძულებული გახდა თეიმურაზ II 1744 წ. ქართლის, ხოლო ერეკლე II კახეთის მეფედ დაენიშნა. 1745 წლის 1 ოქტომბერს სვეტიცხოვლის ტაძარში თეიმურაზ II, ძველი ქართული წესით, ქართლის მეფედ ეკურთხა. კახეთს ერეკლე მართავდა. ეს ისტორიული ფაქტი აისახა ნუმიზმატიკურ ძეგლებზე. თეიმურაზ II-ის სახელით მოჭრილი სპილენძის იშვიათი მონეტის აღწერილობა ასეთია:

სპილენძი. ნახევარბისთი. წ. – 8-9 გრ. ზ. – 20-22 მმ.

შუბლი – მარცხნივ მიმართული ლომის გამოსახულება. გარშემო თეიმურაზ II-ის სახელის დაქარაგმება მხედრული შრიფტით: „თმრზ“.

ზურგი – სპარსული წარწერა: „იჭედა ფულუსი თბილისს 1162“ (1748 წ. დეკემბერი - 1749 წ. დეკემბერი) (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 151, №№ 209-209ᵃ, ტაბ. XVI; Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 256-257; გ. დუნდუა, ირ. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, გვ. 82-83) (ტაბ. VIII, № 47). თეიმურაზ II-ის სახელით იჭრებოდა აგრეთვე უფრო მცირე ნომინალი – ფული.

თეიმურაზ II და ერეკლე II ერთობლივადაც ახორციელებდნენ სამონეტო ემისიას, თუმცა, ფორმალურად, ქართლის და კახეთის სამეფოები ერთიანი არ იყო. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ de facto ეს ორი სამეფო უკვე ინტეგრირებულია. ამ მონეტებს ასეთი სახე აქვთ:

სპილენძი. ნახევარბისთი. საშუალო წონა – 8-9 გრ. ზომა – 21-25 მმ.

შუბლი – სამსტრიქონიანი სპარსული წარწერა: „მონა ღვთისა, 1166, ან 1168, ან 1169 (1752 - 1756 წწ.), იჭედა თბილისს“. თარიღის მარცხნივ და მარჯვნივ ქართულად, მხედრული შრიფტით: „თე“ და „ერ“ – თეიმურაზი და ერეკლე.

ზურგი – მარჯვნივ მიმართული შევარდენი, რომელიც წეროს კორტნის (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 151, № 210, ტაბ. XVI; Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 258-259; გ. დუნდუა, ირ. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, გვ. 82-83) (ტაბ. VIII, № 48).

1760 წ. აპრილში მეფე თეიმურაზ II მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთისაკენ გაემგზავრა. მეფე მამა-შვილის თათბირზე გადაწყდა, რომ თეიმურაზ II პეტერბურგს გარკვეულ სათხოვარს და გაბედულ გეგმას წარუდგენდა. საქართველოს ჯარის რეორგანიზაციისათვის, ან დასაქირავებლად ფული უნდა მიეღოთ სესხად. ამ გზით ქართლ-კახეთში ლეკიანობას ალაგმავდნენ, აგრეთვე საგანგებო ლაშქრით ირანში შევიდოდნენ, იქ სპარსელი დიდებულების ყრილობას მოიწვევდნენ და ირანის შაჰად რუსეთისათვის სასურველ პირს აარჩევინებდნენ. რუსეთი სათანადო ინტერესით ვერ შეხვდა ამ წინადადებას (ნ. ასათიანი საქართველოს ისტორია. თბ. 1999, გვ. 342), რასაც სხვადასხვა საგარეო პოლიტიკური მიზეზები აპირობებდა.

1762 წ. 8 იანვარს თეიმურაზ II პეტერბურგში გარდაიცვალა. ამალის წევრებმა მეფე წამოასვენეს და დაკრძალეს ასტრახანს, მიძინების ტაძარში. ამ ცნობის მიღებისთანავე, ერეკლე II-მ თავი ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეფედ გამოაცხადა. ირანის იმდროინდელ მბრძანებელს ქერიმ-ხანს მან თავისი ძვირფასი ტყვე, ირანის ტახტზე ქერიმ-ხანის მეტოქე აზატ-ხანი მხარშეკრული გაუგზავნა. მადლიერმა ქერიმ-ხანმა სცნო ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება, აღიარა ერეკლეს უფლება განჯა-ერევნის სახანოებზე და ამით დაადასტურა საქართველოს უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში (ნ. ასათიანი. საქართველოს ისტორია, გვ. 343).

ერეკლე II-ის (1744 - 1762 წწ. კახეთის მეფე, 1762 - 1798 წწ. ქართლ-კახეთის მეფე) მონეტების რეპერტუარი ასე გამოიყურება: ყველაზე ადრეულია 1765/1766 წწ. დათარიღებული, ერთტიპური სპილენძის შაურიანი, ბისთიანი და ნახევარბისთიანი.

1. შაურიანი. წონა 44.9 გრ. ზომა – 38/40 მმ. შესაბამისად მცირდება ბისთის და ნახევარბისთიანის მეტროლოგიური მონაცემები.

შუბლი – რთულ ჩარჩოში მოთავსებული ბაგრატიონთა საგვარეულო ღერბი: გვირგვინი, სასწორი, სფერო, სკიპტრა და მახვილი.

ზურგი – სხვადასხვა მოყვანილობის ჩარჩოში მოთავსებული მეფე ერეკლეს სახელი ასომთავრული შრიფტით: ᒥᓱᓴᒣ – „ერეკლე“, ქვემოთ სპარსულად – „იჭედა ტფილისს, 1179 (= 1765/66 წწ.) (ტაბ. IX, № 49).

დღესდღეობით შაურიანი ცნობილია მხოლოდ ორ ცალად. ერთი დაცულია სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟში, მეორე – მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში, ხოლო

ბისთიანი საქართველოს ეროვნული მუზეუმის უნიკუმია. ამავე ტიპის ნახევარბისთიანი შედარებით მრავალრიცხოვანია.

2. ნახევარბისთიანი. წ. – 11-12.5 გრ. ზ. – 23-28 მმ.

შუბლი – მეფე ერეკლე სახელი გადმოცემულია ასომთავრულით: ⵎⴻⵔⴔⵍⵔ – „ერეკლე“. ქვემოთ სპარსულად: „იჭედა თბილისს 1190 (= 1776 - 1777 წწ.).

ზურგი – თევზის გამოსახულება (ტაბ. IX, № 50).

ამავე თარიღით იჭრებოდა აგრეთვე იმავე ტიპის ფულიც.

ზემოთ მოხსენიებულ მონეტებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სრულებით გაუგებარია, რას უკავშირდება რევერსზე მოთავსებული თევზის გამოსახულება.

ყველაზე მრავალრიცხოვანია ქვემოთ აღწერილი სამონეტო ტიპი, ცნობილი მრავალი ვარიანტით

3. შუბლი – ასომთავრული შრიფტით გადმოცემულია ერეკლეს სახელი: ⵎⴻⵔⴔⵍⵔ – „ერეკლე“. ქვემოთ სპარსულად: „იჭედა ტფილისს“ და სხვადასხვა თარიღი ჰიჯრით.

ზურგი – ორთავიანი არწივის გამოსახულება. მის ქვემოთ სხვადასხვა ევროპული თარიღი, მაგ„ 1781, 1787, 1789 და სხვ. (ტაბ. IX, № 51).

აქ აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: რუსეთ-საქართველოს მფარველობითი ტრაქტატი 1783 წ. დაიდო. ასეთ ვითარებაში გაუგებარია, რატომ გაჩნდა 1781 წ. დათარიღებულ ერეკლეს მონეტებზე ორთავიანი არწივის გამოსახულება. ამასთან დაკავშირებით, დ. კაპანაძე აღნიშნავდა: „დავუშვათ, რომ ამ შემთხვევაში ქართველმა ხელოსანმა შეცდომა დაუშვა და ციფრები 1 და 7 (? – გ. დ., თ. დ.) ერთმანეთში არია, მაგრამ რით ავხსნათ, რომ რუსეთში გამოშვებული საცდელი ცალი (იხ. № 226, რომელზედაც ქვემოთ იქნება საუბარი) ასეთსავე თარიღს ატარებს?“ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 152). უმჯობესია აქვე მოვიყვანოთ დ. კაპანაძის მოსაზრება ამ მონეტასთან დაკავშირებით. ის წერს: „ცნობილია აგრეთვე სპილენძის მონეტის 1781 წლით დათარიღებული ერთი საინტერესო ვარიანტი ორთავიანი არწივის გამოსახულებითა **და დამახინჯებული ქართული და სპარსული წარწერებით; მეფე ერეკლეს დანარჩენ მონეტებისაგან ეს ვარიანტი განსხვავდება შესრულების მაღალი ტექნიკით და, როგორც ფიქრობენ** (თუ ვინ ფიქრობს ამას ქვემოთ მოგახსენებთ – გ. დ., თ. დ.) **მოჭრილი უნდა იყოს ეკატერინებურგის ზარაფხანაში**. ერეკლეს მონეტათა გადათვალიერებულ მრავალ ასეული ცალიდან ეს ვარიანტი ჩვენ მხოლოდ ხუთიოდე ცალად შეგვხვდა, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთები მიმოქცევისათვის კი არა, არამედ საცდელად ყოფილა მოჭრილი“ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 153).

ავტორი მოსკოვში 1955 წ. გამოცემულ თავის წიგნში ასევე კონკრეტულად არ უთითებს, თუ ვინ ფიქრობს, რომ ერეკლე II-ის მონეტის ზემოთ აღწერილი ვარიანტი ეკატერინებურგის ზარაფხანაშია მოჭრილი. ის აქაც ზოგადი ფრაზით აღნიშნავს, რომ ეს მონეტები « . . . **как полагают, были изготовлены на Екатеринбургском монетном дворе**» (Д. Г. Капанадзе. Грузинская Нумизматика. М. 1955, გვ. 126). აქედან არ ჩანს, ვინ არის ამ უაღრესად საინტერესო მოსაზრების ავტორი. ეს, ბოლოსდაბოლოს,

დადგინდა იმ კომენტარებში, რომელიც ავტორმა დაურთო ე. პახომოვის მონოგრაფიას „Монеты Грузии“, სადაც ავტორი წერს: «**Предпологается,** что эти монеты были изготовдены на Екатеринбургском монетном дворе в качестве пробных» (იხ. Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 345-346) და აქ ის თავის «Грузинская Нумизматика»-ს უთითებს, იმ გვერდს, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ. ამრიგად, ჩვენ უკვე ვიცით, ვის ეკუთვნის ეს ჰიპოთეზა.

დ. კაპანაძის ეს ვარაუდი უაღრესად საინტერესო იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ 1781 წ. დათარიღებული მონეტის ემისია მართლაც ეკატერინებურგის ზარაფხანაში განხორციელებულიყო. მაგრამ ვინ და რა გზით დაამტკიცებს ამას? ხოლო თუ კი ეს ოდესმე მაინც მოხერხდა, ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ საიმპერატორო ხელისუფლება წინასწარ ადგენდა ქართული მონეტების დიზაინის პროექტს, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან მიერთების პერსპექტივის გათვალისწინებით.

4. დ. კაპანაძე აქვეყნებს ე. პახომოვის კოლექციიდან მომდინარე ერთ უნიკალურ ნახევარბისთიანს, რომელიც ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმის კუთვნილებაა.

ქმძფ. № 5330, წ. – 11.4 გრ.

შუბლი – ერეკლეს სახელი გადმოცემულია ასომთავრული შრიფტით: ᲔᲠᲔᲙᲚᲔ – „ერეკლე“. ქვემოთ სპარსულად: „იჭედა ტფილისს“ და თარიღი ჰიჯრით: (12)06 = 1791 - 1792 წწ.

ზურგი – ორთავიანი არწივი და თარიღი ევროპული წელთაღრიცხვით – 1791 წ.

მონეტის უნიკალობას მისი ემისიის თარიღი განაპირობებს.

5. ბისთი. წ. – 20.5-22.8 გრ. ზ. – 26-28 მმ.

შუბლი – ასომთავრულით გადმოცემულია ერეკლეს სახელი: – ᲔᲠᲔᲙᲚᲔ „ერეკლე“, ქვემოთ სპარსულად „იჭედა ტფილისს“ და თარიღი ჰიჯრით 1210 (= 1795 - 1796 წწ.). ხშირად 1210-ის ნაცვლად ამოკვეთილია 1201 წელი.

ზურგი – ერთთავიანი არწივის გამოსახულება. ქვემოთ ევროპული თარიღი – 1796 წ. (ტაბ. IX, № 52).

ვინ და რა მიზეზით „მოაჭრა“ ერთი თავი რუსეთის იმპერიის სიმბოლოს, გაუგებარია, თუმცა ე. პახომოვს ამასთან დაკავშირებით გამოთქმული აქვს თავისი ვარაუდი. აი ისიც: «Возможно, что причины этой перемены лежат, во первых, в изменении веса медной монеты и желании дать возможность отличать новую монету от старой, а, во вторых, в том, что грузинское правительство, **разочаровавшись в помощи России, не смогшей спасти Тифлис от разорения Ага-Мухаммед-ханом в 1795 году, не желало продолжать так настойчиво выставлять себя ее вассалом и несколько замаскировало выставленный на монете русский герб.** Тут могла сыграть роль и опасение нового нашествия Ага-Мухаммед-хана, грозившего опять разгромить Грузию, если она не откажется от союза с русскими» (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 266). რა შეიძლება ითქვას ე. პახომოვის ამ ვარაუდთან დაკავშირებით? 1. მონეტის წონის ცვალებადობა ისეთ პოლიტიკურ ჟესტთან მიმართებაში, როგორიც რუსეთის **გერბის** დამახინჯებაა, ჩვენი აზრით,

არაფერ შუაშია და 2. უფრო შესაწყნარებელია ავტორის მეორე ჰიპოთეზა, თითქოს ერეკლე II როგორღაც ნიღბავდა თავის პროროსულ განწყობილებას, ფაქტობრივად, ვასალობას, მაგრამ ამის დამტკიცება ძალიან რთულია.

ერეკლე II ოქროს მონეტასაც ჭრიდა, ჩვენამდე ორმა ეგზემპლარმა მოაღწია (იხ. დ. კაპანაძის კომენტარები ე. პახომოვის მონოგრაფიისათვის «Монеты Грузии», გვ. 344; გ. დუნდუა, ირ. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, გვ. 64). ამ მონეტების შუბლის საერთო ნახაზი ზუსტად ისეთივეა, როგორც XVIII ს-ის მიწურულის თბილისში მოჭრილი სირმა-აბაზიანის.

წ. – 7.14 გრ. ზ. – 23-25 მმ.

შუბლი – ცენტრში მოთავსებულია სპარსული ზედწერილი: „იჭედა ტფილისს, 1203“ (= 1788 - 89 წწ.). ზემოთ ოვალში ასევე სპარსულად: „ო, დიდსულოვანო“.

ზურგი – რკალში მოთავსებული ერთთავიანი არწივის გამოსახულება. არწივის ბრჭყალებს შორის ევროპული თარიღი 1796. ჰიჯრის და ევროპული თარიღები ერთმანეთს არ ემთხვევა (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 260, № 137; დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 155, № 229, ტაბ. XVIII, № 229; გ. დუნდუა, ირ. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, გვ. 64) (ტაბ. IX, № 53).

დ. კაპანაძის შენიშვნით: „ევროპული თარიღის და ჰიჯრის ამ მონეტაზე შეუფერებლობა, ამ ჩერვონეცის მოსაჭრელად ორი სულ სხვადასხვანაირი მონეტისათვის გამზადებული სიქის გამოყენება . . და აგრეთვე ის გარემოება, რომ ოქროს მონეტა აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღებისა და მისი აოხრების მეორე წელსვე მოჭრილა, ძალიან გაუგებარს ხდის ამ ოქროს ჩერვონეცის გაჩენას“ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 155). დ. კაპანაძის საბოლოო დასკვნა ასეთია: „შესაძლებელია, რომ ერეკლე მეფის 1796 წლის სპილენძის მონეტისა და 1789 წლის ვერცხლის აბაზიანის სიქები, თავის დროზე გატანილი პეტერბურგის რომელიმე არქივში, რომელიმე „წარჩინებულმა“ კოლექციონერმა (რომლებიც XIX საუკუნეში პეტერბურგში ბლომად იყვნენ) გამოიყენა თავისი პირადი კოლექციის შევსების მიზნით (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 155). კონტრარგუმენტის მოყვანა ძალიან ძნელია. ყოველ შემთხვევაში ის, თუ რაში დაჭირდა ერეკლე I-ს „ჰიბრიდული“ ოქროს მონეტის ემისია, დამაჯერებელ ახსნას ვერ პოულობს.

ვიდრე გიორგი XII-ის მონეტებს შევეხებოდეთ, აქვე ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ერეკლე II-ის მონეტების აღწერილობა ჩვენ მიერ შესრულებულია ე. პახომოვის და დ. კაპანაძის ნაშრომების მიხედვით (იხ. Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 260-267; დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 151-152, №№ 211-222ᵃ, ტაბ. XVII-XVIII).

გარდა ამისა, აქვე უნდა შევეხოთ ერთ უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვან ნუმიზმატიკურ ძეგლს, რომელსაც, მართალია, პირდაპირი კავშირი არ აქვს თბილისის ზარაფხანასთან, მაგრამ ის ჩვენი ქვეყნის ისტორიის ეპოქალური გარდატეხის პერიოდთან არის დაკავშირებული.

რუსეთმა XVIII ს-ის მიწურულის რუსულ-ქართულ ურთიერთობებთან დაკავშირებით, ვერცხლის და სპილენძის მედლები დაამზადა. ერთი მათგანი ეძღვნება 1783 წ. რუსეთ-საქართველოს ტრაქტატს; ის მოიჭრა ამ დოკუმენტზე ხელის მოწერის და ეკატერინე II-ის მიერ ერეკლე მეფისთვის სამეფო რეგალიების ბოძების აღსანიშნავად. ეს იშვიათი მედლები დამზადებულია ბრინჯაოსგან 1790 წ., მაგრამ 1783 წ-ის თარიღით. მისი წონაა 209.900 გრ., ზომა – 80 მმ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკური უჯრედის მედლების ფონდი № 29. მას ასეთი სახე აქვს:

შუბლი – მარჯვნივ მიმართული ეკატერინე II-ის ბიუსტი გარშემოვლებული რუსული ზედწერილით: Б. М. ЕКАТЕРИНА. II. ІМПЕРАТ. И САМОДЕРЖ. ВСЕРОССИЙС. (Божей милостью Екатерина II Императрица и Самодержица Всероссийская). ბიუსტის ქვემოთ ასევე რუსული ორსტრიქონიანი წარწერა: ВЫР. 1783 Г. ТИМОФЕЙ ИВАНОВ – ე.ი. Вырезал 1783 году Тимофей Иванов.

ზურგი – კვარცხლბეკი რეგალიებით: გვირგვინი, მანტია, ფარი და მახვილი. ზემოთ რუსულად – ВЕРЕ И ВЕРНОСТИ. ფარზე – ეკატერინე II-ის ვენზელი და წარწერა – ЦР. ИРАКЛИЮ – царю Ираклию და თარიღი – 1783 г. იგივე თარიღი ქვემოთ არის მოთავსებული (Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика, გვ. 128, № 187, ტაბ. XV, № 187; დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 158, № 230, ტაბ. XIX, № 230; თ. აბრამიშვილი. 1783 წელს რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ტრაქტატის აღსანიშნავი მედალი. სსმმ. XX-B. თბ. 1959, გვ. 251 - 258; გ. დუნდუა, ირ. ჯალაღანია. ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, გვ. 110 - 111).

1798 წ. გარდაიცვალა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II და ტახტი მისმა უფროსმა ვაჟმა გიორგი XII-მ (1798 - 1800 წწ.) დაიკავა. მისი მონეტების აღწერილობა ასეთია:

ნახევარბისთი. წ. – 9.0-9.8 გრ. ზ. – 21-22 მმ.

შუბლი – გიორგი XII-ის სახელი გადმოცემული ასომთავრული შრიფტით: ᲦᲗᲥᲝᲦᲗ (ასოები Ღ და Ꭲ შერწყმულია მონოგრამად), ქვემოთ სპარსულად: „იჭედა ტფილისს, 1213 (= 1798 - 1799 წწ.).

ზურგი – თევზის გამოსახულება (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 268; დ. კაპანაძე. ე. პახომოვის მითითებული ნაშრომის კომენტარებში აღნიშნავს, რომ გიორგი XII-ის სახელით იჭრებოდა აგრეთვე ბისთი და ფული, იხ. იქვე, გვ. 346; დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 152, № 224, ტაბ. XVIII, №№ 224, 224ᵃ) (ტაბ. X, № 54).

გიორგი XII-ის მონეტებთან დაკავშირებით, ე. პახომოვი შენიშნავდა: «По неизвестным пока причинам, на них совершенно изчезает изображение орла, замененное рыбой, как на чекане Ираклия II, 1190 года» (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 268; დ. კაპანაძე ამავე ნაშრომისათვის დართულ კომენტარებში მიუთითებს, რომ ეს, ალბათ, იმავე მიზეზით იყო გამოწვეული, რამაც ერეკლე II-ის ერთთავიანი არწივისგამოსახულებიანი მონეტის ემისია განაპირობა. იხ. იქვე, გვ. 346).

დაბოლოს, ამ სერიის კიდევ ერთი სპილენძის ანონიმური მონეტა, რომლის ატრიბუცია მხოლოდ მასზე მოთავსებული თარიღის საშუალებით გახდა შესაძლებელი. ეს არის უნიკალური მონეტა, რომელიც მ. ბარათაევის (ბარათაშვილის) კოლექციის შემადგენლობაში შედიოდა და სხვა ნიმუშებთან ერთად ბერლინის მუზეუმის საცავში დაიდო ბინა. მისი აღწერილობა ასეთია:

სპილენძი. ზ. – დაახ. 36 მმ.

შუბლი – ხაზოვან და წერტილოვან რკალში ჩასმული მხედრული წარწერა: ტფლს – „ტფილისი“.

ზურგი – მარცხნივ მიმართული ფარშევანგის გამოსახულება (როგორც ბაქარის მონეტაზე), მის ფეხებთან თარიღი ჰიჯრით 1215 (= 1800 - 1801 წწ.) (ტაბ. X, № 55).

დ. კაპანაძე თვლიდა, რომ აღწერილი ცალი „ბაგრატიონთა გვარეულობის უკანასკნელ წარმომადგენელს, ბატონიშვილ დავით გიორგის ძეს უნდა ეკუთვნოდეს“ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 153, № 225, ტაბ. XVIII, № 225). ე. პახომოვის აზრით, ძნელია მას დავითის მონეტა ვუწოდოთ, « . . . так как имени последного тут нет и, в лучшем случае, ее можно определить, как чекань времен Давида» (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 269; თავის კომენტარებში დ. კაპანაძე დაეთანხმა ავტორის ასეთ ატრიბუციას, იხ. იქვე, გვ. 346).

სავსებით გასაგებია, რატომ არის ეს მონეტა ანონიმური. შინაური და საგარეო მტრების შემოტევით შეშინებულმა, უკვე მძიმედ ავადმყოფმა გიორგი XII, იმპერატორ პავლე I-ს თხოვნით მიმართა, შეეცვალა ტრაქტატით გათვალისწინებული პირობები: გიორგი XII რუსეთს ანდობდა წარემართა ქართლ-კახეთის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა, ოღონდ მისთვის და მისი შთამომავლობისათვის მეფობა შეენარჩუნებინათ. რა თქმა უნდა, გიორგი XII-ის ეს ნაბიჯი რუსეთმა გამოიყენა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიისათვის. კავკასიის ხაზის სარდალმა გენერალმა კნორინგმა მიიღო კონფიდენციალური ბრძანება, რომ მეფის გარდაცვალების შემთხვევაში არ დაეშვა მისი მემკვიდრის – დავითის ტახტზე აყვანა და მეფედ დამტკიცება. 1800 წ. 28 დეკემბერს გიორგი XII გარდაიცვალა და დავითი რუსეთის ხელისუფლებამ მხოლოდ დროებით მმართველად ცნო. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ დავითი იძულებული გახდა ანონიმური მონეტა მოეჭრა.

გადავდივართ უკვე მრავალჯერ ნახსენები „სირმა-აბაზიანების“, „სირმა-ვერცხლის“ (რაც სიტყვა-სიტყვით „წმინდა ვერცხლს“, „სუფთა ვერცხლს“ ნიშნავს) მიმოხილვაზე. ამ სამონეტო ჯგუფს „ბაგრატიონთა ვერცხლსაც“ უწოდებენ, მაგრამ ამ ტერმინმა ფეხი ვერ მოიკიდა (Д. Г. Капанадзе. Грузинская Нумизматика, გვ. 139; მისივე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 158; რ. ქებულაძე. სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში, გვ. 757).

ყველაზე ადრეული ცნობა სირმა-აბაზის შესახებ (მართალია არა ამ სახელწოდებით) შემონახულია იოჰან ანტონ გიულდენშტედტის (1745 - 1781 წწ.) ნაშრომში „მოგზაურობა საქართველოში“. ამ უნივერსალურად განათლებულმა ადამიანმა 1771 - 1772 წწ. იმოგზაურა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ

საქართველოში და დაგვიტოვა ფასდაუდებელი ცნობები XVIII ს-ის 70-იანი წწ. დასაწყისის საქართველოს შესახებ. არ არის თითქმის არც ერთი სფერო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა, რომელიც მან აღწერის და ანალიზის გარეშე დატოვა. მათ შორის, რა თქმა უნდა, ის შეეხო ქართული ფულის საკითხსაც. მისი „მოგზაურობის“ ერთი ნაწილი სწორედ ასეა დასათაურებული – „ქართლის სამეფოს ფული“, სადაც ის წერს: „მეფე (იგულისხმება ერეკლე II – გ. დ., თ. დ.) **აჭრევინებს სპილენძის და ვერცხლის სახელმწიფო ფულებს,** რისთვისაც მას საკუთარი საბადოები უგზავნიან მეტალს. **საკუთრივ სახელმწიფო ფულებს გარდა** მოძრაობაში იმყოფებიან თურქული, სპარსული და რუსული ფულებიც“ (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ. 1962, გვ. 233). ამის შემდეგ ის ჩამოთვლის ფულის ერთეულებს, მათ შესახებ იძლევა სათანადო განმარტებას, აღწერილობას, მათ ურთიერთშეფარდებას. ესენია: 1. **ფული** (სპილენძი), 2. **შაური,** 3. **უზალთუნი,** 4. **აბაზი,** 5. **სამი აბაზი**; ავტორი, ცხადია, აგრძელებს ფულის ჩამოთვლას, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის სწორედ ეს პირველი ხუთეულია განსაკუთრებით საინტერესო, რადგან: 1. აქ განმარტებულია **აბაზის** როლი ერეკლეს სამფლობელოში და 2. ვისი ბრძანებით იჭრებოდა ეს მონეტები.

აბაზის შესახებ გერმანელი მოგზაური აღნიშნავს: „აბაზი – ვერცხლის ფულია, 50 გრანი წონით, უდრის 2 შაურს, ან 20 კაპიკს; აქვს არაბული წარწერა: „ალაჰანმუ ლილლოჰუ რაბბილ ალემინ“, ე.ი. „ღვთაებრივი უდიდებულესობა, რომელმაც შექმნა სამყარო“, და მეორე მხარეს: „სარბი ტეფლის, 1183 სენა“, ე.ი. „მოჭრილი თბილისში ჰიჯრით 1183 წელს“, ანუ ჩვენებურად 1770 წელს. **ეს არის ყველაზე გავრცელებული და თითქმის ერთადერთი ფული ერეკლე მეფის სამფლობელოში**“ (ცხადზე ცხადია, რომ კონტექსტში მხოლოდ და მხოლოდ **სირმა-აბაზიანზეა** საუბარი და არავითარ შემთხვევაში, სხვა ფულად ერთეულზე, რადგან 1770 წ. ქართლ-კახეთის სამეფოში ვერცხლის სხვა მონეტების ემისია არ წარმოებდა – გ. დ., თ. დ.). და შემდეგ ზემოთ ჩამოთვლილ მონეტებთან დაკავშირებით, ის წერს: **„ყველა ნახსენები ვერცხლის ფულები იჭრება ერეკლეს ბრძანებით ძალიან კარგი ჭედადი ვერცხლიდან“** (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 233, 235).

ამრიგად, გერმანელი მოგზაურის მოწმობით, საქართველოში 1770-იან წწ-ში, **ერეკლეს ბრძანებით, იჭრება სახელმწიფო ფული.** ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უცხო მფლობელთა სახელით თბილისში მოჭრილ უფრო ადრეულ მონეტებს გერმანელი მოგზაური სახელმწიფო ფულად არ მიიჩნევს.

აბაზი – გიულდენშტედტის დასკვნით – არის ყველაზე გავრცელებული და ერთადერთი ერეკლეს სამფლობელოში. რეალურადაც ასეთი მაინცდამაინც მხოლოდ სირმა-აბაზიანებია. აქედან გამომდინარე, მათი ქართული წარმომავლობა ეჭვს გარეშეა (თავისთავად ცხადია, რომ სირმა-აბაზიანების თანამედროვე, მეცნიერული და გერმანელი მოგზაურის აღწერილობა განსხვავებულია, მაგრამ მათ იდენტურობაში ეჭვის შეტანა ყოვლად უსაფუძვლოა).

კიდევ ერთი ფრაგმენტი იქცევს ყურადღებას გიულდენშტედტის „მოგზაურობაში“. ის აღნიშნავს: **„სპარსელებმა და ქართველებმა ჯერ კიდევ არ იციან, თუ როგორ უნდა გადაადნონ კეთილშობილი მეტალები;** ამიტომაც ისინი თხლად (წმინდად) ჭრიან. მათ არც ჭრაში აქვთ უპირატესობა, რადგან ისინი სწონიან ყოველ ნაჭერს და იმდენს აჭრიან, სანამ არ დაიყვანება საჭირო წონამდე . . . “. მისი ცნობით, ამ პერიოდში მხოლოდ თურქებმა დაამზადეს თავიანთი ფული ევროპულად (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 237).

გიულდენშტედტის ზემოთ მოყვანილ სიტყვებს ზოგიერთი მკვლევარი ეჭვის თვალით უყურება. ასე მაგ., რ. ქებულაძე წერს: „სირმა-აბაზიანები იმდენად მაღალი სინჯის ვერცხლისაგან იჭრებოდა, რომ მათმა გარეგნულმა სახეობამ, როგორც ირკვევა, გიულდენშტედტი შეცდომაში შეიყვანა, იგი იმასაც ამტკიცებდა, რომ ქართველები მონეტებს წმინდა ლითონიდან, ე.ი. წმინდა ვერცხლიდან ჭრიანო. **ეს ცნობა აშკარად მცდარია.** მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სირმა-აბაზიანები მართლაც მაღალხარისხოვანი და მაღალსინჯიანი (94%) ვერცხლისაგან იჭრებოდა“ (რ. ქებულაძე. სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში, გვ. 757). რა შეიძლება ითქვას გიულდენშტედტის ინფორმაციასთან დაკავშირებით?

დავიჯეროთ, რომ სამთამადნო საქმის იმ დონის სპეციალისტი, როგორიც გერმანელი მეცნიერი იყო, ვერ გაერკვა ისეთ ელემენტარულ საკითხში, იცოდნენ თუ არა სპარსელებმა და ქართველებმა კეთილშობილი ლითონის გადადნობა? მეორეს მხრივ, აგრეთვე სრულებით დაუჯერებელია, რომ ეს მეთოდი მათთვის უცნობი ყოფილიყო. ასე რომ, რამ განაპირობა გიულდენშტედტის ასეთი „დიაგნოზი“, ძნელი ასახსნელია.

სხვათაშორის, სირმა-ვერცხლის მაღალსინჯიანობა ქართველების სიამაყის საგანი იყო. ასე მაგ., თეიმურაზ ბატონიშვილი წერდა: „ასეთს თეთრსა სჭრიდნენ ჩვენშია, **რომ ყოველსა ევროპისა და აზიის ვერცხლზედ ჩვენი ვერცხლი უფრო წმინდა იყო“** (ს. კაკაბაძე. საფასის ისტორიისათვის საქართველოში. „საისტორიო მოამბე“. წ. I. 1925, გვ. 34).

შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით სირმა-აბაზიანები, ნუმიზმატიკური თვალსაზრისით, სათანადოდ შესწავლილი არ არის. ყველაზე ვრცლად და საფუძვლიანად მათ ისევ და ისევ ე. პახომოვი შეეხო (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 236-250), ხოლო მათი მიმოქცევის ხანგრძლივობის საკითხს – რ. ქებულაძე (რ. ქებულაძე. სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში, გვ. 757-760). თუ პირდაპირ ვიტყვით, ეს სამონეტო ჯგუფი მონოგრაფიულად საქართველოში ჯერ არავის გაუხდია სპეციალური კვლევის საგნად და აქედან გამომდინარე, დღემდე მათი დაწვრილებითი აღწერილობაც (კატალოგი) არ გაგვაჩნია.

XVIII ს-ის II ნახევარში ირანის ძლიერებას შინაურმა აშლილობამ მოუღო ბოლო. სპარსეთი ცალკეულ სახანოებად იშლება. ცხადია, ეს პროცესი სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზედაც მიმდინარეობდა, სადაც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები აღმოცენდნენ. საქართველოც განთავისუფლდა ირანის უღლისაგან. მეტიც: ის რეგიონში პირველობისათვის იბრძვის და წარმატებებსაც აღწევს.

ასეთ ვითარებაში «Закавказские ханства, – წერს ე. პახომოვი – столицы которых (Ганджа, Шемаха, Тифлис и др.) **были до этого монетными дворами шахов, теперь вырабатывают собственные типы монеты, битой уже не от имени шахов, хотя также и без указания чеканивших их владетелей.** Впрочем, сама персидская монета этой эпохи избегает называть их прямо и чаще ограничивается намеком, облеченным в форму молитвенного воззвания к тому или иному имаму или прямо к богу, например – О, Али! – на чекане Али-Мурад-хана, О, имам Джафар праведный – на монетах Джафар-хана и т.п. **К числу таких воззваний принадлежит, и Я, Керим = О, Милосердый! – на серебре Керим-хана»** (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 236). ეს უკანასკნელი მიმართვა-მოწოდებაა მოთავსებული სირმა-აბაზიანზეც, რაც, ცხადია, ფორმალური თვალსაზრისით, სირმა-ვერცხლს ისევ და ისევ ირანის ნუმიზმატიკასთან აკავშირებს. საქმე ის არის, რომ თბილისის ზარაფხანაში ჰიჯრ. 1179 წ-მდე (= 1765 - 1766 წწ.) იჭრებოდა აბაზიანები, რომლებიც დაკავშირებულია ქერიმ-ხანთან (1750 - 1779 წწ.), სპარსეთის „ვექილთან“. ის არ ატარებდა შაჰის ტიტულს, ამიტომ მისი სახელი « . . . в собственном своем виде, на монете не выставлялось, заменяясь созвучным с ним молитвенным возванием: . . . (Я Керим!), т.е. «О, Милосердый»! До 1179 гиджры, чекан Тифлиса не отличается от чекана других персидских городов и потому его приходится причислить к персидскому же» (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 235). ე. პახომოვის აზრით, ვითარება იცვლება ჰიჯრის 1179 წ-დან (= 1765 - 1766 წწ.), როდესაც საქართველო გადადის დამოუკიდებელ სამონეტო ემისიაზე, რაც დასტურდება: 1) «исчезновение на тифлисской монете формул, противоречавших христианскому учению и потому выражающих подчинение **Грузии и Кахетии** (?! გ. დ., თ. დ.) мусульманскому государству, 2) выпуск всей монеты по однообразным типам, совершенно не зависяшим от династических перемен в Персии» (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 237).

ამრიგად, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული ზემოთ, ეს ნოვაცია საქართველოს ნუმიზმატიკურ ძეგლებზე, ე. პახომოვის მიხედვით, ჰიჯრ. 1179 წ. (= 1765 - 1766 წწ.) იწყება. უფრო ადრეულ თარიღს, მაგ. ჰიჯრ. 1166 წ. (= 1752 - 1753 წწ.), როგორც ეს, მართალია გარკვეული ეჭვით, მითითებულია ქართველ მკვლევართა ნაშრომებში (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 159; რ. ქებულაძე. სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში, გვ. 757), ის გამორიცხავს (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 237-238). ამიტომაც გამოვრიცხეთ ჩვენც სირმა-აბაზიანების ემისიას თეიმურაზისა და ერეკლეს მიერ აჯი-ჩალაბის შემოსევის დროს.

და კიდევ ერთი შეუთანხმებლობა ქართველ მეცნიერებს და ე. პახომოვს შორის: ეს უკანასკნელი მიიჩნევდა, რომ სირმა-აბაზიანები პირველად ჰიჯრ. 1179 წ. (= 1765 - 1766 წწ.) მოიჭრა, ხოლო დ. კაპანაძე და რ. ქებულაძე თვლიდნენ, რომ მათი ემისია 1181 წ. (= 1767 - 1768 წწ.) დაიწყო, თუმცა არც ერთი მათგანი არ უთითებს, რას ემყარება მათი მოსაზრება (იხ. მათი ზემოთ დასახელებული ნაშრომები).

ამრიგად, ე. პახომოვი თვლიდა, რომ სირმა-აბაზიანების ემისია 1765 - 1766 წწ. იწყება, ხოლო დ. კაპანაძე და რ. ქებულაძე ასეთად 1767 - 1768 წწ. მიიჩნევდნენ, და გრძელდებოდა ჰიჯრის 1213 წ-დე (1798 - 1799 წწ.).

ფაქტობრივი მასალის მიხედვით, სირმა-აბაზიანების ოთხი ძირითადი ნომინალი იჭრებოდა: 1.5 აბაზიანი, ანუ ნახევარმარჩილიანი, აბაზიანი, 0.5 აბაზიანი, ანუ ორშაურიანი (მაჰმუდი ან უზალთუნი) და შაურიანი, რომელიც აბაზიანის მეოთხედს შეადგენდა.

სირმა-ვერცხლის აღწერილობას ასეთი სახე აქვს:

1. ერთნახევარი სირმა-აბაზი (ნახევარმარჩილი, ექვსშაურიანი). 1768 - 1769 წწ. წ. – 4.64 გრ. ზ. – 29 მმ.

შუბლი – სპარსული ზედწერილი: „დიდება ალაჰს, ორი სამყაროს მფლობელს“. მონეტის თავისუფალი არე შევსებულია რამდენიმე ყვავილოვანი ორნამენტით. გარშემო ხაზოვანი რკალი.

ზურგი – სპარსულად: „მოწყალეო! იჭედა თბილისს 1182 წელს“. მონეტის თავისუფალ არეზე – თარიღი და ყვავილოვანი ორნამენტი. რკალი ჯერ ხაზოვანი, შემდეგ – ყვავილოვანი („მოწყალეო“ – ქერიმ ხან ზენდის დროიდან შემორჩენილი ფორმულა (ან მოწოდება?) – მოთავსებულია ჩარჩოს ზემოთ, მომცრო ოვალში) (სირმა-ვერცხლის აღწერილობა შესრულებულია შემდეგი ნაშრომების მიხედვით: Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 238-239, №№ 110-111; დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 158-159, №№ 231-234, ტაბ. XIX; ფული საქართველოში. მეორე გადამუშავებული გამოცემა, გვ. 95-96, №№ 267-270) (ტაბ. X, № 56).

2. სირმა-აბაზი. 1780 წ. წ. – 2.93 გრ. ზ. – 19/20 მმ.

შუბლი – სპარსული ზედწერილი: „დიდება ალაჰს, ორი სამყაროს მპყრობელს“. მონეტის თავისუფალ არეზე რამდენიმე ყვავილოვანი ორნამენტი. გარშემო ჯერ ხაზოვანი, შემდეგ კი წერტილოვანი რკალი.

ზურგი – სპარსული ზედწერილი: „მოწყალეო! მოიჭრა თბილისს 1194 წელს“. ყველაფერი ეს ჩასმულია ჯერ ფიგურულ ჩარჩოში, ხოლო შემდეგ – თანმიმდევრობით, ხაზოვან და წერტილოვან რკალში (ტაბ. X, № 57).

3. სირმა-უზალთუნი (ორშაურიანი). 1768 - 1769 წწ. წ. – 1.49 გრ. ზ. – 14/16 მმ.

შუბლი – სპარსული ზედწერილი: „მოიჭრა თბილისს 1182 წელს“. მონეტის თავისუფალ არეზე ყვავილოვანი ორნამენტები. გარშემო ჯერ ხაზოვანი, შემდეგ კი წერტილოვანი რკალი.

ზურგი – ფიგურულ ჩარჩოში მოთავსებული სპარსული ზედწერილი: „მოწყალეო“. მონეტის თავისუფალ არეზე – ყვავილოვანი ორნამენტები. გარშემო ხაზოვანი რკალი (ტაბ. X, № 58).

4. სირმა-შაური. 1771 - 1772 წწ. წ. – 0.7. გრ. ზ. – 13/15 მმ.

შუბლი – სპარსული ზედწერილი: „მოიჭრა თბილისს 1185 წელს“. მონეტის თავისუფალ არეზე ყვავილოვანი ორნამენტები. გარშემო ხაზოვანი და წერტილოვანი რკალი.

ზურგი – ფიგურულ ჩარჩოში მოთავსებული სპარსული ზედწერილი: „მოწყალეო“. გარშემო ხაზოვანი რკალი (ტაბ. X, № 59).

სირმა-ვერცხლი ლითონის მაღალი ხარისხის გამო დიდხანს შემორჩა საქართველოს სამონეტო ცირკულაციაში, რასაც ადასტურებს როგორც დოკუმენტური, ასევე ფაქტობრივი მასალა. ასე მაგ., 1955 წ. გურჯაანის რ-ნის სოფ. ფხოველში, მიწის ხვნის დროს, იპოვეს ვერცხლის მონეტების განძი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ამ განძიდან 111 მონეტა შევიდა. განძი შერეული ხასიათისაა და შეიცავს სირმა-აბაზიანებს, რუსულ, რუსულ-ქართულ და რუსულ-პოლონურ მონეტებს. **განძის ყველაზე გვიანი მონეტაა რუსული მანეთიანი, 1842 წ. დათარიღებული** (განძის ზუსტი შემადგენლობა იხ. რ. ქებულაძე. სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში, გვ. 759-760; ფხოველის განძის მონეტები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ საცავში, გ.ფ. №№ 9448-9558). რ. ქებულაძის ვარაუდით, ფხოველში აღმოჩენილი მონეტების განძად ქცევა XIX ს-ის 40-იანი წწ-ის შემდეგ უნდა მომხდარიყო. ეს კი პირდაპირი მაჩვენებელია სირმა-აბაზიანების მიმოქცევის ხანგრძლივობისა. ამასვე მოწმობს დოკუმენტური მასალაც: 1851 წ. სოფ. წინსოფლის მცხოვრებს, საბატონო ყმას, ოსიკ ხიხაძეს სოფ. ღოღელაურას მცხოვრებლებისაგან, აზნაურების გიგა და სპირიდონ წერეთლებისაგან შეუძენია ადგილ-მამული **შვიდ თუმნად ქართული თეთრითა და სირმა-ვერცხლით. მ**ეორე დოკუმენტში საუბარია იმავე ოსიკ ხიხაძის მიერ 1853 წ. სოფ. კოლბეურას მცხოვრებლებისაგან, გრიგოლ და გიორგი მაჭარაშვილებისა და მათი ბიძაშვილის ნანია პეტრეს ძისგან, **ოცდაათ მანეთად ქალაქის (თბილისის) სირმა-ვერცხლით** „საპარტახო“ მამულის ყიდვის შესახებ. „ამრიგად, – ასკვნის რ. ქებულაძე – ზემოთ განხილული საბუთების მიხედვით, საქართველოში სირმა-ვერცხლი ხმარებაში ყოფილა XIX საუკუნის 50-იან წლებში“ (რ. ქებულაძე. სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში, გვ. 759).

სირმა-აბაზიანების მიმოქცევიდან ამოღებას მეფის მთავრობა ორჯერ, 1848 - 1849 წწ-ში შეეცადა, შესყიდვის გზით, მაგრამ ხურდა ფულის საჭირო მარაგის უქონლობის გამო, სახელმწიფო ხაზინამ ეს ვერ შეძლო. საბოლოოდ, სირმა-ვერცხლის შესყიდვა 1852 წ-დან დაიწყეს (პ. გუგუშვილი. ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ამიერკავკასიაში XIX საუკუნეში. თსუ შრომები. VI. 1936, გვ. 53-55).

დ. კაპანაძის შენიშვნით, „სირმა-აბაზიანების“ კარგი რეპუტაციის დამსახურება იმითაც დასტურდება, რომ **მათი მინაბაძები** ერთ-ერთ ჩვენს მეზობელსაც უჭრია (ფიქრობენ, რომ ეს **ნუხის** სახანოში ხდებოდა), მაგრამ ეს მინაბაძები უკვე უფრო უხეშია, მდარე სინჯის და დაბალი წონის (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 159, № 235, ტაბ. XIX). დ. კაპანაძე ამ შემთხვევაშიც ზოგადი ფრაზით შემოიფარგლება: „ფიქრობენ, რომ ეს ნუხის სახანოში ხდებოდა“. ასევე წერს ის თავისი წიგნის რუსულ გამოცემაში: « . . . **как полагают возникли в Нухинском** ханстве» (Д. Г. Капанадзе. Грузинская Нумизматика, გვ. 131). ვინ ფიქრობს ასე? როგორც ჩანს, თვით ავტორი. ეს კარგად გამოჩნდა ე. პახომოვის ნაშრომისათვის მის მიერ

დართულ კომენტარებში. ე. პახომოვი თავის დროზე აღნიშნავდა: « . . . рисунок матрицы устанавливается особый, существующий только в Тифлисе, **а редкие случаи появления его в других городах**, соседних с Грузией, объясняются заимствованием именно тифлисского образца» (Е. А. Пахомов. Монеты Грузии, გვ. 237). სწორედ ე. პახომოვის ამ შენიშვნას დაურთო დ. კაპანაძემ თავისი კომენტარი და აღნიშნა, რომ ასეთი მინაბაძი « . . . как полагают, возникли в Нухинском ханстве» და უთითებს თავისი წიგნის რუსული გამოცემის იმ გვერდებს, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ (იხ. Е. А. Пахомов. Монеты Грузии, დ. კაპანაძის კომენტარები, გვ. 341). ცხადია, ჩვენ არავითარი კონტრარგუმენტის წამოყენებას არ ვაპირებთ იმის საწინააღმდეგოდ, რომ ნუხის სახანო სირმა-ვერცხლის მიხედვით ახორციელებდა სამონეტო ემისიას, მაგრამ ამას მეტი დასაბუთება ჭირდება.

დ. კაპანაძის აზრით, კიდევ ერთი ქალაქი იყენებდა თბილურ აბაზიანებს თავისი მონეტის პროტოტიპად: როდესაც ერეკლე II-ის ჯარებმა განჯა აიღეს, მისი დროებითი ოკუპაციის პერიოდში (ჰიჯ. 1201 - 1205 წწ. = 1786 - 1791 წწ.), ქართველი მეფის ნაცვლები აქ თბილური აბაზის მსგავს ფულს ჭრიდნენ. მოჭრის ადგილად, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, განჯა არის ნაჩვენები, ხოლო ზურგზე მოთავსებული ზედწერილი აღებულია თბილური აბაზიანისგან (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 159 - 160, № 236-237, ტაბ. XIX).

დაბოლოს, სირმა-ვერცხლთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ცირკულირებდა არა მარტო საქართველოს ფარგლებში, არამედ სომხეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც, რასაც ადასტურებს აქ აღმოჩენილი XVIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ჩამარხული განძები (საკითხის შესახებ იხ.: Е. А. Пахомов. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. вып. III. Баку. 1940, გვ. 64-65, № 918; მისივე. Монетные клады . . . вып. IV. Б. 1949, გვ. 77, № 1209; მისივე. Монетные клады . . . вып. VIII. Б. 1959, გვ. 50-58, № 2022, გვ. 93).

ამით ვამთავრებთ XVII - XVIII სს-ში საქართველოში მოჭრილი მონეტების მიმოხილვას და გადავდივართ ჩვენს ქვეყანაში აღმოჩენილი უცხოური მონეტების სამონეტო კომპლექსების რეესტრის შედგენაზე. მიგვაჩნია, რომ ცალკეულად ნაპოვნი მონეტების ჩამონათვალი პრინციპულად არაფერს ცვლის და ძირითადი აქცენტი სამონეტო მიმოქცევის სურათის რესტავრაციის დროს XVII - XVIII სს-ის საქართველოში მაინც განძების შემადგენლობის ანალიზზე უნდა იქნას გადატანილი, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ცალკეულ აღმოჩენებსაც გავითვალისწინებთ.

ბ) საქართველოში აღმოჩენილი XVII - XVIII საუკუნეების უცხოური მონეტების განძები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს მასალა, უმეტესწილად, მოიცავს ოსმალეთის, ირანის და ევროპული სახელმწიფოების მონეტებს და, შესაბამისად, მათი სიაც შედგენილია **მ. ანთაძის, თ. ქუთელიას და რ. ქებულაძის ნაშრომების მიხედვით** (იხ. მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV - XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით. თბ. 1982; Т. С. Кутелия. Грузия и сефевидский Иран (по данным нумизматики). Тб. 1979; რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV - XVIII საუკუნეებში. თბ. 1971). ხსენებული ავტორების დამსახურება, ამ მონეტების ატრიბუციის და რეატრიბუციის თვალსაზრისით, ძალიან დიდია, მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევაში, ისინიც სხვა მეცნიერთა მონაცემებს ეყრდნობიან. რიგ ასპექტებთან ერთად, მათი მონოგრაფიები იმითაც გამოირჩევა, რომ ეს უზარმაზარი მასალა ერთად არის კონცენტრირებული და, ამდენად, გამოსაყენებლად უაღრესად მოსახერხებელია. ეს გვიადვილებს, სამეცნიერო ლიტერატურის ზედმეტი მითითებებით არ გადავტვიროთ ტექსტი. მეტიც: ეს გვაძლევს საშუალებას ხსენებული ავტორების წიგნებიც მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში დავიმოწმოთ.

XVII - XVIII სს-ის უცხოური მონეტების განძების რეესტრის შედგენას ოსმალური მასალით ვიწყებთ, რაც გაპირობებულია იმით რომ: 1. ოსმალური ნუმიზმატიკური ძეგლების გავლენა ქართულ მონეტებზე უფრო ადრე შეიმჩნევა, ვიდრე სხვა ქვეყნებისა და 2. XV ს-ის 80-იან წლებში ჩამარხული გორის განძის შემადგენლობაში შედის ოსმალური ახჩების იმიტაციები, რაც, თავისთავად, გულისხმობს ორიგინალების ინტენსიურ ტრიალს საქართველოში (ამის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით).

საქართველოში მიკვლეულ XVI ს-ის **ოსმალურ** მონეტებს, როგორც ცალკეულად აღმოჩენილებს, ასევე განძების შემადგენლობაში დაფიქსირებულებს, სათანადო ადგილას ჩვენ უკვე შევეხეთ, ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით. საქართველოში ნაპოვნი XVII ს-ის ოსმალური მონეტების განძების ტოპოგრაფია ასე გამოიყურება:

1. 1945 წ. მახარაძის (ოზურგეთის) რაიონის სოფ. ლიხაურში აღმოჩნდა მოზრდილი განძი. ეს კომპლექსი შეიცავს ასიოდე ოსმალურ ახჩას, დაახლოებით 1000-ზე მეტ მათ მინაბაძს და 20-მდე სხვადასხვა ზომის ვერცხლის ფირფიტას. ეს ფირფიტები სისქით და ლითონის ხარისხით ამ მინაბაძებს ესადაგება და დ. კაპანაძის აზრით, აშკარა ხდება, რომ ისინი მინაბაძების მოსაჭრელი ნამზადია. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ „ . . . ამ ნამზადთა შორის ორი თუ სამი ფირფიტა ჯვრის მოყვანილობისაა და ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეცეს, რადგან ეს იმას მოწმობს, რომ მინაბაძების მომჭრელი

თვითონ ქრისტიანი თუ არ იყო, ქრისტიან მოსახლეთა შორის (ე.ი. ჩვენში, საქართველოში) ცხოვრობდა“ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ.136).

მ. ანთაძემ ლიხაურის განძის მონეტები სამ ჯგუფად დაყო:

I ჯგუფში ერთიანდება მურად III-ის (1574 - 1595 წწ.) მიერ მოჭრილი ახჩები, რომლებიც ძირითადად ხანჯის ზარაფხანაშია მოჭრილი.

II ჯგუფში თავსდება მეჰმედ IV-ის (1648 - 1687 წწ.) და აჰმედ II-ის (1691 - 1695 წწ.) სახელით მოჭრილი მონეტები, დამზადებული ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ზარაფხანაში.

III ჯგუფში მან გააერთანა ის მონეტები, რომლებიც ადგილობრივ იმიტაციებად მიიჩნია.

როგორც ჩანს, ლიხაურის განძი XVII ს-ის მიწურულს არის ჩამარხული.

2. 1913 წ. ბათუმის მახლობლად, სამების მთის მწვერვალზე, მდ. ქოლორის წყალს და ბარცხანას ხეობაში, ძველი ეკლესიის ნანგრევების მოშორებით, თიხის ქოთანში აღმოჩნდა XVII ს-ის მცირე ზომის ოსმალური და ირანული ვერცხლის მონეტების განძი 537 ცალის რაოდენობით. ე. პახომოვმა თავის დროზე განძის გადათვალიერებისას ნახა მურად IV (1623 - 1640 წწ.) სახელით ჰიჯ. 1033 წ. (1623 - 1624 წწ.) დათარიღებული 2 მონეტა და სულეიმან შაჰის (1667 - 1694 წწ.) 4 მაჰმუდი, ერთზე იკითხება ზარაფხანა – თბილისი, და თარიღის ფრაგმენტი, 109?, მისივე შაური და ოსმალური ფულის 3 მინაბაძი. გარდა ამისა, განძის შემადგენლობაში ყოფილა ერთი თევზისგამოსახულებიანი გაურკვეველი ქართული მონეტა (ალბათ, ათაბაგ ყვარყვარეს – გ. დ., თ. დ.) და 519 ცალი ცუდად დაცული თურქული ახჩა. ამ განძის 29 მონეტა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ საცავში (გ.ფ. №№ 7149-7174). ყველა მათგანი ცუდად არის დაცული. განძის დამარხვის თარიღად მ. ანთაძე XVII ს-ის მიწურულს, ან XVIII ს-ის პირველ ათწლეულს მიიჩნევს.

3. მისივე სიტყვებით, ამავე დაწესებულებაშია დაცული პარიზიდან დაბრუნებული მონეტები, რომელზედაც ე. პახომოვის ხელით აწერია: საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი XVII ს-ის თურქული და სპარსული მონეტები. ოსმალური მონეტები მოჭრილია სულთან მუსტაფა I-ის (1617 - 1618 წწ., 1622 - 1623 წწ.) სახელით.

4. ჯიხანჯირის განძი. 1977 წ. ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჯიხანჯირში „ნასტეფანარის გორაზე“, ქვის ქვეშ, შემთხვევით აღმოჩნდა პატარა ზომის ვერცხლის მონეტები, საერთო ჯამში, 334 ცალი. განძი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (გ.ფ. №№ 17257-17576, 20444-20451). განძის შემადგენლობაში შემავალი ყველა მონეტა ოსმალური ახჩაა. კომპლექსის ქრონოლოგიური დიაპაზონი დიდია. ადრეული მონეტა თარიღდება ჰიჯრ. 926 წ. (1519 - 1520 წწ.), გვიანდელი კი – ჰიჯრ. 1003 წ. (1595 წ.). მათი უმრავლესობა მოჭრილია ტრაპიზონის ვილაიეთის ქ. ხანჯის ზარაფხანაში. ხანჯის გარდა, ჯიხანჯირის განძის შემადგენლობაში შედის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში მოჭრილი ფულიც. ეს ზარაფხანებია: კონსტანტინოპოლი, ედირნე, ნოვარი, კარატოვო, ნოვობერდა, სიდრე-კაისი, საკიზი, კეისარიე და ერზერუმი.

საქართველოში აღმოჩენილი XVIII ს-ის ოსმალური მონეტების განძები.

1. 1941 წ-ის ნოემბერში ქუთაისში კათოლიკური ეკლესიის ეზოში თავშესაფრის თხრის დროს იპოვეს სამონეტო კომპლექსი, რომელიც შედგებოდა 13 ალთუნის და 8 ვენეციური დუკატისაგან. 13 ალთუნიდან 10 მოჭრილი ყოფილა აჰმედ III-ს (1703 - 1730 წწ.) მიერ. აქედან 8 კონსტანტინოპოლის ზარაფხანაშია მოჭრილი, ერთი – მისრში და ერთიც – თბილისში. სამი ალთუნი მოჭრილი ყოფილა სულთან მაჰმუდ I-ის (1730 - 1754 წწ.) სახელით კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში. ეს მონეტები გადაეცა მოსკოვს, თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად. თბილური ალთუნი კი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს დაუბრუნდა (გ.ფ. № 5086, ზ. – 19 მმ., წ. – 3.47 გრ.). თარიღი – ჰიჯრ. 1115 (1703 - 4 წწ.).

2. 1937 წელს სოფ. მურჯახეთშ**ი** (ახალქალაქის რ-ნი), ძველ ნაწისქვილარში, აღმოჩნდა თიხის ქილა ოსმალური ვერცხლის მონეტებით (355 ც.). განძის შემადგენლობა ასეთია: ოსმალეთის სულთნები – სულეიმან II (1687 - 1691 წწ.) – 1 ც.; აჰმედ II (1691 - 1695 წწ.) – 2 ც.; მუსტაფა II (1695 - 1703 წწ.) – 109 ც.; აჰმედ III (1703 - 1730 წწ.) – 155 ც.; მაჰმუდ I (1730 - 1754 წწ.) – 88 ც.; განძის მონეტები ქრონოლოგიურად 1687 - 1730 წწ. შორის თავსდება. განძის ყველაზე გვიანდელი მონეტა თარიღდება ჰიჯრ. 1143 (1730) წ., ხოლო მისი ჩამარხვა, სავარაუდოდ, XVIII ს-ის 50-იან წწ-ზე ადრე ვერ მოხდებოდა, თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას.

მურჯახეთის განძში თავმოყრილია შემდეგი ნომინალები: ყურუში, ნახევარყურუში (ირმილიქი), ონლიქი და ახჩა. მურჯახეთის განძში შემავალი მონეტები მოჭრილია იმპერიის სხვადასხვა ზარაფხანაში: კონსტანტინოპოლი (უმეტესობა), ედირნე (ადრიანოპოლი), ერზერუმი, თბილისი, განჯა, გიუმიშხანე.

3. 1900-იან წწ-ში გორის მიდამოებში აღმოჩნდა XVIII ს-ის ოსმალური მონეტების განძი. მის შემადგენლობაში ყოფილა: ა) აჰმედ III-ის (1703 - 1730 წწ.) 29 თბილური ონლიქი, 2 – მოჭრილი ერევანში, 2 – თავრიზში, 1 – ბეშლიქი, თავრიზი; ბ) მაჰმუდ I-ის (1730 - 1757 წწ.) ერთი ბეშლიქი, მოჭრილი განჯაში.

4. 1909 წ. თბილისის მიდამოებში აღმოჩნდა განძი, რომლის შემადგენლობაში იყო ჰიჯრ. 1115 (1703 - 4 წწ.) წ. აჰმედ III-ს სახელით მოჭრილი ონლიქები.

5. 1892 წ. ქუთაისის რ-ნის სოფ. ზარათში იპოვეს სპილენძის ქვაბი, რომელშიც იყო 8 კგ-მდე ოსმალური ვერცხლის მონეტაა, დათარიღებული 1703 - 1786 წწ.

6. 1935 წ. საჩხერის რ-ნის სოფ. ქორეთის მიდამოებში მიკვლეული მონეტებიდან მასწავლებელმა გოგიტაშვილმა სკოლის მუზეუმს გადასცა აჰმედ III-ის 3 ახჩა და მუსტაფა III-ის (1757 - 1774 წწ.) 2 ყურუში.

7. 1900-იან წწ-ში ბათუმში ამიერკავკასიის რკინიგზის მეოთხე კოლომეტრზე აღმოჩნდა თიხის ქილა 106 ოსმალური ვერცხლის მონეტით. განძის მონეტები გადაეცა ოდესის ისტორიისა და სიძველეების საზოგადოებას. კომპლექსი შეიცავდა აბდულ ჰამიდ I-ის (1774 - 1789 წწ.) და სელიმ III-ის (1789 - 1807 წწ.) მონეტებს.

8. 1958 წ. ლანჩხუთის რ-ნის სოფ. ჭანჭათში საკარმიდამო ნაკვეთში მიწის დამუშავების დროს აღმოჩნდა თიხის კოჭობი, რომელშიც მოთავსებული იყო XVIII ს-ის ოსმალური და ევროპული ვერცხლის მონეტები. განძის შემადგენლობა ასეთია: 1.

პოლონეთის მეფის სიგიზმუნდ III-ის (1587 - 1632 წწ.) 2 ორტა, მოჭრილი 1622 - 1623 წწ., აჰმედ III-ის 24 ახჩა და მაჰმუდ I-ის (1730 - 1757 წწ.) – 58.

მ. ანთაძის დასკვნით, ჭანჭათის განძის მონეტები მეტად ერთფეროვანია. მოჭარბებულად გვხვდება მცირე ნომინალი – ახჩა. განძი XVIII ს-ის მეორე ნახევარშია ჩაფლული.

9. XVIII ს. არის დათარიღებული 1949 წ. თერჯოლის მიდამოებში ნაპოვნი ოსმალური მონეტების განძი, რომლის შემადგენლობაშია: 1. მაჰმუდ I-ის სახელით ჰიჯრ. 1143 (1730 - 1731 წწ.) წ. მოჭრილი 2 ახჩა; 2. მუსტაფა III-ის სახელით ჰიჯრ. 1171 (1757 - 1758 წწ.) წელს მოჭრილი 2 ახჩა; 3. აბდულ ჰამიდ I-ის მიერ ჰიჯრ. 1187 (1774 წ.) წ. მოჭრილი ახჩა. განძის ჩამარხვის სავარაუდო თარიღად XVIII ს-ის მიწურული უნდა მივიჩნიოთ.

10. 1950-იან წწ-ში მახარაძის (ოზურგეთის) რ-ნის სოფ. ლიხაურში აღმოჩნდა მოზრდილი განძი, რომელიც შედგება აჰმედ III-ის (1703 - 1730 წწ.), მაჰმუდ I-ის (1730 - 1754 წწ.), ოსმან III (1754 - 1757 წწ.), მუსტაფა III-ის (1757 - 1774 წწ.) და აბდულ ჰამიდის (1774 - 1789 წწ.) 362 მონეტისაგან (კომპლექსი დაცულია ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში). მ. ანთაძის მიხედვით, განძის მონეტები სულთნების მიხედვით ასე ნაწილდება:

I ჯგუფი: აჰმედ III-ის მონეტა განძში 10 ცალია, აქედან 7 მოჭრილია კონსტანტინოპოლში, 3 – მისრში, ნომინალი – ფარა.

II – სულთან მაჰმუდ I-ის სახელით მოჭრილი მონეტები განძში 47 ცალია. აქედან 19 მოჭრილია მისრში, 27 – კონსტანტინოპოლში, 1 – გაცვეთილია. ნომინალი – ფარა.

III – ოსმან III – 5 ც., 4 მოჭრილია კონსტანტინოპოლში, 1 – მისრში. ფარა.

IV – სულთან მუსტაფა III-ის მონეტები განძში საკმაოდ ბევრია. აქედან 54 მოჭრილია ისლამბულში. 15 მონეტაზე არაფერი შეიმჩნევა მათი გაცვეთის გამო. რაც შეეხება მისრში მოჭრილ მონეტათა რაოდენობას, ისინი 59 ცალით არის წარმოდგენილი. ნომინალი – ფარა.

V – სულთან აბდულ-ჰამიდის სახელით მოჭრილი მონეტები ლიხაურის განძში 143 ცალია. აქედან კონსტანტინოპოლის ზარაფხანას 74 მონეტა მიეკუთვნება, 62 მისრშია გამოშვებული, ხოლო 7 ცალზე ზარაფხანა არ იკითხება. ნომინალი – ფარა.

განძი, როგორც ჩანს, XVIII ს-ის 80-იან წწ-შია ჩამარხული.

11. XVIII ს-ის ბოლო წლებს განეკუთვნება ახალქალაქის რაიონში „ამირანის გორაზე“ ნაპოვნი ოსმალური მონეტების განძი. კომპლექსი შემთხვევით აღმოჩნდა მიწის სამუშაოების დროს თიხის ქილაში. მონეტები დაიტაცეს, მპოვნელს წილად 24 ცალი შეხვედრია და ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მიუტანია. განძის შესწავლის დროს მ. ანთაძემ გამოარკვია, რომ ბორჯომის მუზეუმს 10 მონეტა რიგის მუზეუმისათვის გადაუცია საჩუქრის (?!) სახით. დანარჩენი 14 მონეტა ეკუთვნის ოსმალეთის სულთან მუსტაფა III-ს და აბდულ ჰამიდ I-ს. მონეტები მოჭრილია კონსტანტინოპოლის და ისლამბულის ზარაფხანებში. ნომინალი – ყურუში.

12. XVIII ს-ის 70-80-იანი წწ. თარიღდება გომის განძი, რომელიც აღმოჩნდა ოზურგეთის რ-ნის სოფ. გომში, 1948 წ. განძი შეიცავს 49 ვერცხლის მონეტას. აქედან 19 ცალი ინახება ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. განძის მონეტები ეკუთვნის სულთან აბდულ ჰამიდ I-ს. ნომინალების მიხედვით, თითქმის ერთგვაროვანია, გვხვდება ერთი ბეშლიქი, დანარჩენი ყურუშებია. ყველა ეგზემპლარი მოჭრილია კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში.

13. XVIII ს. პირველი ნახევრით თარიღდება ზღუდერის 6 მონეტა, აღმოჩენილი 1959 წ. მდ. ძამას ხეობაში, ორთუბნის ციხესთან არხის გაყვანის დროს. ამჟამად დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ საცავში (გ.ფ. №№ 11461-11466). მონეტები ეკუთვნის: 1. აჰმედ III-ს – 2 ცალი: ერთი ონლიქი, მოჭრილი თბილისში ჰიჯრ. 1115 წ. (1703-1704 წწ.) და 1 ახჩა მოჭრილი იმავე წელს კონსტანტინოპოლში; 2. მაჰმუდ I-ს – 4 მონეტა. აქედან ორი ონლიქი, მოჭრილი თბილისსა და განჯაში, ჰიჯრ. 1143 წ. (1730-1731 წწ.). ერთი – ბეშლიქი, მოჭრილი თბილისში იმავე თარიღით და ერთი ახჩა მოჭრილი მისრში იმავ წელს.

14. 1975 წ. სოფ. მანდაეთში (ჭიათურის რ-ნი), ე.წ. „ცხევარის ღელის“ ნაპირზე მიწის დამუშავების დროს ნაპოვნია ვერცხლის მონეტები. მპოვნელებმა განძი გადაინაწილეს. დიდი მეცადინეობით შეგროვდა 270 ცალი; 205 ც. გადაეცა ჭიათურის მუზეუმს, 35 – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, 30 – ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული. განძის ყველა მონეტა, ერთის გამოკლებით, ოსმალურია და მოჭრილია ოსმალთა შემდეგი სულთნების სახელით: 1. აჰმედ III, 2. მაჰმუდ I, 3. ოსმან III, 4. მუსტაფა III, 5. აბდულ ჰამიდ I, 6. სელიმ III (1789 - 1807 წწ.). განძში ერთი „სირმა-ვერცხლიც“ ურევია, რომელიც ჰიჯ. 1203 წლით არის (1788 - 1789 წწ.) დათარიღებული.

განძის მონეტები გამოშვებულია შემდეგ ზარაფხანებში: კონსტანტინოპოლი, მისრი, ისლამბული და თბილისი. კომპლექსის შემადგენლობაში ორი ნომინალია: ფარა და ყურუში.

განძის ქრონოლოგიური დიაპაზონი 88 წელია. ჰიჯრ. 1115 - 1203 წლებს (1703/4 - 1788/9 წწ.) შორის. განძის ჩამარხვის სავარაუდო თარიღი XVIII ს-ის მიწურულია.

15. 1831 წ. ილორის ეკლესიასთან (ოჩამჩირეს რ-ნი) აღმოჩნდა XVII - XIX სს. ოსმალური ახჩების განძი. მისი ნაწილი აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა.

16. 1963 წ. თელავის რ-ნის სოფ. ფშაველში მიწის დამუშავების დროს იპოვეს ქოცო, რომელშიც მოთავსებული იყო პატარა სურა მონეტებით, მათ შორის 4 ოსმალური ფულიც ერია. როგორც № 15 შემთხვევაში, ისე აქაც, რა მონეტები იყო ისინი, ლიტერატურაში მითითებული არ არის.

17. 1967 წ. 23 დეკემბერს მოსკოვის პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმში მიუტანიათ 336 ცალი დაბალი ხარისხის ოსმალური მონეტა, ნაპოვნი აფხაზეთში, კონკრეტულად რა მონეტებისაგან შედგებოდა ეს კომპლექსი, უცნობია.

18. 1876 წ. ზუგდიდის რ-ნის სოფ. ცხემის ეკლესიის მიდამოებში იპოვეს განძი, რომელიც 400 ოსმალურ მონეტასთან ერთად (რა მონეტები იყო კონკრეტულად, მითითებული არ არის) 115 კირმანეულს შეიცავდა.

19. 1940-იან წლებში წულუკიძის (ხონის) რაიონის სოფ. ქუტირის მიდამოებში იპოვეს დაბალი ხარისხის ვერცხლის წვრილი ფულის განძი, რომელიც, მ. ანთაძის განცხადებით, 1949 წ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა და ის უთითებს გ.ფ. №№ 5391-5393 (იხ. მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV - XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 81, სქ. 63), მხოლოდ 2 მონეტა?!

20. 1960 წ. ახალციხის ძველ ნაწილში სახლის მშენებლობის დროს იპოვეს თიხის ჭურჭელი ვერცხლის მონეტებით. განძის შემადგენლობაში აღმოჩნდა 1620 - 1626 წწ. 3 ც. ავსტრიული ტალერი, XVI ს-ის დასასრულის და XVIII ს-ის დასაწყისის სამოცამდე ესპანური პესო და ოსმალეთის სულთან აჰმედ III-ის წწ. 6 ონლიქი.

საქართველოში აღმოჩენილი XVII - XVIII საუკუნეების ირანული მონეტების განძები. ა) XVII - XVIII სს-ის ვერცხლის მონეტების განძები:

1. 1909 წ. ამბროლაურის მახლობლად აღმოჩნდა ვერცხლის ნივთების და მონეტების დიდი განძი. მონეტების რაოდენობა შეადგენდა 2287 ცალს, რომელთა შორის 948 იყო დიდი ზომის, 124 – საშუალო და 1215 – მცირე, საერთო წონით 10.9 კგ. მონეტების ნაწილი ქუთაისის სამხედრო კანცელარიიდან გადაეცა ერმიტაჟს, ნაწილი დაუბრუნდა მპოვნელს. 1910 წ. ე. პახომოვმა ხსენებულ კანცელარიაში გადაათვალიერა ეს კომპლექსი და დაადგინა, რომ ის შედგებოდა ამიერკავკასიის და ირანის ზარაფხანებში მოჭრილი შაჰ-აბას I-ის მძიმე აბაზიანებისაგან, მათ შორის დიდი რაოდენობით ყოფილა თბილისში გამოშვებული ცალები. საშუალო ზომის მონეტები წარმოადგენდა ტრაპიზონის მონეტების ქართულ მინაბაძებს – კირმანეულებს. მცირე ზომის მონეტები იყო წაგრძელებული ფორმის, დამახინჯებული არაბული ზედწერილით, ერთზე იკითხებოდა მუსლიმური რწმენის სიმბოლო.

ერმიტაჟის ნუმიზმატიკური საცავის შემადგენლობაში შესული ამ განძიდან მომდინარე 15 მონეტა გამოაქვეყნა ი. დობროვოლსკიმ 1977 წ. (იხ. И. Г. Добровольский. Клад из села Амбролаури. «Нумизматический сборник», посвященный памяти Д. Г. Капанадзе. Тб. 1977, გვ. 131-134). ე. პახომოვის ინფორმაციით, 1930 წ. იმავე ამბროლაურის მახლობლად, სპილენძის ქოთანში მოთავსებული კიდევ ერთი განძი იპოვეს, რომელიც, მისი აზრით, ადრე აღმოჩენილი განძის ნაწილია. გარდა ამისა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცული 21 ვერცხლის მონეტისაგან შემდგარი კომპლექსი, ასევე ევ. პახომოვის ვარაუდით, ისევ და ისევ ამბროლაურის განძის ნაწილი უნდა იყოს.

ამრიგად, ასკვნის თ. ქუთელია, ამბროლაურის დიდი განძის შემადგენლობიდან (ან იმავე პუნქტში აღმოჩენილი ორი სხვადასხვა კომპლექსიდან) დღემდე შემორჩენილია 31 მონეტა: 6 ცალი კირმანეული, 12 – აბაზიანი და 13 მცირე ზომის მონეტა.

ყველა კირმანეული გვიანდელია და გახვრეტილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ განძის დაფლობის დროს ისინი არ იყო მიმოქცევაში.

აბაზიანები მოჭრილია შაჰ აბას I-ის სახელით, ზარაფხანა იკითხება ექვს მათგანზე (ზაგემი, თბილისი, თავრიზი). თარიღი არც ერთ მათგანზე არ ფიქსირდება, მაგრამ თ. ქუთელიას მიაჩნია, რომ ისინი 1617 წ-მდე იჭრებოდა.

მოგრძო ფორმის მესამე ჯგუფის მონეტები ჰგავს თაჰმასპ I-ის ვერცხლის ბისტს და, როგორც ჩანს, XVI ს-ით თარიღდება.

განძი XVII-ის დასაწყისში უნდა იყოს ჩამარხული.

2. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის განძების ფონდში (№№ 3571-3606) დაცულია 36 ვერცხლის აბაზიანი ნაპოვნი რაჭაში, აღმოჩენის თარიღის მითითების გარეშე. დ. კაპანაძეს საინვენტარო დავთარში მიუწერია, რომ ეს მონეტები ამბროლაურის განძის ნაწილია, რასაც თ. ქუთელია ეთანხმება.

ამ განძის 36 მძიმე წონის მონეტა შაჰ აბას I-ის სახელითაა მოჭრილი. მხოლოდ ერთ მათგანზე იკითხება თარიღი 1020 წ. ჰიჯ. (1611 - 1612 წწ.). ზარაფხანებია: არდებილი, ერევანი, ზაგემი, ორდუ, რეშტი, თბილისი, თავრიზი, მაკსი.

თ. ქუთელიას აზრით, კომპლექსი მიეკუთვნება XVII ს-ის მეორე ათწლეულს.

3. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აღმოსავლური მონეტების ფონდში (№№ 5042-5206) ინახება 165 ვერცხლის წვრილი, მოგრძო ფორმის მონეტა. მიუხედავად იმისა, რომ ეს „კომპლექსი“ უპასპორტოა, თ. ლომოურს ის ამბროლაურის განძის ნაწილად მიაჩნდა. თ. ქუთელია ამ ვარაუდს იზიარებს.

ე. პახომოვი თვლიდა, რომ ეს მოგრძო ფორმის მონეტები მიეკუთვნება «к последним годам правления Тахмасба I». მას ასევე მიაჩნდა, რომ «они могли выпускатся на монетных дворах Западной Грузии». ავტორი მათ მიიჩნევდა თაჰმასპ I-ის მონეტების იმიტაციებად. თ. ლომოურმა და თ. ქუთელიამ ზოგიერთ მათგანზე ამოიკითხეს თარიღი, რაც თაჰმასპ I-ის მმართველობის ხანაზე მიუთითებს.

თ. ქუთელიას მიაჩნია, რომ ამ „განძის“ დაფლობის თარიღად შეიძლება ვივარაუდოთ XVI ს-ის დასასრული, ხოლო თუ ის ამბროლაურის განძის ნაწილია, XVII ს-ის დასაწყისი.

4. 1970 წ. ზაგემის ნაქალაქარის ტერიტორიაზე (ზაქათალას რ-ნი, სოფ. ალიაბადი), მიწის სამუშაოების დროს, აღმოჩნდა თიხის პატარა ქოთანი, სავსე ვერცხლის მონეტებით. მონეტები რამდენიმე წყებად შემოვიდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში – სულ 196 ცალი (გ.ფ. №№ 13550-13556, 13361-13549). საერთო რაოდენობიდან 168 აბაზიანია, 23 – მაჰმუდი და 5 შაჰი. ყველა მათგანი მოჭრილია შაჰ აბას I-ის სახელით შემდეგ ზარაფხანებში: არდებილი (2 ც.), განჯა (16), დაურაკი (1), ერევანი (24), ზაგემი (8), ორდუ (1), რამჰორმიზდი (1), რეშტი (1), თავრიზი (34), თბილისი (2), თეირანი (1), ჰუვეიზა (4), შუშტერი (1).

განძის გვიანდელი მონეტა მოჭრილია ჰიჯრ. 1023 წ. (1614 - 1615 წწ.), ამის მიხედვით, განძი ჩამარხული უნდა იყოს XVII ს-ის მეორე ათწლეულში.

5. 1895 წ. 12 აგვისტოს სოფ. ჭიკაანში (ყვარლის რ-ნი) აღმოჩნდა 179 ვერცხლის მონეტისაგან შემდგარი განძი, რომელიც გადაეგზავნა იმპერატორის არქეოლოგიურ კომისიას. მათი ატრიბუცია ეკუთვნის ა. კ. მარკოვს, რომლის თანახმადაც, 17

ეგზემპლარი იყო ტიროლის ტალერები (15 – ერცჰერცოგ ფერდინანდის, უთარიღო, 2 – იმპერატორ რუდოლფ II-ისა (1603, 1604 წწ.), დანარჩენი 162 მიეკუთვნებოდა სეფიანებს; ზარაფხანები – არდებილი, ჰიჯრ. 1012 წ. (1603 - 1604 წწ.) – 1 ც., ორდუ, ჰიჯრ. 1020 წ. (1611 - 1612 წწ.) – 10 ც., ორდუ, თარიღი არ იკითხება – 3 ც., ერევანი, თარიღი არ იკითხება – 1 ც., თავრიზი, 1018 წ. (1609 - 1610 წწ.) – 1 ც., თავრიზი, 1019 წ. (1610 - 1611 წწ.) – 3 ც., თავრიზი, თარიღი არ იკითხება – 2 ც., თბილისი, თარიღი (?) – 3 ც., რემი, 1011 წ. (1602 - 1603 წწ.) – 6 ც., იგივე ზარაფხანა, წელი არ იკითხება – 20 ც., ყაზვინი, თარიღი (?) – 1 ც., განჯა, 1018 წ. (1609 - 1610 წწ.) – 1 ც., განჯა, უთარიღო – 3 ც., ნახჩევანი, თარიღი (?) – 1 ც.; 106 მონეტაზე, ა. მარკოვის ცნობით, ზარაფხანა და წელი არ იკითხებოდა.

იმავე ადგილას 1896 წ. გაზაფხულზე კიდევ იპოვეს 10 ტალერი და 42 მონეტა, მოჭრილი ირანის სეფიანი შაჰების სახელით. მონეტები გადაადნეს.

ე. პახომოვის განსაზღვრით, განძის ყველაზე ადრეული მონეტა ჰიჯრ. 1011 წ. (1602 - 1603 წწ.) თარიღდება, გვიანდელი – ჰიჯრ. 1020 წ. (1611 - 1612 წწ.). აქედან გამომდინარე, განძის ჩამარხვა XVII ს-ის პირველ ნახევარში არის სავარაუდო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იმ მონეტებზე, სადაც ა. მარკოვი ზარაფხანის სახელად რემს კითხულობდა, თ. ქუთელიამ ზაგემი ამოიკითხა.

6. 1967 წ. სოფ. ბირკიანში (ახმეტის რ-ნი) შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ქოთანში მოთავსებული 21 ვერცხლის მონეტა. კომპლექსი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

განძი შეიცავს 13 აბაზიანს, 6 მაჰმუდს და 2 შაჰს. მოჭრილია სეფი I-ის (1629 - 1642 წწ.) – 11 ც., და აბასს II-ის (1642 - 1667 წწ.) – 10 ც., სახელით. თბილისის ზარაფხანაში გამოშვებულია 10 ცალი, ზაგემში – 2, განჯაში – 1, ხუვეიზში – 1. 7 მონეტაზე ზარაფხანის სახელი არ იკითხება. განძი გვიანდელი მონეტის მიხედვით (1643 - 1649 წწ.) დამარხულია XVII ს-ის შუა ხანებში.

ამ განძის შემადგენლობა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ აშკარაა თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტების უპირატესობა აღმოსავლეთ საქართველოს ფულად მიმოქცევაში.

7. 1940 წ. სოფ. ნორიოში (გარდაბნის რ-ნი) აღმოჩენილი ვერცხლის მონეტების განძი, წონით 1800 გრ., დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. თავდაპირველად აირჩა კომპლექსის კარგად შემონახული მონეტები 215 ცალის რაოდენობით და გატარდა სათანადო დავთარში (გ.ფ. №№ 2266-2480). 280 ერთეული კი ინახებოდა ცალკე კოლოფში. მოგვიანებით, მათი ინვენტარიზაცია მოახდინა თ. ქუთელიამ (გ.ფ. №№ 13081-13360). ამრიგად, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში 495 მონეტა არის დაცული. მათგან აბსოლუტური უმრავლესობა სულეიმან I-ს (1077 - 1105 წწ. = 1667 - 1694 წწ.) ეკუთვნის, 2 – აბას II-ს, და 1 – თაჰმასპ I-ს. ეს უკანასკნელი მონეტა განძის შემადგენლობაში, როგორც ჩანს, შემთხვევით მოხვდა და სავსებით შესაძლებელია მისი იგნორირება.

კომპლექსის ყველაზე ადრეული მონეტა მოჭრილია აბას II-ის სახელით, ხოლო გვიანდელი – 1098 წ. (1686-1687 წწ.). თარიღი იკითხება მხოლოდ 163 მონეტაზე,

ზარაფხანის სახელი – 242 ცალზე. **მათი უმრავლესობა – 222 ც. გამოშვებულია თბილისის ზარაფხანაში,** 11 – განჯაში, 4 – ჰუვეიზაში, 3 – ერევანში და თითო-თითო ცალი – ყაზვინსა და შემახიაში. 253 მონეტაზე ზარაფხანა არ იკითხება, მაგრამ მათი წონისა და გარეგნული ნიშნების მიხედვით, თ. ქუთელია ვარაუდობს, რომ უმრავლესობა თბილისის ზარაფხანას მიეკუთვნება. მისი დასკვნით, აღმოსავლეთ საქართველოს შიდა ბაზრის მოთხოვნას თბილისის სამონეტო კარი აკმაყოფილებდა.

განძის შემადგენლობაში ოთხი ნომინალი შედის: აბაზი, მაჰმუდი, შაჰი და ბისტი. განძში სულ **130 აბაზია**, აქედან 82 მოჭრილია თბილისში, 5 – განჯაში, 2 – ერევანში და თითო-თითო ცალი შემახასა და ყაზვინში. 39 აბაზიანზე ზარაფხანა არ იკითხება. **მაჰმუდი** კომპლექსში 169 ცალია, 88 მოჭრილია თბილისში, 3 – განჯაში, 1 – ერევანში, 4 – ჰუვეიზაში, 73-ზე მოჭრის ადგილი არ იკითხება. **შაჰი** განძში 195 ცალია, 52 მოჭრილია თბილისში, 2 – განჯაში, 141-ზე ზარაფხანა არ იკითხება. კომპლექსში შემადგენლობაში შემავალი ერთადერთი **ბისტი** განჯაშია გამოშვებული.

განძის შემადგენლობაში ძირითადად კონცენტრირებულია ჰიჯრ. 1086 - 1095 წწ. (1675 - 1683 წწ.) მოჭრილი მონეტები, რაც ემთხვევა ქართლში გიორგი XI-ის მეფობის პერიოდს (1676 - 1688 წწ.). განძის ჩამარხვა უნდა მომხდარიყო 1098 წ. (1686 - 1687 წწ.) შემდეგ.

8. 1895 წ. ქუთაისში აღმოჩნდა განძი, რომელიც შედგებოდა XVI - XVII სს. ოსმალური და ირანული ვერცხლის მონეტების და კირმანეულებისაგან, სულ 500 ცალი. ე. პახომოვის ცნობით, განძი დასაცავად კავკასიის მუზეუმს გადაეცა.

9. ბათუმის მიდამოებში, სამების მთის მწვერვალზე მდებარე ძველი ეკლესიის მახლობლად, 1913 წ. იპოვეს XVII ს-ის ოსმალური და ირანული ვერცხლის წვრილი მონეტები, საერთო რიცხვით, 537 ც. მათ შორის იყო შაჰ სულეიმან I-ის სახელით მოჭრილი 4 მაჰმუდი და 1 შაჰი. ერთ-ერთ მაჰმუდზე იკითხებოდა ზარაფხანის სახელი თბილისი და თარიღი ჰიჯრ. 1098 წ. (= 1686 - 1687 წწ.).

10. 1830 - 1835 წწ-ში თბილისი გუბერნიის ყაზახის ოლქში სოფ. სალოღლიში აღმოჩნდა განძი 20 ვერცხლის ოსმალური და ირანულ მონეტისაგან. აქედან 7 აბაზიანი მოჭრილია თბილისში, ერევანს და თავრიზში 1712 - 1716 წწ. და 13 ონლიქი სულთან აჰმედ III-ისა (1703 - 1730 წწ.) გამოშვებული იმავე ქალაქებში. განძი გადაეცა აზიურ მუზეუმს სანკტ-პეტერბურგში.

11. 1929 თუ 1930 წწ. თბილისში გოგირდის აბანოების მიდამოებში იპოვეს ვერცხლის მონეტების დიდი განძი. აქედან 15 მონეტა ნახა დ. კაპანაძემ. მისი ცნობით, ყველა მათგანი მიეკუთვნებოდა თბილისის ზარაფხანას და მოჭრილი იყო ჰუსეინ I-ის სახელით ჰიჯრ. 1130 წ. (= 1717 - 1718 წწ.) და ნადირ შაჰის მიერ ჰიჯრ. 1150 და 1151 წწ-ში (1737 - 39 წწ.).

ცალკეულად აღმოჩენილი ირანული მონეტების სიას ჩვენ შეგნებულად არ ვიძლევით, რადგან ისინი პრინციპულად არაფერს ცვლის. ყოველ შემთხვევაში, მივუთითებთ, რომ მათი რეესტრი გამოქვეყნებულია თ. ქუთელიას უკვე მრავალჯერ მოხსენიებულ მონოგრაფიაში (იხ. Т. С. Кутелия. Грузия и сефевидский Иран, გვ. 95-99).

ბ) XVIII საუკუნის დასაწყისის სპილეძის მონეტების განძები. როგორც უკვე იყო აღნიშნული, XVII - XVIII სს-ის სპილენძის მონეტების განძების აღმოჩენები სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ძალიან იშვიათია. ე. პახომოვს თავის სერიაში, „Монетные клады . . .“. I-IX. Баку. 1926-1966, არ აქვს დაფიქსირებული ამიერკავკასიაში შესაბამისი პერიოდის სპილენძის მონეტების განძების პოვნის ერთი შემთხვევაც კი. ასეთ ვითარებაში, თ. ქუთელიას განცხადებით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აღმოსავლეთ საქართველოში ოთხი **დიდი (?** – გ. დ., თ. დ.) განძის აღმოჩენა (Т. С. Кутелия. Грузия и сефевидский Иран, გვ. 101). მათი სია ასე გამოიყურება:

1. 1959 წ. სოფ. ყანდაურაში (გურჯაანის რ-ნი), საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავების დროს, შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ქოთანი, რომელშიც შალის მოქსოვილ წინდაში ჩაყრილი იყო სპილენძის მონეტები 164 ცალის რაოდენობით. აქედან 30 გატარებულია განძების ფონდის დავთარში №№ 11290-11319, 134 იქვეა დაცული და 1979 წლისთვის ჯერ კიდევ არ იყო ინვენტარიზებული.

თ. ქუთელიას მიხედვით, განძი შედგება ორმაგი ფულისგან (ნახევარბისთისგან), მოჭრილი თბილისში ჰიჯრ. 1112 წელს = 1700 - 1701 წწ. (5 ეგზემპლარი), 1114 წ. (4), 1120 წ. (10), 1124 წ. (45); დანარჩენი 100 ცალი მოჭრილია ჰიჯრ. 1130 - 1131 წწ. (= 1717/18-1718/19 წწ.) ბაქარის სახელით. განძი ჩამარხულია 1719 წ. შემდეგ.

2. 1962 წ. გორის რ-ნის სოფ. ატენში შემთხვევით აღმოჩნდა 25 სპილენძის მონეტა. ამჟამად დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, გ.ფ. №№ 11582-11606. 25 მონეტისგან შემდგარ განძს ძნელია (თუ შეუძლებელი არა) „დიდი“ ვუწოდოთ. განძი შედგება თბილისში მოჭრილი ორმაგი ფულისგან, რომელთა ემისიის წლებია: ჰიჯრ. 1112 წ. = 1700 - 1701 წწ. (1 ცალი), 1114 წ. (1), 1120 წ. (3), 1124 წ. (6), 1130 - 31 წწ. = 1717/18 - 1718/19 წწ. (14). განძი ყანდაურას კომპლექსის სინქრონულად უნდა ჩამარხულიყო.

3. 1963 წელს სოფ. დისევში (ზნაურის რ-ნი), საკარმიდამო მიწის დამუშავების დროს, აღმოჩნდა სპილენძის მონეტების განძი, 60 ცალი, დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (გ.ფ. №№ 11215-11274). ასევე არ ჩაითვლება „დიდად“ 60 მონეტისაგან შემდგარი განძი. განძი შეიცავს თბილისში გამოშვებულ ორმაგ ფულს, რომლებიც მოჭრილია ჰიჯრ. 1114 წ. = 1702 - 1703 წწ. (9 ც.), 1120 წ. (6), 1124 წ. (20) და 1130 წ. = 1717 - 1718 წწ. (25). განძი, როგორც ჩანს, დამარხულია 1718 წ., ჰიჯრ. 1131 წ. (1719 წ.) ემისიამდე, რომელიც ჭარბობს ატენის და ყანდაურას განძებში.

4. 1939 წ. სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟში დასაცავად შევიდა 60 სპილენძის მონეტა. ერმიტაჟის თანამშრომლის ი. დობროვოლსკის აზრით, ეს მონეტები განძი უნდა იყოს და ამიერკავკასიიდან მომდინარეობდეს. კომპლექსი (?) შედგება XVIII ს-ში თბილისში მოჭრილი მონეტებისგან. ყველაზე ადრეული მათ შორის მოჭრილია ჰიჯრ. 1114 წ. (1702 - 1703 წწ.), გვიანდელი – 1179 წ. (1765 - 1766 წწ.). განძი XVIII ს-ის მესამე მეოთხედში უნდა იყოს ჩამარხული, სამწუხაროდ, ამ განძის წარმომავლობის დადგენა, შეუძლებელია.

5. ხაშურის რაიონის სოფ. წაღვლში დ. კაპანაძემ იპოვა სპილენძის მოკალული ქვაბი, რომელშიც 22 მონეტა იყო. ამჟამად განძი დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. განძი შედგება ორმაგი ფულისგან, რომელთა ემისიის წლებია: ჰიჯრ. 1112 წ. (1700 - 1701 წწ.) – 1 ცალი, 1120 წ. (1708 - 1709 წწ.) – 1, 1124 წ. (1712 წ.) – 5, 1130 წ. (1717 - 1718 წწ.) – 7, 1131 წ. (1718 - 1719 წწ.) – 4, და ფულისგან, დათარიღებული 1124 წ. – 2, 1130 - 1131 წწ. – 2; განძი 1719 წ. შემდეგ არის ჩამარხული.

როგორც დავრწმუნდით, არც ერთი განძი, სოფ. ყანდაურაში ნაპოვნი კომპლექსის გარდა (ისიც, გარკვეული პირობით), არ შეიძლება ჩაითვალოს „დიდ“ განძებად. თუ ჩვენ 25, ან 60 მონეტისგან შემდგარ სამონეტო კომპლექსს „დიდად“ მივიჩნევთ, მაშინ, რა ვუწოდოთ ამბროლაურის, ან თუნდაც ნორიოს განძს?!

საქართველოში აღმოჩენილი XVII - XVIII საუკუნეების ევროპული მონეტების სია. ვინაიდან XVII - XVIII სს. ევროპული მონეტების განძების აღმოჩენის შემთხვევები საქართველოში არც თუ ისე ხშირია, ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში, მათი სრული შემადგენლობაც კი ჩვენთვის უცნობია, ამიტომ, საერთო სურათის რეკონსტრუქციის მიზნით, ვიძლევით ცალკეულად ნაპოვნი მონეტების ჩამონათვალსაც. რ. ქებულაძის განცხადებით, ცალკეული ცალების და განძების სახით, საქართველოს ტერიტორიაზე ევროპულ მონეტათა აღმოჩენის 28 შემთხვევა არის ფიქსირებული:

1. 1953 წ. მახარაძეში (ამჟამად ოზურგეთი) საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე იპოვეს 414 ვერცხლის ევროპული მონეტა, საერთო წონით 8.5 კგ. მონეტები ჩაყრილი იყო სპილენძის ჭურჭელში. განძის 270 მონეტა გადაეცა საქართველოს სახ. მუზეუმს, ხოლო 144 ც. – ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. მოხსენიებული განძი შემადგენლობის მხრივ სამ ნაწილად იყოფა. შედგება ავსტრიული, იტალიური და ესპანური მონეტებისაგან. ტალერების ძირითად ნაწილს შეადგენს ავსტრიის ერცჰერცოგების, ფერდინანდის (1564 - 1595 წწ.), მაქსიმილიანის (1612 - 1618 წწ.), ლეოპოლდის (1619 - 1632 წწ.) და გერმანიის იმპერატორების, რუდოლფ II-ის (1576 - 1612 წწ.) და ფერდინანდ II-ის (1619 - 1637 წწ.) სახელით ჰალეს, ენსისჰაიმის, გრაცის და კლემენფურტის ზარაფხანებში მოჭრილი მონეტები. იტალიური ტალერები, ანუ დუკატო და ტალეროები პასკუალე ჩიკონიის (1585 - 1595 წწ.), ფერდინანდ I (1587 - 1608 წწ.), კოზიმო II (1608 - 1621 წწ.) და ფერდინანდ II (1621 - 1670 წწ.) მედიჩების სახელით არის გამოშვებული. ესპანური მონეტები ფილიპე II-ს (1556 - 1598 წწ.), ფილიპე III-ს (1598 - 1621 წწ.) და ფილიპე IV-ს (1621 - 1665 წწ.) ეკუთვნის და როგორც საკუთრივ ესპანეთის, ისე ამერიკაში მისი კოლონიების ზარაფხანებშია მოჭრილი. განძის ადრეული მონეტა ერცჰერცოგ ფერდინანდის ტალერი 1564 - 1595 წწ-ში არის მოჭრილი, ხოლო ყველაზე გვიანდელი, ფილიპე IV-ის პესო – 1628 წ. განძის ქრონოლოგიური ჩარჩოები 64 წლით განისაზღვრება. XVII საუკუნის 20-იანი წწ-ის შემდეგ უნდა ჩაემარხათ.

2. 1932 წ. ადიგენის რ-ნის სოფ. უდეში, ძველი ციხის ნანგრევებში, აღმოჩნდა 29 მონეტა. აქედან 28 ვერცხლისაა და ევროპულია, ხოლო 1 – ოსმალური ალთუნია.

განძის შემადგენლობა ასეთია: ავსტრია, ერცჰერცოგი ფერდინანდი (1564 - 1595 წწ.), ჰალეს ზარაფხანა – 2 ც., უნგრეთი, იმპერატორი რუდოლფ II (1576 - 1612 წწ.), კრემნიცის ზარაფხანა – 2 ც., ჰოლანდიის რესპუბლიკა, ზელანდიის პროვინცია, მიდელბურგის ზარაფხანა – 3 ც., ოვირისელის პროვინცია, მათე I (1612 - 1619 წწ.), კამპენის ზარაფხანა – 6 ც., ესპანეთი, მოჭრილი მექსიკისთვის, ფილიპე III (1598 - 1621 წწ.) – 15 ც.; ოსმალეთის სულთნის მურად III (1574 - 1595 წწ.) მიერ მისრის ზარაფხანაში მოჭრილი ალთუნი – 1 ც. განძის ყველაზე გვიანდელი მონეტის მიხედვით, მისი ჩამარხვა არ უნდა მომხდარიყო XVII საუკუნის 20-იან წწ. ადრე.

3. 1965 წ. საქართველოს სახ. მუზეუმში შემოვიდა აღმოსავლეთ საქართველოში ნაპოვნი XVI ს. დასასრულის და XVII ს. დასაწყისის ორი ჰოლანდიური ლევენდაალდერი. მონეტები მპოვნელებმა დააზიანეს.

4. 1904 წ. თბილისში, ხუდადოვის ტყეში, იპოვეს უნგრეთში იმპერატორ ფერდინანდ III-ის (1637 - 1657 წწ.) 1653 წ. მოჭრილი ტალერი.

5. XIX ს-ის 40-იან წწ. აფხაზეთში, სოფ. ბომბორის მახლობლად, აღმოჩნდა 1652 წ. ჰოლანდიური დაალდერი.

6. 1895 წ. სოფ. ჭიკაანის (ყვარლის რ-ნი) მახლობლად შემთხვევით მიაკვლიეს ვერცხლის მონეტების განძს, რომელიც 179 ცალს შეიცავდა. ისინი გადააგზავნეს სანკტ-პეტერბურგში, საიმპერატორო არქეოლოგიურ კომისიაში, სადაც განსაზღვრა ა. მარკოვმა. 17 ც. აღმოჩნდა ტიროლის ტალერები, 15 ც. – ერცჰერცოგ ფერდინანდის (უთარიღო), 2 ც. – იმპერატორ რუდოლფ II-ის (1603, 1604 წწ.). დანარჩენი 162 ეგზემპლარი ეკუთვნოდა ირანის სეფიანებს, მოჭრილია სხვადასხვა ზარაფხანებში (ამის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით სათანადო ადგილას). აქედან 106 მონეტაზე თარიღი არ იკითხება, ხოლო რომლებზედაც იკითხება, მათ შორის გვიანდელი მოჭრილია ჰიჯ. 1020 წ. (1611 - 1612 წწ.).

1896 წელს იმავე ადგილას უპოვიათ კიდევ 10 ტალერი და სეფიანთა 42 მონეტა, რომელიც მთლიანად ზარაფხანაში გაუგზავნიათ გადასადნობად.

განძის ჩამარხვის დროდ შეიძლება ვივარაუდოთ XVII ს-ის პირველი მეოთხედი.

7. XIX ს-ში საგარეჯოს რ-ნის სოფ. გომბორთან, მდ. იორზე ხიდის მშენებლობის დროს, იპოვეს ერცჰერცოგ ფერდინანდის უთარიღო ტალერი.

8. XX ს-ის 10-იან წწ-ში ოზურგეთის მაზრის სოფ. მელექედურში აღმოჩნდა XVII ს-ის ევროპული მონეტების განძი. მათ შორის ერთი მონეტა, ევ. პახომოვის განსაზღვრით, ესპანური პესო აღმოჩნდა.

9. 1942 - 1943 წწ-ში ქუთაისში იპოვეს ესპანური პესო (თარიღი უცნობია).

10. 1955 წ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ურთაში აღმოაჩინეს XVI - XVII სს. ესპანური პესოები.

11. 1959 წ. გეგეჭკორის (მარტვილის) რ-ნის სოფ. ლეხაინდრაოსთან იპოვეს XVII ს-ის ესპანური პესო.

12. 1964 წ. სოფ. წყნეთის საშუალო სკოლის მასწავლებლს ა. კეკელიას გადასცეს ამავე სოფელში აღმოჩენილი ერცჰერცოგ ფერდინანდის უთარიღო ტალერი.

13. 1960 წ. ახალციხის ძველ ნაწილში სახლის მშენებლობის დროს წააწყდნენ თიხის ჭურჭელს, ვერცხლის მონეტების განძით, რომელიც შეიცავდა 1620 - 1626 წწ. 3 ავსტრიულ ტალერს, XVI ს-ის დასასრულის და XVII ს-ის დასაწყისის სამოცამდე ესპანურ პესოს და ოსმალეთის სულთან აჰმედ III-ის (1703 - 1730 წწ.) 6 ონლიყს. განძის დამარხვა XVIII ს-ის 20-იანი წლების მიწურულს არის სავარაუდო. კომპლექსი დაცულია ახალციხის მხარეთმცოდნეობით მუზეუმში.

14. 1941 წ. ნოემბერში ქუთაისში, კათოლიკური ეკლესიის ეზოში, თხრილის გაყვანის დროს იპოვეს 21 ოქროს მონეტა. განძი შერეული ხასიათის არის და შეიცავს ვენეციურ დუკატებსა (8 ც.) და ოსმალურ ალთუნებს (13 ც.). ამის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით. დუკატები მოჭრილია შემდეგი დოჟების სახელით: ჯოვანი კორნელი (1709 - 1722 წწ.) – 4 ც., სებასტიანო მოჩენიგო (1722 - 1731 წწ.) – 2 ც. და კარლო რუცინო (1731 - 1735 წწ.) – 2 ც. ოსმალური ალთუნები ეკუთვნის სულთან აჰმედ III-ს (1703 - 1730 წწ.). განძი, ალბათ, XVIII ს-ის 30-იანი წწ. დასასრულს არის ჩამარხული.

15. 1965 წ. საგარეჯოს რ-ნის სოფ. პატარძეულში აღმოჩნდა 1752 წ. ჰოლანდიური დუკატი.

16. 1927 წ. სოხუმის რ-ნის სოფ. ნეიდროფში იპოვეს ალოიზი მიჩენიგოს (1763 - 1779 წწ.) დუკატები.

17. 1939 წ. დუშეთის რ-ნის სოფ. ანანურში, ძველი ციხის მთავარი კოშკის გასუფთავებისას, აღმოაჩინეს ჯოვანი კორნელის (1709 - 1722 წწ.) დუკატის ნატეხი.

ამის შემდეგ რ. ქებულაძე, რატომღაც, ცალკე იხილავს და ჩამოთვლის ევროპული ვერცხლის მონეტების მცირე ნომინალებს. მისი სიტყვებით, საქართველოში ოქროს დუკატების და ტალერული მონეტებს გარდა, ვერცხლის მცირე ნომინალებიც ყოფილა გავრცელებული, სახელდობრ, პოლონეთ-ლიტვის სამეფოს და ბრანდენბურგ-პრუსიის სახელმწიფოს **ორტები** და **პოლტორაკები**. უკანასკნელ პოლიტიკურ ერთეულში პოლტორაკები **დრაიპოლკერის** სახელწოდებით იყო ცნობილი (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV - XVIII საუკუნეებში, გვ. 111). მოგვყავს ამ მონეტების სია (ნუმერაციას ვაგრძელებთ):

18. 1954 წ. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ტერიტორიაზე, მიწის სამუშაოების დროს, იპოვეს ვერცხლის ევროპული მონეტები – 33 ცალი. განძი შედგება პოლონური (30 ც.) და ბრანდენბურგ-პრუსიული ორტებისგან. პოლონური მონეტები სიგიზმუნდ III-ის (1587 - 1632 წწ.) სახელით 1621 - 1626 წწ. მოჭრილი ბიდგოშის და გდანსკის ზარაფხანებში, ხოლო ბრანდენბურგ-პრუსიული – კურფიურსტის, გეორგ ვილჰელმის (1619 - 1640 წწ.) სახელით 1622 - 1624 წ. კროსენის ზარაფხანაში. განძის ქრონოლოგიური დიაპაზონი 5 წელია და მისი ჩამარხვა 1626 წ. შემდეგ უნდა მომხდარიყო.

19. 1955 წ. სამგორის რ-ნის სოფ. შინდისში, მიწის დამუშავების დროს, აღმოჩნდა 25 ვერცხლის მონეტაზე მეტი პოლონური ორტები. ამ განძიდან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოვიდა მხოლოდ 3 მონეტა, ყველა მათგანი

ეკუთვნის სიგიზმუნდ III (1587 - 1632 წწ.) და მოჭრილია 1623 წ. გდანსკში, 1624 წ. – ბიდგოშის ზარაფხანა, და 1625 წ. – გდანსკი.

20. 1942 წ. თბილისში, ყოფილი ტრამვაის პარკის ტერიტორიაზე, ლიანდაგის შეკეთების დროს იპოვეს ვერცხლის 22 ევროპული მონეტა. განძი შედგება პოლონური პოლტორაკების და ბრანდენბურგ-პრუსიული დრაიპოლკერებისგან. აქედან 19 ც. პოლონეთის მეფე სიგიზმუნდ III (1587 - 1632 წწ.) ეკუთვნის და მოჭრილია ბიდგოშის ზარაფხანაში, ხოლო 3 ც. – ბრანდენბურგ-პრუსიის მარკგრაფ გეორგ-ვილჰელმს (1619 - 1640 წწ.), მოჭრილია კროსენის ზარაფხანაში. განძი შეიძლება ჩაემარხათ XVII ს-ის მეორე ნახევარში.

21. 1958 წ. ლანჩხუთის რ-ნის სოფ. ჭანჭათში (და არა ჭალყათში, ამ საკითხის შესახებ იხ. მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV - XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 99) მიწის დამუშავების დროს აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი, რომელშიც იყო პოლონეთის მეფის სიგიზმუნდ III-ის (1587 - 1632 წწ.) ორი ორტა, მოჭრილი 1622 - 1623 წწ. ბიდგოშის ზარაფხანაში, ოსმალეთის სულთან აჰმედ II-ის (1691 - 1695 წწ.) 24 ახჩა და მაჰმუდ I-ის (1730 - 1757 წწ.) – 58 (ამ განძის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით). მ. ანთაძის დაკვირვებით, განძი გურიაში XVIII ს-ის მეორე ნახევარშია ჩაფლული.

22. 1895 წ. ახალციხის რ-ნის სოფ. წყორძაში იპოვეს ესპანური, ჰოლანდიური, ფრანგული, პოლონური და ტიროლური თითო მონეტა. თარიღები დაკონკრეტებული არ არის.

23. 1900-იან წწ. მახარაძის (ოზურგეთის) რ-ნის სოფ. ზედაუბნის მიდამოებში, მიწის ნაკვეთის დამუშავების დროს, მიაკვლიეს პოლონური მონეტების განძს. კონკრეტული ინფორმაცია ლიტერატურაში დაცული არ არის.

24. 1944 წ. წალენჯიხის რ-ნის სოფ. ჯაგირას მახლობლად, ჩამორეცხილი გზის პირას, იპოვეს პოლონური ვერცხლის მონეტა.

25. დაახლოებით 1945 - 1950 წწ. დასავლეთ საქართველოში აღმოუჩენიათ ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც მპოვნელებმა დაინაწილეს. ორი ცალი ამ კომპლექსიდან მოიტანეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ისინი ეკუთვნოდა სიგიზმუნდ III-ს და გეორგ ვილჰელმ ბრანდენბურგელს.

26. 1950 წ. გეგეჭკორის (მარტვილის) რ-ნის სოფ. ნოჯიხევში იპოვეს სიგიზმუნდ III-ის 1624 წ. ორტა.

27. 1956 წ. ახალციხის რ-ნის სოფ. თისელში იპოვეს სიგიზმუნდ III ორტა.

28. დაახლოებით 1960 - 1963 წწ. აბასთუმნის ტყეში, სახლის საძირკვლის გათხრის დროს, აღმოჩნდა პოლონური მონეტების განძი, რომელიც ახალციხის მხარეთმცოდნეობითმა მუზეუმმა შეიძინა. განძი შედგება 1622 - 1626 წწ. ბიდგოშის და გდანსკის ზარაფხანებში მოჭრილი ორტებისგან.

რ. ქებულაძის დასკვნით, ცალკეული ცალების და განძების სახით, საქართველოს მიწა-წყალზე ორტების ათი, ხოლო პოლტორაკების ერთი აღმოჩენის შემთხვევაა დღეისათვის ფიქსირებული. აქედან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში

მხოლოდ ოთხი განძი შემოვიდა (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV - XVIII საუკუნეებში, გვ. 111-112).

სამონეტო მიმოქცევა XVII - XVIII საუკუნეების საქართველოში. წინა პარაგრაფში ჩვენ ვრცლად მიმოვიხილეთ აღნიშნული პერიოდის ქართული მონეტები. ბუნებრივია, თავისთავად იგულისხმება მათი მეტ-ნაკლები ინტენსიურობით ცირკულაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ამიტომ მათ შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ძირითადი აქცენტი გადატანილი გვექნება შესაბამისი პერიოდის უცხოური მონეტების მიმოქცევაზე. ცალ-ცალკე შევეხებით ჩვენს ქვეყანაში ოსმალური, ირანული და ევროპული მონეტების ცირკულაციის საკითხებს, მათ როლს საქართველოს ეკონომიკის სფეროში, მათ ურთიერთმიმართებას და ა.შ.

მ. ანთაძის ვარაუდით, ოსმალური საფასის გავრცელება საქართველოში XVI საუკუნის დასაწყისიდან იწყება (მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV - XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 63). თუმცა ჩვენ ვთვლით, რომ ამ პროცესს XV ს-ში ჰქონდა ადგილი, ვინაიდან სინქრონულ ქართულ მონეტებს ოსმალური ნუმიზმატიკის გავლენა ემჩნევა. გარდა ამისა, XV ს-ის მიწურულს ჩამარხული გორის განძის შემადგენლობაში ოსმალური ახჩების მინაბაძებიც გვხვდება, რაც სრულებით აშკარას ხდის ორიგინალების ბრუნვასაც საქართველოში.

არსებული მასალით, ჩვენში XVI - XVII სს. ოსმალური მონეტების **მხოლოდ სამი დამოუკიდებელი განძი მოგვეპოვება** (მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV - XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 63). სხვა შემთხვევაში ისინი, როგორც წესი, გვხვდება შერეულ განძებში. ოსმალური ფულის ერთეულებიდან განძებში წარმოდგენილია ოქროს ალთუნები და ვერცხლის ახჩები.

მ. ანთაძის დასკვნით, საქართველოში მოძიებული ოსმალური მონეტები მოჭრილია **მისრის** (ეგვიპტე), **ჰილლას** (ერაყი), **ჰალების** (სირია), **ამიდის** (სანჯარის, ჩრდ. მესოპოტამია), **ხანჯას** (ტრაბზონის ვილაიეთი), **კონსტანტინოპოლის, ნოვარის** (სერბია), **სერეზის, სიდრე-კაპსას** (ქალკედონის ნ/კ) ზარაფხანებში.

ოსმალეთის სამხედრო-პოლიტიკურმა წარმატებებმა, რა თქმა უნდა, უდავოდ შეუწყო ხელი ამ იმპერიის მონეტების გავრცელების მზარდ ინტენსიფიკაციას.

ოსმალური მონეტები შერეულ განძებში გვხვდება აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში, მაგრამ უფრო დიდი რაოდენობით ისინი თავმოყრილია დასავლეთ საქართველოს ფარგლებში.

ოსმალური და ევროპული, ოსმალური და ირანული მონეტების სინქრონული მიმოქცევა, განძების შემადგენლობის მიხედვით, დამახასიათებელი იყო საქართველოს სხვადასხვა რაიონებისთვის, მაგრამ მათგან, განსაკუთრებით – ახალციხის საფაშოსთვის (რომელიც 1579 წ. დაარსდა. მის შემადგენლობაში შევიდა სამცხე-საათაბაგოს მნიშვნელოვანი ნაწილი. ის ჩილდირის საფაშოს სახელითაც არის ცნობილი). ამ წარმონაქმნის ფულის მიმოქცევის თავისებურება ის იყო, რომ აქ ოსმალური საფასე გადაიქცა გადახდის ძირითად კანონიერ საშუალებად. ფასების,

ბაჟების, სხვადასხვა გამოსაღებების და გადასახადების, ან შემოსავლის განსაზღვრა ხდებოდა და გამოითვლებოდა ახჩებში. ფიქრობენ, რომ ამ რეგიონში მიმოქცევაში დასაქმებული სხვა უცხოური მონეტების ღირებულებაც სწორედ ახჩებში გამოითვლებოდა (მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV - XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 66).

მ. ანთაძე იმასაც ვარაუდობს, რომ, მიუხედავად ოსმალური მონეტების გავრცელებისა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, XVI - XVII სს-ში მათ ბაზარზე დაქვემდებარებული ადგილი ეკავა. ისინი სათანადო კონკურენციას ვერ უწევდნენ ვენეციურ დუკატებს, ესპანურ პესოებს და ირანულ აბაზიანებს. ამ უკანასკნელებს უპირატესობა ჰქონდა წონის და სინჯის სტაბილურობის გამო და აქედან გამომდინარე, პრევალირებული ადგილი ეკავა როგორც ევროპის, ასევე მახლობელი აღმოსავლეთის სამონეტო ბაზრებზე. ეს ნიუანსი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ევროპელ მოგზაურებს, მისიონერებსა და დიპლომატებს. ასე მაგ., XVII ს-ის მეორე ნახევრის დასაწყისში რუსი დიპლომატები ტოლოჩანოვი და იევლევი იმერეთის ფულად მიმოქცევაში ასახელებენ უნგრულ ოქროს, ტალერებს და არ იხსენიებენ ოსმალურ მონეტებს (М. А. Полиевктов. Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию 1650-1652 гг. Тбилиси. 1926, გვ. 110; მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV - XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 67).

წინა საუკუნეებთან შედარებით, ოსმალური მონეტების როლი საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში გაცილებით მნიშვნელოვანია XVIII ს. მათი გავრცელების არეალი ამ პერიოდში მოიცავს ქართლს, იმერეთს, ლეჩხუმს, გურიას, აჭარას, სამეგრელოს, აფხაზეთს, სამხრეთ საქართველოს. ოსმალური ფულის აღმოჩენის შემთხვევა დადასტურებულია კახეთშიც. ძირითადად, ნაპოვნია ვერცხლის მონეტები, ნაკლებად – ოქროსი. ჩვენში ოსმალური ფულის შემდეგი ნომინალებია მიკვლეული: **ახჩა, ფარა, ბეშლიყი, ონლიყი, ირმილიყი, ყურუში, ალთუნი, ალთუნ-აშრეფი და მანგირი**.

ყველაზე ინტენსიურად საქართველოში კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტები ტრიალებს. გარდა ამისა, ჩვენში აღმოჩენილია **მისრის, ედირნეს, ერზერუმის და გიუმიშხანეში** გამოშვებული ფულიც, ასევე, ოსმალეთის კონტროლს დროებით დაქვემდებარებული ქალაქებში (**ერევანი, განჯა, თავრიზი**) მოჭრილი მონეტები. ცხადია, საქართველოს ფულად ცირკულაციაში ჩართულია საკუთრივ თბილისის ზარაფხანაში გამოშვებული მონეტებიც.

XVIII ს-ის შერეული განძები (ოსმალური და ევროპული, ოსმალური და ირანული მონეტები) იშვიათია. ოსმალური ფული განძებში დამოუკიდებლად არის კონცენტრირებული.

XVIII ს-ის განმავლობაში ოსმალური ფული კვლავ რჩებოდა გადახდის კანონიერ საშუალებად ახალციხის საფაშოს და ბათუმის სანჯაყში. პარალელურად, იზრდება მათი როლი და მნიშვნელობა საქართველოს სხვა რეგიონების სამონეტო

ბაზარზე. უფრო მეტიც: 1723 - 1735 წწ-ში, ოსმალთა ოკუპაციის დროს, ირანული მონეტების პარალელურად, მათ შეიძინეს გადახდის კანონიერი საშუალების ფუნქცია. მ. ანთაძეს თავის ნაშრომში ამის დასადასტურებლად მოყავს ორი დოკუმენტი: 1728 წლის 30 ივნისის ერთ თამასუქში დასახელებულია „**ახალი თეთრი ორას ორი ყურუში** და ერთ აბაზ ნახევარი"; 1729 წლის 10 ივნისის პირობის წიგნში აღნიშნულია, რომ სოფ. ნიაბი და ჩოჩეთი სახლთუხუცესისათვის გადაუციათ 8 თუმნად და **12 ყურუშად** (მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV - XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 128).

ოსმალობის გადავარდნის შემდეგ, ქართლში კვლავ ირანული მონეტები იჭერს გაბატონებულ ადგილს. დასავლეთ საქართველოში პირიქით, ოსმალური მონეტა ფართოდ ვრცელდება, ავიწროებს ირანულ აბაზიანებს და თანდათანობით იძენს გადახდის კანონიერი საშუალების ფუნქციას. აკად. გიულდენშტედტის ცნობით, ოსმალური ფული გამოიყენებოდა იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 283).

მ. ანთაძეს მიაჩნია, რომ ოსმალური საფასე დიდ როლს ასრულებდა საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში არა მარტო რუსეთთან შეერთებამდე, არამედ შემდეგაც, რასაც, მისი აზრით, ადასტურებს ამ რეგიონში აღმოჩენილი ოსმალური მონეტების რამდენიმე განძი. ავტორი ჩამოთვლის ამ „განძებს", მაგრამ, სამწუხაროდ, ჩამონათვალში ხუთიდან მხოლოდ ერთია განძი, დანარჩენი ცალკეულად ნაპოვნი თითო-თითო მონეტაა (მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV - XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 135-136). ის ერთადერთი შერეული განძი, სადაც XIX ს-ის ოსმალური ფულიც შედიოდა ირანულ და რუსულ მონეტებთან ერთად, 1899 წ. აღმოჩენილა სოხუმის ოლქში, მდ. კელასურის მახლობლად, შერვაშიძის ყოფილ მამულში. განძის ზუსტი შემადგენლობა უცნობია. იმპერატორის არქეოლოგიურმა კომისიამ განძი მფლობელს დაუბრუნა (Е. А. Пахомов. Монетные клады . . . I, გვ. 72, № 240). თუმცა, დასავლეთ საქართველოში ოსმალური მონეტების გავრცელების დამადასტურებელია 1808 წ. იმერეთში შედგენილი ფასების ნიხრი, სადაც ოსმალური ფულადი ერთეულებიც არის დასახელებული: **ყურუში** და **ფარა** (მ. ანთაძე. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV - XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, გვ. 136).

გადავდივართ ირანული მონეტების მიმოქცევის საკითხზე საქართველოში (ვრცლად პრობლემის შესახებ იხ. Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран . . .).

თ. ქუთელიას დასკვნის მიხედვით, სეფიანთა სახელით მოჭრილი მონეტების გავრცელების ტოპოგრაფია საქართველოში მოწმობს, რომ მათი ცირკულაცია აქ XVI ს. შუა ხანების შემდეგ იწყება. მთელი ერთი საუკუნის სიგრძეზე ისინი ჩვენში მიმოიქცევა ოსმალურ და ევროპულ მონეტებთან პარალელურად და მათთან შედარებით, არავითარი პრივილეგია არ გააჩნია. მეტიც: ძირითადი ვალუტა საქართველოს სამონეტო ბაზარზე ამ დროს ევროპული მონეტები იყო. მხოლოდ XVII ს-ის 30-40-იანი წწ-ის შემდეგ, როდესაც მოგვარდა რეგულარული ემისიის საკითხი

თბილისის ზარაფხანაში, თ. ქუთელიას აზრით, სეფიანთა სახელით მოჭრილმა ვერცხლის მონეტებმა შეავიწროვეს ოსმალური და ევროპული ფული და საუკუნის დასასრულს მოიპოვეს პრევალირებული ადგილი მთლიანად საქართველოს სამონეტო მიმოქცევაში. გამონაკლისი იყო მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ახალციხის საფაშო), სადაც, უპირობოდ, ოსმალური მონეტები იყო გაბატონებული (ამის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით). იმის გათვალისწინებით, რომ სპარსული ოქროს ფული პრაქტიკულად არ შემოდიოდა საქართველოში, ნათქვამი მხოლოდ ირანული ვერცხლის მონეტებს შეეხება.

მიუხედავად იმისა, რომ XVII ს. მეორე ნახევარის და XVIII ს. დასაწყისის ირანული ფულის განძების აღმოჩენები შედარებით მცირეა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდში დაცული ირანული მონეტების უპასპორტო ცალების დიდი რაოდენობა ადასტურებს, რომ ჩვენი ქვეყნის სამონეტო ბაზარზე, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში, სპარსეთის ნუმიზმატიკურ ძეგლებს ეკავა უპირატესი ადგილი (საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ მუზეუმებში, ძირითადად, ადგილობრივ ნაპოვნი მონეტები იყრის თავს). იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ მიუხედავად დასავლეთ საქართველოს ოსმალეთზე პოლიტიკური დამოკიდებულებისა, ამ რეგიონში სეფიანთა სახელით გამოშვებულ მონეტებს ფართო გავრცელება ჰქონდა, რასაც მოწმობს ამბროლაურის, რაჭის, ქუთაისის, ბათუმისა და პატარა ჯიხაიშის განძების შემადგენლობა. კიდევ მეტი: ფიქრობენ, რომ არა მარტო აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ საქართველოშიც სამონეტო ემისია ირანის სისტემის მიხედვით ხორციელდებოდა (Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран . . . , გვ. 107; ავტორს, ალბათ, თაჰმასპ I-ის მონეტების იმიტაციები აქვს მხედველობაში – გ. დ., თ. დ.). ეს ჩანს, იმით იყო გაპირობებული, რომ ქართველი ვაჭრების ინტერესები, ტრადიციულად, მეტწილად ირანთან იყო დაკავშირებული (Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран . . . , გვ. 107).

საქართველოში ირანის სამონეტო სისტემა იმდენად იყო გაბატონებული, რომ, თ. ქუთელიას სიტყვებით: «Даже во время турецкого владычества, в 1723 - 36 гг. в Грузии при исчислении денежных сумм продолжали пользоватся привычным персидскими терминами – **туман, аббаси** и т.д., а османские оккупационные монеты, чеканившиеся в Тбилиси – **онлыки, бешлыки и нимбешлыки** – соответствовали современным им **аббаси, мухаммеди и шахи,** обращаясь совместно с ними» (Т. С. Кутелия. Грузия и сефевидский Иран . . ., გვ. 107-108).

რაც შეეხება XVIII საუკუნის სპილენძის მონეტებს, მათი აღმოჩენის ტოპოგრაფია ადასტურებს, რომ ქართლის ტერიტორიაზე მთლიანად და გარე კახეთში, **ძირითადად, ბრუნვაში იყო თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ფული,** ისევე როგორც ეს ვერცხლის მონეტებთან დაკავშირებით დაფიქსირდა. სხვა ქალაქების – განჯის, შემახიის და ერევნის სპილენძის მონეტების პოვნის შემთხვევები იმდენად უმნიშვნელოა, რომ ისინი მხედველობაში არც მიიღება (Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран . . . , გვ. 105).

ამრიგად, საქართველოში ირანული მონეტების ცირკულაციასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას შემდეგი: მას შემდეგ, რაც XVII ს-ის უკანასკნელ მეოთხედსა და XVIII ს-ის დასაწყისში განსაკუთრებული ინტენსიურობით ამოქმედდა თბილისის ზარაფხანა, აქ მოჭრილმა მონეტებმა დაიკავა წამყვანი ადგილი საქართველოს და ამიერკავკასიის სამონეტო ბაზარზე. საქართველოს ფარგლებში (განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში) მათ დაამარცხეს კონკურენტები – ევროპული ტალერები და ოსმალური მონეტები. ვარაუდობენ, რომ თბილისის ზარაფხანაში მონეტების ემისია, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს საჭიროებისათვის ხორციელდება (Т. С. Кутелия. Грузия и сефевидский Иран . . . , გვ. 110).

რა თქმა უნდა, საქართველოში ნაპოვნია ირანის სხვა ქალაქებში მოჭრილი მონეტებიც, მაგრამ მათი რიცხვი ხშირია მხოლოდ XVII ს-ის პირველ მეოთხედში. სჭარბობს **თავრიზში** (45 ცალი), **ერევანსა** (27) და **განჯაში** (23) გამოშვებული ფული. გვხვდება ასევე **ორდუსა** და **ჰუვეიზაში** მოჭრილი ცალები. გარდა ამისა, განძების შემადგენლობაში თავს იჩენს თითო-ორორლა ცალი გამოშვებული **თეირანში, ისპაჰანში, ყაზვინში** და ა.შ. მაგრამ XVII ს-ის ბოლოს და XVIII ს-ის დასაწყისში, მათი როლი საქართველოს სამონეტო ბაზარზე პრაქტიკულად ნულის ტოლია (Т. С. Кутелия. Грузия и сефевидский Иран . . . , გვ. 111).

გადავდივართ ევროპული მონეტების მიმოქცევის საკითხზე საქართველოში (დაწვრილებით ამ პრობლემის შესახებ იხ. რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში. თბ. 1971. ჩვენ მთლიანად ამ მონოგრაფიის მონაცემებს ვითვალისწინებთ).

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი XVI ს-ის ვენეციური დუკატების გვერდით ჰოლანდიური ოქროს მონეტებიცაა ნაპოვნი. XVII-XVIII სს-ში ჰოლანდიურმა დუკატებმა საერთაშორისო ავტორიტეტი მოიპოვა. ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების მიხედვით, თითქოს ისინი თანაბრად მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის ფულად მიმოქცევაში. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად, რ. ქებულაძეს მაგალითად მოყავს 1920 წ. ატენის მიდამოებში ნაპოვნი განძიდან მომდინარე ორი მონეტა. ერთი მათგანი მოჭრილია 1588 წ. ფრისლანდიის პროვინციაში, მეორე – 1646 წ. ქ. ზვოლეში (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 30). მიგვაჩნია, რომ ფაქტობრივი მასალა ძალიან მწირია ზემოთ მოყვანილი მოსაზრების სამტკიცებლად. ლეხურის განძის შემადგენლობა კი, სადაც არც ერთი ჰოლანდიური ოქროს მონეტა არ არის წარმოდგენილი, თვალნათლივ ადასტურებს, რომ ევროპული ოქროს ფულიდან საქართველოს სამონეტო ბაზარზე უპირატესობა მაინც ვენეციურ დუკატებს ეკავა.

რ. ქებულაძეს საქართველოში ოქროს მონეტების მიმოქცევის საკითხთან დაკავშირებით XVII ს-ში მაინც ძირითადი აქცენტი გადატანილი აქვს წერილობითი ცნობების ანალიზზე. ის ეყრდნობა არქანჯელო ლამბერტის ინფორმაციას, რომელიც გვაუწყებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უფრო აფასებდა **უნგრულს** (დუკატებს),

ცეკკინოს (ვენეციის დუკატებს) და **ესპანურ რეალებს**. ამავე დროს მოყავს რუსეთის ელჩების ტოლოჩანოვის და იევლევის სიტყვები, რომლის თანახმადაც, იმერეთში ტრიალებდა **უნგრული ოქრო**. ამასთან დაკავშირებით, რ. ქებულაძე შენიშნავდა: „ მაგრამ სახელწოდება უნგრული, ანუ როგორც მას რუსეთში უწოდებდნენ „угорские“, ამ დროს იქ მეტროლოგიური მნიშვნელობით იხმარებოდა და დაახლოებით 3.5 გრამი წონის ოქროს მონეტას აღნიშნვდა. ამიტომ ტოლოჩანოვის ცნობა იმერეთში უნგრული ოქროს მიმოქცევის შესახებ, ალბათ, **ვენეციური და ჰოლანდიური დუკატების მიმოქცევასაც გულისხმობს“** (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 32). შეიძლება გულისხმობს კიდეც, მაგრამ ამის დასაბუთება ფაქტობრივი მასალით არ ხერხდება. თუმცა, ამ მხრივ, მეტი პერსპექტივა ვენეციური დუკატების მხარეზეა. იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ XVII ს-ის მეორე ნახევრის და XVIII ს-ის დასაწყისისათვის საქართველოში ვენეციური ოქროს დუკატების მიმოქცევის შესახებ ცნობებს იძლევიან ჟ. შარდენი და პროფესორი ტურნეფორი. შარდენის გადმოცემით, მის დროს სამეგრელოში მიმოიქცეოდა **ეკიუ, პიასტრები** და ქართლში მოჭრილი აბაზიანები (Chardin. Voyages du Chevalier Chardin en Perse et aux Indes Orientales. I. Paris. 1811, გვ. 186). რაც შეეხება დუკატებს, ავტორი ამ მონეტებს მხოლოდ საგზაო ხარჯებთან დაკავშირებით იხსენიებს, მაგ., „ყველა ქრისტიანმა, ვინც გონიოზე გაივლის, **ორასი დუკატი** უნდა მისცეს გონიოს მმართველს“ (ჟ. შარდენი. მოგზაურობა საქართველოში. ვ. ბარნოვის თარგმანი. თბ. 1935, გვ. 46). „**ოთხი დუკატი** იანიჩარებს დავუთვალე“, „მე ნებას გაძლევ ამისათვის გაიღო **ოცი დუკატი**“ (ჟ. შარდენი. მოგზაურობა საქართველოში, გვ. 47, 48).

1700 - 1702 წწ., საფრანგეთის მთავრობის დავალებით, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში იმოგზაურა ფრანგმა ბოტანიკოსმა პროფ. ტურნეფორმა. მისი ცნობით, 1701 წ. თბილისში მიმოქცევაში იყო **ჰოლანდიური დუკატი, ვენეციური ცეხინი, პიასტრი, აბაზი და კაზბეკი** (Par M. de Tournefort. Relation d'un Voyage du Levant. Lyon. MDCCXVI, გვ. 165-166).

უაღრესად საყურადღებო ინფორმაციაა დაცული საქართველოში XVIII საუკუნის დასაწყისში ოქროს ფულის ტრიალის შესახებ ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნში“. ის ჩამოთვლის ფულის იმ ერთეულებს, რომლებიც მიმოიქცეოდა ჩვენში: **შაური, უზალთუნი, აბაზი, მარჩილი, მინალთუნი, ფლური და ასლანი** (ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. თ. ენუქიძის გამოცემა. თბ. 1955, გვ. 53).

ოქროს მონეტებიდან აქ დასახელებულია **ასლანი და ფლური**. გამოსარკვევია, კონკრეტულად რომელი ქვეყნის მონეტები იგულისხმება ამ ტერმინების ქვეშ?

აღმოსავლეთის ქვეყნებში **ასლანს ჰოლანდიურ დუკატებს** ეძახდნენ (Tournefort. Relation d'un Voyage du Levant, გვ. 165). სახელწოდება ჰოლანდიის პროვინციის ფრისლანდიის დუკატებიდან მომდინარებს, რომლებზედაც ორი ლომი იყო გამოსახული. ასლანი თურქულად ლომს ნიშნავს. რ. ქებულაძე თვლის, რომ ეს მონეტები საქართველოში იმდენად ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რომ ვახტანგ VI საჭიროდ მიუჩნევია მისი შეტანა „სამართლის წიგნში“, თუმცა არაფერი უთქვამს

ასლანის ღირებულებასა და წონაზე. სამაგიეროდ, სჯულმდებელი დაწვრილებით ჩერდება **ფლურის** შინაარსზე. XV ს-ის დასასრულიდან, **ფლურმა, როგორც ვენეციური დუკატების აღმნიშვნელმა ტერმინმა, დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, შეინარჩუნა ძველი მეტროლოგიური შინაარსი და დუკატების თანაბარი წონის ოქროს მონეტის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა.** ვახტანგ VI აღნიშნავს: „ორი შაურის წონა ოქროს, რომ მისი დადი აჯდეს, ერთი ფლური არის“ (სამართლის წიგნი, გვ. 54). აქედან გამომდინარე, ფლური ორი შაურის წონას შეიცავდა. რ. ქებულაძის გაანგარიშებით, ფლურის წონა 3.548 გრამი ყოფილა. **ეს კი შეესაბამება ჩვენში გავრცელებული ალთუნების, ვენეციური და ჰოლანდიური დუკატების წონას.** თუმცა ის XVIII ს-ის შუა წლებში უფრო მცირე ზომის წონის ოქროს მონეტის აღმნიშვნელ ტერმინადაც იხმარებოდა (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 36).

XVIII ს-ის წერილობით წყაროებში დაცული ცნობების გარდა, საქართველოში ვენეციური და ჰოლანდიური ოქროს დუკატების მიმოქცევის შესახებ არსებობს ამავე პერიოდის ფაქტობრივი მასალაც. პირველ მაგალითად რ. ქებულაძეს მოყავს 1941 წ. ქუთაისში, კათოლიკური ეკლესიის ეზოში, აღმოჩენილი 21 ოქროს მონეტა (ჩვენთან № 14) – 8 ვენეციური დუკატი და 13 ალთუნი. მეორე მაგალითია სოფ. პატარძეულში ნაპოვნი 1752 წ. ჰოლანდიური დუკატი (ჩვენთან № 15). გარდა ამისა, სოხუმის რაიონის სოფ. ნეიდროფში აღმოჩნდა ალოიზი მიჩენიგოს დუკატი (ჩვენთან № 16) და ანანურში – დუკატის ნახევარი, ნატეხი (ჩვენთან № 17).

XVIII საუკუნის 70-იან წწ-ში საქართველოში ფულის მიმოქცევის შესახებ ცნობებს გვაწვდის გიულდენშტედტი. ოქროს მონეტებიდან ის ასახელებს: **დუკატებს, რუსულ იმპერიალებს და ოსმალურ ალთუნებს.** გერმანელის ცნობებს ავსებს თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვები: „ოქრო ჩვენში სრულიად **გოლანდიისა** მუშაობდა, **ვენეტიკისაცა და ოსმალისაცა** უფრო ცოტა, მაგრამ ოსმალის ოქრო წმინდა არ არის და ამისათვის არ უყვართ ქართველებს (ს. კაკაბაძე. საფასის ისტორიისათვის საქართველოში. საისტორიო მოამბე. I, გვ. 34).

ჰოლანდიური დუკატები, როგორც ირკვევა, ჩვენში XIX ს-ის პირველ მეოთხედშიც, ე.ი. საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობის შემდეგაც იყო მიმოქცევაში (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში გვ. 45). კავკასიაში განლაგებულ ჯარის ნაწილებს რუსეთის მთავრობა ჯამაგირს, ნაწილობრივ, ჰოლანდიური დუკატებით უხდიდა (И. М. Холодковский. Лобанчики. „Старая монета“. 1911, გვ. 36). ეს რუსეთში მოჭრილი ჰოლანდიური დუკატები უნდა ყოფილიყო, **ანუ ჰოლანდიური ჩერვონცები, ან, როგორც მას კიდევ უწოდებდნენ რუსეთში, ლობანჩიკები**.

XIX ს-ში საქართველოში ჰოლანდიური ჩერვონცების მიმოქცევას თითქოს ადასტურებს 1940 წ. თბილისის ბოტანიკურ ბაღში მოსწავლეების მიერ შემთხვევით ნაპოვნი ოქროს მონეტა, რომელიც, დ. კაპანაძის განსაზღვრით, XIX ს-ის

ჰოლანდიური ჩერვონეცი აღმოჩნდა (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 46).

ამრიგად, რ. ქებულაძის დასკვნით, XV ს-ის მეორე ნახევრიდან მოყოლებული რუსეთთან მიერთებამდე, ევროპული ოქროს მონეტები – **ჰოლანდიური და ვენეციური დუკატები** – ინტენსიურად შემოდიოდა საქართველოში და მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჩვენი ქვეყნის ფულად მიმოქცევაში.

გადავდივართ ევროპული ვერცხლის მონეტების მიმოქცევის საკითხზე საქართველოში. რ. ქებულაძის მიხედვით, საქართველოს ფარგლებში XVI - XVII სს-ის ტალერულ მონეტათა განძების და ცალკეული ეგზემპლარების აღმოჩენის მხოლოდ 18 შემთხვევა არის აღრიცხული. ამ მონეტებიდან ყველაზე ადრეული თარიღიანი მონეტა 1549 წ. არის მოჭრილი. რაც შეეხება ყველაზე გვიანდელ ტალერს, ის იმპერატორ ფერდინანდ III-ს ეკუთვნის და 1653 წ. თარიღდება. მაშასადამე, ტალერული მონეტების გავრცელების ქრონოლოგიური დიაზაპონი 100 წელს ცოტათი აღემატება (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში გვ. 93). მისივე დასკვნით, ევროპული ვერცხლის მონეტების ცირკულაცია ჩვენში XVI ს. შუა წწ-დან იწყება, ხოლო მასობრივად – XVII ს. დამდეგიდან.

ქართული წყაროები XVI - XVII სს-ის ტალერული მონეტების გავრცელების შესახებ არ მოგვეპოვება. სამაგიეროდ, მათ შესახებ ინფორმაცია დაცულია უცხოურ წერილობით წყაროებში. კონკრეტულად ამ საკითხის შესახებ ცნობებს გვაწვდიან იტალიელი მისიონერები **არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე ჯუდიჩე**; ასევე რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოში მოვლინებული ელჩები. ასე მაგ., 1640 - 1643 წწ-ში კახეთში ჩამოვიდნენ თავადი **მიშეცკი და დიაკი კლუჩარევი,** რომლებმაც თეიმურაზ I-ს მიხეილ ალექსის ძისგან სუბსიდიის სახით ბოძებული 20000 **ეფიმკა (ტალერი)** ჩამოუტანეს (მ. პოლიევქტოვი. თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში 1640 - 1643 წლებში. თბ. 1928, გვ. 8, 56). ეფიმკას რუსეთში ტალერებს ეძახდნენ. სახელწოდება წარმოიქმნა სიტყვისაგან Joachimstahler Münze – პირველი ტალერებისაგან, რომლებიც იჭრებოდა ქ. იოახიმსტალში (ბოჰემია); აღებულია სიტყვის პირველი ნაწილი და ტალერი ამ გზით ეფიმოკად „მოინათლა“ (В. В. Зварич. Нумизматический словарь. Львов. 1976, გვ. 59). მათ გარდა, ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას გვაწვდიან სტოლნიკი ტოლოჩანოვი და დიაკი იევლევი, აგრეთვე ევროპელი მოგზაურები შარდენი და ტურნეფორი.

როგორც ზემოთ იყო მითითებული, საქართველოში აღმოჩენილი ტალერული მონეტები XVI ს-ის შუა ხანებით და XVII ს-ის 60-იანი წწ. თარიღდება. მაგრამ მათი მიმოქცევის ქრონოლოგიური საზღვრები სცილდება XVII ს. რ. ქებულაძე ამ მოსაზრების სასარგებლოდ, არგუმენტად ასახელებს ახალციხის განძის შემადგენლობას (ჩვენთან № 13), რომელშიც 1620 - 1626 წწ. მოჭრილ ავსტრიულ ტალერებთან ერთად ოსმალეთის სულთნის აჰმედ III-ის ონლიყიც შედიოდა. მის საფუძველზე ავტორი ასკვნის: „ . . . ფაქტობრივი ნუმიზმატიკური მასალისა და წერილობითი წყაროების მიხედვით საქართველოში ტალერული მონეტების

მიმოქცევის ხანგრძლივობა 150 წელს სჭარბობს“ (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 96).

XV ს-ის მეორე ნახევრიდან, ოსმალეთის აგრესიის გამო, საქართველო ევროპული სამყაროსგან იზოლირებული აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, საქართველოს მხრიდან იყო გარკვეული ცდები, როგორმე დაემყარებიათ პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა ევროპულ სახელმწიფოებთან, მაგრამ, ძირითადად, ეს იყო წარუმატებული მცდელობა. ამიტომ, როგორც სპეციალისტებს მიაჩნიათ „. . . საქართველოსა და ევროპის სახელმწიფოების არარეგულარული უერთიერთობა არ შეიძლება ჩვენში ტალერული მონეტების ინტენსიური გავრცელების მიზეზი გამხდარიყო. **ტალერული მონეტების გავრცელების ძირითადი მიზეზები უნდა ვეძებოთ საქართველოს ურთიერთობაში იმ სახელმწიფოებთან, სადაც მიმოქცევაში იყო ეს მონეტები. ამ სახელმწიფოთაგან უნდა დავასახელოთ რუსეთი, უკრაინა, პოლონეთი, ოსმალეთი და ირანი**“ (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 97). დასახელებული ქვეყნების ფულად მეურნეობაში ტალერული მონეტების ხვედრითი წონა საკმაოდ მაღალი იყო.

ასე მაგ., XVI - XVII სს-ში ევროპელ ვაჭრებს რუსეთში დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ ტალერები. შვედი დიპლომატის როდესის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ რუსეთში XVII ს. შუა წლებში ყოველწლიურად 600000 ტალერი შემოდიოდა (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 97). ამ უზარმაზარი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტალერული მონეტების მიმოქცევა XVI ს-დან XVII ს. 60-იან წწ. გრძელდებოდა. ეს პერიოდი ემთხვევა საქართველოში ტალერული მონეტების ცირკულაციის ხანას, რაც ძალზე ნიშანდობლივია. ასე რომ, რუსეთიდან საქართველოში ტალერული მონეტების შემოდინება სავსებით რეალურია.

იგივე ითქმის უკრაინაზე, რომელიც XVI ს-დან მოყოლებული, ვიდრე რუსეთთან შეერთებამდე, პოლონეთ-ლიტვის გაერთიანებული სამეფოს სამონეტო მიმოქცევის სფეროში იყო მოქცეული. უკრაინის ფარგლებში ბრუნვაში იყო როგორც პოლონური, ასევე დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოთა მონეტები (И. Г. Спасский. Денежное хозяйство русского государства в середине XVII века и реформа 1654-1659 гг. Археологический ежегодник за 1959 г. М. 1960, გვ. 114). თვით პოლონეთში ამ პერიოდში ტალერები მცირე რაოდენობით იჭრებოდა. ამიტომ ქვეყნის სამონეტო მიმოქცევაში განსაკუთრებული ადგილი უცხოურ ტალერებს ეკავა (И. Г. Спасский. Русская монетная система, გვ. 121). ზემოთქმულიდან გამომდინარე, რუსეთის გარდა ტალერული მონეტები შეიძლებოდა უკრაინიდან და პოლონეთიდანაც შემოსულიყო.

რუსეთის, უკრაინის და პოლონეთის მსგავსად ტალერული მონეტები გავრცელებული იყო მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებშიც, კერძოდ, ირანსა და ოსმალეთში, თანაც არა მარტო როგორც ფულის ერთეული, არამედ როგორც ძვირფასი ლითონი, რომელიც საიუველირო ნაწარმის დამზადებას და ადგილობრივი მონეტების გამოშვებას ხმარდებოდა.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შემოდიოდა ტალერული მონეტები ირანში შაჰ-აბას I-ის დროს (1587 - 1629 წწ.), როდესაც ირანი უდიდეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიდა. XV ს-ის დასასრულსა და XVII ს-ის პირველ წლებში განსაკუთრებით განვითარდა საგარეო ვაჭრობა. ამ პერიოდში ირანთან სავაჭრო ურთიერთობას ამყარებს პორტუგალია, ინგლისი, ჰოლანდია, საფრანგეთი (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში გვ. 98-99), რასაც, თან, ცხადია, ევროპული მონეტების დიდი რაოდენობით შემოდინება ახლდა.

ასევე საგარეო ვაჭრობის შედეგად, XVI - XVII სს-ში ოსმალეთის იმპერიაში დიდი რაოდენობით იყრიდა თავს უცხოური ვალუტა – **ოქროს დუკატები და ტალერული მონეტები**. შარდენის გადმოცემით, ოსმალეთის სამონეტო მიმოქცევაში ადგილობრივი ვერცხლის დიდი ნომინალების მაგივრობას ტალერული მონეტები ეწეოდა. მისივე ცნობით, ამ მონეტებიდან ყველაზე მეტად აქ გავრცელებული ყოფილა ჰოლანდიური **ლევენდაალდერი,** რომელსაც მოსახლეობა **ასლან ყურუშებს** ეძახდა. ოსმალეთში ტალერული მონეტების აღსანიშნავად კიდევ ორი ტერმინი იხმარებოდა – **რუმი და რეალი**. რუმი ტალერული მონეტების ზოგადი სახელი იყო, რეალი კი მხოლოდ გერმანულ ტალერებს ერქვა (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 102).

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი განძების შემადგენლობით ირკვევა, რომ ოსმალურ და ირანულ ფულთან ერთად ამ სახელმწიფოებიდან ჩვენში ტალერული მონეტებიც შემოდიოდა. ამის დასტურია უდეს, ახალციხის, ჭიკაანის (ჩვენთან №№ 2, 6, 13) და სხვა განძების კომპლექსები, სადაც ოსმალურ და ირანულ ფულთან ერთად ტალერული მონეტებიც აღმოჩნდა.

ამ ხანებში კავკასიაში სამი დიდი სახელმწიფოს – ოსმალეთის, ირანის და რუსეთის ინტერესები გადაიკვეთა. XVI ს. მეორე ნახევრიდან ირანს და ოსმალეთს შორის ბრძოლის სასწორი ამიერკავკასიაში ოტომანის იმპერიის მხარეზე გადაიხარა. მისი შემდგომი ნაბიჯი ჩრდილოეთ კავკასიის დამორჩილება და ასტრახანის ხელში ჩაგდება იყო, რაც საფრთხეს უქმნიდა ვოლგის სავაჭრო გზას. რუსეთი ყოველნაირად ცდილობდა შეესუსტებინა ოსმალეთის პოზიციები კავკასიაში. რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ინტერესების დამთხვევამ შესაძლებელი გახადა ურთიერთობა დამყარებულიყო კახეთის მეფე ლევანს და ივანე მრისხანეს შორის. 1564 წ. რუსეთის მეფემ კახეთს მფარველობა შესთავაზა და დროებით კახეთის ციხეებში რუსის ჯარის გარკვეული კონტინგენტი ჩადგა.

XVII ს-ში, შაჰ-აბას I-ის ლაშქრობებთან დაკავშირებით, რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა განვითარების ახალ ფაზაში შევიდა: თეიმურაზ I-ის გეგმით, საქართველოს მეფე-მთავრებს ფიცი უნდა დაედოთ რუსეთის ერთგულებაზე და მისგან ფული და სამხედრო დახმარება ეთხოვათ (მ. პოლიევქტოვი. თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში, გვ. 6). მაგრამ რუსეთის მთავრობას იმ ხანად არ შეეძლო სამხედრო დახმარება აღმოეჩინა საქართველოს სამეფო-სამთავროებისათვის. ამას ისიც უშლიდა ხელს, რომ თეიმურაზ I-ის

ანტიირანული პოლიტიკა რუსეთის გეგმებს ეწინააღმდეგებოდა, ვინაიდან ირანი, როგორც ოსმალეთის მოქიშპე, რუსეთის ბუნებრივ მოკავშირედ მოიაზრებოდა.

რაც შეეხება ფულად დახმარებას, უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ თეიმურაზ I-მა, რუსეთის ელჩების ხელით, სუბსიდიის სახით 20000 ტალერი და ასევე 2220 მანეთის ღირებულების სიასამურის ბეწვი მიიღო, რაც დიდი მოწონებით სარგებლობდა აღმოსავლეთის ბაზრებზე. რუსეთის მთავრობა მომავალშიაც აპირებდა ფულადი დახმარება აღმოეჩინა თეიმურაზისათვის.

„ამრიგად, – ასკვნის რ. ქებულაძე – XVI-XVII საუკუნეებში ჩვენში ტალერული მონეტების გავრცელების **ერთ-ერთი მიზეზი რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა უნდა ყოფილიყო** (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 104).

საქართველოში ტალერული მონეტების გავრცელებას აპირობებდა ეკონომიკური სიტუაციაც. XVII ს-ის 30-იან წწ-დან საქალაქო ცხოვრება ქართლში აღმავლობის გზით წარიმართა. საქართველოს, შაჰ-აბას I-ის გამაჩანაგებელი შემოსევების შემდეგ, XVII ს. მეორე ნახევარში მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით, აღმოსავლეთის ქალაქებთან. შარდენი წერდა, რომ თბილისში შეხვდებით ირანელებს, ოსმალებს, ჩინელებს, სომხებს, ბერძნებს, ინდოელებს, მოსკოველებს და ევროპელებსო.

XVII ს. სამეგრელოსა და აფხაზეთში, არქანჯელო ლამბერტის ცნობით, პერიოდულად იმართებოდა ბაზრობები, სადაც 20000 კაცი იყრიდა თავს (არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 157-158). ტოლოჩანოვის და იევლევის გადმოცემით, XVII ს. 50-იან წწ. ქუთაისში სავაჭროდ ჩამოდიოდნენ თბილისიდან, გურიიდან, სამეგრელოდან, ოსმალეთიდან, ირანიდან და ყირიმიდან (М. А. Полиевктов. Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию . . . , გვ. 188).

უცხოელ ვაჭრებს (ოსმალებს, ირანელებს და აგრეთვე, ყირიმელებსაც) საკუთარი ქვეყნის ფულთან ერთად შემოჰქონდათ ტალერული მონეტები, რაც დასტურდება უდეს, ახალციხის, ჭიკაანის განძებით. რ. ქებულაძის აზრით, ეს მონეტები სავაჭრო არხებით ყირიმიდანაც შემოდიოდა, სადაც ბრუნვაში იყო ტალერებიც და ოქროს დუკატებიც (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 105). ესპანური პესოები და ფრანგული ტალერები თბილისში შემოჰქონდათ სომეხ ვაჭრებსაც (ტავერნიეს მოგზაურობიდან. ჟურნ. „მოამბე“. ტფ. 1869. № 6, გვ. 3).

ძალიან საინტერესოა საქართველოში ტალერული მონეტების ღირებულების და სახელწოდების საკითხი.

რ. ქებულაძე წერს: „ირანში XVII საუკუნის პირველ ნახევარში **ერთი ტალერი სამ აბაზად ფასობდა** . . . საქართველოზე ირანის უდიდეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეგავლენას თუ მივიღებთ მხედველობაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენშიც ტალერი სამი აბაზი ეღირებოდა“ (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 106).

ს. კაკაბაძის მოსაზრების თანახმად, ტალერის აღსანიშნავად **საქართველოში ტერმინი მარჩილი უნდა ყოფილიყო** (ს. კაკაბაძე. საფასის ისტორიისათვის, გვ. 25), რასაც რ. ქებულაძე მართებულად მიიჩნევს, ვინაიდან XVII ს-ში ტალერი სამ აბაზს უდრიდა, ხოლო სამი აბაზი ერთ მარჩილს შეადგენდა (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 107).

რამ გამოიწვია ტალერული მონეტების შემოსვლის შეწყვეტა ჩვენში?

რ. ქებულაძის ვარაუდით, ეს დაკავშირებული უნდა იყოს XVII ს. მეორე ნახევარში ქართლში საქალაქო ცხოვრების აღმავლობასთან. ამ პერიოდში ინტენსიურად ამოქმედდა თბილისის ზარაფხანაც, რომელიც ფართო მასშტაბით ახორციელებდა ირანული ტიპის მონეტების ემისიას. „ეს გვაფიქრებინებს, – აღნიშნავს რ. ქებულაძე – რომ აღმოსავლეთ საქართველოში ტალერული მონეტების მიმოქცევის შეწყვეტა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ქართლის სამონეტო საქმიანობის განვითარებასთან. **ტალერების ადგილს იკავებს ადგილობრივი მონეტები. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ის გარემოება, რომ საქართველოში აღმოჩენილი ტალერული მონეტებიდან ყველაზე გვიანდელი 1653 წლით არის დათარიღებული“** (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 109; ხაზი ჩვენია – გ. დ., თ. დ.).

დასავლეთ საქართველოში ტალერული მონეტების შემოსვლის შეწყვეტა სხვა გარემოებასთან არის დაკავშირებული. საქმე ის არის, რომ განსხვავებით XVII ს. პირველი ნახევრისაგან, XVII ს. 60-იან წწ-დან დასავლეთ საქართველოში სიტუაცია მკვეთრად იცვლება. რეგიონის სამეფო-სამთავროები ხანგრძლივ შინაური ანარქიის ცეცხლში გაეხვია. გარეშე მტრის შემოსევების და გაუთავებელი შინაური ომიანობის გამო, ქვეყნის ეკონომიკური გარემო გაუარესდა. სამეურნეო ცხოვრების და ვაჭრობის უკიდურესი დაქვეითების გამო, დასავლეთ საქართველოში ტალერების შემოტანა თანდათან შეწყდა და XVIII ს. დასაწყისისათვის ეს მონეტები საბოლოოდ გამოვიდა ბრუნვიდან (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 110).

ტალერულ მონეტებს გარდა, საქართველოში მიმოიქცეოდა აგრეთვე პოლონეთ-ლიტვის სამეფოს და ბრანდენბურგ-პრუსიის სახელმწიფოს **ორტები და პოლტორაკები**. ორივე ნომინალის ემისია პოლონეთ-ლიტვის გვერდით ბრანდენბურგ-პრუსიის ზარაფხანებშიც ხორციელდებოდა და უკანასკნელი ერთეული **დრაიპოლკერის** სახელით იყო ცნობილი.

ცალკეული ცალების და განძების სახით საქართველოში ორტების ათი, ხოლო პოლტორაკების ერთი აღმოჩენის შემთხვევა არის დაფიქსირებული (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 111-112). ჩვენში მიკვლეული ორტების და პოლტორაკების შემცველი კომპლექსების შემადგენლობას ერთი თავისებურება ახასიათებს: **განძების ყველა მონეტა სიგიზმუნდ III-ის და გეორგ ვილჰელმის (1619 -1640 წწ.) სახელით არის მოჭრილი.**

საქართველოში ნაპოვნი ორტების და პოლტორაკების ძირითად ნაწილს პოლონური მონეტები შეადგენს, უმნიშვნელოს – ბრანდენბურგ-პრუსიის მონეტები.

ცხადია, ისინი ბრანდენბურგ-პრუსიიდან კი არა, არამედ პოლონეთიდან არის შემოსული.

ამ მონეტების საქართველოში გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი პოლონეთთან პოლიტიკურ კავშირში თუ არა, ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკური მიზნების ერთიანობაში მაინც უნდა ვეძებოთ. მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე შავი ზღვის და მდ. დნეპრის გზით პოლონეთთან აბრეშუმით ვაჭრობა და XVII ს. საქართველოში მოქმედი ფულის სისტემა (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 123).

საგარეო ვითარება, რამაც საქართველოს და პოლონეთის პოლიტიკის ერთნაირი მიმართულება განსაზღვრა, ოსმალეთის მზარდი ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლაში მდგომარეობდა.

1453 წ. კონსტანტინოპოლის აღებით ოსმალეთმა გადაკეტა შავი ზღვის სრუტეები და **საქართველოდან ევროპაში წასასვლელი უმოკლეს გზად, პოლონეთ-ლიტვის ტერიტორიაზე გავლით, მდ. დნეპრი დარჩა**. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ევროპის სახელმწიფოებში მიმავალ ქართველ ელჩებს პოლონეთ-ლიტვის სამეფოზე უნდა გაევლოთ (ორი ქვეყნის კავშირების შესახებ იხ. ი. ცინცაძე. მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. თბ. 1965, გვ. 33 და სხვ.).

საქართველოს მხრიდან პოლონეთ-ლიტვის სამეფოსთან დაკავშირების ერთ-ერთ მორიგ ცდას XVII ს. 30-იან წწ. ჰქონდა ადგილი. **ეს პერიოდი ემთხვევა ჩვენში სიგიზმუნდ III-ის მონეტების გავრცელების დროს**. თეიმურაზ I-მა 1626 წ. რომში ელჩად **ნიკიფორე ირბახი** (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი) მიავლინა. რომის პაპისათვის მას უნდა ეთხოვა სარეკომენდაციო წერილები ესპანეთის, საფრანგეთის, ნეაპოლის, შვეიცის და პოლონეთის მეფეებთან. ამ წერილებით ირბახი 1628 წ. დასახელებულ სახელმწიფოებში გაემგზავრა (მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფ. 1902, გვ. 92). ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. პოლონეთთან დაკავშირებით ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ თეიმურაზ I ირანის წინააღმდეგ იბრძოდა, მაშინ, როდესაც პოლონეთი ირანს მეგობრობდა, როგორც ოსმალეთის მოქიშპე სახელმწიფოს.

თავის მხრივ, პოლონეთი ცდილობდა მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებია ოსმალეთის მოწინააღმდეგე სახელმწიფოებთან: ავსტრიასთან, ირანთან და ა.შ. ირანში ხშირად ჩადიოდნენ პოლონეთის ელჩები. საამისოდ კი მათ ჯერ დასავლეთ, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე უნდა გაევლოთ, რადგან ეს ითვლებოდა ყველაზე უსაფრთხო და უმოკლეს გზად.

პიეტრო დელა-ვალეს ინფორმაციით ირკვევა, რომ საქართველოს პოლონეთის ელჩები მხოლოდ გზად კი არ გაივლიდნენ, არამედ გარკვეული დავალებებით მიდიოდნენ **ოდიშისა და გურიის მთავრებთან**. ის 1627 წ. რომის პაპს მოახსენებდა: „თვითონ პოლშის ხელმწიფეს, როგორც ამბობენ, აქვს ამ მთავრებთან მეგობრობა და მიმოწერა. პოლშის ხელმწიფეს შეუძლია კიდევ **ამ გზით, რომელიც ძლიერ მოკლეა,** დაეხმაროს ქართველებს ყოველ გაჭირვებაში, რომელსაც მათ მიაყენებენ ან

სპარსელები, ან თურქები (მოგზაურის პიეტრო დელა-ვალეს მოხსენება საქართველოზე პაპი ურბანუს მერვესადმი, 1627 წ. ი. ჭყონიას თარგმანი. ჟურნ. „ივერია“. ტფ. 1879. № 3, გვ. 57).

მაგრამ სიგიზმუნდ III-ს არ ეხელმწიფოებოდა დახმარება აღმოეჩინა საქართველოსათვის, მას, უბრალოდ, არც ეცალა საამისოდ (სხვას ყველაფერს თავი, რომ დავანებოთ), რადგან მისმა ფართო მასშტაბის საგარეო პოლიტიკამ (ომი რუსეთთან, შვეციასთან და ოსმალეთთან) ფიასკო განიცადა. მაგრამ მეორეს მხრივ, დიპლომატიური მისიების გაცვლას საქართველოს და პოლონეთს შორის, ერთმანეთში მიმოსვლას ფულის საერთაშორისო მოძრაობაც უნდა მოჰყოლოდა (და მოჰყვა კიდეც).

საქართველოში პოლონური მონეტების გავრცელების პოლიტიკური მომენტებიდან უნდა დასახელდეს აგრეთვე **დასავლეთ საქართველოს სამთავროების ურთიერთობა დნეპრის კაზაკებთან.** ოსმალეთზე სათარეშოდ წამოსული კაზაკებისათვის სამეგრელოს და გურიის მთავრებს ბევრჯერ შეუთავაზებიათ თავშესაფრად თავიანთი ტერიტორია და ნავსადგურები. ამის შესახებ პირდაპირ წერს პიეტრო დელა-ვალე (მოგზაურის პიეტრო დელა-ვალეს მოხსენება საქართველოზე პაპი ურბანუს მერვესადმი, გვ. 57). დასავლეთ საქართველოს სამთავროებს და დნეპრის კაზაკებს პოლიტიკურ კონტაქტებთან ერთად, საფიქრებელია, უნდა ჰქონოდათ ეკონომიკური ურთიერთობაც.

მდ. დნეპრის სანაპიროები, ე.ი. კაზაკების დასახლების რაიონები, XVII ს. პირველ ნახევარში პოლონეთ-ლიტვის გაერთიანებულ სამეფოს საზღვრებში შედიოდა. ამიტომ აქ პოლონეთ-ლიტვის სამეფოს ფული იყო ბრუნვაში (И. Г. Спаский. Русская монетная система. М. 1957, გვ. 69). გარდა ამისა, კაზაკები პოლონეთის ჯარშიც მსახურობდნენ და გასამრჯელოდ პოლონურ მონეტებს იღებდნენ. მდ. დნეპრის კაზაკების და დასავლეთ საქართველოს სამთავროების ურთიერთობა, თავის მხრივ, ხელს უწყობდა კაზაკებში გავრცელებული პოლონური ფულის შემოსვლას საქართველოში (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 127).

იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ XVII ს. პირველ ნახევარში საქართველოს საგარეო ვაჭრობაში აბრეშუმს წამყვანი ადგილი ეკავა. პიეტრო დელა-ვალე აღნიშნავდა, რომ დასავლეთ საქართველოს სამთავროებს „დიდი ვაჭრობა აქვს კონსტანტინოპოლთან და მთელ საბერძნეთთან აბრეშუმით და სხვა რამეებით“ (მოგზაურის პიეტრო დელა-ვალეს მოხსენება საქართველოზე პაპი ურბანუს მერვესადმი, გვ. 57). არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით, „თურქთა გემები ყოველ წელიწადს მოადგებიან სავაჭროდ სამეგრელოს ნაპირებს. თურქები მეგრელებისაგან იღებენ აბრეშუმს, თაფლს, ცვილს, ტილოს, ბზის ხეს და სელის თესლს“ (არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 158).

ისპაჰანში აბრეშუმით მოვაჭრე ქართველებიც ჩადიოდნენ. ოლეარიუსის ცნობით, საქართველო და სომხეთი 5 ათას საპალნე აბრეშუმის ხამ ძაფს

აწარმოებდა. როგორც ჩანს, ქართული აბრეშუმი ბევრად არ ჩამოუვარდებოდა აღმოსავლურ აბრეშუმს.

აბრეშუმით ვაჭრობას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა პოლონეთის ეკონომიკაშიც. მას ცხოველი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული იტალიის ქალაქების შავი ზღვის ფაქტორიებთან – კაფასთან, ტანასთან და სხვებთან. პოლონეთს ამ კოლონიებში გაჰქონდა ევროპული საქონელი და მის სანაცვლოდ ღებულობდა აღმოსავლურ აბრეშუმს, მაგრამ ოსმალეთის აგრესიამ ეს არხი ჩაკეტა. ამიტომ XV ს. დამლევს პოლონეთის სავაჭრო ურთიერთობის ცენტრებმა შავი ზღვიდან ბალტიის ზღვაზე გადაინაცვლა. XVI ს. დასასრულს და XVII ს. დასაწყისში პოლონეთს აბრეშუმს ინგლისი და ჰოლანდია აწვდიდა ბალტიის ზღვით, ხოლო ირანი – კასპიის ზღვის და ვოლგის არტერიით.

1618 წ. ევროპაში 30-წლიანი ომი დაიწყო. ამ ომში ინგლისი და ჰოლანდია პოლონეთის საწინააღმდეგო, ე.წ. ანტიჰაბსბურგთა ბანაკში აღმოჩნდა. ამან დროებით დაარღვია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის მანამდე არსებული სავაჭრო კონტაქტები. გარდა ამისა, 1623 წ. სპარსეთის ყურეში გაბატონების შემდეგ შაჰ-აბასმა შეწყვიტა კასპიის და ვოლგის გზით აბრეშუმის გატანა პოლონეთში, რადგან ირანის აბრეშუმს აფრიკის შემოვლით უფრო იაფი გზა გაეხსნა ევროპისკენ. ასეთ ვითარებაში, რ. ქებულაძის ვარაუდით, პოლონეთში საქართველოს აბრეშუმით უნდა დაინტერესებულიყვნენ. მით უფრო, რომ აბრეშუმის შესყიდვას ადგილზევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 129-130). ამ კუთხით ფასეულია პიეტრო დელა-ვალეს ცნობა, რომლის თანახმადაც, „თვით პოლშის ხელმწიფეს, როგორც ამბობენ, აქვს იმერეთის, ოდიშისა და გურიის მთავრებთან მეგობრობა და მიწერ-მოწერა. ხშირად ერთი ქვეყნიდან მეორეში სავაჭრო ხომალდები დადიან“ (მოგზაურის პიეტრო დელა-ვალეს მოხსენება საქართველოზე პაპი ურბანუს მერვესადმი, გვ. 57).

ამრიგად, პიეტრო დელა-ვალეს ცნობით, XVII ს. პირველ ნახევარში, საქართველოსა და პოლონეთ-ლიტვის სამეფოებს პოლიტიკური ურთიერთობასთან ერთად, ეკონომიკური ურთიერთობაც უნდა ჰქონოდა. ამ გზით საქართველოში გარდა პოლონური მონეტებისა, პოლონეთ-ლიტვის სამეფოში მიმოქცევაში ჩართული სხვა ევროპული მონეტებიც შემოდიოდა, **რასაც პოლონური მონეტების განძებში ბრანდენბურგული და პრუსიული მონეტების აღმოჩენის შემთხვევები ადასტურებს** (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში გვ. 130).

არ უნდა დაგვავიწყდეს აგრეთვე კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობაც, რომლებთაც კათოლიკურ რელიგიასთან ერთად საქართველოში ევროპული ფულიც შემოჰქონდათ. რ. ქებულაძის მოსაზრების თანახმად, კათოლიკე მისიონერებს ჩვენში რომის გარდა, პოლონეთ-ლიტვის სამეფოც გზავნიდა, რასაც ადგილი სიგიზმუნდ III-ის მეფობის პერიოდში უნდა ჰქონოდა. მით უფრო, რომ საქართველოში კათოლიკე მისიონერების შემოსვლის გზებიდან ყველაზე უსაფრთხო, პოლონეთ-ლიტვის სამეფოზე გავლით, დნეპრის გზა იყო (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 131).

უკვე გვქონდა ხაზგასმული, რომ საქართველოში აღმოჩენილი პოლონური, ბრანდენბურგული და პრუსიული მონეტები, ძირითადად, სიგიზმუნდ III-ის და გეორგ ვილჰელმის **ორტებს და პოლტორაკებს** წარმოადგენს. ამავე დროს პოლონეთ-ლიტვის გაერთიანებულ სამეფოში ორტებს გარდა სხვა ნომინალებიც იჭრებოდა: ტალერები, გროშები, სოლიდები, შოსტაკები, ტროიაკები, პოლტორაკები და ა.შ. რატომ მოხდა, რომ ამ ერთეულებიდან ჩვენში უმთავრესად მაინცდამაინც ორტები გავრცელდა?

აღმოსავლეთ საქართველოში სინქრონულად, ძირითადად, აბაზიანები ცირკულირებდა. შაჰ-აბას I-ის დროინდელი აბაზიანის წონა 7.8 გრ-ს უდრიდა. დროთა განმავლობაში, მისი წონა თანდათანობი კლებულობს და უახლოვდება ორტების წონას – 7.6 გრ-ს. ამიტომ საფიქრებელია, რომ აბაზიანების და ორტების წონითი თანაფარდობა აღმოსავლეთ საქართველოში ამ უკანასკნელის გავრცელების ერთ-ერთ მიზეზს უნდა წარმოადგენდეს. დასავლეთ საქართველოში, მართალია, ოსმალური ახჩები იყო გავრცელებული, მაგრამ წერილობითი წყაროებიდან (ლამბერტი, შარდენი, ტოლოჩანოვი და იევლევი) ცნობილია, რომ სამეგრელოში და იმერეთში ირანული ტიპის მონეტებიც იყო ბრუნვაში. ამიტომ აბაზიანების და ორტების ზემოთ აღნიშნული წონითი თანაფარდობა შეიძლება გამოვიყენოთ დასავლეთ საქართველოში ორტების გავრცელების საკითხის შესასწავლად (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 132-133).

სხვა ევროპული მონეტებისაგან განსხვავებით, საქართველოში ორტები და პოლიტორაკები მხოლოდ XVII ს. პირველ ნახევარში შემოდის. ისინი, ძირითადად, სიგიზმუნდ III-ის და გეორგ ვილჰელმის სახელით 1621 - 1626 წწ. მოჭრილი მონეტებია.

XVII ს. მეორე ნახევრისთვის საქართველოში ორტების და პოლტორაკების შემოსვლის შეწყვეტის მიზეზი დნეპრის გზის დახურვაში უნდა ვეძიოთ (რ. ქებულაძე. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, გვ. 135). აქ ამ პერიოდში განუწყვეტელი ომები მიმდინარეობდა (უკრაინას და პოლონეთს შორის), რაც 1668 წ. უკრაინის გაყოფით დამთავრდა. შემდეგში საომარ ოპერაციებში ოსმალეთიც ჩაერთო. ასეთ ვითარებაში დნეპრის გზის გამოყენება სამიმოსვლოდ და სავაჭროდ შეუძლებელი იყო.

ასეთია სამონეტო საქმის და სამონეტო მიმოქცევის სურათი XVII - XVIII სს. საქართველოში.

1804 - 1834 წლებში თბილისში მოჭრილი რუსული მონეტები

1801 წ. რუსეთმა ფეხქვეშ გათელა 1783 წ. ქართლ-კახეთის სამეფოს და რუსეთის იმპერიას შორის დადებული მფარველობითი ტრაქტატი და ეს რეგიონი უშუალოდ შეიერთა. შემდეგში, ეტაპობრივად, ინკორპორირებული იქნა იმერეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი, არტაანის და ართვინის მხარეები.

ქართლ-კახეთი, შეერთების შემდეგ, რუსულ ადმინისტრაციას დაექვემდებარა. ის კი არ დაუშვებდა აქ რაიმე ტიპის ავტონომიური ფულის ემისიას. თბილისის ძველი ზარაფხანა გაუქმდა. მაგრამ ამ ღონისძიებამ იმპერია ახალი პრობლემების წინაშე დააყენა. საქმე ის იყო, საქართველოში რუსეთის სახელმწიფოს ჩინოვნიკები და რუსული ჯარი ხელფასს რუსეთიდან შემოტანილი ფულით ღებულობდნენ. ეს კი დიდ სირთულეებთან და დაგვიანებასთან იყო დაკავშირებული. რეგიონი ვერცხლის და სპილენძის მონეტების დეფიციტს განიცდიდა. პეტერბურგიდან და ეკატერინებურგიდან გადმოსროლილი თანხა ამ „ვაკუუმს“ ვერ ავსებდა. ამას დაემატა ისიც, რომ რუსეთის ხელისუფლება გადასახადებს ვერცხლის ფულით კრეფდა და, სამაგიეროდ, მოსახლეობას ასიგნაციებს სთავაზობდა, რაც მათ პროტესტს იწვევდა. საქართველოში და, საერთოდ, კავკასიაში ასიგნაციებს არავინ ღებულობდა. ვერცხლის და სპილენძის მონეტების დეფიციტმა გამოიწვია ვერცხლთან შეფარდებით ოქროს კურსის (ჰოლანდიური დუკატები, ლობანჩიკები) მკვეთრი დაცემა. საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩერვონეცის კურსი არ დაცემულა. ე.ი. დაბალ ფასებში ნაყიდი ჩერვონეცი ქვეყნიდან გაედინებოდა, სომეხი ვაჭრები ამით დიდად სარგებლობდნენ. დამატებით, ირანული საქონლის მოზღვავებამ ირანში ლითონის ფულის დიდი რაოდენობით გადინება გამოიწვია. ქვეყანაში კიდევ უფრო გამწვავდა ფულის დეფიციტი (ფული საქართველოში. მეორე გადამუშავებული გამოცემა, გვ. 97).

ზემოთქმულის გამო, მეფის მთავრობა იძულებული გახდა ეფიქრა თბილისის ზარაფხანის აღდგენასა და ადგილობრივად, ვერცხლის და სპილენძის მონეტების ემისიაზე. დაიწყო მუშაობა მომავალი სამონეტო ტიპის დიზაინზე, რომელიც რუსეთში არსებული სისტემის მიხედვით უნდა ყოფილიყო მოჭრილი, მაგრამ, გარეგნულად – ქართული იერის მატარებელი. თავისი დროის უდიდესმა ფარისეველმა და „ლიბერალურად“ განწყობილმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ინება, რომ ქართულ მონეტაზე „რუსული არაფერი ყოფილიყო“. „ალბათ, სწორედ ამ მიზეზებით 1802 წლის 21 ოქტომბრის № 20476 ბრძანებით დამტკიცებული სამონეტო ტიპი . . . საერთოდ არ გამოსულა“ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 160-161). დ. კაპანაძე თავისი წიგნის 161-ე გვერდზე ამ პროექტის ჩანახაზსაც აქვეყნებს. მისი აღწერილობა ასეთია:

შუბლი – საქალაქო კბილანა გვირგვინის ქვეშ მოთავსებულია რუსული წარწერა, ТИФЛИСЬ, მის ქვემოთ პალმის და ზეთისხილის ურთიერთგადამკვეთი ტოტები.

ზურგი – რუსული ზედწერილი, ГРУЗИНСКАЯ МОНЕТА, ქვემოთ – 1802.

ახალი „ქართული“ მონეტის კიდევ რამდენიმე პროექტი იყო განხილული. საბოლოოდ, ისეთ მონეტაზე შეჩერდნენ, რომელზედაც საკუთარი სახელი მოხსენიებული არ უნდა ყოფილიყო და მას „ავტონომიური“, საქალაქო მონეტის სახე უნდა მისცემოდა.

1804 წ. 15 სექტემბერს სამეფო აბანოს ყოფილ შენობაში საზეიმოდ გაიხსნა თბილისის ზარფხანა, რაც საგანგებო მედლის მოჭრითაც აღინიშნა. ვიძლევით მის აღწერილობას:

ვერცხლი. წ. – 8.23 გრ. მედალი საკმაოდ იშვიათია.

შუბლი – ცენტრში რუსეთის ემბლემა, ორთავიანი არწივი, რომელსაც ბრჭყალებში ოქროს საწმისი უპყრია. ზემოთ, მონეტის არეზე მოთავსებულია დიდი დათვის თანავარსკვლავედი, ქვემოთ, დედამიწის სფეროს ნაწილი, რომელსაც რუსული წარწერა აქვს, ИБЕРИЯ, КОЛХИДА. მედლის კიდეზე ზედწერილია, ПОХИЩЕННОЕ ВОЗВРАЩАЕТ.

ზურგი – ხუთსტრიქონიანი რუსული ზედწერილი, ТИФЛИСКІЙ/МОНЕТН: ДВОРЪ/ОТКРЫТЪ/15 СЕНТЯБРЯ/1804 (Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика, გვ. 134, № 198, ტაბ. XVI, № 198; დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 163, № 244, ტაბ. XX, № 244) (ტაბ. XII).

დ. კაპანაძის განცხადებით, ცნობილია ამ მედალის ვარიანტი, რომელსაც ზურგის ზედწერილში უმნიშვნელო ცვლილება აქვს: ТИФЛИСКІЙ МОНЕТН: ДВОР-ის ნაცვლად წერია ТИФЛИСКОЙ МОНЕТН: ДВОР (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 163, № 245, ტაბ. XX, № 245). ავტორი იმასაც კი აღნიშნავს, რომ ე. პახომოვის თქმით, ერთ-ერთ ნუმიზმატიკურ აუქციონზე, რომელიც რუსეთში იმართებოდა ხოლმე, მას უნახავს **ოქროს ასეთივე მედალი**. დ. კაპანაძე იქვე დასძენს, რომ სულ უკანასკნელ დროს ანალოგიური ნიმუში ლენინგრადის ერმიტაჟშიც აღმოჩნდაო (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 163). სამწუხაროდ, ავტორი არც ერმიტაჟის ნუმიზმატიკის განყოფილების საინვენტარო ნომერს უთითებს და არც იმას, გამოქვეყნებულია თუ არა ეს იშვიათი მედალი სადმე.

ვიდრე უშუალოდ რუსეთთან შეერთების შემდეგ თბილისში მოჭრილი მონეტების აღწერას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ იმ ტერმინზე, რომლითაც ეს სამონეტო ჯგუფი აღინიშნება სამეცნიერო ლიტერატურაში.

დ. კაპანაძე 1955 წ. მოსკოვში გამოცემულ სახელმძღვანელოში მათ უწოდებს русско-грузинские монеты (Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика, გვ. 131). შინაარსობრივად, თითქმის იმავე ტერმინით მოიხსენიება ეს მონეტები წიგნში „ფული საქართველოში (II გამოცემა, გვ. 97).

შემდეგში დ. კაპანაძემ შეცვალა თავისი პოზიცია და ასე დაასათაურა თავისი „ქართული ნუმიზმატიკის“ ის ნაწილი, სადაც ეს მონეტებია მიმოხილული: „რუსეთთან შეერთების შემდეგ მოჭრილი თბილური მონეტები“ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 160).

გვგონია, რომ მათ აღსანიშნავად უმჯობესია ვიხმაროთ ასეთი ვარიანტი – 1804 - 1834 წლებში თბილისში მოჭრილი რუსული ფული.

ვიდრე, უშუალოდ, თბილისში მოჭრილი რუსული ნომინალების აღწერას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ რუსეთის მთავრობამ ვერცხლის და სპილენძის მონეტებისთვის საერთო ტიპი შეიმუშავა და დაამტკიცა.

შუბლი – საქალაქო კბილანა გვირგვინს ქვეშ მოთავსებულია ქართული მხედრული წარწერა „ტფილისი“, სულ ქვემოთ პალმის და ზეთისხილის ორი ურთიერთგადამკვეთი ტოტი.

ზურგი – პირველ სტრიქონზე ნომინალის აღმნიშვნელი ქართული ასო, შემდეგ ორ სტრიქონად – „ქართული ფული“ (სპილენძისთვის), ან „ქართული თეთრი“ (ვერცხლისთვის). მეოთხე სტრიქონზე ევროპული თარიღი, რომელიც ქართული რიცხვითი ნიშნებით არის გადმოცემული. გარდა ამისა, ვერცხლის ფულზე, თარიღის ქვემოთ, მონეტის მომჭრელის რუსული ინიციალებია მოთავსებული (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 161).

ვერცხლის მონეტები თბილისში იჭრებოდა 1804 - 1834, ხოლო სპილენძისა – 1804 - 1810 წწ. ვერცხლისგან მოიჭრა შემდეგი ნომინალები: 40, 20 და 10 კაპიკი, სპილენძისა – 2, 1 და კაპიკი. თარიღის მსგავსად, ნომინალებიც ქართული ანბანის რიცხვითი ნიშნების საშუალებით აღინიშნებოდა: „უ“ (=400) (ამ ციფრების სემანტიკაზე იხ. ქვემოთ), „ს“ (=200) და „რ“ (=100) 40, 20 და 10 კაპიკისთვის და „კ“ (=20), „ი“ (=10) და „ე“ (=5) 2, 1 და 1/2 კაპიკისთვის. ვერცხლის მონეტების თარიღის ქვეშ ამოკვეთილი მომცრო ზომის რუსული ინიციალები ასეთნაირად იშიფრება: П. З. – პეტრე ზაიცევი, А. Т. – ალექსანდრე ტრიფონოვი, А. К. – ალექსი კარპინსკი, В. К. – ვასილ კლეიმენოვი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1828 წ. პეტერბურგში საცდელად გამოშვებულ, ფაქიზად და ლამაზად შესრულებულ სამივე ნომინალზე ზარაფების ინიციალები მოთავსებული არ არის.

გადავდივართ ნომინალების აღწერაზე, რაც შესრულებულია წიგნის – „ფული საქართველოში“ – მიხედვით (იხ. გვ. 98 - 99).

1. ორი აბაზი, ანუ 40 კაპიკი. ვერცხლი. წ. – 6.23 გრ. ზ. – 25 მმ. 1804 წ.

შუბლი – გვირგვინი, პალმის და ზეთისხილის ტოტები. ქართული ზედწერილი „ტფილისი“.

ზურგი – ქართული ზედწერილი: „„უ“ (400)/ქართული/თეთრი/ჩყდ“ (1804 წ.). რუსული ზედწერილი, ოსტატის ინიციალები: „პ.ზ.“ (ტაბ. XI, № 60).

2. აბაზი, ანუ 20 კაპიკი. ვერცხლი. წ. – 3.09 გრ. ზ. – 19 მმ. 1806 წ.

შუბლი – გვირგვინი, პალმის და ზეთისხილის ტოტები. ქართული ზედწერილი „ტფილისი“.

ზურგი – ქართული ზედწერილი: „„ს“ (200)/ქართული/თეთრი/ჩყვ“ (1806 წ.). რუსული ზედწერილი, ოსტატის ინიციალები: „ა.კ.“ (ტაბ. XI, № 61).

3. უზალთუნი, ანუ 10 კაპიკი. ვერცხლი. წ. – 1.55 გრ. ზ. – 16 მმ. 1805 წ.

შუბლი – გვირგვინი, პალმის და ზეთისხილის ტოტები. ქართული ზედწერილი „ტფილისი“.

ზურგი – ქართული ზედწერილი: „„რ“ (100)/ქართული/თეთრი/ჩყე“ (1805 წ.). რუსული ზედწერილი, ოსტატის ინიციალები: „პ.ზ.“ (ტაბ. XI, № 62).

4. ბისტი, ანუ 2 კაპიკი. სპილენძი. წ. – 14.87 გრ. ზ. – 30/31 მმ. 1810 წ.

შუბლი – გვირგვინი, პალმის და ზეთისხილის ტოტები. ქართული ზედწერილი „ტფილისი“.

ზურგი – ქართლი ზედწერილი: „„კ“ (20)/ქართული/ფული/ჩყი“ (1810 წ.) (ტაბ. XI, № 63).

5. ნახევარი ბისტი, ანუ 1 კაპიკი. სპილენძი. წ. – 6.96 გრ. ზ. – 24/25 მმ. 1810 წ.

შუბლი – გვირგვინი, პალმის და ზეთისხილის ტოტები. ქართული ზედწერილი „ტფილისი“.

ზურგი – ქართული ზედწერილი: „„ი“ (10)/ქართული/ფული/ჩყი (1810 წ.) (ტაბ. XI, № 64).

6. ფული, ანუ ნახევარი კაპიკი. სპილენძი. წ. – 3.9 გრ. ზ. – 20 მმ. 1805 წ.

შუბლი – გვირგვინი, პალმის და ზეთისხილის ტოტები. ქართული ზედწერილი „ტფილისი“.

ზურგი – ქართული ზედწერილი: „„ე“ (5)/ქართული/ფული/ჩყე“ (1805 წ.) (ტაბ. XI, № 65).

თბილისის ზარაფხანამ, რომელიც 1804 წ. 15 სექტემბერს გაიხსნა და 1834 წ. 13 თებერვლამდე ფუნქციონირებდა (1834 წელს მოჭრილ მონეტებს 1833 წლით ათარიღებდნენ), გამოუშვა 1.060.714 მანეთის და 30 კაპ. ვერცხლის და 8310 მანეთის და 89.5 კაპ. სპილენძის ფული. მონეტათა ემისიას რეგულარული ხასიათი არ ჰქონდა. ასე მაგ., 1825 წ. მონეტა საერთოდ არ მოუჭრიათ. ზოგჯერ, გარკვეულ წელს მხოლოდ ესა თუ ის ნომინალი იჭრებოდა. ზოგჯერ გამოშვებული ფულის ტირაჟი დიდი იყო, ზოგჯერ – მცირე. გამომდინარე აქედან, ზოგიერთი ნომინალი ფართოდ არის გავრცელებული, ან, პირიქით, იშვიათობას წარმოადგენს. იშვიათია 1804, 1810 და 1811 წწ. ვერცხლის ყველა მონეტა. განსაკუთრებით, იშვიათობას წარმოადგენს 1804 წ. მოჭრილი სპილენძის ყველა ნომინალი (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 162).

თავის სახელმძღვანელოში დ. კაპანაძემ გამოაქვეყნა სპეციალური ცხრილი, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს, თუ რა ნომინალი იჭრებოდა ამა თუ იმ წელს, ან რომელი მათგანია იშვიათი (იხ. დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 165). ეს ცხრილი ჩვენ უცვლელად გადმოგვაქვს წინამდებარე ნაშრომში (იხ. გვ. 157).

თარიღი		ორი აბაზი უ(=400) ფული		აბაზი ს(=200) ფული		უზაღთუნი რ(=100) ფული		2 კაპ. კ(=20) ფული	1 კაპ. ი(=10) ფული	1/2 კაპ. ე(=5) ფული
1804	ᲩᲧᲦ	ᲚᲖ		ᲚᲖ	ᲚᲖ	ᲚᲖ		○	○	○
1805	ᲩᲧᲔ	ᲚᲖ		ᲚᲖ		ᲚᲖ		○	○	○
1806	ᲩᲧᲖ	ᲐᲚ		ᲚᲖ	ᲐᲚ	ᲐᲚ		○	○	○
1807	ᲩᲧᲖ	ᲐᲚ		ᲐᲚ						
1808	ᲩᲧᲗ	ᲐᲚ		ᲐᲚ				○	○	
1809	ᲩᲧᲘ	ᲐᲚ		ᲐᲚ						
1810	ᲩᲧᲘ	ᲐᲗ		ᲐᲗ				○	○	
1811	ᲩᲧᲘᲐ	ᲐᲗ								
1812	ᲩᲧᲘᲑ	ᲐᲗ		ᲐᲗ						
1813	ᲩᲧᲘᲒ	ᲐᲗ		ᲐᲗ		ᲐᲗ				
1814	ᲩᲧᲘᲓ	ᲐᲗ		ᲐᲗ						
1815	ᲩᲧᲘᲔ	ᲐᲗ		ᲐᲗ						
1816	ᲩᲧᲘᲕ	ᲐᲗ		ᲐᲗ						
1817	ᲩᲧᲘᲖ	ᲐᲗ		ᲐᲗ						
1818	ᲩᲧᲘᲗ	ᲐᲗ		ᲐᲗ						
1819	ᲩᲧᲘᲘ	ᲐᲗ		ᲐᲗ						
1820	ᲩᲧᲙ	ᲐᲗ		ᲐᲗ		○				
1821	ᲩᲧᲚᲐ	ᲐᲗ		ᲐᲗ		○				
1822	ᲩᲧᲚᲑ	ᲐᲗ	ᲐᲚ	ᲐᲗ	ᲐᲚ	ᲐᲚ				
1823	ᲩᲧᲚᲒ	ᲐᲚ		ᲐᲚ		ᲐᲚ				
1824	ᲩᲧᲚᲓ	ᲐᲚ		ᲐᲚ		ᲐᲚ				
1825	ᲩᲧᲚᲔ									
1826	ᲩᲧᲚᲕ	ᲐᲗ	ᲐᲗ	ᲐᲗ	ᲐᲗ	ᲐᲗ				
1827	ᲩᲧᲚᲖ	ᲐᲗ		ᲐᲗ		ᲐᲗ				
1828	ᲩᲧᲚᲗ	ᲐᲗ	○	ᲐᲗ	○	ᲐᲗ	○			
1829	ᲩᲧᲚᲘ	ᲐᲗ								
1830	ᲩᲧᲪ	ᲐᲗ		ᲐᲗ						
1831	ᲩᲧᲪᲐ	ᲐᲗ	ᲑᲚ	ᲐᲗ		ᲐᲗ				
1832	ᲩᲧᲪᲑ	ᲑᲚ				ᲑᲚ				
1833	ᲩᲧᲪᲒ	ᲑᲚ				ᲑᲚ				

დასასრულს, არ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი დ. კაპანაძის ერთ მეტისმეტად უხერხულ მოსაზრებას. ის წერს: „**ქართული ფულის** (?! – გ. დ., თ. დ.) უკანასკნელი სერიის ნომინალთა ეს შეფარდება (იგულისხმება 1804 - 1834 წწ. თბილისში მოჭრილი რუსული მონეტები – გ. დ., თ. დ.) უნებლიეთ გვაგონებს **სულ პირველი ქართულივე ფულის, კოლხური თეთრის შეფარდებას**. აქაც და იქაც შეფარდება 4 : 2 : 1 : 1/2 იყო; ტეტრადრაქმა, დიდრაქმა, დრაქმა და ნახევარდრაქმიანი შეესაბამება ორაბაზიანს, აბაზიანს, ორშაურიანსა და შაურიანს . . . ამრიგად, ამ ორი ერთიმეორისაგან თითქმის 25 საუკუნით დაშორებულ მონეტათა სერიის ნომინალთა შეფარდება ერთნაირი ყოფილა (?! – გ. დ., თ. დ.) და ქართულმა ნუმიზმატიკურმა ძეგლებმა ისეთივე სისტემით დაამთავრეს თავიანთი არსებობა, როგორითაც დაიწყეს“ (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 162).

აქ ბევრი უზუსტობაა. ჯერ ერთი, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, 1804 - 1834 წწ. თბილისში გამოშვებული მონეტები რუსეთის ხელისუფლების მიერ არის მოჭრილი (რასაც დ. კაპანაძეც არ უარყოფს). მეორეც, ვინ დაამტკიცა, რომ კოლხური თეთრი ქართული მონეტაა? ის, რომ ეს სამონეტო ჯგუფი ინტენსიურად მიმოიქცეოდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის ქართულ გენეზისს (ზოგადად ამ საკითხის შესახებ იხ. გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 30-41; დაწვრ. იხ. გ. დუნდუა. კოლხური თეთრი (ზოგადი მიმოხილვა). კრ. იბერია-კოლხეთი. I. თბ. 2003, გვ. 33-49). დაბოლოს, დამოუკიდებლად წარმომავლობისა, კოლხური თეთრი ანტიკური სამონეტო სისტემის განუყოფელი ნაწილია და მას არავითარი საერთო არ აქვს აბაზიანებსა და უზალთუნებთან.

ამ თავის დასასრულს უნდა შევეხოთ კიდევ ერთ ნუმიზმატიკურ ძეგლს.

1901 წ., რუსეთთან საქართველოს შეერთების 100 წლისთავთან დაკავშირებით, თბილისში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა. ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, რუსეთში მოიჭრა ვერცხლის და სპილენძის მემორიალური მედლები. მათ ასეთი სახე აქვთ:

შუბლი – რუსულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ტახტზე მჯდომი ქალის გამოსახულება; ტახტის საფეხურზე ქართულ ეროვნულ სამოსელში გამოწყობილი ქალია ჩამომჯდარი (სიმბოლურად, ისინი რუსეთს და საქართველოს გამოსახავენ), რომელსაც ამომავალი მზისკენ ხელი აქვს გაწვდილი. ამ უკანასკნელზე საქართველოს რუსეთთან შეერთების თარიღია ამოკვეთილი: 1801. ამ კომპოზიციის ქვეშ მეორე თარიღია: 1901.

ზურგი – რუსული წარწერა: ЗА ТРУДЫ И ЗНАНИЕ და დაფნის რტო. ზემოთ რომაული ციფრი, C, საქართველოს რუსეთთან მიერთების 100 წლისთავი, ქვემოთ, L, სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეობის 50 წლისთავი. გარშემო რუსული ზედწერილი: КАВКАЗСКАЯ ВЫСТАВКА СЕЛЬСК. ХОЗЯЙСТВА И ПРОМЫШЛЕННОСТИ.

ამით ვამთავრებთ საქართველოში მოჭრილი ნუმიზმატიკური ძეგლების და აქვე გავრცელებული უცხოური მონეტების მიმოქცევას, რაც 25 საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა.

საქართველოს ზარაფხანები

საქართველოს ზარაფხანების საკითხს დ. კაპანაძემ სპეციალური ნაშრომები მიუძღვნა (იხ. დ. კაპანაძე. უცნობი ქართული მონეტებისა და ზარაფხანების საკითხის შესწავლისათვის. სსმმ. ტ. XIV-B. 1947, გვ. 149-165; მისივე. ზარაფხანათა და მონეტათა გამომშვები ცენტრების ლოკალიზაციისათვის ძველ საქართველოში. სმამ. ტ. XXIII. № 4. თბ. 1959. შეცვლილი სახით მან ეს უკანასკნელი წერილი თავის „ქართულ ნუმიზმატიკასაც“ დაურთო. იხ. გვ. 167-172. კონკრეტული სამონეტო ცენტრების, კერძოდ, დმანისის, ახალციხის, არტანუჯის და სხვა ზარაფხანების საკითხს მიუძღვნეს თავიანთი სტატიები გ. წერეთელმა, თ. ლომოურმა, მ. ანთაძემ და სხვ. მათ ჩვენ სათანადო ადგილას უკვე შევეხეთ.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ასევე საგანგებოდ და აკუმულირებული ფორმით არის ეს პრობლემა განხილული „ქართულ ნუმიზმატიკურ ლექსიკონში“, გვ. 71-74. აქვეა საკითხის შესახებ არსებული ძირითადი ბიბლიოგრაფია.

ვინაიდან დ. კაპანაძის ზოგიერთ მოსაზრებას ჩვენ არ ვეთანხმებით და იმის გამოც, რომ ბოლო ხანებში ახალი მონაცემები გაჩნდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ზარაფხანების შესახებ, საჭიროდ მივიჩნიეთ აქ **ზოგადად** შევხებოდით ამ საკითხს. ზოგადად იმიტომ, რომ დაწვრილებით პრობლემის შესახებ ნაშრომის შესაბამის გვერდებზე გვაქვს საუბარი.

ზარაფხანა, როგორც წესი, ქვეყნის მნიშვნელოვან ცენტრებში ფუნქციონირებდა. მათ შესახებ, უმეტეს შემთხვევაში, თვით მონეტის ზედწერილი გვამცნობს, მაგრამ – ყოველთვის არა. ასე მაგ., საქართველოში მოჭრილი მონეტების გარკვეულ ნაწილს ცნობა გამოშვებული ადგილის შესახებ არ ახლავს, რაც ართულებს მათი ზარაფხანის ლოკალიზაციის საკითხს.

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი მონეტა ძვ. წ. VI ს. დასასრულს მოიჭრა. ეს არის ე.წ. კოლხური თეთრი, რომლის ემისია, ალბათ, ძვ. წ. III ს-მდე გრძელდებოდა. ეს სამონეტო ჯგუფი, ძირითადად, ანეპიგრაფიკულია. ყველაზე მეტად შესაძლებელია, მისი მოჭრის ცენტრად **ფაზისი** მივიჩნიოთ. ამ მოსაზრებას დ. კაპანაძე არ ეთანხმება: „ . . . არსებული ფაქტობრივი მასალისა და **გავრცელების არეალით** ეს არ დასტურდება“. ასეთია ავტორის კონტრარგუმენტი (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 167). ეს არგუმენტი, რბილად რომ ვთქვათ, სუსტია. როგორც უკვე გვქოდა აღნიშნული, კოლხური თეთრი, უმეტესწილად, ანეპიგრაფიკულია და ამ გზით მისი ემისიის ცენტრის დადგენა გამორიცხულია. რაც შეეხება მონეტათა გავრცელების არეალს, როდის იყო, რომ „გავრცელების არეალით“ მონეტის მოჭრის ცენტრის ლოკალიზაცია ხდებოდა, მით უმეტეს, რომ კოლხური თეთრი აღმოჩენილია როგორც დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლში, ასევე – შიდა რაიონებში. უკეთეს შემთხვევაში, „გავრცელების არეალის“ საშუალებით,

შეიძლება მხოლოდ გარკვეული ვარაუდის გამოთქმა და მეტი არაფერი. ამავე დროს, კოლხური თეთრის იკონოგრაფია უფრო მეტად მაინც ბერძნულ სამყაროს უკავშირდება. ამის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე ზოგიერთ ნახევარდრაქმაზე მოთავსებულ ბერძნულ ასოთა ინტერპრეტაცია, და წერილობითი წყაროების ინფორმაციის ანალიზიც.

თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ანტიკურ ხანაში ერთადერთი შემთხვევაა დაფიქსირებული, როდესაც მონეტის მოჭრის ადგილი ზუსტად არის დადასტურებული. ძვ. წ. II ს. ბოლოს და I ს. დასაწყისში **დიოსკურია** (დღევ. სოხუმი) საკუთარი სახელით ჭრის სპილენძის მონეტებს.

ჰიპოთეზის სახით, ამ სტრიქონების ერთ-ერთმა ავტორმა, რამდენიმე ათეული წლის წინ, გამოთქვა ვარაუდი, რომ ძვ. წ. I ს. 80-იან წწ. მითრიდატე VI ევპატორის მიერ კოლხების მეფედ დანიშნულმა მისმა ვაჟმა – მითრიდატე ფილოპატორ ფილადელფოსმა, **ვანში (სურიონი)** განახორციელასპილენძის მონეტების ემისია.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოს ფარგლებში ძვ. წ. I ს. შუა ხანებში არისტარქე კოლხის სახელით იჭრებოდა დრაქმები, რაც, ყოველგვარ ეჭვს გარეშე, მტკიცდება ნუმიზმატიკური ფაქტებით, მათი ემისიის ცენტრი დაუდგენელია (ალბათ, მაინც უფრო **ფაზისი**, თუმცა, არც **დიოსკურიის** გამორიცხვა არის მართებული).

დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ არის პუნქტი, რომელიც კოლხური სამყაროს განუყოფელი ნაწილია. ეს არის ქალაქი **ტრაპეზუნტი**, რომლის მოსახლეობის ძირითად ბირთვს გვიანანტიკურ ხანაში ქართველური ტომები შეადგენდნენ. ეს დასტურდება როგორც წერილობითი წყაროების ცნობებით, ასევე ამ ქალაქში ახ. წ. II - III სს. მოჭრილი სპილენძის მონეტების იკონოგრაფიით.

დაუდგენელია, ზუსტად სად იჭრებოდა VI ს. მიწურულსა და VII ს. სულ პირველ წლებში ქართლის ერისმთავრების – გურგენის, ჯუანშერის და სტეფანოს I დრაქმები. სავარაუდოდ, მათი ემისიის ცენტრი **თბილისია**.

VIII ს. დასაწყისიდან სურათი იცვლება. მონეტებს უკვე ახლავს ზარაფხანის აღმნიშვნელი ზედწერილი, რაც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ საქართველოში ზუსტად დადგენილი რამდენიმე ცენტრის არსებობის შესახებ.

პირველი ასეთი მონეტა **თბილური** ანონიმური დირჰემია, დათარიღებული ჰიჯრ. 85 წ. (= 704/5 წწ.). IX ს-დან მას დროგამოშვებით, და, ზოგჯერ, შესამჩნევი ხარვეზებით, მიყვება დანარჩენი თბილური დირჰემები. ასეთი მონეტები ჯერ ხალიფას სახელით იჭრება, შემდეგ – ხალიფას და თბილისის ამირებისა.

XI - XII სს. ქართულ მონეტებს ზარაფხანის აღმნიშვნელი წარწერა არ ახლავს. XIII ს-ის 40-იანი წლებიდან (მონღოლთა შემოსევის შემდეგ) ეს წესი კვლავ აღდგა და XV ს. დამდეგამდე **თბილისში** მოჭრილი მონეტების უმრავლესობაზე ზარაფხანის აღმნიშვნელი ზედწერილია მოთავსებული. ამის შემდეგ ეს ტრადიცია დროებით კვლავ ქრება. კონკრეტული წესი ისევ აღორძინდა XVII ს. დასაწყისიდან, როდესაც საქართველოში ირანის გავლენა დამყარდა, და მან იარსება XIX ს. 30-იან წლებამდე.

ამრიგად, მეტ-ნაკლები ქრონოლოგიური წყვეტილით, თბილისის ზარაფხანა 11 საუკუნეზე მეტ ხანს მოქმედებდა.

ზუსტად დაფიქსირებული საქართველოს დანარჩენი ზარაფხანების ფუნქციონირება უფრო ხანმოკლე იყო. ქორონიკონსა 465 (= 1245 წ.) **დმანისის** ზარაფხანაში მოიჭრა დავით ნარინის მონეტა. დმანისის ზარაფხანის მოქმედება, ალბათ, მალევე შეწყდა, ვინაიდან დავით ნარინის სახელით ამავე ტიპის მონეტას 1247 წ-დან უკვე თბილისის ზარაფხანა უშვებს.

ჰიჯრ. 698 წ-დან (1298/1299 წწ.) ამოქმედდა **ახალციხის** ზარაფხანა, სადაც ჯერ ყაზან-ყაენის (1295 - 1304 წწ.), ხოლო შემდეგ ოლჯაითუს (1304 - 1316 წწ.) სახელით ჰიჯრ. 715 წ. (= 1316 - 1317 წწ.) მოიჭრა საერთო ჰულაგუიდური ტიპის დირჰემები. უეჭველია, რომ ახალციხეშივეა გამოშვებული XV ს-ში ყვარყვარე ათაბაგის სხვადასხვა ტიპის მონეტა, თუმცა მათზე ზარაფხანის სახელი მოთავსებული არ არის.

XIV ს. შუა ხანებში ილხანები სულეიმანი (1339 - 1346 წწ.) და ანუშირვანი (1344 - 1353 წწ.) კახეთის ერთ-ერთი ქალაქის, ყარაღაჯის, ზარაფხანაში ახორციელებენ თავიანთი ვერცხლის მონეტების ემისიას.

იმავე კახეთში XVI ს. და XVII ს. I ნახ. ფუნქციონირებდა **ზაგემის** ზარაფხანა, სადაც სეფიანი შაჰები – თაჰმასპ I, აბას I და სეფი I, ჭრიდნენ სპარსული სამონეტო სისტემის სხვადასხვა ნომინალს.

დაბოლოს, კიდევ ერთი პუნქტია ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე,სადაც დოკუმენტურად დადასტურებულია სამონეტო ემისია XVI ს-ში. ეს არტანუჯია. აქ ოსმალეთის სულთნების, სულეიმან I და სელიმ II სახელით მოიჭრა ვერცხლის და ოქროს მონეტები.

კიდევ ერთი ზარაფხანის შესახებ ამახვილებს ყურადღებას დ. კაპანაძე, რომელიც აღნიშნავს: „ . . . მხოლოდ XIV ს. დასაწყისში შეუდგა მოქმედებას კიდევ ერთი მსხვილი ქართული ქალაქის ანისის ზარაფხანაც. ყოველ შემთხვევაში, ყველაზე ადრინდელ ანურ მონეტად ჯერჯერობით მიჩნეულია ჰიჯრის 700 წლის (= 1300/1301 წწ.) სამენოვანი ორმაგი დრამა. ანისი ისევე, როგორც სომხეთის ჩრდილო ნაწილი შეუერთდა საქართველოს ჯერ კიდევ XII საუკუნეში და „გურჯისტანის ვილაიეთის“ ნაწილს წარმოადგენდა მონღოლთა ბატონობის დროსაც. ამრიგად, იმდროინდელი ანური მონეტებიც ქართულ ნუმიზმატიკურ მემკვიდრეობას წარმოადგენს. ამ ზარაფხანის პროდუქციის შესახებ დაწვრილებით ცნობებს რომ არ გავყვეთ, დავიმოწმოთ პროფ. ე. პახომოვის ცნობა, რომ „უკანასკნელ ანურ მონეტად“ ჩაითვლება ჰიჯრის 810 - 823 წლებში მოჭრილი (= 1407 - 1420 წწ.) ყარა-იუსუფის და პირბუდაკის მონეტები. ამრიგად, ანურ ზარაფხანას ერთ საუკუნეზე მეტი არსებობა ჰქონია და ამ ხნის განმავლობაში შედარებით რეგულარულად უმუშავია (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 169).

ოსეთი და მის ტერიტორიაზე მდებარე ალაგირი და ყარჯინი XIV ს-ში ჯუჩიდების იურისდიქციას ემორჩილებოდა. მიუხედავად ამისა, ამ ცენტრებში XIV ს. 30-იან - 50-იან წწ. ოქროს ურდოს მეტოქის, ილხანთა სახელით განხორციელდა

ემისიები. საქმე იმაშია, რომ ამ ხანებში ეს მხარე ქართულ კონტროლს **დაექვემდებარა, და მონეტებიც მხოლოდ ილხანთა სახელით იჭრებოდა. ალაგირის და ყარჯინის** ზარაფხანებს ქართველი მეფეები აკონტროლებდნენ.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი, ზუსტად დაფიქსირებული ცენტრებისა, ალბათ, მოქმედებდა **ქუთაისის** ზარაფხანაც, სადაც უნდა მოეჭრათ თავიანთი მონეტები ბაგრატ IV, გიორგი II და დავით IV. თბილისი ამ დროს მუსლიმების ხელშია. აქვე უნდა განეხორციელებინათ თავიანთი სამონეტო ემისია ორ დავითს (დავით ულუს და დავით ნარინს), რომლებიც XIII ს. 60-იანი წწ. დასაწყისში მცირე ხნით ერთობლივად მართავდნენ იმერეთს. ქუთაისშივე უნდა იყოს მოჭრილი კირმანეული თეთრიც; აგრეთვე, იმერთა მეფეების, ბაგრატ III და გიორგი II მონეტები. ამრიგად, ქუთაისის სამონეტო ცენტრი, ქრონოლოგიური წყვეტილებით, თითქმის ხუთი საუკუნის განმავლობაში მოქმედებდა.

სავარაუდოა, რომ ბაგრატ III (975 - 1014 წწ.) ერთადერთ ცალად ცნობილი ვერცხლის მონეტა მის რეზიდენციაში, **უფლისციხეში** მოიჭრა. მონეტა არაბული დირჰემის იმიტაციაა, რომელიც დასავლეთ საქართველოში გავრცელებული არ იყო. ამიტომ მისი ემისია ამ რეგიონში გამორიცხულია, ხოლო თბილისი ამ დროს არაბების ხელშია.

ბიზანტიური ვერცხლის მონეტების მიხედვით ჭრის თავის ფულს X ს. დავით კურაპალატი. შესაძლოა, ამ მონეტების ემისია **ოლთისში** განხორციელდა.

ზარაფხანის ფუნქციონირება სავარაუდოა ქართლის მთიანეთში, სადაც გახიზნული იყო მეფე დავით VIII, ყაზან-ყაენს რომ ეურჩებოდა. ამ ზარაფხანის ლოკალიზაცია ძალიან ჭირს. შესაძლებელია, ის იყო **ჟინვალში**, ან სხვა რომელიმე პუნქტში.

ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები, სადაც მოხსენიებულია „ცხუმური თეთრი“ და „სებასტოპოლისის ასპრი“, უდავოდ ხდის იმ ფაქტს, რომ **ცხუმში** XIII - XIV სს. ვერცხლის მონეტები იჭრებოდა. შესაძლოა, აქ მოჭრილიყო რუსუდანის 1230 წ. დრამა და კირმანეულების ნაწილი.

დაბოლოს, წერილობითი წყაროს ინფორმაციით, არის კიდევ ერთი ცენტრი, სადაც ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა ირანული ტიპის მონეტა მოაჭრევინა. მაგრამ კონკრეტულად სად, სამეგრელოს რომელ პუნქტში, ამის შესახებ არქანჯელო ლამბერტი არაფერს იუწყება. ჩვენი აზრით, ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ **ცხუმი**, ან **ზუგდიდი**.

ამრიგად, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე და, ზოგადად, ქართველურ სამყაროში, ფაქტობრივი მასალის და წერილობითი წყაროების მონაცემებით, სხვადასხვა დროს მოქმედებდა ზუსტად დადასტურებული შემდეგი ცენტრები: **დიოსკურია, ტრაპეზუნტი, თბილისი, დმანისი, ახალციხე, ყარა-ღაჯი, ზაგემი, არტანუჯი, ცხუმი**. ამას ემატება კიდევ რამდენიმე ზარაფხანა, რომელთა ფუნქციონირება, ასევე სხვადასხვა ქრონოლოგიურ მონაკვეთში, სავსებით შესაძლებელია, ხოლო ზოგიერთი მათგანის, მაგ., ქუთაისის – უეჭველიც. ეს ცენტრებია: **ფაზისი, ქუთაისი, უფლისციხე, ჟინვალი, ზუგდიდი**.

ქართულ ნუმიზმატიკასთან დაკავშირებული ტერმინები

ამ სათაურის ქვეშ იგულისხმება ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ნუმიზმატიკური ტერმინები. მათი შეკრების და განმარტების თვალსაზრისით, უაღრესად დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული ივ. ჯავახიშვილს (იხ. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. ტფ. 1925). ამ მხრივ მას ვერც ერთი ქართველი მკვლევარი ვერ შეედრება. წარმატებით მოღვაწეობდა ამ კუთხით აგრეთვე თ. ლომოურიც (იხ. ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში. კრ. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა. თბ. 1938, გვ. 283 - 316). რამდენიმე მეტად საინტერესო მოსაზრება ქართულ ნუმიზმატიკურ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით გამოთქმული აქვთ გ. ჯაფარიძეს, ც. ღვაბერიძეს, თ. დუნდუას და სხვ. (იხ. გ. ჯაფარიძე. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI - XIII საუკუნეების საქართველოში. მაცნე (ისტორიის . . . სერია). 1976. № 3, გვ. 84 - 95 ; ც. ღვაბერიძე. რამდენიმე ნუმიზმატიკური ტერმინის შესახებ XIII - XIV სს. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით. მაცნე (ისტორიის . . . სერია). 1979. № 4, გვ. 125 - 133 ; თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1997, გვ. 200 - 221).

დ. კაპანაძე თავის სახელმძღვანელოს, „ქართული ნუმიზმატიკა“, საქართველოში ძველად ხმარებული ტერმინების მოკლე მიმოხილვა.

ეს ტერმინები ჩამოთვლილია და განმარტებულია გ. დუნდუას და ირ. ჯალაღანიას მიერ შედგენილ „ქართულ ნუმიზმატიკურ ლექსიკონში“, სათანადო ბიბლიოგრაფიის მითითებით. მიგვაჩნია, რომ მათი გამეორება შემოკლებული და კორექტირებული სახით აუცილებელია. ტერმინები დალაგებულია ანბანის მიხედვით.

აბაზი – ვერცხლის მონეტა, სეფიანთა ირანის სამონეტო სისტემის ძირითადი ერთეული, შემოღებული შაჰ-აბას I-ის მიერ. თავდაპირველად იწონიდა 7.76 გრ. იჭრებოდა საქართველოშიც. თბილისის ზარაფხანაში, ძირითადად, მოიჭრა შემდეგი ნომინალები: აბაზი, 1/2 აბაზი (**უზალთუნი**), 1/4 აბაზი (**შაჰი**), 2/5 შაჰი (**ბისთი**).

აჟურა/აჟურაი – „არგვიროს“. ბიზანტიური ვერცხლის მონეტა, რომელიც იხსენიება XI ს. ნიკორწმინდის სიგელში და სხვა წერილობითI ძეგლებში.

ბისთი – ვერცხლის და სპილენძის ფულის ნომინალი სეფიანთა სამონეტო სისტემაში. იხსენიება ქართულ საბუთებში.

ბოტინატი (ბოტანატი, პოტინატი, ვოტანიატი) – ბიზანტიური ოქროს მონეტის აღმნიშვნელი ტერმინი, იხსენიება ქართულ წყაროებში. ბოტინატი ნიკიფორე III ბოტანიატის (1078 - 1081 წწ.) ოქროს მონეტაა.

დინარი – ოქროს ფულის ერთეული არაბულ სამონეტო სისტემაში. VII ს. ბოლოსთვის მისი წონა 4.25 გრ. უდრიდა.

დრამა – ფულის ერთეული და საანგარიშო ერთეული ძველ საქართველოში. აღნიშნული ტერმინის და ნომინალის პროტოტიპია ბერძნ. დრაქმა. დრამას უწოდებდნენ როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ, შესაბამისი წონის ვერცხლის ფულს. დრამის წონითი მინიმალიზაცია ატიკური დრაქმიდან (4.2 გრ.; შემსუბუქებული ვარიანტი – 3.5 გრ.) დირჰემამდე (ქვედა წონა 2.7-2.9 გრ.) და ბიზანტიურ მილიარისამდე (XI ს-ში ქვედა წონა – 2.5 გრ.) ხანგრძლივი პროცესია. XI ს-ში დევალვირებულმა დრამამ, რომელიც ოთხი დანგისგან შედგებოდა, დაკარგა ერთი ან ორი დანგი და მივიღეთ ახალი ნომინალი – **თეთრი**. XVII ს. დრამა ნატურალურ გამოსაღებად ქცეულა.

დრაჰკანი – ფულის ერთეული და საანგარიშო ერთეული ძველ საქართველოში. მიჩნეულია, რომ დრაჰკანი, სომხ. „დაჰეკან“ და სპარს. „დარეჰაკან“ (დარეჰი დარიოსია) აშკარა დერივატებია. აქემენიდური ოქრო კი 8.4 გრ. ე.ი. 1. დრაჰკანის ქართული რეცეპცია განხორციელდა ძალზე ადრე, აქემენიდურ ეპოქაში; 2. ბერძნული სტატერის, რომაული აურეუსის და სასანური ოქროს მიმართ დრაჰკანი ინარჩუნებს ნომინალის ფუნქციას; 3. ბიზანტიური სოლიდები და ნომისმები კი აღირიცხებოდა უკვე სპეციფიური საანგარიშო ერთეულით – ორი კონკრეტული მონეტა ერთი დრაჰკანია. „დრაჰკანი კონსტანტინატი“, „დრაჰკანი ბოტინატი“, „დრაჰკანი დუკატი“ და ა.შ. ოქროს სხვადასხვა სინჯადობის მაჩვენებელია. მაგ., XI ს. შუა ხანებისთვის ბიზანტიური ნომისმის სინჯადობა 19-22 კარატია, ნიკიფორე III ბოტანიატის დროს კი – მხოლოდ 9 კარატი. ვინაიდან საქართველოში ოქროს ფული იშვიათად თუ იჭრებოდა, ტერმინი „დრაჰკანი“ აქ დატრიალებულ უცხო მონეტებს მიესადაგებოდა.

დუკატი (დოკატი, დრაჰკანი დუკატი) – 1. ბიზანტიური ოქროს მონეტის აღმნიშვნელი ტერმინი, იხსენიება ქართულ წყაროებში. ივ. ჯავახიშვილის და თ. ლომოურის აზრით, ამ ტერმინის ქვეშ მიხაელ VII დუკას (1071 - 1078 წწ.) ოქროს მონეტა იგულისხმება. ს. კაკაბაძის მიხედვით, ეს სახელი უკავშირდება კონსტანტინე X დუკას (1059 - 1067 წწ.) და მიხაელ VII დუკას. რ. ბლეიკი და გ. ჯაფარიძე უპირატესობას ანიჭებენ კონსტანტინე X დუკას, რადგან მიხაელ VII დუკას ნომისმები დუკატ-მიხაილატად იხსენიება. 2. ვენეციური ოქროს მონეტა, 3 გრ. ბაჯაღლო ოქრო. იჭრებოდა 1282/83 წწ-დან.

თანგა – ტერმინი მონღოლურია და უკავშირდება თემურ-ლენგს. მის მიერ შემოღებული ვერცხლის მონეტის წონა 6.2 გრ. უდრიდა, და ის საფუძვლად დაედო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ფულად სისტემას. საქართველოში თანგა ფართოდ იყო გავრცელებული, რასაც მოწმობს ამ ტერმინის ხშირი მოხსენიება ქართულ საბუთებში. მაგრამ ესენი იყო არა თემურ-ლენგის სახელით მოჭრილი მონეტები, არამედ შარვანული თანგები.

თეთრი – ფულის ერთეული და საანგარიშო ერთეული ძველ საქართველოში. თეთრი არის ინფლაციური ნომინალური კატეგორია დირჰემს (დრამა) ქვემოთ 2 ან 3 დანგის ოდენობით. თეთრი ნომინალია 1.4 – 2.2 გრ. რემედიუმით, მისი განაყოფია ნახევარი თეთრი, ხოლო მეფე ბაგრაგ IV ამ კონკრეტული ნიუანსის დამნერგავია.

თეთრი იგივე ბიზანტიური 2/3 მილიარისია. ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ თეთრი ვერცხლის საფასის ან, საერთოდ, ფულის ზოგადი სახელიც იყო.

თუმანი – მონღოლური წარმოშობის საანგარიშო ერთეული ძველ საქართველოში. იქ ის უდრიდა 10000 უკნინეს სპილენძის ფულს, 10 ვერცხლის **მინალთუნს** და 50 ვერცხლის აბაზს. ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ „ქართული თუმანი 10000 ქართული ფულის ძირითადი ერთეულის, ნახევარდრაქმიანი სპილენძის შემცველ ოდენობად გამოდის“.

კირმანეული თეთრი – დასავლეთ საქართველოში ტრაპიზონის კეისრების მანუილ I-ის და იოანე II-ის ასპრების მიბაძვით მოჭრილი მონეტები, თუმცა მათი გამოყოფა ტრაპიზონის ორიგინალური ასპრებისგან ძალიან რთულია და ყოველთვის ვერ ხერხდება. იხსენიება ქართულ საბუთებში.

კონსტანტინატი (კონსტანტი, კუსტანატი, დრაჰკანი კონსტანტინატი) – ბიზანტიური ოქროს მონეტის აღმნიშვნელი ტერმინი, იხსენიება ქართულ წყაროებში. დაკავშირებულია ან კონსტანტინე X დუკას, ან კონსტანტინე IX მონომახის (1042 - 1055 წწ.) სახელთან.

მარჩილი – საანგარიშო ერთეულის სახელწოდება, რომელიც საქართველოში ჩნდება XVI ს. I ნახევარში. როგორც მეფე ვახტანგ VI-ის „დასტურლამალიდან“ ირკვევა, XVIII ს-ში მარჩილი შეადგენდა 12 შაურს = 3 აბაზს. XVII ს. საქართველოში ტერმინი „მარჩილი“ იხმარებოდა აქ გავრცელებული ევროპული ტალერის აღსანიშნავად. „მარჩილი“ უნდა წარმოდგებოდეს ვენეციური ვერცხლის ფულის, „მარჩელოს“ სახელწოდებიდან.

მინალთუნი – საანგარიშო და ფულადი ერთეული საქართველოში. ხუთი აბაზი მინალთუნია. ვახტანგ VI ათ მინალთუნს თუმანს უთანასწორებს. მინალთუნი 1000 ალთუნს ნიშნავს თურქულად. ეს ტერმინი გავრცელდა სპარსეთში, აქედან კი – საქართველოში. ვერცხლის მინალთუნი (რემედიუმი 15 – 35 გრ.) უდრიდა 1000 უკნინეს სპილენძის ფულს. მინალთუნი, ძირითადად, მაინც საანგარიშო ერთეული იყო.

ფულის ძირითად ერთეულთან, აბაზთან, სხვა ნომინალების შეფარდებას იძლევა დ. კაპანაძის ნაშრომში – „ქართული ნუმიზმატიკა“, გვ. 143 – მოცემული ცხრილი. ის აქ უცვლელად გადმოგვაქვს.

ლიბრონი	ნომინალები	წონა (გრ)		ნ ო მ ი ნ ა ლ თ ა ;										
		ფაქტობრივი	ნორმალური	თუმანი	მინალთუნი	მარჩილი	აბაზი	ორშაურიანი	შაური	ბისტი	1/2 ბისტი	ფული	ფულის უმცირესი ერთეული	
მხოლოდ ვერცხლისათვის	თუმანი	354		1	10	16,66	50	100	200	500	1000	2000	1000	
	მინალთუნი	35,4				1,66	5	10	20	50	100	200	100	
	მარჩილი	21,24	14,2				3	6	12	30	60	120	600	
	აბაზი	7,08	7,0					2	4	10	20	40	200	
	ორშაურიანი	3,54	3,2						2	5	10	20	100	
ვერცხლი და სპილენძი	შაური	1,77	1,6							2,5	5	10	50	
	ბისტი										2	4	20	
მხოლოდ სპილენძისათვის	1/2 ბისტი											2	10	
	ფული												5	

პერპერა – ბიზანტიური ოქროს მონეტა ჰიპერპირონი (ბერძ. გავარვარებული, გაწმენდილი), ჩაღრმავებული ფორმის, რომლის ემისია უკავშირდება ალექსი I კომნენოსის (1081 - 1118 წწ.) სამონეტო რეფორმას, დაახლ. 1092 წ. ჰიპერპირონი ორიგინალურ ბიზანტიურ წყაროებში 1093 წ-დან იხსენიება და ის ერთადერთი ტერმინია ბიზანტიური ოქროს მონეტების აღსანიშნავად XII - XIII სს. და XIV ს. I ნახევარში. დამოწმებულია XI - XIII სს. ქართულ წყაროებში. პერპერა გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში აღმოჩენილ სამონეტო განძებში.

საფასე – ფულის აღმნიშვნელი ზოგადი სახელი ძველ საქართველოში.

სირმა-აბაზი – სიტყვა-სიტყვით: წმინდა ვერცხლი, სუფთა ვერცხლი. თბილისის ზარაფხანაში 1767/68 – 1798/99 წწ. მოჭრილი მაღალხარისხოვანი ვერცხლის მონეტები.

სომი – მონღოლური ფულის სახელი. თათრულად მთლიანს, უგულფუღუროს ნიშნავდა. სულხან-საბა ორბელიანის სიტყვებით, „სომი – ხუთი აბაზი მინანთული ყოფილიყოს ღირებულებით“. იხსენიება ქართულ საბუთებში.

ფარა – ვერცხლის ოსმალური მონეტა, მოჭრილი XVII ს. ბოლოს, ოსმალური სამონეტო სისტემის საფუძველი და უკნინესი ერთეული. ამ ფულის ქართული

სახელებია: ხუთფარიანი, ათფარიანი და ოცფარიანი. ფარა ფართოდ ვრცელდებოდა დასავლეთ საქართველოში.

ფელსი – ბერძ. „ფოლის“. სპილენძის მონეტის სახელწოდება. ბიზანტიაში იხმარებოდა ტექნიკურ-სახაზინო ტერმინად სპილენძის მონეტებისთვის. აქვე შეიძინა ორმაგი მნიშვნელობა: ა) გარკვეული სამონეტო ერთეულის, ბ) სპილენძის მონეტების, საზოგადოდ. ასეთივე ორმაგი მნიშვნელობით ეს ტერმინი შეითვისეს არაბებმა, ფელსის სახით. ხოლო აქედან, მრავლობითი რიცხვის, ფულუსის, ფორმით გადავიდა სპარსულში, ასეთივე ორმაგი მნიშვნელობით. აქედან მომდინარეობს ქართული **„ფული“**. ის აღნიშნავდა როგორც გარკვეულ სამონეტო ერთეულს, ასევე ფულს, საერთოდ. უკანასკნელი მნიშვნელობით ის დღესაც იხმარება.

ფლური – ფლორენციაში მოჭრილი ოქროს ფულის სახელის, ფლორინის, სახეცვლილი ფორმა, ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ოქროს მონეტის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი. ჩნდება, ძირითადად, XV ს-დან.

ყაზანაური – ჰულაგუიდ ყაზან-ყაენის მიერ XIII ს. ბოლოს განხორციელებული სამონეტო რეფორმის შემდეგ მოჭრილი უნიფიცირებული ვერცხლის ფულის ქართული სახელწოდება.

ყურუში – ოსმალური ვერცხლის მონეტა, წ. – 19.25 გრ. იხსენიება ქართულ წყაროებში.

ჩითახური – ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ვერცხლის ფულის აღმნიშვნელი ტერმინი. ის აშკარად გეოგრაფიული წარმოშობის სახელია. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ჩითახური წვლილი თეთრი“ ყოფილა. იხსენიება „ნახევარი ჩითახური“ და „მეოთხედი ჩითახურიც“. ჩითახურის იდენტიფიკაცია რომელიმე ქვეყნის (ქალაქის) სამონეტო ერთეულთან, ჯერჯერობით, შეუძლებელია.

ცხუმური თეთრი – ქართულ წერილობით წყაროებში, კერძოდ, XV ს. დათარიღებულ სასისხლო სიგელებში მოხსენიებული ვერცხლის ფულის აღმნიშვნელი ტერმინი.

წითელი დინარი, წითელი ოქრო, წითელი – წერილობით წყაროებში მოხსენიებული ოქროს მონეტები. ქართული წერილობითი წყაროების წითელი, წითელი ოქრო მუსლიმური მაღალხარისხიანი ოქროს დინარებია, ალბათ, უფრო აბასიანთა.

ბოლოთქმა

ლათინები ამბობდნენ: *Finis ab origine pendet* და *Finis coronat opus* – „ბოლო დასაწყისზეა დამოკიდებული“ და „ბოლო აგვირგვინებს საქმეს“.

2006 წ. ავტორებმა გამოვაქვეყნეთ ჩვენი მრავალწლიანი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის პირველი შედეგები – განმაზოგადოებული ნაშრომის, „ქართული ნუმიზმატიკის“ I ნაწილი. გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ ამ წიგნის პუბლიკაციას დადებითი და მაღალი შეფასება მოჰყვა (იხ. გ. გამყრელიძის და ც. ღვაბერიძის რეცენზია გიორგი და თედო დუნდუას ნაშრომზე „ქართული ნუმიზმატიკა“, I, თბ. 2006. კრ. იბერია - კოლხეთი. № 4. თბ. 2008, გვ. 130-133). საქმის „დაგვირგვინება“ კი სხვადასხვა ობიექტური, თუ სუბიექტური მიზეზების გამო გაჭიანურდა. მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. დღეს სპეციალისტთა და მკითხველთა ფართო აუდიტორიის სამსჯავროზე გამოგვაქვს „ქართული ნუმიზმატიკის“ II ნაწილიც და ველით მის პირუთვნელ შეფასებას.

2006 წ. გამოსული მონოგრაფიის I ნაწილის, და, საერთოდ, ავტორების მრავალრიცხოვანი ნაშრომების შესახებ ზემოთ მოხსენიებული რეცენზენტები წერდნენ, რომ „ისინი სავსეა ნოვაციებით“ (იხ. რეცენზია, გვ. 130). გამონაკლისი არც „ქართული ნუმიზმატიკის“ II ნაწილია. აქაც მრავალი პრობლემა და საკითხი ახლებურად არის დასმული და ინტერპრეტირებული, ბევრი სამონეტო ჯგუფის ატრიბუცია განსხვავებული კუთხით არის გადაწყვეტილი. მაგრამ ამის შესახებ ჩვენ, ცხადია, არ ვისაუბრებთ. ეს თვით მკითხველმა გაარკვიოს. ჩვენ გვინდა **იმ ძირითად, ყველაზე ზოგად ნოვაციას გავუსვათ ხაზი,** რაზედაც დამყარებულია წინამდებარე მონოგრაფია და რაც მას **პრინციპულად** განასხვავებს ყველა ადრე გამოცემული მსგავსი ტიპის ნაშრომებისგან:

1. ჩვენ უარი ვთქვით მხოლოდ ქართული მონეტების მიმოხილვაზე, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული არა მარტო ქართულ მეცნიერებაში, არამედ უცხოელი ნუმიზმატების პრაქტიკაში. საქართველოში მოჭრილი მონეტების პარალელურად, განვიხილეთ ჩვენი ქვეყნის სამონეტო ცირკულაციაში 25 საუკუნის მანძილზე აქტიურად მოქმედი უცხოური მონეტებიც. მიგვაჩნია, რომ ისინი საქართველოს ისტორიის და პალეოეკონომიკის ისეთივე ორგანული ნაწილია, როგორც ქართული. **პირველად ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების ისტორიაში მეცნიერულად გავიაზრეთ ეს უზარმაზარი მასალა, გავაანალიზეთ ის და გამოვიტანეთ ზოგადი დასკვნები. ეს ჩვენი მონოგრაფიის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სიახლეა.** ამან საშუალება მოგვცა კონცეპტუალურად სრულებით ახლებური თვალსაზრისით გაგვეშუქებინა ქართული ნუმიზმატიკის მრავალი პრობლემა. ამ ფუნდამენტური ნოვაციის აუცილებლობის შესახებ ამ სტრიქონების ერთ-ერთი ავტორი ჯერ კიდევ 1964 წ. წერდა თავის საპროგრამო მონახაზში (იხ. გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში. თბ. 1964, გვ. 3-8). ხაზგასმით უნდა

აღინიშნოს, რომ ქართული ნუმიზმატიკისადმი მიძღვნილი თითქმის ყველა ნაშრომი, რომელიც 1964 წ. შემდგომ არის გამოქვეყნებული, და მიზნად ისახავს მხოლოდ ცალკეული ეპოქების მონეტების შესწავლას, სწორედ ამ პრინციპზეა აგებული. **მაგრამ საქართველოს ოცდახუთსაუკუნოვანი ნუმიზმატიკური მასალის მეცნიერული გააზრება ამ მეთოდით პირველად ჩვენ მიერ იქნა რეალიზებული**.

2. ჩვენი ნაშრომი **ისტორიზმით** გამოირჩევა (ესეც ერთ-ერთი ძირითადი პირობა იყო იმ საპროგრამო მონახაზისა, რომლის შესახებაც ზემოთ ვსაუბრობდით). **ნუმიზმატიკა ისტორიული მეცნიერებაა**. ისტორიზმის გარეშე ნუმიზმატიკა კოლექციონერობაა და არა სამეცნიერო დისციპლინა. მართალია, ნუმიზმატიკას მჭიდრო შეხება აქვს და ის დახმარებას უწევს არქეოლოგიას, პალეოეკონომიკას, რელიგიის ისტორიას, ხელოვნებათმცოდნეობას და აშ., მაგრამ მისი უპირველესი ამოცანა სწორედ ისტორიული მეცნიერების წარმატებისთვის ხელისშეწყობაა. თუ რომელიმე მეცნიერებას „ეხმარება“ ნუმიზმატიკა, ეს, უპირატესად, ისტორიული მეცნიერებაა, რადგან მონეტები განხვავებული და განსაკუთრებული ფორმის **საისტორიო წყაროა**. მხოლოდ ამიტომ შეიძლება შევეგუოთ ნუმიზმატიკის, როგორც „დამხმარე სამეცნიერო დისციპლინის“, დღემდე მიღებულ სტატუსს. მაგრამ თვით მონეტების შესწავლა, მათი ზუსტი სამეცნიერო ატრიბუცია, მათი მნიშვნელობის ინტერპრეტაცია, მათი ადგილი წყაროთა სისტემაში მხოლოდ და მხოლოდ ისტორიული მოვლენების ფონზეა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ნუმიზმატი, უპირველეს ყოვლისა, ყოველმხრივ მომზადებული ისტორიკოსი უნდა იყოს.

3. XIV ს. ქართველმა ანონიმმა ისტორიკოსმა დაგვმოძღვრა: **„ჟამთაადმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს, და არა თუალ-ახმა ვისთჳსმე“** (ქართლის ცხოვრება. II. თბ. 1959, გვ. 199). ამ პრინციპით ვხელმძღვანელობდით ნაშრომის წერის დროს. ვცდილობდით, მაქსიმალურად **ობიექტური** ვყოფილიყავით ამა თუ იმ მოვლენის შეფასებისას, ამა თუ იმ სამონეტო ჯგუფის გენეზისის, სადაურობის დადგენისას. აქედან გამომდინარე, **კატეგორიულად** ვუარყავით ფსევდოპატრიოტული ტენდენცია, რომელიც საკმაოდ ფესვგადგმული იყო ქართულ ნუმიზმატიკურ მეცნიერებაში და რომლის თანახმადაც, ჩვენს ქვეყანაში უცხო მფლობელთა სახელით მოჭრილი მონეტები, უკლებლივ ყველა, **ქართულად** მიიჩნეოდა.

გარდა ამისა, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე მონოგრაფია ემყარება არა მარტო ავტორთა საკუთარ პრაქტიკულ და თეორიულ მოღვაწეობას, არამედ ის დაფუძნებულია ქართველ და უცხოელ მკვლევართა მთელი თაობების სამეცნიერო მემკვიდრეობაზე. წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადეთ მისხალ-მისხალ წარმოგვეჩინა ამ მემკვიდრეობის როგორც პოზიტიური, ასევე – სადავო საკითხები. არც ქება დაგვიკლია მათთვის, და არც კრიტიკა, თუ კი ამას, ჩვენი თვალთახედვით, ვინმე იმსახურებდა.

რომაელ ავტორს პლინიუს უმცროსს (61 - 113 წწ.) ეკუთვნის ასეთი სიტყვები: *Quae didici, dixi omnia* – „რაც ვიცი, ყველაფერი ვთქვი“. ჩვენ კი ვაცხადებთ: „აღებული პრობლემის შესახებ რაც ვიცით, ყველაფერი დავწერეთ“.

შენიშვნები:

(1) XI ს. 50-იან წწ-ში ადგილი ჰქონდა ნომინალური ინიციატივის, 2/3 მილიარისის[1] ადაპტაციას ავტოხტონური ეკონომიკური კომპლექსის მიერ, რომლის ეკონომიკური სემანტიკა უდრის ა) ვერცხლის გაფუჭებას და საბაჟო სისტემის მოწესრიგების კვალდაკვალ ამ მეთოდის ფართო ექსპლოატაციას, როგორც ერთ-ერთი ძირითადი საშუალებისა სავალუტო ფონდის გადენის პრევენციის ასპექტით. ბ) აკუმულირებული დეგრადირებული ბიზანტიური ოქრო შესაბამის ვერცხლს მოითხოვდა ცირკულაციაში. ნომინალური სიახლის წმინდა ნომინალური ეკვივალენტი თეთრია. საკითხთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრებები ასეთია: 1. მერყეობა 0.75 გრ. ფარგლებში, 3 გრ. მილიარისის ან მითუმეტეს, 0.6 გრ., 2.5 გრ. მილიარისის შემთხვევაში ჩვეულებრივია და ის არ იწვევს რაიმე ნომინალური ცვლილების დანერგვის სურვილს; ატიკური დრაქმის „ელინისტური“ მინიმალიზაცია 3.5 გრ. დონეზე არავითარი განსხვავებული ფონეტიკურ-სტრუქტურული პერცეფციის ბაზისი არ არის. 0.7 გრ. კი, საერთო ჯამში, ერთი ატიკური ობოლია. დაცილება დიობოლის ფარგლებში მეტისმეტია. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ აშკარად ერთი ემისიისა და ნომინალის მასშტაბით ფაქტობრივი გადახრის შემთხვევებს, უზუსტობის დასაშვები ოდენობის განსაზღვრა 0.9 გრ. თითქმის აბსოლუტური სიზუსტეა. სისტემის და დერივატი დებულების კონსტრუქცია ასეთი ემპირიზმის პირობებში თითქოსდა რთულია – 0.9 გრ. უნივერსალობა თუ საწყისი ნომინალის მეტამორფოზის კვალდაკვალ 1/3 ფაქტობრივი შესატყვისის პერმანენტული მონაცვლეობა და სრული ალოგიკურობა?! თეთრის ეგზისტენცია სპეციფიური სემანტიკის გენეზისის პირობებში უკვე XII ს.[2], კონკრეტული ფონეტიკურ-სტრუქტურული ერთეულის ფუნქციური დატვირთვის აპლიკაცია ყაზან მაჰმუდ ყაენის სამონეტო რეფორმაციასთან დაკავშირებით[3], როდესაც დირჰემი კარგავს 1 დანგს, ანუ წონის 1/4(!) ნაწილს[4] – ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ – თეთრი ნომინალია 1.4 - 2.2 გრ. რემედიუმით, მისი განაყოფია ნახევარი თეთრი[5], ხოლო ბაგრატ IV ამ კონკრეტული გარდამავალი ნიუანსის დამნერგავია; სწორედ რომ გარდამავალი და არასტაბილური, რადგან თეთრის დეფინიცია საბოლოო სახით ასე წარმოგვიდგენია –

---

[1] ნომინალთან დაკავშირებით იხ. Ph. Grierson. Catalogue of the Byzantine Coins in the Dumbarton Oaks Collection and in the Whittemore Collection. v. III. part 2. Washington. 1973, გვ. 737, 747, 749, 755; Ph. Grierson. Catalogue of the Byzantine Coins in the Dumbarton Oaks Collection and in the Whittemore Collection. v. III. part 1. Washington. 1973, გვ. 62, 65.

[2] ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. ტფ. 1925, გვ. 18.

[3] გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV ს. საქართველოში. თბ. 1964, გვ. 45.

[4] ც. ღვაბერიძე. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან. თბ. 1986, გვ. 20 - 21.

[5] ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 18.

თეთრი არის ინფლაციური (ეკონომიკური ან წმინდა სავალუტო კრიზისი) ნომინალური კატეგორია დირჰემს (დრამა) ქვემოთ 2 ან 3 დანგის ოდენობით[6]. 2. XIV - XVI სს. თითქმის ყველა ლოკალური ემისია კონკრეტული ნომინალური იდეის მატარებელია[7]. 3. XIII ს. დასავლურქართული პროდუქცია ფაქტობრივად თეთრია, და აი რატომ. დირჰემის (2.7 გრ. - 2.9 გრ.) ნომინალური დერივაცია დრაქმიდან (4.2 გრ. შემსუბუქებული ვარიანტი – 3.5 გრ.) წონითი და წმინდა სახელობითი თვისებრივი ცვლილების გზით განხორციელდა. ქართლის ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონი ძვ. წ. V - IV სს. (?) აპრობირებულ დრამას[8] VIII ს. უხამებს ფაქტობრივ მეტამორფოზს, იმყოფება რა სამონეტო ბაზრის დაკომპლექტების სრულ აკუმულაციურ სტადიაში და ვერ ავლენს რა ავტოხტონურ ინიციატივას ამ მიმართულებით. დრამის ასეთი ინტერპრეტაცია შემდგომ XI ს. დასავლეთ საქართველოზეც ვრცელდება. მაგრამ ლოგიკურია, რომ მისი შედწევის ხარისხი ექსტენსიური მილიარისის მიმართ არ უნდა ყოფილიყო აბსოლუტური, სხვა სიტყვებით, ტერმინის – დრამა – ურთიერთობა 3 გრ. ნუმიზმატიკურ კატეგორიასთან მერყევია, მითუმეტეს, რომ სწორედ ამ დროს საქართველო ავლენს ენერგიულ ინიციატივას აქტიური სამონეტო რეგალიის ასპექტით, პრიმატული ნომინალი კი თეთრია. დრამის ნომინალური რეანიმაცია აღმოსავლეთ საქართველოში მოხერხდა, ხოლო დიალექტიკური ნუმიზმატიკური აპლიკაციის – ცხუმური თეთრი = ბოტინატურ თეთრს, და ყველაფერი ეს ნარინის ზეობის ხანისთვის (= 1261 წ.) უკვე ძველი თეთრია[9] – არსებობა მხოლოდ ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა: ა) ირანული მეტროპოლისის აქტიური პოლიტიკური ზემოქმედების პირობებში ერთიანი ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონი დაშლის ძლიერ ტენდენციებს ავლენს; ბ) ცხუმური თეთრი, ალბათ, რუსუდანის ვერცხლი თუ არის, სხვა ახსნა არ არსებობს – აშკარა ტიპოლოგიური პარალელია ნიკიფორე III ბოტანიატის ოქროსთან. ბოტინატური თეთრი = ცხუმური თეთრი, სადაც თეთრი საანგარიშო ერთეულია, უპირისპირდება ახალს სინჯადობის თვალსაზრისით. 4. 2/3 ორიგინალური მილიარისის შესატყვისია აჟურაი(?)[10]. 5. ფავნელის დაწერილში თეთრის მოხსენიება[11] უკვე XI ს. ფენაა.[12]

ახლა სასისხლო სიგელების შესახებ. 1. სასისხლო სიგელების სპეციფიური ნომინალური კონიუნქტურა – ცხუმური თეთრი, ძველი თეთრი კირმანეული, კირმანეული თეთრი – ვერცხლის სინჯადობის დაცემის მაჩვენებელია. ანალოგიური

---

[6] თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1997, გვ. 201.

[7] ფაქტობრივი მონაცემებისთვის იხ. დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969, შესაბამისი ნაწილები; ან – ჩვენთან. ქვემოთ.

[8] ფაქტობრივი მონაცემებისთვის იხ. Г. Ф. Дундуа. Нумизматика Античной Грузии. Тб. 1987, გვ. 36, №№ 22, 24.

[9] ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 5 - 6, 63 - 65.

[10] ტერმინის წყაროთმცოდნეობითი ფიქსაციისთვის იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 19.

[11] დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984, გვ. 18.

[12] თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი . . . , გვ. 202.

ტიპის დამოკიდებულებაა ყაზანაურსა და გიორგის ჟამის თეთრს[13] შორის; ყაზან მაჰმუდ ხანის დანგდაკლებული ნომინალის და ორიანის საანგარიშო ერთეული კვლავ თეთრია. 2. სასისხლო სიგელების გამოკვეთილად პლურალური არსებობა და დროის თვალსაზრისით თითქოს დედუქციური ისტორიული ეტაპით ლიმიტირება აქ მოტანილი თანხების ძირითადად სისწორეზე მეტყველებს. მაგრამ აუცილებელია კომენტარიც – გარკვეული პალეოეკონომიკური კონტროვერსა ახსნას საჭიროებს. მაგ., თანხა უდრის ან აღემატება კიდეც კაპიტალისტური იტალიის უმაღლეს, სენატორთა ქონებრივ ცენზს (ცენზი 800 000 - 1 000 000 სესტერციუსია. ორი სესტერციუსი ერთი თეთრია. ე.ი. აქ საქმე გვაქვს 400 000 - 500 000 თეთრთან), ატიკის წლიური საარსებო მინიმუმი კი დაახლ. 120 დრაქმით განისაზღვრებოდა. ფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის ჰიპერინფლაცია გამორიცხულია, პირიქით, აშკარაა ტენდენცია სრული ნატურალიზაციისკენ. ე.ი. დანაშაულის საკომპენსაციო ობიექტად უძრავი ქონება აღიქმება შეფარდებითი კალკულაციის პირობებში. სწორედ ასეთი პერცეფციაა აბსოლუტური გარანტი სოციალური კონტრაქტის კონსტიტუციური სოციალური რეგალიის აბსოლუტური შენარჩუნებისთვის. სასისხლო სიგელების შემთხვევაში მიწა საქონლად არ არის ქცეული, ის პირობითად არის შეფასებული. ადეკვატური თანხაც ძირითადად სტაბილურია, სწრაფი ეკონომიკური დეგრადაცია კი არ შეიმჩნევა. მეორე მხრივ, აშკარაა უძრავი სახმარი ღირებულების ადეკვატური ციფრობრივი მონაცემების კუთხით დასავლეთ საქართველოს აშკარა უპირატესობა. აქვე შემდეგი ჰიპოთეტური სქემის შემოთავაზება მიგვაჩნია მიზანშეწონილად: დედუქციური მეთოდური თეზაა შიდაწოდებრივი კატეგორიის სტრატიფიკაცია – დიდებული, ციხოსან-მონასტროსანი აზნაური, უციხო და უმონასტრო აზნაური; ჯერადი დამოკიდებულება ადეკვატურ სასისხლო თანხებს შორის (XIV ს.) – ქვემოდან ზემოთ – 1.7; 2[14].

ემპირიული მასალა – სასისხლო სიგელების მონაცემები – 80 000, 100 000, 120 000, 170 000, 200 000, 210 000, 220 000, 260 000, 350 000, 360 000, 400 000, 420 000, 500 000, 600 000, 800 000, 900 000.

ზოგადი მეთოდი – ევოლუციურობა (?).

პოლიტეკონომიური აქსიომა – თანხის ზრდა უდრის ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ზრდას, რეგიონალური (განვითარებული) სტაგნაციური ფეოდალიზმი უდრის ჯერადი დამოკიდებულების ტიპის პრეზერვაციას.

პირობითი სქემა სასისხლო ტარიფებისა ასეთია:

1. 80 000 – 136 000 – 272 000.
2. 100 000 – 170 000 – 340 000.
3. 120 000 – 204 000 – 408 000.
4. 170 000 – 289 000 – 578 000.

---

[13] გ. დუნდუა. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV ს. საქართველოში, გვ. 29 - 50.

[14] წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველისავე. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი 12 ტომად. ტ. VI. თბ. 1982, გვ. 406.

5. 200 000 – 340 000 – 680 000.
6. 210 000 – 357 000 – 714 000.
7. 220 000 – 374 000 – 748 000.
8. 260 000 – 442 000 – 884 000.

უციხო ციხოსანი დიდებული

თეორიული შესაძლებლობის ემპირიული მასალით კორექტირების ცდა ასეთია:

	ჯერადი დამოკიდებულება
1. 80 000 – 120 000 – 260 000	1.5; 2.2
2. 100 000 – 170 000 – 350 000	1.7; 2.1
3. 120 000 – 220 000 – 420 000	1.8; 1.9
4. 170 000 – 260 000 – 600 000	1.5; 2.3
5. 200 000 – 350 000 – 600 000	1.8; 1.7
6. 210 000 – 360 000 – 800 000	1.7; 2.2
7. 220 000 – 400 000 – 800 000	1.8; 2.0
8. 260 000 – 420 000 – 900 000	1.6; 2.1
(ან 500 000)	სტაბილურია

უციხო ციხოსანი დიდებული

ციფრი 80 000 XIII - XVI სს. შეესაბამება. ე.ი. ფასების მეტნაკლები სტაბილურობის პერცეფცია რაციონალურია. სვეტებში კი პერმანენტული მერყეობა საერთოდ არასტაბილურობის ინდიკატორია.

აღმოსავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ევოლუციის ტემპების და ეკონომიკის განვითარების ზოგადი სქემის შესანიშნავი ილუსტრაციაა შემდეგი ისტორიული შტრიხების შეფარდებითი ანალიზი – ბექა-აღბუღასა და ვახტანგ VI იურიდიული აქტებით გათვალისწინებული სისხლის ფასის ზრდის გრაფიკის გაცნობიერება; კონკრეტული კუთხით საინტერესო მონაცემების რაოდენობრივი მატების ნელი ტემპები უდრის შემეცნებითი დიალექტიკის ერთ თვისებრივ საფეხურზე ყოფნას. მასალა ევოლუციურია მხოლოდ ლიმიტირებული ფიზიკურ-გეოგრაფიული სივრცის მიმართ.

შეფარდებითი კონიუნქტურა (ვახტანგ VI-ის დრო).

– 15 360 მინალთუნი
4-ჯერ
– 3 840 მინალთუნი
2-ჯერ
– 1 920 მინალთუნი
2-ჯერ
– 960 მინალთუნი
2-ჯერ
– 480 მინალთუნი

მინალთუნი = 20 შაური შაური = 1.8 გრ. – თეთრი.

ამის გათვალისწინებით, ზემოთ მოტანილი სქემა მიიღებს ასეთ სახეს: ანგარიში წარმოებს თეთრით – 9 600 – 19 200 – 38 400 – 76 800 – 307 200.

XIV - XVIII სს. დიალექტიკური შეფარდებითი მიმართება აღმოსავლეთ საქართველოსთვის უდრის ეკონომიკის ხუთჯერად ზრდას (I რანგის, ქრონოლოგიური დიფერენტების მიხედვით – 7.8-ჯერ; II რანგის – 3.8-ჯერ; III რანგის – 3.2-ჯერ. აქედან საშუალო არითმეტიკული უდრის დაახლ. 5).

ტაბულები*

ტაბულების აღწერილობა

I ტაბულა

№ 1. დრამა. ვერცხლი. ორი დავითი. 1261 წ.

№ 2. დრამა. ვერცხლი. მანუილ კომნენოსის სახელიანი კირმანეული. XIII ს.

№ 3. დრამა. ვერცხლი. კირმანეული (იოანე II-ის ასპრების ქართული მინაბაძის I ტიპი). XIII - XIV სს.

№ 4. თეთრი. ვერცხლი. კირმანეული (კეისარი სამრკალიანი გვირგვინით). XIII - XIV სს.

№ 5. თეთრი. ვერცხლი. კირმანეულის ახალი სახე. XIII - XIV სს.

№ 6. თეთრი. ვერცხლი. კირმანეული (იოანე II-ის ასპრების ქართული მინაბაძის II ტიპი). XIII - XIV სს.

№ 7. თეთრი. ვერცხლი. კირმანეული (გიორგის სახელით). XIV - XV სს.

№ 8. დრამა. ვერცხლი. ვამეყ დადიანი. XIV ს.

II ტაბულა

№ 9. ნახევარი თეთრი. ვერცხლი. გიორგი VII (?). XIV ს.

№ 10. ნახევარი თეთრი. ვერცხლი. № 9-ის მინაბაძი. XIV-XV სს. (?)

№ 11. ნახევარი თეთრი. ვერცხლი. № 9-ის მინაბაძი. XIV-XV სს. (?)

№ 12. სპილენძი. გიორგი V (?). XIV ს.

III ტაბულა

№ 13. ვერცხლი. ჯანიბეკ ხანი. 1356 წ. თბილისი.

№ 14. ვერცხლი. შეიხ ოვეისი. 1364 - 1375 წწ. თბილისი.

№ 15. ვერცხლი. აჰმედ ჯალაირი და გიორგი VII. 1396 წ., ან 1400 წ. თბილისი.

№ 16. ვერცხლი. აჰმედ ჯალაირი და გიორგი VII. 1396 წ., ან 1400 წ. თბილისი.

№ 17. ვერცხლი. აჰმედ ჯალაირი და გიორგი VII. 1396 წ., ან 1400 წ.

IV ტაბულა

№ 18. ვერცხლი. კონსტანტინე I.

№ 19. ვერცხლი. ალექსანდრე I.

№ 20. ბილონი. ვახტანგ IV.

№ 21. ბილონი. გიორგი VIII.

№ 22. ბილონი. გიორგი VIII.

№ 23. ბილონი. ბაგრატ VI.

№ 24 ვერცხლი. ყვარყვარე.

№ 25. ბილონი. კონსტანტინე II.

V ტაბულა

№ 26. ვერცხლი. გიორგი II იმერთა მეფე

№ 27. ვერცხლი. გიორგი II იმერთა მეფე

№ 28. ვერცხლი. გიორგი II იმერთა მეფე

№ 29. ვერცხლი. გიორგი II იმერთა მეფე

№ 30. ვერცხლი. იმერთა მეფე ბაგრატ III

№ 31. ბისტი. ვერცხლი. თაჰმასპ I. 1555/1556 წწ. ზაგემი

VI ტაბულა

№ 32. აბაზი. ვერცხლი. სეფი I. 1629/30 წწ. სეფიანი. ზაგემი.

№ 33. აბაზი. ვერცხლი. შაჰ აბას I. სეფიანი. თბილისი.

№ 34. აბაზი ვერცხლი. შაჰ სეფი I. სეფიანი. თბილისი. 1641/1642 წწ.

№ 35. ნახევარი ბისტი. სპილენძი. თბილისი.

№ 36. ნახევარი ბისტი. სპილენძი. თბილისი.

№ 37. ნახევარი ბისტი. სპილენძი. 1664/65 წწ. თბილისი.

VII ტაბულა

№ 38. ნახევარი ბისტი. სპილენძი. 1670/1671 წწ. თბილისი.

№ 39. ნახევარი ბისტი. სპილენძი. 1682 წ. თბილისი.

№ 40. ნახევარი ბისტი. სპილენძი. 1691/1692 წწ. თბილისი.

№ 41. ნახევარი ბისტი. სპილენძი. 1700/1701 წწ. თბილისი.

№ 42. ნახევარი ბისტი. სპილენძი. 1709 წ. ვახტანგ VI. თბილისი.

№ 43. ფული. სპილენძი. სვიმონი. 1712 წ. თბილისი.

VIII ტაბულა

№ 44. ფული. სპილენძი. ბაქარი. 1717/1718 წწ. თბილისი.

№ 45. ალთუნი. ოქრო. აჰმედ III (1703 - 1730 წწ.). ოსმალეთის სულთანი. თბილისი.

№ 46. ონლიყი. ვერცხლი. აჰმედ III (1703 - 1730 წწ.). ოსმალეთის სულთანი. თბილისი.

№ 47. ნახევარი ბისთი. სპილენძი. თეიმურაზ II. 1748/49 წწ. თბილისი.

№ 48. ნახევარი ბისთი. სპილენძი. თეიმურაზ II და ერეკლე II. 1754/55 წწ. თბილისი.

IX ტაბულა

№ 49. შაური. სპილენძი. ერეკლე II. 1765/66 წწ. თბილისი.

№ 50. ნახევარი ბისთი. სპილენძი. ერეკლე II. 1776/77 წწ. თბილისი.

№ 51. ბისთი. სპილენძი. ერეკლე II. 1787 წ. თბილისი.
№ 52. ბისთი. სპილენძი. ერეკლე II. 1795/96 წწ. თბილისი.
№ 53. ჩერვონეცი. ოქრო. ერეკლე II. 1796 წ. თბილისი.

X ტაბულა
№ 54. ნახევარი ბისტი. სპილენძი. გიორგი XII. 1798/99 წწ. თბილისი.
№ 55. ფული. სპილენძი. 1800 წ. ბატონიშვილი დავით. თბილისი.
№ 56. ერთნახევარი სირმა აბაზი (ექვსშაურიანი). ვერცხლი. 1768/69 წწ. თბილისი.
№ 57. სირმა-აბაზი. ვერცხლი. 1780 წ. თბილისი.
№ 58. სირმა-უზალთუნი (ორშაურიანი). ვერცხლი. 1768/69 წწ. თბილისი.
№ 59. სირმა-შაური. ვერცხლი. 1771/72 წწ. თბილისი.

XI ტაბულა
№ 60. ორი აბაზი. ვერცხლი. თბილისში მოჭრილი რუსული ფული. 1804 წ.
№ 61. აბაზი. ვერცხლი. თბილისში მოჭრილი რუსული ფული. 1806 წ.
№ 62. უზალთუნი. ვერცხლი. თბილისში მოჭრილი რუსული ფული. 1805 წ.
№ 63. ბისტი. სპილენძი. თბილისში მოჭრილი რუსული ფული. 1810 წ.
№ 64. ნახევარი ბისტი. სპილენძი. თბილისში მოჭრილი რუსული ფული. 1810 წ.
№ 65. ფული. სპილენძი. თბილისში მოჭრილი რუსული ფული. 1805 წ.

XII ტაბულა
თბილისის ზარაფხანის გახსნის აღსანიშნავი მედალი.

*მონეტები მოცემულია ან ნატურალური ზომით, ან გადიდებულია.

ტაბულა I

1

2

3

4

5

6

7

8

ტაბულა II

9

10

11

12

ტაბულა III



13



14

15



16



17

ტაბულა IV



18

19



20



21

22

23



24

25

ტაბულა V



26



27

28



29

30

31

ტაბულა VI

32

33

34

35

36

37

ტაბულა VII

38

39

40

41

42

43

ტაბულა VIII

44 **45**

46 **47**

48

ტაბულა IX

49

50

51

52

53

ტაბულა X

54

55

56

57

58

59

ტაბულა XI

60

61

62

63

64

65

ტაბულა XII

G. Dundua, T. Dundua
Georgian Numismatics
Part II
(Summary)

1. Western Georgian Money Issues in the 13th-15th cc. Published in 2006, "Georgian Numismatics" (Giorgi Dundua, Tedo Dundua) contains also narrative about prominent Georgian numismatic produce , like issue of two Davids, joint-rulers of Georgia towards the midst of the 13th c., and series of local imitations to the silver aspers of the Empire of Trebizond (the 13th -15th cc.). But the tale is brief due to several circumstances. This appendix serves as a supplement to general story about money history of Georgia concerning these two very groups of the Georgian coins.

Towards the midst of the 13th c. those Mongol overlords from Iran exercised their rule over Georgia through joint-rule of the two vassal kings, David Ulugh and David Narin, having real power in the Eastern provinces. This co-regnancy was interrupted, when David Narin fled to safety of Western Georgia.

Two kingdoms still formed unique formal kingdom of Georgia. King seated in metropolitan city of Tbilisi had the coins issued on his behalf, like David Ulugh. King residing in provincial Kutaisi produces only imitations, in the case of the 13th c., to the aspers of Trebizond. Original coins were extremely popular in Western Georgia, serving as a pattern for the local administration, who never put its badge on the money.

But when David Ulugh and David Narin happened again to be together in Kutaisi, in the frames of co-regnancy, they designed coin inspired by the Byzantine type, putting their names and titles thoroughly on it.

Imitations initiated by David Narin were prolonged, perhaps, up to the 15th c. With already no close perspectives of reintegration for Georgia, some Western Georgian princes even started to place their initial, or name on the coins.

Georgian imitations to the aspers of the Empire of Trebizond form the last series into long chain of the Georgian coins inspired by the Byzantine iconography.

2. Money Called "Giorgauli" – Reality or a Fiction? There were several attempts to unify Georgia after the events of the midst of the 13th c. Georgian king Giorgi the Brilliant (1318 - 1346) almost succeeded in it towards the 30-ieth of the 14th c. Georgian records and historiography also claim for him to liberate the country from the Mongol overlordship, i.e. from the Il-Khans residing in Persia.

Still, the Muslim sources record about tribute paid by the Georgians even now, and money used to be struck at Tbilisi mint on behalf of the Il-Khans.

The best academic solution of the problem is to harmonize all the data, stating both – unification of Georgia, commence of restoring the economic links between Western and Eastern Georgia, disintegration of the Il-Khan state and weakening of the Mongols' real power over the

country; and also, still formal suzerainty of the Mongols over Georgia, expressed in annual tribute and through issuesof Tbilisi mint with the names of the Il-Khans. That could be normal.

Instead, some specialists decided to strengthen the Georgian records by claiming the small group of the Georgian silver coins with "eye-type" and the Georgian legend – "King of the Kings Giorgi", for Giorgi the Brilliant. They call this group "Giorgauli".

Analysis of the money hoards, coin weights and the Georgian documents led us to a conclusion as follows: small silver pieces described above could had been struck only towards the end of the 14th c. And there was no national silver issue for Giorgi the Brilliant but, maybe, only copper pieces, having name of Il-Khan Abu Said put on them together with Georgian initial for Giorgi.

Still, this king did much unifying and strengthening the country, thus weakening Asiatic control over it.

3. Georgia and the Golden Horde in the 14th c. According to the Numismatic Material. Weakening of the Il-Khan power towards the midst of the 14th c. led to special activities from the Northern horde –the Juchids did much to establish their rule over Georgia and Northern Iran.

Many coins of the Golden Horde have been found in Georgia, and the Juchids like Jani-Beg and Berdi-Beg even issued their own money at Tbilisi mint in 1356-1357.

And a bit earlier, on the contrary, the Georgians captured some domains of the Juchids in Ossetia, Northern Caucasus, producing money there.

Very soon Mongol dynasty of the Jalairids started to dominate over the Northern Iran. Their slight hegemony upon Georgia was expressed in coinage of Sheikh-Oveis the Jalairid at Tbilisi mint from 1357/58.

When Tamerlane came, Ahmad Jalair and Giorgi VII allied themselves against him, commemorating this alliance by joint monetary issue of either 1396, or 1400.

4. The 15th c. Georgian Coins. Small silver pieces of about 0.5 gr. show unhappy picture of the Georgian economics in the 15th c., accompanied by gradual political disintegration. They are struck by the Georgian kings and princes as follows: Alexander I (1412 - 1442), Vakhtang IV (1442 - 1446), Giorgi VIII (1446 - 1466), Bagrat VI (1466 - 1478), Kvarkvare (1451 - 1498), prince of Samtskhe (Southern Georgia), Constantine II (1478 - 1505). And they are concentrated into two main hoards: Gori and Mna in Eastern Georgia. Inscriptions are mostly Georgian.

Gori hoard reveals also tangas of Shirvan and the Ottoman akhchas, being in circulation in Georgia. And influence of the Ottoman numismatics can be well traced on the coins struck in Georgia.

Still, tangas of Shirvan form the most prominent influx into money circulation of Eastern Georgia in the 15th c., strengthened by the Ottoman gold and Venetian ducats. Imitations to the aspers of Trebizond are struck in Western Georgia even now.

5. **Money Issues and Circulation in Georgia of the 16th c.** National issues are represented by the silver coins of the following rulers: David X (1505 - 1525) of Kartli (Eastern Georgia), Bagrat III (1510 - 1565) (?) and Giorgi II (1565 - 1585) of Imereti (Western Georgia). Coins of the Persian Shah Tahmasp I and the Ottoman akhchas were imitated also locally. And mint under Shah's authority already operated in kingdom of Kakheti, extreme Eastern province of Georgia, producing regional

money. Ottoman gold, Venetian ducats and silver European coins fill up the gap for the complete picture.

6. Money Issues and Circulation in Georgia of the 17th - 18th cc. The issue of the coins bearing the national character was completely ceased in the 17th c. The majority of the silver coins circulating in Eastern Georgia were struck at Tbilisi mint in the name of the Iranian Safavi Shahs. Still, the Georgians had their kings. Silver abazi (Abbasi) (7.8 gr.) was introduced.

The first abazi issued in Tbilisi is dated by 1013 A.H. (1604/1605). Silver abazi, mahmudi (half abazi) and shahi, or shauri (1/4 abazi), were regularly issued there. There is no difference between these coins and those struck in Iran. Tbilisi mint worked hard. Money issued there outnumbered European talers and gold in local circulation.

From 1640 there were also copper coins struck in Tbilisi. Mostly, they are anonymous having only three Persian words on them: "fulus struck in Tiflis" and date, sometimes. "Fulus" denotes copper.

In the beginning of the 18th c., while chaos in Iran, rulers of Kartli (Eastern Georgia) tried to regain the regalia. Georgian "Mkhedruli" letters appear on the copper coins mentioning the names of Vakhtang VI (1703 - 1714), his brother Simon (1712 - 1714) and his son Bakar (1717 - 1719). Tbilisi mint was still issuing the silver coin in the name of a Safavi Shah.

In the times of the Ottoman occupation of Eastern Georgia in 1723 - 1735, there was the Ottoman money issued there – altun, double altun (altun ashref), onluq, beshluq and nimbeshluq. And in Western Georgia the Ottoman money was always basic together with the European issues (talers, and Venetian and Dutch ducats).

After expulsion of the Ottomans from the country, again the the silver coins were issued in the name of the Shahs. The issue of the copper anonymous coins was also renewed.

In October 1, 1745 Teimuraz Bagrationi (1745 - 1762) acceded to the Kartli throne as Christian monarch. His son Erekle II (1745 - 1798) did the same in Kakheti (extreme Eastern province). From 1762 Erekle II also rules in Kartli.

Those changes were reflected in the coinage. Copper coin was issued in 1748/49 in the name of Teimuraz II with the Georgian legends. In 1752 Erekle is already mentioned with Teimuraz on the money. On the coin struck by Erekle II in 1765 there is coat of arms of the Bagrationi family depicted. In 1781, before concluding the treaty with Russia, Erekle II placed the double-headed eagle on the copper coin, and on the coin struck in 1796 there is eagle with one head.

Copper coin with the legend was also struck by king Giorgi XII (1798 - 1800) and his son David.

From the second half of the 18th c., they started to strike new type of the silver coin in the mint of Tbilisi. There is no Shi'a religious symbol as well as the name of the Persian Shah on it any more. Silver six shauri, abbasi, mahmudi (uzaltuni) as well as shauri were struck regularly there in 1767 - 1798. All of them were the silver of high standard (98%). That is why they became very popular among the population and were called "sirma-vertskhli", pure silver, or "sirma-abazi". Because of the high standard, "sirma-abazi" remained in circulation even after unification of Georgia with Russia.

There was the gold money also struck in Tbilisi in the times of Erekle II. Obverse was analogical to sirma - abazi, but on the reverse it had the eagle with one head. Two pieces of gold do exist.

In 1783 Erekle signed the treaty of alliance and protectorate with Russia. He died in 1798, his son Giorgi XII – in 1800. By manifest of 1801, the Emperor finally abolished the Eastern-Georgian monarchy. The Russians closed Tbilisi mint for a while.

7. Russian Money Struck in Tbilisi (1804 - 1834). Following unification with Georgia, the Russian authorities were soon inconvenienced by the scarcity of money in circulation. Besides, the local population neglected assignations. So, it was not found reasonable to replace the local monetary system immediately. Scarcity of silver lowered the rate of the Russian gold coin – chervonetz. The situation was to be changed. Preparations were made for reorganization of old Tbilisi mint under the Russian control.

On September 15, 1804, there was the mint inaugurated in the former royal bath celebrated by issue of commemorative medal. For purpose of "winning confidence of the society", it was decided to issue good silvet coin (92%) with only Georgian legends on it. Abazi standard was once again employed.

Tbilisi mint was basically aimed to issue silver money. Copper coins were struck only in those cases when there were no silver coins minted there.

Except the Georgian legends, there were the Russian initials of mint masters on some coins.

Tbilisi mint has issued the silver coins with the total value of 1060713 roubles and 70 kopecks and copper coins with the total value of 8310 roubles and 89.5 kopecks.

Some technical considerations of a fiscal character caused the Russians to press for the closure of Tbilisi mint. Double-abazi was struck in February 1834, and the mint's operations then came to end with its production still being in circulation within the whole 19th c.

8. Georgian Mints. About 14 mints operated in Georgia along the whole history as seen in coinage, according to the records and logical conclusions. Tbilisi mint was the most prominent one.

9. Terms. There were many names for the coins either issued in Georgia or imported there. Some of them survived for a long time, like *drahkani* for gold coins, and *drama* for the silver ones. *Tetri* came as a substitude to *drama* in the 11th c., and *phluri* – to *drahkani* in the 15th c. Abbasi-system was introduced in the 17th c., lasting untill the beginning of the 19th c., bringing the corresponding Persian terms. And *phuli* was a name for the copper money. Then the Russian terms started to dominate.

ბიბლიოგრაფია

1. **თ. აბრამიშვილი**. ორი დავითის მონეტა. სსმმ. ტ. XVI-B. თბ. 1950; XIII - XIV სს. დასავლურ-ქართული ფული (კირმანეული). თბ. 1959; 1783 წელს რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ტრაქტატის აღსანიშნავი მედალი. სსმმ. XX-B. თბ. 1959; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრების და დასავლურ ქართული ფულის (კირმანეულის) კატალოგი. თბ. 1984.

2. **მ. ანთაძე**. თბილისში მოჭრილი იშვიათი ოსმალური ოქროს მონეტა. ძმ. № 23. თბ. 1970; საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV - XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1982 ; არტანუჯის ზარაფხანა. ჟურნ. „ფიროსმანი“. 2008 წ. გაზაფხული, № 4.

3. **ნ. ასათიანი**. საქართველოს ისტორია. თბ. 1999.

4. **ირ. ბერაძე**. ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხისთვის. თბ. 1971.

5. **ნ. ბერძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები. I. თბ. 1964

6. **ვ. გაბაშვილი**. სპარსული დასტურლამალი. თსუ შრომები. XXX. თბ. 1949; საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხანგრძლივობის საკითხისათვის. აღმოსავლური კრებული. თბ. 1960.

7. **გიულდენშტედტის** მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ. 1962.

8. **ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია**. ს. კაკაბაძის გამოცემა. საისტორიო მოამბე. თბ. 1925.

9. **პ. გუგუშვილი**. ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ამიერკავკასიაში XIX საუკუნეში. თსუ შრომები. VI. 1936.

10. მოგზაურის **პიეტრო დელა-ვალეს** მოხსენება საქართველოზე პაპი ურბანუს მერვესადმი, 1627 წ. ი. ჭყონიას თარგმანი. ჟურნ. „ივერია“. ტფ. 1879. № 3.

11. **ი. დოლიძე**. ძველი ქართული სამართალი. თბ. 1953; გიორგი ბრწყინვალის სამართალი. თბ. 1957.

12. **გ. დუნდუა**. სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში. თბ. 1964; ერთი ფურცელი საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობის ისტორიიდან XIV საუკუნეში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით. ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ. 1976; გ. დუნდუა. კოლხური თეორი (ზოგადი მიმოხილვა). კრ. იბერია-კოლხეთი. I. თბ. 2003; ქართული ნუმიზმატიკა. I. თბ. 2006 (თანაავტორი თ. დუნდუა); ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი. თბ. 2009 (თანაავტორი ირ. ჯალაღანია).

13. **თ. დუნდუა**. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1997; გიიომ დე რუბრუკი და საქართველოს ისტორია. სვანეთი. III. თბ. 2008.

14. ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თ. ენუქიძემ. თბ. 1955.
15. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1940; აღწერა სამეფოსა საქართველოსი. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973.
16. მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფ. 1902.
17. ექვთ. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. III. ტფ. 1909.
18. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ. თბ. 1969.
19. ს. კაკაბაძე. სასისხლო სიგელების შესახებ. საისტორიო მოამბე. II. ტფ. 1924; საფასის ისტორიისათვის საქართველოში. საისტორიო მოამბე. I. ტფ. 1925.
20. დ. კაპანაძე. XV საუკუნის ქართული ფულის გორის განძი. სსმმ. ტ. X - B. 1940; ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისთვის. სსმმ. XI - B. 1941; ზოგიერთი ტერმინის შესახებ ქართულ ნუმიზმატიკაში. სსმმ. ტ. XII-B. თბ. 1944; დ. კაპანაძე. უცნობი ქართული მონეტებისა და ზარაფხანების საკითხის შესწავლისათვის. სსმმ. ტ. XIV-B. 1947; ზარაფხანათა და მონეტათა გამომშვები ცენტრების ლოკალიზაციისათვის ძველ საქართველოში. სმამ. ტ. XXIII. № 4. თბ. 1959; დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969.
21. დ. კაციტაძე. ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებისა და „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებების XV საუკუნის სპარსული წყაროები. აღმოსავლური კრებული. I. 1960.
22. არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი. თბ. 1938.
23. თ. ლომოური. ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში. კრ. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა. თბ. 1938; ქოდალას განძი. სსმმ. XIV - B. თბ. 1947; პატარა ჯიხაიშში აღმოჩენილი XVI ს-ის განძის გამო. სსმმ. ტ. XVII - Б. 1953; საქართველოს და ოქროს ურდოს შორის ურთიერთობის საკითხისათვის XIV ს. (ალის განძის ჯუჩიდური ფულები). კრ. ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 2005; აჰმედ ჯალაირის და გიორგი VII-ის მონეტები. კრ. ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში; უკანასკნელი ილხანების ფული საქართველოში. კრ. ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში; ქოდალას განძი. II ნაწილი. კრ. ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში.
24. ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ. 1941.
25. შ. მესხია. ძეგლი ერისთავთა. მსკი. ნაკვ. 30. თბ. 1954; ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში. თბ. 1959.
26. პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა. თბ. 1981.

27. მ. პატარიძე. კიდევ ერთხელ კირმანეული თეთრის შესახებ. ჟურ. „არტანუჯი“. № 2-3. თბ. 1994; ტრაპიზონის იმპერიის იშვიათი მონეტები. თბ. 2006 (თანაავტორი გ. ჯანჯღავა).
28. მ. პოლიევქტოვი. თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში 1640 - 1643 წლებში. თბ. 1928.
29. ჟამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1959.
30. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973.
31. სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. თბ. 1971.
32. ტავერნიეს მოგზაურობიდან. თარგმანი ალ. ჭყონიასი. „მოამბე“. VI. 1898.
33. ფული საქართველოში. მეორე გადამუშავებული გამოცემა. ავტორები: თედო დუნდუა, გიორგი დუნდუა, ნიკო ჯავახიშვილი, ანა ერისთავი. თბ. 2003.
34. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973.
35. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984.
36. ქართული სამართლის ძეგლები. 1. ხელმწიფის კარის გარიგება, 2. დასტურლამალი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ. თბ. 1970.
37. რ. ქებულაძე. სირმა-ვერცხლის მიმოქცევის ხანგრძლივობა საქართველოში. სსსრმამ. 53. № 3. 1969; ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV - XVIII საუკუნეებში. თბ. 1971.
38. ნ. ქოიავა. ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის საქართველოში. თბ. 1963.
39. თ. ქუთელია. კახეთის სამეფოს უცნობი ზარაფხანა. ძეგლის მეგობარი. № 23. თბ. 1970; თბილისის ზარაფხანა XVII - XVIII სს. (ვერცხლის ფული). სსმმ. ტ. XXXIII-B. თბ. 1978; ირანული სპილენძის ფულის კატალოგი, თბ. 1990.
40. ც. ღვაბერიძე. რამდენიმე ნუმიზმატიკური ტერმინის შესახებ XIII - XIV სს. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით. მაცნე (ისტორიის . . . სერია). 1979. № 4; საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან. თბ. 1986; ც. ღვაბერიძე. ილხანთა ირანის სპილენძის ფულის კატალოგი. თბ. 1994; ახალციხის ზარაფხანა (XIV - XVI სს.). ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში. № 19. თბ. 2010.
41. ჟ. შარდენი. მოგზაურობა საქართველოში. ვ. ბარნოვის თარგმანი. თბ. 1935.
42. ი. ცინცაძე. მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. თბ. 1965.
43. ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. ტფ. 1925; ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. ტფ. 1926; ქართველი ერის ისტორია. წ. III. თბ. 1941; ძველი ქართული საისტორიო მწერლობა.

თბ. 1945; ქართველი ერის ისტორია. წ. II. თბ. 1948; ქართველი ერის ისტორია. წ. IV. თბ. 1948; ქართველი ერის ისტორია. ტ. III. თბ. 1949; თხზულებანი 12 ტომად. ტ. VI. თბ. 1982.

44. ირ. ჯალაღანია. XIV საუკუნის თბილური მონეტების ლენინგორის განძი. სმამ. ტ. XXII. № 2. თბ. 1959.

45. გ. ჯაფარიძე. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI – XIII საუკუნეების საქართველოში. მაცნე (ისტორიის . . . სერია). 1976. № 3).

46. М. Г. Антадзе, Р. В. Кебуладзе. Клад золотых монет из Лехурского ущелья. НЭ. IX. М. 1971.

47. М. П. Баратаев. Нумизматические факты грузинского царства. СПБ. 1844.

48. Т. Н. Берадзе. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Тб. 1989.

49. М. Броссе. Переписка грузинских царей с российскими государями. СПБ. 1861.

50. А. А. Быков. Первый османский монетный двор. Труды отдела нумизматики ГЭ. т. I. 1945.

51. К. В. Голенко. Клад монет из села Тобаниери. ВВ. XVI. М. 1959.

52. Б. Д. Греков, А. Ю. Якубовский. Золотая орда и ее падение. М. - Л. 1950.

53. Ир. Л. Джалагания, Г. Ф. Дундуа. Обращение ширванских монет XV века в Грузии. Статья первая и вторая. Известия Академии наук Азербайджанкой ССР. Серия истории, философии и права. Б. 1973. № 4; 1974. № 1.

54. И. Г. Добровольский. Клад из села Амбролаури, «Нумизматический сборник», посвященный памяти Д. Г. Капанадзе. Тб. 1977.

55. Г. Ф. Дундуа. Монетное обращение и торгово-экономические связи Грузии XV века. Автореферат диссертации на соискание ученной степени кандидата исторических наук. Тб. 1965; Нумизматика античной Грузии. Тб. 1987; Взаимоотношения Грузии с Золотой Ордой в XIV веке по нумизматическим данным. კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა. თბ. 2010.

56. Дневник **Захария Акулисского**. Ереван. 1939.

57. В. В. Зварич. Нумизматический словарь. Львов. 1976.

58. Д. Г. Капанадзе. Так называемые грузинские подражания трапезундским аспрам. ВВ. III. М. 1950; Грузинская нумизматика. М. 1955; Д. Г. Капанадзе. Продолжительность и характер монгольского владычества в Грузии по нумизматическим данным. Советская археология. М. 1964. № 2; Комментарии к книге Е. А. Пахомова «Монеты Грузии». Тб. 1970.

59. Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики). Тб. 1979.

60. А. К. Марков. Каталог джелаиридских монет. СПб. 1897; Инвентарный каталог мусульманских монет Императорского Эрмитажа. С.-Петербург. 1897

61. Е. А. Пахомов. Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII-XVIII вв. Отдельный оттиск из т. III, «Востоковедение». Изд. вост. факультета Азерб. Гос. Университета. Баку. 1928; Монетные клады Азербайджана и Закавказья. I. Баку. 1926; Монетные клады Азербайджана и Закавказья. II. Баку. 1938; Монетные клады Азербайджана и Закавказья. III. Баку. 1940; Монетные клады Азербайджана и Закавказья. IV. Баку. 1949; Монетные клады Азербайджана и

Закавказья. VII. Баку. 1957; Монетные клады . . . VIII. Б. 1959; Борьба феодальных династии за восточное Закавказье с половины XIV в. до начала XV в. по монетным данным. КСИИМК. вып. 66. М. 1956; Монеты Грузии. Тб. 1970.

62. И. П. Петрушевский. Государства Азербайджана в XV в. сб. статей по истории Азербайджана. вып. I. 1949.

63. М. А. Полиевктов. Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию 1650-1652 гг. Тбилиси. 1926.

64. Рашид-ад-дин. Джами-ат-Таврих. Т. Ш. Составитель научно-критического текста на персидском языке Абдул-Керим Али Оглы Али-Заде. Баку. 1957.

65. М. А. Сейфеддини. Монетное дело в Азербайджане в XII - первой половине XV вв. (автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Баку. 1970.

66. И. В. Соколова. Трапезундские аспры и кирманеули с именем Мануила I и Иоанна Комнинов. НЭ. XI. М. 1974; Кирманеули с именем Мануила из собрания Государственного Эрмитажа. НС. Тб. 1977; Медные монеты трапезундской империи из собрания Эрмитажа. НЭ. XIV. М. 1984.

67. И. Г. Спасский. Русская монетная система. М. 1957; Денежное хозяйство русского государства в середине XVII века и реформа 1654-1659 гг. Археологический ежегодник за 1959 г. М. 1960; Русская монетная система. Л. 1962;

68. Ф. И. Успенский. Очерки из истории Трапезундской Империи. Л. 1929.

69. **Г. А. Федоров-Давыдов.** К вопросу о денежном курсе золота в Иране и Средней Азии в XIV в. КСИИМК. вып. 66. М. 1956; Клады Джучидских монет. НЭ. I. 1960.

70. И. М. Холодковский. Лобанчики. «Старая монета». 1911.

71. Г. Н. Чубинашвили. Архитектура Кахетии. Тб. 1959.

72. А. Ю. Якубовский. Тимур (опыт краткой характеристики). ВИ. 1946. 8/9.

73. **I. Bartholomaei**. Bulletin Historico-Philologique. XIV. St.-Pétersbourg. 1851; Mélanges Asiatique. III. St.-Pétersbourg. 1859.

74. M. Brosset. Histoire de la Géorgie. t. I. St.-Petersbourg. 1849; Histoire de la Géorgie. St.-Petersbourg. 1858.

75. Chardin. Voyages du Chevalier Chardin en Perse et aux Indes Orientales. I. Paris. 1811.

76. T. Dundua. Review of Georgian Coins with Byzantine Iconography. Numismatica e Antichità Classiche. XXIX. Quaderni Ticinesi. 2000.

77. Ph. Grierson. Catalogue of the Byzantine Coins in the Dumbarton Oaks Collection and in the Whittemore Collection. v. III. part 1. Washington. 1973; Catalogue of the Byzantine Coins in the Dumbarton Oaks Collection and in the Whittemore Collection. v. III. part 2. Washington. 1973.

78. W. Hinz. Ein persischer Leitfaden des Staatlichen Rechnungswessensum 1363. Wiesbaden. 1952.

79. D. M. Lang. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia. New York. 1955; Georgia in the Reign of Giorgi the Brilliant. BSOAS. XVII. I. 1955.

80. V. Langlois. Essai de Classificaton des Suites Monétaires de la Géorgie. Paris.1860.

81. O. Retowski. Die Münzen der Komnenen von Trapezunt. M. 1910; Отдельный оттиск из НС. I. 1911, ȣȝ. 113 - 301.

82. Par M. de **Tournefort**. Relation d'un Voyage du Levant. Lyon. MDCCXVI.
83. E. Zambaur. Inventar-Katalog der Bestände der Wiener Offentlichen und Privat-Sammlungen in mohammedischen Münzen. Wiesbaden. 1988.

შემოკლებათა განმარტება

სსმმ – აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.
ВВ – Византийский временник.
ВИ – Вопросы истории.
КСИИМК – Краткие сообщения Института истории материальной культуры.
НС – Нумизматический сборник; НС. 1977 – Нумизматический сборник, посвященный памяти Д. Г. Капанадзе.
НЭ – Нумизматика и эпиграфика.
BSOAS – Bulletin of the School of Oriental and African Studies University of London.
მსკი – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.
სმამ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე
სსსრმამ – საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.

სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ . . . . . გვ. 3

ორი დავითის მონეტა (1261 - 1262 წწ.) . . . . . გვ. 3

კირმანეული თეთრი . . . . . გვ. 5

„ცხუმური თეთრი“ და ვამეყ დადიანის (1384 - 1396 წწ.) მონეტა . . . . . გვ. 19

იჭრებოდა თუ არა გიორგაული თეთრი? . . . . . გვ. 26

საქართველოს და ოქროს ურდოს ურთიერთობა
XIV საუკუნეში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით . . . . . გვ. 40

XV საუკუნის ქართული მონეტები . . . . . გვ. 56

სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა XVI საუკუნის საქართველოში . . . . გვ. 75

სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა XVII - XVIII საუკუნეების
საქართველოში . . . . . გვ. 87

1804 - 1834 წლებში თბილისში მოჭრილი რუსული მონეტები . . . . . გვ. 153

საქართველოს ზარაფხანები . . . . . გვ. 159

ქართულ ნუმიზმატიკასთან დაკავშირებული ტერმინები . . . . . გვ. 163

ბოლოთქმა . . . . . გვ. 168

შენიშვნები . . . . . გვ. 170

ტაბულები . . . . . გვ. 175

Summary . . . . . გვ. 190

ბიბლიოგრაფია . . . . . გვ. 194

შემოკლებათა განმარტება . . . . . გვ. 199

Giorgi Dundua, Tedo Dundua

Georgian Numismatics

Part II

Meridian Publishers
Tbilisi, 2011